

1946

სტალინის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის



# შ რ ო შ ე ბ ი

Т Р У Д Ы

ТБИЛИССКОГО ГОСУДАРСТВЕННОГО  
УНИВЕРСИТЕТА  
ИМЕНИ СТАЛИНА

TRAVAUX

DE L'UNIVERSITÉ  
STALINE  
à TBILISSI (Tiflis)

XXVIII

სტალინის სახელობის თბილისის სახელმ. უნივერსიტეტის გამომცემლობა  
Издательство Тбилисского государственного университета им. Сталина

თ ბ ი ლ ი ს ი

1946

სტალინის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის



# შ რ ო მ ე ბ ი

Т Р У Д Ы

ТБИССКОГО ГОСУДАРСТВЕННОГО  
УНИВЕРСИТЕТА  
ИМЕНИ СТАЛИНА

TRAVAUX

DE L'UNIVERSITÉ  
STALINE  
à TBILISSI (Tiflis)

XXVIIIb

520/111  
104

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა  
Издательство Тбилисского государственного университета им. Сталина

თ ბ ი ს ს ი

1946

დაიბეჭდა სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს დადგენილებით

პასუხისმგებელი რედაქტორი პროფ. ნ. კეცხოველი  
საქ. მეცნ. აკადემიის ნამდვილი წევრი

---

გადაეცა წარმოებას 10/IV 46 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 12/VII 46 წ. ტირაჟი 500.  
სასტამბო თაბახი 6,25 საალ.-საგამ. თაბახი 7,1 ანაწყოების ზომა 7×11. ჭეუ 08587  
გამომცემლობის შეკვეთა № 13. სტამბის შეკვეთა № 78.

---

ს ტ ა ლ ი ნ ის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტ. გამომც. სტამბა, მარის ქ., 1

## შინაარსი

83•

1. ი. ცინცაძე, კაპიტან ოთარ თუმანოვის მოხსენებითი ბარათები საქართველოდან (1754—1756) . . . . . 1
  2. პ. გუგუშვილი, ირიგაცია საქართველოსა და ამიერკავკასიაში (1801—1920 წ.წ.) . . . . . 33
  3. ს. ყაუხჩიშვილი, ეფრემ მცირე და ბერძნულ-ბიზანტიური ლექსწყობის საკითხები . . . . . 67
  4. ილ. ცერცვაძე, გრამატიკული კლას-ნიშნებიანი მიცემითი ბრუნვა ხუნძური ენის ანწუხურ კილოში . . . . . 75
  5. კრიტიკა და ბიბლიოგრაფია . . . . . 87
-

## СОДЕРЖАНИЕ

	стр.
1. И. Цинцадзе, Докладные записки капитана От. Туманова из Грузии (1754—1756) . . . . .	1
2. П. Гугушвили, Ирригация в Грузии и Закавказье (1801—1920 г.г.) . . . . .	33
3. С. Каухчишвили, Эфрем Мцире и некоторые вопросы греко-византийской метрики . . . . .	67
4. И. Церцвадзе, Дательный падеж с классными показателями в анцухском диалекте аварского языка . . . . .	75
5. Критика и библиография . . . . .	87

---

## SOMMAIRE

1. J. Tsintzadzé, Mémoires du capitaine Othar Thoumanov (1754—1756) . . . . .	1
2. P. Guguchvili, L'irrigation de Géorgie et de Transcaucasie (1801—1920) . . . . .	33
3. S. Kaoukhtchichvili, Eprème Mtsiré et quelques questions de la métrique gréco-byzantine . . . . .	67
4. El. Tsértsvadzé, Sur les formes des classes grammaticales dans le cas datif de la langue awar (dialecte antsoukh) . . . . .	75
5. Critique et bibliographie . . . . .	87

---


იანე ცინცაძე

## კაპიტან ოთარ თუმანოვის მოხსენებითი ბარათები საქართველოდან (1754—1756)

1941 წელს ქუთაისის ალ. წულუკიძის სახელობის პედ. ინსტიტუტის შრომებში (ტომი II) დაიბეჭდა ჩემი წერილი „რამდენიმე ცნობა რუსეთის თვითმპყრობელობის დაზვერვის და მისი აგენტების საქმიანობის შესახებ XVIII საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში“. აქ სხვა ფაქტებს შორის აღნიშნული იყო, რომ 1754 წელს რუსეთის იმ დროის ხელისუფლებას ორი წლით საქართველოში საგანგებო საიდუმლო ინფორმატორი გამოუგზავნია, რუსეთის სამხედრო სამსახურში მყოფი კაპიტანი ოთარ თუმანოვი. თუ რა მოსაზრებით ხელმძღვანელობდა თვითმპყრობელობა, როცა ამ ინფორმატორს გზავნიდა, ამის შესახებ ზემოხსენებულ წერილში საკმაოდ არის საუბარი, ასე რომ აქ აღარ გავიმეორებთ. არ შევხებით აგრეთვე საკითხს, თუ ვინ არის ოთარ თუმანოვი, ამის შესახებაც ხსენებულ წერილში საკმაოდ ცნობებია მოცემული. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ თუმანოვი თვით თავაზობს საგარეო საქმეთა კოლეგიას საქართველოში წამოსვლას და აქედან საჭირო ცნობების მიწოდებას. წინა წერილში არ შევხებდით საკითხს, თუ რამ აიძულა თუმანოვი ასეთი მუშაობა ეკისრა. ამ საკითხს ახლა, როცა თუმანოვის მოხსენებითს ბარათებს ვბეჭდავთ როგორც საქართველოს ისტორიის წყაროს, მნიშვნელობა აქვს. ისტორიკოს მკვლევარისათვის ხომ წერილობითი ძეგლის ავტორის ვინაობა, მისი კლასობრივი წარმოშობა, მისი განწყობილება და მსოფლმხედველობა მნიშვნელოვანია ძეგლის გამოყენების დროს.

საგარეო საქმეთა კოლეგიამ საქართველოში საგანგებო საიდუმლო აგენტის გამოგზავნა 1754 წელს გადაწყვიტა, მას შემდეგ რაც ქართლ-კახეთის სამეფოებიდან 1752 წელს ელჩები მივიდნენ რუსეთში. თუმანოვი კი ჯერ კიდევ 1750 წელს საკუთარი ინიციატივით თავაზობს კოლეგიას დაზვერვის ხაზით მუშაობას საქართველოში<sup>1</sup>. ბუნებრივია საკითხი, თუ რა იზიდავდა მას ამ სარბიელზე, მით უმეტეს რომ ამ დროს თუმანოვს კარგი სამსახური აქვს და მატერიალური პირობები სრულიადაც არ უკარანხებდა ასეთი საქმისათვის მოეკიდა ხელი. საფიქრებელია, რომ თუმანოვი ამ დავალების მიღების შემდეგ

<sup>1</sup> იხ. ქვემოთ საბუთი № 1.



მოელოდა იმაზე მეტი გასამრჯელოს მიღებას, რაც მას ჩვეულებრივ ჯარში სამსახურის დროს ეძლეოდა და, თუ სამშობლოს სიყვარული ხელს უწყობდა, შესაძლებელია ნაწილობრივ ამ გარემოებას მიეზიდა იგი. როგორც საარქივო მასალებიდან ჩანს, თუმანოვს საკმაო გასამრჯელო მიეცა საქართველოში გამომგზავრების დროს: თუმანოვის ცოლშვილს, რომელიც რუსეთში დარჩა, ორი წლის განმავლობაში თუმანოვის ჯამაგირი ეძლეოდა.

„А в небытность его остающейся здесь в России жене его с детьми на пропитание давать из войсковой казны обыкновенное жалование с порциями и порциями, сколько он по своему чину получает“<sup>1</sup>. ხოლო პირადად თუმანოვს: „а на дорожные ваши издержки... денег триста рублей да сверх того на четыре ямския подводы прогонные деньги до Астрахани, а от туда... велено вас немедленно до Кизляра отправить“<sup>2</sup>.

მეორე გარემოებად, რასაც შეეძლო მიეზიდა თუმანოვი საქართველოში მზვერავად წამოსულიყო, შეიძლება ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ მას მამული ქართლში ჯერ კიდევ ჰქონია და მისი ნათესაეები ამუშავებდნენ და სარგებლობდნენ. საფიქრებელია ამის გამო მას საქართველოში ჩამოსვლა უნდოდა და, რადგანაც იმ დროს რუსეთიდან საქართველოში მოგზაურობა არც ისე ადვილი საქმე იყო მატერიალური თვალსაზრისით, მოინდომა სამსახურებრივი დავალების მიღებით თავისი პირადი საქმეების მოგვარების დროს მოსალოდნელი ხარჯები ხელისუფლებისათვის დაეკისრებინა. არ არის გამორიცხული ის მომენტიც, რომ ჯარიდან სხვა რიგად თუმანოვს ისეთი ხანგრძლივი შევბულება ვერ მიეღო, როგორც იმ დროს საქართველოში მოსვლას დასჭირდებოდა.

მესამე გარემოებად შეიძლება მივიჩნიოთ ჯარში სამსახურის მობეზრება და საგარეო საქმეთა კოლეგიის განკარგულებაში გადასვლით ჯარიდან თავის დახსნის საშუალება. ამ მიზანს თუმანოვმა კიდევ მიიღწია. რამდენადაც ცნობილია, ქართველები შეიღწლიან ომში მონაწილეობას იღებდნენ კიდევ, ხოლო თუმანოვი ამ დროს ასტრახანში ბრძანდებოდა პრემიერ მაიორის ხარისხით, საგარეო საქმეთა კოლეგიის ხაზით მუშაობდა და პეტერბურგში მიმავალ თეიმურაზ მეორეს და მის ამაღლას სხვადასხვა ცნობებს სტყუებდა და საიდუმლოდ მთავრობას აწვდიდა<sup>3</sup>.

თუ ზემოხსენებულ მოსაზრებებს მივიღებთ, მაშინ უნდა დავუშვათ, რომ ოთარ თუმანოვი საქართველოს მიმართ მტრული განწყობილებით არ იყო შეპყრობილი, მას შეიძლება სამშობლოზე გული კიდევ შესტკიოდა და, რაკი სამშობლოში ჩამოსვლა სურდა, მოინდომა სამსახურის ხაზით ისე მოწყობა, რომ ხელისუფლებას მისი სურვილი უნებლიედ აესრულებინა. ასეთ შემთხვევაში, საქართველოსადმი სიყვარულით განწყობილ თუმანოვს შეეძლო ბევრი გაეგო და დაენახა, მაგრამ თვითმპყრობელობისათვის ყოველივე ეს არ ეცნო-

<sup>1</sup> იხ. ქვემოთ საბუთი № 3.

<sup>2</sup> იხ. ქვემოთ საბუთი № 2.

<sup>3</sup> ქუთაისის პედ. ინსტიტუტის შრომები, ტ. II, 1941 წ. გვ. 94—96.

შებინა. ხოლო რუსეთის თვითმპყრობელობის ერთგულ თუმანოვს კი ვინცნაღეს, არათუ არაფერი არ უნდა დაეფარა და ყოველივე უკლებლად მოეხსენებინა.

თუმანოვის პიროვნებასა და განწყობილებაზე მსჯელობა ძალიან ძნელი იქნებოდა, რომ ზოგიერთ მის მოხსენებით ბარათში მოცემული არ იყოს მისი საკუთარი შეხედულებები და მარტო ამბების აღწერით დაკმაყოფილებულიყო იგი. პირველ რიგში ჩვენთვის საინტერესოა, შერჩა თუ არა თუმანოვს სამშობლოს სიყვარული, შეიძლება თუ არა ოდნავ მაინც აწუხებდეს მას საქართველოს ის მძიმე მდგომარეობა, რომელიც მაშინ შექმნილი იყო აქ და მან თავისი თვალთ ნახა. მისი მოხსენებითი ბარათის ერთი ადგილიდან იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ თუმანოვისათვის საქართველო არ არსებობს როგორც სამშობლო, არ შეიძლება მას ოდნავადაც კი გული შესტიოდეს მასზე. 1756 წლის მაისის 22 დაწერილ მოხსენებით ბარათში<sup>1</sup> სხვათა შორის აღნიშნავს, რომ ქართველების გამოყენება რუსეთს შეუძლია თავისი ინტერესებისათვის: „მე რომ ვგონებ ამაში თუ გამოიყენებიან, როცა ან თურქის ჯარი ფერსიაში ჩამოვიდნენ, ან რუსეთს თურეცკი აეშალოს როდისმე, მაშინ რომე ქართლი და კახნი მოდგინებით იყვნენ რუსეთზედ, მთის კაცსა და აგრევე გარეშეს კაცს თეთრით და მცირე რამით რუსეთის წყალობით კაცთ იშოვნიან და აიყოლიებენ ქურდობით და ყაზახობით მიხდომით. თურეცკის მამულში ძალას უზმენ... თუნდა ამავე ქართველებს დაუმარცხდეს რუსეთის დასაკლისი არა იქნება რა, დამარცხებიდამაც ის იქნება, რომელიც იქ ვერ დადგება აქ გარდმოვლენ“.

იმ ინსტრუქციაში, რომელიც საგარეო საქმეთა კოლეგიამ ჩააბარა თუმანოვს სახელმძღვანელოდ საქართველოში გამოგზავრების წინ, არსად აღნიშნული არ არის, რომ თუმანოვს საკუთარი მოსაზრების წარმოდგენა ევალებოდა — გამოადგება თუ არა რაიმე შემთხვევაში საქართველო რუსეთს, თურქეთთან მოსალოდნელი კონფლიქტის დროს. ეს ინსტრუქცია აქვე იბეჭდება და მკითხველს შეუძლია ამაში საეცებით დარწმუნდეს. საერთოდ თუმანოვს ასეთი და ამის მსგავსი დავალებები არ აქვს. მას ევალება შეკრიბოს ცნობები იმის შესახებ, თუ რა ხდება თურქეთ-ირანში და როგორ შეხვდებიან ქართველი მეფეები რუსეთში გამოგზავნილ ელჩების მიერ მოტანილ რუსეთის პასუხს და საჩუქრებს, კმაყოფილი დარჩებიან თუ არა ქართველი მეფეები ან დაიწყებენ თუ არა ზრუნვას, რაკი რუსეთის მფარველობა ვერ მიიღეს, ასეთი ეძიონ თურქეთში. ინსტრუქციაში სხვა დავალება არ არის. თუმანოვი კი თავისი ინიციატივით სწავლობს საქართველოში ადგილობრივ ძალებს და რუსეთის საგარეო საქმეთა კოლეგიას სთავაზობს, ქართველთა ძალების რუსეთის ინტერესებისათვის გამოსაყენებლად, საკუთარ მოსაზრებას და ისე მსჯელობს, როგორც იმ დროის თვითმპყრობელობის სამსახურში მყოფი რომელიმე რუსი ფეოდალი.

<sup>1</sup> აქვე საბუთი № 12.




საინტერესოა, რომ როცა 1768 წელს რუსეთსა და თურქეთს შორის ომი აუცილებელი შეიქნა, რუსეთის საგარეო საქმეთა კოლეგიის ხელმძღვანელი გრაფი ნ. პანინი სწორედ იმ თვალსაზრისით ადგენს ინსტრუქციას ქართველ მეფეთა ძალების რუსეთის ინტერესებისათვის გამოსაყენებლად, როგორც ეს თუმანოვს აქვს წარმოდგენილი ზემოხსენებულ მოხსენებითს ბარათში. პანინის ცნობილი გამოთქმა ერთ-ერთ ინსტრუქციაში: „была бы душа здешняя, а тело грузинское“<sup>1</sup>, ამისი საუკეთესო ილუსტრაციაა. უფრო გარკვევით და დეტალურად პანინს თუმანოვისებური მოსაზრება მოცემული აქვს ცნობილ მოხსენებითს ბარათში: „Разсуждение о способах, какими грузинцы преклонены быть могут к восприятию участия в настоящей с Портою Отоманскою войне“<sup>2</sup>. ჩვენ არ შეგვიძლია გადაჭრით ვთქვათ, რომ პანინი თუმანოვის მოხსენებითი ბარათით ხელმძღვანელობდა 1768 წელს, როცა საქართველოს ძალების გამოყენების პროექტს ადგენდა, მას დამოუკიდებლად შეიძლება აზრად მოსვლოდა ეს, მაგრამ ექვმიუტანლად შეგვიძლია ვთქვათ, რომ, როდესაც თურქეთთან ომის საკითხი მუშავდებოდა, საქართველოს შესახებ ყველა მასალა, რომელიც საგარეო საქმეთა კოლეგიის არქივში ინახებოდა, გამოთხოვილი იყო პანინის მიერ და ამ მასალაზე დაყრდნობით იქნა შედგენილი ზემოთ მოტანილი სათაურის მქონე მოხსენებითი ბარათი, რომლის გადასინჯვიდან ჩანს, რომ საგარეო საქმეთა კოლეგიის ხელმძღვანელი საქართველოს მდგომარეობის საქმის კურსში არის.

ოთარ თუმანოვი იმავე 1756 წლის მაისის 22 მოხსენებითს ბარათში სხვა ადგილას ერთხელ კიდევ ამჟღავნებს თავის განწყობილებას საქართველოსა და რუსეთის მიმართ. ამ მოხსენებითი ბარათის მე-15 მუხლში აღნიშნავს, რომ, როდესაც იგი რუსეთში ბრუნდებოდა, ჩერქეზეთზე გამოვლის დროს შეუტყვია, რომ იმერეთის მეფის სოლომონ პირველის მიერ გამოგზავნილი ჯაფარიძე ჩერქეზეთში გადმოსულა ჯარის დასაქირავებლად. თუმანოვს ისიც შეუტყვია, რომ ეს ჩერქეზთა დაქირავებული ჯარი იმერეთის მეფეს რაჭის ერისთავის წინააღმდეგ საბრძოლველად სჭირდება. როგორც ცნობილია, რაჭის ერისთავი მუდამ თურქეთთან კავშირში იყო და სოლომონს მოსვენებას არ აძლევდა. ინსტრუქციის თანახმად თუმანოვს თავის მოხსენებითს ბარათში ამ ცნობის შეტანის შემდეგ წერტილი უნდა დაესვა, მაგრამ იგი განაგრძობს პოლიტიკოსობას და კოლეგიას აწვდის „არამკითხე“ რჩევა-დარიგებას, ამ შემთხვევაში ყოვლად უბადრუკს, მაგრამ ჩვენთვის ამჟამად საინტერესოს: „ჩნდვ იანვრის კზ ჩერქეზში შევიტყვე, რომელიც ოსეთის კამისია არის იმაზედ ახლოს სოფელში ოზნას იმყოფებოდნენ იმერელი მეფის კაცნი კნიაზ ჯაფარიძე როსტომ ჯაფარასშვილი, კიდევ იმასთან მყოფი ოსი ვნახე. ამაზედ იმყოფებოდა სადმე რომე, ჩერქეზიდან და ოსის ჯარი წაიყვანოს. იმერელი მეფე რაჭის ერისთავს ებრძვის, უწინ სადმე ყოფილიყო რაჭის ერისთავის კაცნი იმათაც ეთხოვა არ

<sup>1</sup> Чагарели, Грамоты и др. историч. документы относящиеся к Грузии. Том I, гл. 156.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 1, რუსეთის ამ დროის პოლიტიკის შესახებ იხ. ჩემი წერილი აკად. ნ. მარის სახ. ენიმკის მთაბე V—VI, 1940 წ. გვ. 337—355.



გარდაყოლოდნენ. ახლა ეს მეფის კაცი ცდილობს გარდაყოლას. ეს იმპერატორ და რაჭა ორივე თურეცკის კერძათ არიან, ერთმანერთში ლაშქრობას აწირობენ საღმე. მე რომ ვგონებ თუ დაიშლებოდეს რომელიც რუსეთის მოსმინო არიან რომ არ წაყვნიენ ისი ჯობს ჩემის გაშიჯულობით. ამიტომ რომ ერთი ის იქნების რომე ჩერქეზებმან იმ მხარეზედ თურეცკის კაცს არ შეჩვიონ რომე თურეცკის რჯული აქთ ჩერქეზებთ, შასოვრისაც ხარბი არიან. მეორე ქრისტიანს ტყვეს ბევრს დატყვევებენ. იმერლებიც საჩუქრად ქრისტიანს ტყვეს მისცემენ იმ თურეცკის მხარესა, არ ემჯობინება, რაც კვლავ უქნიათ ერთმანერთში ის ქნას<sup>1</sup>.

თუმანოვის მოხსენებიდან მოტანილი ეს ორი ამონაწერი გვაფიქრებინებს, რომ ავტორი სულით და ხორციით რუსეთის თვითმპყრობელობის მხარეზე არის, მას თავისი სამშობლოს დარდი ოდნავადაც არ აწუხებს, იგი მზად არის ყველაფერი შესწიროს რუსეთის თვითმპყრობელობის სამსახურს და არაფრის წინაშე არ შეჩერდება ამ მიმართულებით. ამდენად მართებული იქნება თუ ვიტყვით, რომ ოთარ თუმანოვი თავის საიდუმლო მოხსენებითს ბარათებში იძლევა ყოველივე იმას, რისი გავებაც მან მოახერხა საქართველოში. არ უნდა იყოს მოსალოდნელი, რომ თუმანოვმა რაიმე გაიგო საქართველოში და რუსეთის თვითმპყრობელობას დაუფარა და არ აცნობა ქართველი მეფეების ინტერესების დაცვის მიზნით. თუმანოვის პიროვნება ჩვენ წარმოგვიდგება, როგორც რუსეთის თვითმპყრობელობის შეგნებული მოხელე, რომელსაც იმავე დროს ანგარებით გაუღენთილი მისი ბუნება სამშობლოს ღალატის იმპულსს უნდა უორკეცებდეს.

რას წარმოადგენს ოთარ თუმანოვის საიდუმლო მოხსენებითი ბარათები, როგორც საქართველოს ისტორიის წყარო? თუმანოვი ცნობების შეკრებას და რუსეთში გაგზავნას ყაბარდოში მოსვლისათანავე შესდგომია. მცირე ყაბარდოში იგი 1754 წლის ივლისის 14 მოსულა და 1756 წლის 12 იანვრამდე საქართველოში დარჩენილა. ამ ხნის განმავლობაში იგი ადგილობრივ მდგომარეობას აკვირდება და სავარაუდოდ საქმეთა კოლეგიის ინსტრუქციის მიხედვით მოხსენებითს ბარათებს ადგენს და რუსეთში გზავნის. სულ მას 9 მოხსენებითი ბარათი ან წერილი მიუერთმევია რუსეთის ხელისუფლებისათვის. ერთი ამთავანი პეტერბურგში ჩასვლისას დაუწერია. მოხსენებითი ბარათები ძირითადად სამ საკითხს ეხება: რა მდგომარეობაა საქართველოში, როგორ უცქერიან ქართველი მეფეები რუსეთის ორიენტაციის საკითხს და რა ხდება თურქეთსა და ირანში.

პირველი საკითხის შესახებ — რა მდგომარეობაა საქართველოში, თუმანოვი დეტალურ ცნობებს იძლევა ლეკების თარემის აღწერით. ამ მხრივ საყურადღებო არის თუმანოვის 1754 წლის პირველ დეკემბერში დაწერილი მოხსენებითი ბარათი. იგი აქ აღნიშნავს, — 30 ივლისს მოვედი ქართლში და



ხელთუბანში ქართველი მეფეები ვინახულეო. თუმანოვი ამ ბარათში ლეკების თარეშის ამბებს 13 ივლისიდან იწყებს. ისე რომ 13 ივლისიდან 30 ივლისამდე რაც ამბები აქვს აღწერილი, მისი საქართველოში არ ყოფნის დროს მომხდარა. ვინ მისცა მას ეს ცნობები. თუმანოვი ამის შესახებ აღნიშნავს: „რომელიც ქართველთაგან გავიგონე ლეკის ჯარნი წამოსულიყვნენ, ეს ჯარი გაყოფილიყო ზოგნი ფერსიანში წასულიყვნენ, ზოგი ქართლში დაფატულიყვნენ“...<sup>1</sup>. აგვისტოს, სექტემბრის, ოქტომბრის და ნოემბრის თვეებში მომხდარი ამბები თუმანოვის ქართლში ყოფნის დროს ხდება და საფიქრებელია ამ ამბებს იგი იწერს იმავე დღეს, როგორც კი გაიგებს. თუმანოვის მოხსენებებიდან ისე ჩანს, რომ იგი გამუდმებით თბილისში უნდა ცხოვრობდეს. ამას უნდა ადასტურებდეს საგარეო საქმეთა კოლეგიის ხელმძღვანელის მოხსენებითი ბარათი იმპერატრიცისადმი წარდგენილი, რომელშიაც მინისტრი საქართველოში საგანგებო ინფორმატორის გაგზავნის აუცილებლობაზე ლაპარაკობს: „И для того надобно в удобном разведыванию мест, а именно в пограничном с турками грузинском городе Тифлис, на некоторое время особливого человека иметь“<sup>2</sup>. მაშასადამე, თუმანოვი გამუდმებით თბილისში უნდა ცხოვრობდეს და აქვე უნდა კრებდეს ცნობებს.

მაგრამ საინტერესოა, თუ ვინ აწვდის მას აქ ცნობებს. აღმოსავლეთ საქართველოში ლეკთა თარეშის ისეთი დეტალური ანგარიში, როგორიც ამ მოხსენებითს ბარათში არის მოცემული, გვაფიქრებინებს, რომ ავტორი უნდა ემყარებოდეს იმ დროის საქართველოს ხელისუფლების ოფიციალურ აღრიცხვას. რომელ დღეს, სად, რომელ სოფელში, რომელ გზაზე, დღით თუ ღამით რამდენი კაცი მოკლეს ლეკებმა, რამდენი ტყვედ წაიყვანეს, რამდენი დაწვეს, რამდენი დაჭრეს, რამდენი მუშა საქონელი — ხარი, ძროხა თუ ცხენი წაიყვანეს, სად დაეწია ქართველთა რაზმი, ბრძოლაში რამდენი ქართველი დაიჭრა ან დაიღუპა, რამდენი ლეკი დაატყვევეს ან მოკლეს, ყოველივე ამისი გაგება ქართლისა და კახეთის მასშტაბით იმ დროის პირობებში მოითხოვდა საკმაო ფართო ავენტურის ქსელის მოწყობას ოთარ თუმანოვის მიერ, რის საშუალებაც მას არ ჰქონდა. და თუ ასეთი ინფორმატორების ქსელს მოაწყობდა იგი, მისი საქმიანობა საქართველოში ადგილობრივ ხელისუფალთათვის დაფარული არ დარჩებოდა. ამიტომ საფიქრებელია, რომ თუმანოვი საიდუმლოდ დაკავშირებული უნდა ყოფილიყო ქართველ ხელისუფალთა კარის მოხელესთან. შეეძლო თუ არა თუმანოვს საქმე ასე მოეგვარებინა?

1750 წელს, როგორც ამ წერილის შესავალში აღვნიშნეთ, თუმანოვმა საკუთარი ინიციატივით ინფორმატორობა შესთავაზა საგარეო საქმეთა კოლეგიას. აქ სხვათა შორის იგი წერდა: „Закон содержу армянской и в Грузии тамошними армянами я почтителен, ... а у меня племянник родной в том городе Тифлисе... при грузинском царе мишкарбашом находитца и других многих свойственни-

<sup>1</sup> აქვე საბუთი № 7.

<sup>2</sup> ფონდი „Грузинские дела“ К—52, საქმე № 4, ფურც. 114.

ков в Грузии имею“...<sup>1</sup> ამვე საბუთის სხვა ადგილიდან ჩანს, რომ თუმანოვს დიდი იმედი აქვს თავისი ნათესავის. იგი არწმუნებს საგარეო სამსახურს, რომ მისი ძმისწული, სამეფო კარზე მყოფი, არამც თუ თუმანოვს დაეხმარება ცნობების საიდუმლოდ მოპოებაში, არამედ ყველას, ვისაც კოლეგია გაგზავნის და თუმანოვის რეკომენდაციას თან გააყოლებს. შესაძლებელია თუმანოვის ეს ძმისწული აძლევდეს მას ლეკების თარეშის დეტალურ ცნობებს. მისკარბაშს, როგორც სამეფო კარის მაღალ თანამდებობის პირს, ასეთი ცნობები ადვილად შეეძლო ხელთ ჰქონოდა<sup>2</sup>.

თუმანოვი გაგონილ ამბებს კრიტიკულად ეკიდება. მისი მოხსენებებიდან ჩანს, რომ იგი მიღებულ ცნობებს ამოწმებს, და, თუ შემოწმება ვერ მოუხერხებია, მოხსენებაში პირდაპირ აღნიშნავს „ჭორად გავიგონე“. ერთგან, 1755 წლის თებერვლის შეიღს დაწერილ მოხსენებაში<sup>3</sup>, ეხება რა თურქეთის ამბებს აღნიშნავს: „ყარსიღამე ამბავი მოვიდა ჭორად რომე ორი ფარმანი მოვიდაო ახალის ხოთქრისაგანო, ერთი თავისის გახოთქრებისაო მეორე ვეჩირის ულუფისაო... კიდევ ჭორად გავიგონეთ ამ შემოდგომაზედ აზრუმს ჟამი იყოო ახლა ზამთარში გარდავარდაო“. ანდა ფონ-ფრაუნდორფისადმი გაგზავნილ მოხსენებაში წერს: „ბაიზეთში და ყარს ჭირვება და ჟამი გაჩენილა, ქართლში სიმთელეც არის, არც ჭირი და არც სხვა სნეულება არა არის რა, ჯერ თურქუქისას ჭორად ამბობენ. გაზაფხულზედ ლაშქრობას აპირობენო, ეს არა ჩანს საით აპირობენ, არც ამ ამბავს ეტყობა სიმართლე, ისრე ჭორად ამბობენ“<sup>4</sup>. 1755 წ. მარტის 21 დაწერილ მოხსენებაში წერს: „თოხათს ამბავი მოვიდაო კოსტადილბოლიღამაო რუსეთის ელჩი და ფრანგის ელჩი დაითხოვესო. ჭორად გავიგონე რუსეთზედ და ფრანგზედ ლაშქრობა აქვს ხოთქარსაო, ზოგიერთი ადგილის ფაშები დაუბარებია. ამ თარიღში ამგვარი ამბები მოვიდა, ვცდილობ მართალი შევიტყო და მოვახსენო“.

პეტერბურგში ჩასვლისას დაწერილ მოხსენებითს ბარათში ერთგან აღნიშნული აქვს, რომ რუსეთიდან საქართველოში ჩამოსულ ეჯუბოვს ბევრი ისეთი რამ ელაპარაკნა, რაც რუსეთის ორიენტაციის საკითხს საქართველოში ვითომ ზიანს აყენებდა, მაგრამ, რადგანაც ზედმიწევნით კარგად მისი ნალაპარაკევი თუმანოვს ვერ შეუტყვია, შენიშნავს: „სხვადასხვა რიგად ამბობდნენ ჭორს, ამიტომ სახელდობით მოხსენება ვერ შევქმელ ტყვილი არ შემჩნეოდაო“<sup>5</sup>. თუმანოვი საქართველოში არსებულ ლაპარაკის თავისუფლებას უჩივის, ამავ მოხსენებაში აღნიშნავს: „იქ ჭორიც ერთი რომ ითქვას ბევრად გაიშლება... იქ ხომ სიტყვის დაშლა არ არის ვისაც რა მოადგება იმას იტყვიანო“. ცნობების შეკრების დროს ასეთი ფრთხილი ოთარ თუმანოვი თუ მართლაც თავისი


<sup>1</sup> აქვე საბუთი № 1.

<sup>2</sup> მისკარბაშში მონადირეთუხუცესს ეწოდება ამ დროს. ცნობა მომწოდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის თანამშრომელმა დოც. გაბაშვილმა რისთვისაც აქვე მადლობას ვუცხადებ.

<sup>3</sup> აქვე საბუთი № 8.

<sup>4</sup> აქვე საბუთი № 10.

<sup>5</sup> აქვე საბუთი № 12.



ახლო ნათესავის მისკარბაშის საშუალებით ცნობებს სემეფო კარიდანი<sup>1</sup> ცინცაძეს, მაშინ მის მოხსენებითს ბარათებში მოცემული ცნობები შედარებით<sup>2</sup> სწორად უნდა იყოს.

თუმანოვის მოხსენებითს ბარათებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება უხვად მოცემულ ზუსტ თარიღებს. 1754—1756 წლებში ლეკთა თარეშები საქართველოში თუმანოვის მოხსენებითი ბარათების გარეშეც, საქართველოს ისტორიის მკვლევართათვის უცნობი არ არის პაპუნა ორბელიანისა და ომან ხერხეულიძის ნაშრომების წყალობით.

თუმანოვის მოხსენებითს ბარათებში დაცული ცნობები ჩვენ ზემოხსენებულ ქართველ ისტორიკოსთა თხზულებების საკონტროლოდაც გამოგვადგება იმ ნაწილში, სადაც 1754—1756 წ.წ. მომხდარი ამბებია აღწერილი. ასეთი შედარება ჩვენ მოვახდინეთ და მთელი რიგი ფაქტების შემოწმება მოსახერხებელი აღმოჩნდა. ბევრ შემთხვევაში ოთარ თუმანოვის ცნობები აზუსტებს ორბელიანისა და ხერხეულიძის მიერ მოწოდებულ ცნობებს.

თუმანოვი აუწყებს საგარეო საქმეთა კოლეგიას, მაგალითად, ქუნძახის მფლობელის მიერ 1754 წლის აგვისტოში მოწყობილ თავდასხმებს ქართლზე და მჭადისჯვრის ციხესთან ბრძოლას, სადაც გაერთიანებული ქართლ-კახეთის ჯარები იმარჯვებენ. ეს ბრძოლა 19 აგვისტოს მომხდარა და ოთხას სამოცამდის ლეკი მოუკლავთ ქართველებს. ეს ამბავი პაპუნა ორბელიანს თუმანიშვილზე უფრო დეტალურად აქვს აღწერილი<sup>3</sup>, მაგრამ თარიღს, ჯარების რაოდენობას და ლეკთა დანაკლისის რიცხვს თუმანოვი იძლევა მხოლოდ, ხსენებულ ქართველ ისტორიკოსებს ამის შესახებ არაფერი აქვთ ნათქვამი. ასევე ზუსტად აქვს დათარიღებული და მტრის ჯარების რიცხვი მოცემული თუმანოვს 1755 წლის სექტემბერში ქუნძახის მფლობელის ინიციატივით მოწყობილი მაჰმადიან მთიელების კახეთზე შემოსევის და ყვარლის ციხესთან ბრძოლის აღწერის დროს<sup>4</sup>. აქვე აღნიშნულია ერეკლე II ღონისძიება ამ მრავალრიცხოვან მტრის კახეთის საზღვრებიდან გასაძევებლად. ეს ამბები პაპუნა ორბელიანს და ომან ხერხეულიძეს აქვთ აგრეთვე დაწვრილებით აღწერილი, მაგრამ თარიღები და მტრის ჯარების რაოდენობა მოხსენებული არ აქვთ<sup>5</sup>. ასევე დასტურდება და ზუსტდება თუმანოვის მოხსენებითი ბარათებით პაპუნა ორბელიანის, ომან ხერხეულიძის შრომებში და „შედეგი კახეთის ცხოვრებაში“ მოცემული ფაქტები: თათრის ელების საქართველოდან გაქცევა<sup>6</sup>, ერეკლე II ბრძოლა აჯიხალაბის შვილთან<sup>7</sup>, სომხეთის სიღნაღელ მელიქ უსუფის აყრა და ქართველ მეფეებთან მოსვლა<sup>8</sup>, აზატ-ხანთან მარიამ ბეგუმის გაგზავნა, ორბე-

<sup>1</sup> საქართველოს ცხოვრება. ჭიჭინაძის გამოც. გვ. 212—213. აქვე იხ. აგრეთვე ომან ხერხეულიძის ცნობა გვ. 259.

<sup>2</sup> აქვე საბუთი № 10.

<sup>3</sup> საქართველ. ცხოვრება. ჭიჭინაძის გამოც. გვ. 222, 259—260.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 235—236, 260.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 199—201, 258—259.

<sup>6</sup> იქვე, გვ. 223.



ლიანის თანხლება და ირანიდან საჩუქრებით ორბელიანის დაბრუნება<sup>1</sup> ანტონ კათალიკოსის კათოლიკურ სარწმუნოებისაკენ გადახრა<sup>2</sup>, ცრუ ყაენის შვილი ქართველ მეფეებთან<sup>3</sup> და სხვ.

თუმანოვი დიდ ადვილს უთმობს თავის მოხსენებებში ლეკთა თარეშს, საფიქრებელია, იმიტომ, რომ ყველაზე უფრო დიდი მოვლენა იმ წლებში ეს იყო საქართველოში, მაგრამ თუმანოვს ერთხელაც თავი არ შეუწყუნებია აეხსნა, თუ რამ გამოიწვია „ლეკობა“ ამ ხანაში. უნდა ვიფიქროთ, რომ თუმანოვი ამ ამბუსს არავითარ ფართო პოლიტიკურ მნიშვნელობას არ აძლევდა და უფრო ლეკების მტაცებლურ ბუნებით ხსნიდა ამ თარეშს. მისი პოლიტიკური ჰორიზონტი არც ისე ფართო ჩანს, რომ ასეთი საკითხები აღეძრა და პასუხი გაეცა.

ლეკების თარეშის აღწერის გარდა, თუმანოვი საყურადღებო ცნობებს იძლევა აღმოსავლეთ საქართველოს შინა პოლიტიკურ მდგომარეობის ისტორიისათვის, კერძოდ იგი ეხება ქართლის სამეფოში არსებულ თავადების ოპოზიციის წარმოშობის მიზეზის საკითხს. მას ცნობები შეუკრებია იმის შესახებ, თუ რა დამოკიდებულება არსებობს ქართლელ თავად-აზნაურობასა და ქართლში გამეფებულ კახელ ბაგრატიონებს შორის. ამ საკითხის შესახებ პაპუნა ორბელიანის თხზულებაშიაც შეიძლება მკვლევარმა მრავალი მასალა იპოვოს, მაგრამ აქ იგი უნდა ამოიკითხოს სტრიქონებს შორის და, რაც მთავარია, ორბელიანი საამისო ცნობებს გვაწვდის უფრო წინა წლების შესახებ, ამიტომ თუმანოვის ცნობებს მნიშვნელობა ემატება.

უდაოდ მნიშვნელოვანია თუმანოვის ცნობები ქართველ მეფეთა რუსული ორიენტაციის საკითხის შესახებ. აქამდე არ იყო ცნობილი, თუ დინასტიური ხასიათის დაბრკოლებები ეღობებოდა წინ ამ საკითხს. რადგანაც ჩვენ ამ საკითხზე საგანგებო წერილი გამოვაქვეყნეთ, აქ აღარ შევჩერდებით<sup>4</sup>.

ამრიგად, ოთარ თუმანოვის მოხსენებითი ბარათები ისტორიკოს მკვლევარისათვის საჭირო ცნობებს შეიცავს და მისი გამოქვეყნება მიზანშეწონილად უნდა იქნეს მიჩნეული.

თუმანოვის მოხსენებები დატულია მოსკოვის ფეოდალური ეპოქის არქივთსაცავში „Грузинские дела“-ს ფონდში. თუმანოვის ქვემოთ დაბეჭდილი მოხსენებები სამ საარქივო საქმეში არის ჩაკერებული. ქრონოლოგიური თვალსაზრისით პირველი საქმე შემდეგი სახით არის დასათაურებული და აღრიცხული: „№ 11 1750 сентябрь. Доношение грузинского полку капитана князя Отара Томанова об отправлении его или кого нибудь другого знающего грузинской и персидской или армянской язык в город Тифлис для разведывания о делах пограничных с Россиею земель“. საქმე შეიცავს სამ ფურცელს. ამ საქმიდან იბეჭდება ყველაფერი, რაც წერილობით არის შიგ

<sup>1</sup> საქართველ. ცხოვრება. კიკინაძის გამოც. გვ. 206.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 282.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 181.

<sup>4</sup> მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის. სსსრ. მეცნიერებათა აკადემია.

წარმოდგენილი. აქ უნდა შევნიშნოთ, რომ თუმანოვის განცხადება, რუსულ ენაზე, რომელიც ამ საქმეში არის ჩაკერებული, რუსული ენის კარგი მცოდნის მიერ არ არის დაწერილი. თვით თუმანოვის ნაწერი იგი არ არის, უფროსაგარეო საქმეთა კოლეგიის თარჯიმანის აბაზაძის ნაწერი უნდა იყოს. თუმანოვმა რუსული ენა უნდა იცოდეს, მაგრამ იმდენად არა, რომ მოხსენებები და განცხადებები წეროს, ამიტომაც მისი განცხადებები და მოხსენებები ქართულ ენაზე არის დაწერილი.

მეორე საქმე, რომლიდანაც ქვემოთ დაბეჭდილი საბუთებია ამოკრებილი, შემდეგი სახით არის შეტანილი საინვენტარო დავთარში: „K—53. 1754 марта 21, июня 1756. № 1. Отправление в Тифлис грузинского гусарского полку капитана князя Отара Туманова на два года для разведывания и примечания тамошних обстоятельств. Тут же доношения его князя Туманова“. ეს საქმე 65 ფურცლისაგან შედგება. აქ მოთავსებულია თუმანოვის მოხსენებები საქართველოდან და მისი თარგმანები. ამას გარდა აქ ჩაკერებულია თუმანოვის გამგზავრების გამო ვაწეული ხარჯების საბუთები, თუმანოვის საქართველოდან გამოგზავნილ მოხსენებათა გამო ყიზლარის კომენდანტის ასტრახანთან მიმოწერა. ეს საბუთები ჩვენ გამოვტოვეთ, როგორც უმნიშვნელო მასალა, არ ვაქვეყნებთ აგრეთვე თუმანოვის მოხსენებათა რუსულ თარგმანებს, რომლებიც დავით აბაზაძის მიერ არის შესრულებული.

მესამე საქმე საინვენტარო დავთარში შეტანილია: „K—53 № 4. 1756. апр. 11. Возратный из Грузии приезд посыланного для разведывания о тамошних обращениях грузинского гусарского полку капитана князь Отара Туманова и поданное им о Грузии и Кахетии изъяснение“. ამ საქმეში დაცულია თუმანოვის ორი ვრცელი მოხსენება, რომელიც მას საქართველოდან წამოსვლის შემდეგ დაუწერია, ერთი ყიზლარში, მეორე პეტერბურგში. საქმე შეიცავს 18 ფურცელს. აქაც უმნიშვნელო საბუთები, თუმანოვის გამომგზავრების, ყიზლარიდან ასტრახანში და აქედან პეტერბურგში მისვლის შესახებ მიმოწერა გამოვტოვეთ და აქ არ იბეჭდება. ყველა საბუთებს ჩვენ ვბეჭდავთ იმ სახით, როგორც დედნებშია წარმოდგენილი. დამახინჯებული თუ აღვადგინეთ ან ვერ გავარკვეით, ეს სტრიქონს ქვემოთ აღნიშნულია. სასვენი ნიშნები და საბუთების დასათაურება დედანს არ ეკუთვნის.

## ს ა ბ უ თ ე ბ ი

№ 1. 1750 წ. სექტემბერი. კაპიტან ოთარ თუმანოვის განცხადება საგარეო საქმეთა სახელმწიფო კოლეგიისადმი, საიდუმლო ინფორმატორად საქართველოში მისი მივლინების მიზანშეწონილებისა და ამაზე კოლეგიის დასტურის სასურველობის შესახებ.

В государственную коллегию иностранных дел покорнейшее доношение. Доносит грузинского гусарского полку капитан князь Отар Томанов. А о чем мое доношение тому следуют пункты. 1. Служу ея императорскому величеству я нижаиши в означенном гусарском полку капитаном, а сын мой князь Иван Туманов служит в оном же полку прапорщиком, и оной сын мой обязан чтоб в России вечно останица, а яж нижаиши по присяжной моей должности означенной коллегии иностранных дел покорно доношу, ежели нижеписанное опробуется, меня нижайшего оного отправить в Грузию в город Тифлиз, а оной в Грузии столичной город на границе между турков и персианов состоит, а у меня племянник родной в том городе Тифлизе главным управлением моего племянника состоит<sup>1</sup>, и при грузинском царе<sup>2</sup> оной мишкарбашом находитца, и других многих свойственников в Грузии имею и могу азеиские, а особливо персицких ведомостей чрез Грузию достать; в каком обстоятельстве та Персия находитца будет, и кто шахом зделаетца и против турков и против про те их воину объявят или с кем мир<sup>3</sup> заключат, сверх же того могу из Грузии под секрет отправить разных...<sup>4</sup> людей в Ыспани и в Ереване, и те посланные в оных персицких местах тамошние ведомости получать и комне в Грузию писать будут. Я из Грузии могу те персицкие обстоятельства чрез моих писем в коллегию иностранных дел почаще доносить, так что персиани и грузинцы отом знать не будут, да и мнеж никакова в том повреждения не приключитца. Нечто к ползе ея императорского величества к интересу что мне приказано будет, к тому к интересу в Грузии тамошних людей склонить можуж. Закон содержу я армянской и в Грузии тамошними армянами я почтителен, к томуж в Грузии у меня дом и деревни, а для лутнего к тому делу уверения оставляю здесь в России жену и детей моих. 2. А буде государственная коллегия иностранных дел по вышеписанному моему доношению меня к тому делу

<sup>1</sup> დედანში ასეა. ძნელი გასარკვევია რა სურს ავტორს ამ წინადადებით თქვას.

<sup>2</sup> იგულისხმება ქართლის მეფე თეიმურაზ II.

<sup>3</sup> ეს სიტყვა დედანში არ იკითხება სრულიად, შინაარსის მიხედვით ჩვენ ჩავსვით.

<sup>4</sup> აქ ერთი სიტყვა გაუგებარია, ჩვენ ამოვიკითხეთ „ехнов“.



отправить недозволит, тоб дать одного человека такого, который бы знал говорить по грузинский или по персидский илиж по армянский и такого человека отправить от коллегии в Грузию во оный город Тифлиз к царю грузинскому или племяннику моему, а я тому посланному человеку наставление дать могу такое, что будучи в Грузии о порученной ево комиссии грузинцы и персианы отом знать не будут, толко ему самому по возможности своей тех ведомостей приискывать и писать тех ведомостей емуж в коллегию. И оной посланной человек, буде благополучно в городе Тифлизе доедет, будучи в Грузии ежели от царя грузинского или от племянника моего, илиж от протчих грузинцов какое повреждение приключитца, то я здесь в России ответственать должен, кроме того, паче чаяния что в дорогах пути какое препятствие или в нечаянной смерти последует, тоб с меня в том не взыскивать. Того ради коллегии иностранных дел покорно доношу по вышеписанных двух пунктах, которое заблаго опробовать соизволите в том по присяжной моей должности к тому к интересу ея императорского величества служить яко верному ея императорского величества рабу могу. Сентября дня 1750 году. ქ. ამ დანაშენიაში კაპიტანს კნიაზ ოთარ თუმანოვს ხელი მომიწერია<sup>1</sup>.

ფონდი „Грузинские дела“ № 11, 1750 сентябрь, ფურც. 1—2.

№ 2. 1754 წ. აპრილი. საგარეო საქმეთა სახელმწიფო კოლეგიის ინსტრუქციის მაგიერი, კაპიტან ოთარ თუმანოვისათვის საქართველოში სახელმძღვანელოდ.

Выписка, для объявления отправляющемуся в Грузию грузинского гусарского полку капитану князю Отару Туманову, чего ему тамо наблюдать надлежит и которая имеет ему служить в место инструкции. Понеже высочайшие ея императорского величества интересы, по нынешним обстоятельствам в Персии и в Грузии, требуют тамо в удобном к разведыванию мест, а именно, в пограничном с турками грузинском городе Тифлисе на некоторое время особенного человека иметь, к чему

<sup>1</sup> დედანში ხელრთვა განაწილებულია ტექსტის აზვაცებს შორის. დედანში საბუთის მეორე ფურცლის უკანასკნელ გვერდზე მინაწერია: „Прислано в коллегию от его сиятельства канцлера от 5-го октября 1750 г.“. ამავე საქმეში ჩაკერებულ ბატარა ქაღალდზე (საქმე სულ სამი ფურცლისაგან შედგება) დაწერილია შემდეგი ტექსტი: „По резолюции 13 октября 1750. Доношение грузинца князя Отара Томанова по нескладности представлен его... (აქ სიტყვა მეღნის დასმის გამო არ ირჩევა) резолюции оставить и отдать в сохранение в надлежащем месте“.

вы сами себя и представили в том рассуждении, что вы в Грузии свой дом и деревни також и многих свойственников имеете, следовательно без всякого подозрения тамо пребывать можете. Того ради, по высочайшему ея императорского величества соизволению повелено, вас в Грузию на два года отпустить под претентом исправления домашних ваших нужд, а в самом деле поручить вам прилежное разведание о всем нижеследующем: 1. Когда присланные сюда с листом к ея императорскому величеству от грузинского царя Теймураза и от сына его царя Ираклия Афонасии митрополит Тифлисской да князь Симеон Макаев, с здешним словесным ответом и с посланными с ними к оним царям во знак высочайшей ея императорского величества к ним милости собольими парчами, а имянно каждому по одному меху соболью да по два куска парчи золотной и серебрянной також и с награждением учиненным здесь оному митрополиту и князю Макаеву с их свитою денгами, в Грузию возвратятся, то каким образом все сие от оных царей принято будет, удовольствуются ль они здешним ответом и останутся ль к здешней стороне преклонными? Или не станут ли себе помощи и протекции искать у турков? И так, точно о том проведав, при надежном случае, в коллегияю иностранных дел обстоятельно доносить. 2. Особливо же надлежит вам доставать частые и верные ведомости о персидских происхожденьях и не будут ли иногда какия движения от турков к границам или внутрь Персии в таком намерении, чтоб настоящими тамо замешательствами, когда шахом никто еще совершенно не утвердился, пользоваться и некоторыми землями завладеть. 3. Такие нужные ведомости доставая, имеете вы оные под вашим ковертом по способности чрез надежные случаи секретно в кизлярскую крепость и тамошнему коменданту, для верного их доставления сюда, пересылать, адресуя оные ваши пакеты в коллегияю иностранных дел, ибо оному коменданту велено их в Астрахань немедленно отправлять для пересылки сюда. 4. Сию записку имеете вы у себя в тайном хранении иметь, а по прибытии вашем на границу найзусть сие затвердить, а при отъезде за границу с собою ее не возя тамже на границе сжечь, дабы она по несчастию каким либо образом за границею в чужие руки не попалась. 5. А для скрытности прямого намерения сей вашей в Грузию посылки, дается вам из военной коллегии пашпорт, в такой силе, что вы по прошению вашему для исправления домашних нужд в отечество свое в Грузию отпущены на два года, по прошествии которых и в самом деле надлежит вам сюда в Россию возвратиться, а на дорожные ваши издержки выдано вам из коллегии иностранных дел денег триста рублей да сверх того на четыре ямские подводы прогонные деньги до Астрахани, а от туда посылаемым ныне свами из коллегии иностранных дел в Астраханскую губернскую канцелярию

указом, велено вас немедленно до Кизляра отправить с надлежащим о пропуске вашем за границу и о вышепомянутой пересылке ваших писем секретным наставлением Кизлярскому коменданту. В протчем вам найкрепчайше рекомендуется о сей порученной вам комиссии по присяжной должности верное и прилежное старание иметь, но об оной отнюдь никому ни малейше не открывать також и во всех ваших разведываниях и пересылке ваших писем весьма осторожно поступать, так чтоб о том ничего в тамошних странах наружу выттить немогло. 7. В вяще же вам награждение из высочайшей ея императорского величества милости повелено военной коллегии в небытность вашу здесь остающейся жене вашей с детьми во время помянутых двух годов на пропитание давать из войнскоѣ казны обыкновенное ваше жалование с рационами и порциями сколько вы по своему чину получали. ქ. ამ გვარის ისტრუქციის პირი ქართულის ლიტერით მომეცა აგრევე ამტარხნის ღუბერნატორთან უკაზი ვოენის კალეგის პაშპორტი კაპიტანს კნიაზ ოთარს თუმანოვს ხელი მომიწერია<sup>1</sup>.

ფონდი „Грузинские дела“. საქმე К—53, ფურც. 7—10.

№ 3. 1754 წ. მაისის 8. საგარეო საქმეთა სახელმწიფო კოლეგიის საიდუმლო მიწერილობის პირი სამხედრო სახელმწიფო კოლეგიისადმი, თუმანოვის ორი წლით საქართველოში მივლინების, მისი ოჯახისათვის ჯამაგირის დანიშვნის, ხოლო თვით თუმანოვის საგარეო საქმეთა კოლეგიაში გამოცხადების შესახებ.

Секретная. Из гдрственной коллегии иностранных дел в гдрственную военную коллегию промемория. По высочайшей ея императорского величества апробации, подписанной собственно ея величества рукою по докладе коллегии иностранных дел, в 21 марта сего 1754 года повелено: Грузинского гусарского полку капитана князя Отара Томанова, для поручаемого ему от той коллегии секретного разведывания и примечания, отпустить в Грузию на два года, а для скрытности сего намерения дать ему из военной коллегии паспорт в такой силе, что он по желанию своему для исправления домашних нужд в отечество его

<sup>1</sup> დედანში ამის შემდეგ მიწერილია: „У сей инструкции на грузинском языке написано тако: оную инструкцию на грузинском языке, указ к астраханскому губернатору Жилину и пашпорт данной от военной коллегии, грузинского гусарского полку капитан князь Отар Томанов принял и росписался. Переводил ассесор Давыдь Абазадзе. საბუთს თარიღი არ აქვს, მაგრამ სხვა საბუთებიდან საფიქრებელია, რომ იგი 1754 წლის აპრილზე უფრო გვიან შედგენილი არ უნდა იყოს.“

отпущен. А в небытность его, остающейся здесь в России жене его с детьми на пропитание давать из войсковой казны обыкновенное жалование с рационами и порциями, сколько он по своему чину получает. И поэтому ея императорского величества высочайшему повелению военной коллегии чрез сие объявляется для исполнения. И требуется: да благоволит она военная коллегия, дав оному капитану князю Томанову такой паспорт и учинить надлежащее определение о произведении жене его с детьми жалованья здесь в Москве и в Санкт Петербурге, где они жить будут. Прислать его, князя Томанова в коллегия иностранных дел для отправления. Подписана по сему граф Алексей Бестужев Рюмин. Граф Михаила Воронцов. Мая 8 дня 1754 г.<sup>1</sup>

ფონდი „Грузинские дела“. საქმე K—53, ფურც. 3.

№ 4. 1754 წ. ივლისის 17. კაპიტან ოთარ თუმანოვის მოხსენებითი ბარათი საგარეო სმქმეთა სახელმწიფო კოლეგიისადმი, მისი ყაბარდოში მისვლის, ქართლ-კახეთის მეფეების მიერ ჩერქეზეთში ჯარის დაქირავების ცდის და ქართლ-კახეთის ირანის მფლობელთან ურთიერთობის შესახებ.

ქ. სახელმწიფოს კოლეგია უცხო საქმისასა. კაპიტან კნიაზ ოთარ თუმანოვისაგან მდებლად მოხსენება. რომელი მოველ ივლისის თოთხმეტს პატარა ყაბარდოში ოსეთის კამისის არქიმანდრიტის პახუმის სახლში, რომელიც იმყოფებოდა ყაზის ახლოვის შვილის სახლში. ჩერქეზში ქართველ მეფის და კახეთის ბატონის გამოგზავნილი კაცი ციციშვილი გვი, ერთი კაცი ახლავს, ყელთან არის გამოგზავნილი აგრევე სხვას ჩერქეზებთან. თხუტმეტს იენის დაპატიჯე<sup>2</sup>, აგრევე თექესმეტს ჩემთან იყო. რომელიც იმისგან ითქვა, რომ დაბარებული ქონია ვიც<sup>3</sup> ჩერქეზნი წამოვიდესო მეც ვაჩუქებ და სხვაგანაც ვაშოვნინებო. სამოცი კაცი ნაშოვნიც ყავს, სხვათ უთქომთ ჩერქეზებს, თუ კაცის თავს სამ-სამს თუმანს მომცემენ წავალთო, რასაც ვიშოვნით იმას გარდაო. ამ გივს კაცი გაუგზავნია ქართლში, მოელის იქილამ ამბავს — იმ სამს თუმანს მიცემენ კაცის თავს თუ არა. რომელიც სამოცამდინ კაცი ყავს ახოტნიკი ჩერქეზნი ნაშოვნი, ის სამოცი კაცისა ასრე თქო გვიმან, რომელიც ოსნი არს გზახედ მსახლობელი გვარად თავაურნი, ისინი გზას არ გვაძლევენო, არც ხილია ვაკეთებულო. ამიტომ გზას არ გვაძლევენო, რაც უწინ ჩვენ ნათესავს ქართველ მეფისაგან ჯამაგირი გვქონდაო ის გავვიჩინოსო. ამის ამბავსაც ელის. გამოვკითხე — აქედამე ჯარის მისვლა რათ ეჭირება მეთქი, ასრე თქო — ყოველ-

<sup>1</sup> ბოლოს დედანში მინაწერი: „Оригинальную взяла, для подания господина, ассесор Абазде того же числа“.

<sup>2</sup> დედანში ასეა.

<sup>3</sup> დედანში ასეა.

თვის ეჭირებაო, ნამეტნავად ამიტომ გვინდაო რომე აჯი ჩალაბი და ყუბანან შერიგდენო, თუ ისინი მართალის პირობით შერიგებულანო, ასრე თქო სწავროთველოს დიდი ფიქრი გვაქესო. კიდევ რომელიც გივისაგან ითქო: ამას წინათ ქართველ მეფეს კახბატონს აღვანს აზათხანთან კაცნი გაუგზავნიათ ისპანს ყაფლანის შვილი კნიაზ იოვანე მდივანბეგი, კიდევ ყაფლანის შვილი ზალ, იმისთვიზ გეტანებინათ აბდულას ქალი. ის ქალი არს მეფე ვახტანგის ძმის იასეს ბუშის ქალია. ამ ქალს ყავს ორნი ძმანი, რომელიც იმყოფებიან აზათ ხანთან პატივით. ამ ქალის ძმებისა ფიქრი აქთ, სადმე ქართლი იმას არ მისცესო აზათ ხანმანო<sup>1</sup>. ეს ყაფლანის შვილები იოვანე და ზალ გამოუგზავნია აზათხანს. ერევანს მოსულან, იქილამე ერთი თარაქამა გამოუგზავნია, ქართლში მოსულა იმას უთქომს: ქართლის მეფისათვის, კახბატონისათვის ხალათები მოაქვსო, აგრევე თავადებისათვინო. აზათხანს რომე ისპანი აულია თხუთმეტი ათასი კაცი ყოლია, ახლა ოცდაათი ათასამდინ ჯარი ყავსო<sup>2</sup>. ათას შვიდას ორმოცდათოთხმეტს ივლისის ჩვიდმეტს. კაპითანი ოთარ თუმანოვი.

ფონდი „Грузинские дела“. К—53. ფურც. 21—22.

№ 5. 1754 წ. ივლისის 24. კაპიტან ოთარ თუმანოვის მოხსენებითი ბარათი, მისი სტეფანწმინდას მისვლის და აღმოსავლეთ საქართველოში ლეკების სათარეშო რაზმების გადმოსვლის შესახებ.

სახელმწიფოს კალელია უცხოს საქმისასა. კაპიტანის კნიაზ ოთარ თუმანოვისაგან მდაბლად მოხსენება. ათას შვიდას ორმოცდათოთხმეტს ივლისის ოცდასამს ქართლის მამულში მოველ — სტეფანწმინდას. ამ დღეს ამათგან გავიგონე რომე, მართალიც არის ივლისში ლეკი გამოსულა. ორს ალავს ადგიანო, ერთი ზემო ქართლში რუის, მეორე სახელი ვერ შევიტყე. საქართველოს მეფე თეიმურაზ თავის შვილით იმათხედ მისულან. ჯერ სხვა ამბავი ამას გარეთ არა უთქომთ რა. ამას დონეშენიას უწინ ყიზლარელის აზნაურიშვილის ხელით, რომელიც ჩერქეზია მონათლული იმას ჩერქეზულად ადილგერა ქვიან, იმას გამოვატანე ყიზლარის კამედანტთან. ეს მეორეც ჩილდ ივლისის კდ დაიწერა. ამ დანაშენიაში კაპიტან ოთარ თუმანოვს ხელი მომიწერია.

ფონდი „Грузинские дела“. საქმე К—53, ფურც. 23.

<sup>1</sup> დედანში: „აზათხანმანანო“.

<sup>2</sup> დედანში მოხსენების დასასრულს აშიაზე მიწერილია: „აზათხან მულამს მოვა სადმე ჯარით, იქ დაიბარებსო თავის კაცებსაო, იმ თარაქამას უთქომს“.

№ 6. 1754 წ. სექტემბრის 4. ასტრახანის გუბერნატორის გენ. მაიორს შილინის მოხსენება საგარეო საქმეთა სახელმწიფო კოლეგიისადმი, საქართველოში გამგზავრებულ თუმანოვისაგან მიღებულ ორი მოხსენებითი ბარათის კოლეგიაში ვადაგზავნის შესახებ.

О секретном деле. гдрственной коллегии иностранных дел, от генерала маиора астраханской губернии губернатора Жилина доношение. Минувшего июля 15 числа сего года, гдрственной коллегии иностранных дел от меня донесено, что по указу ея императорского величества из гдрственной коллегии иностранных дел от 27 числа мая сегож года грузинского гусарского полку капитан князь Отар Туманов, под видом отправления домашних своих нужд а в самом деле для разведания о заграничных известиях, из Астрахани чрез Кизляр в Грузию отправлен, и посланным в Кизляр к брегадиру и коменданту Фрауендорфу ордером велено, получаемые от него капитана из Грузии пакеты для отправления в гдрственную коллегию иностранных дел присылать ко мне безукоснения с нарочными. А сего сентября 3 дня получил я ис Кизляра, при репорте от оногo брегадира Фрауендорфа полученные им от него капитана Туманова два пакета подписанные грузинским писмом на имя гдрственной коллегии иностранных дел, которые при сем в гдрственную коллегию иностранных дел и отправлены. Алексей Жилин, Сентября 4 дня. № 62, 1754 года. Секретарь...<sup>1</sup>

ფონდი „Грузинские дела“. საქმე K—53, ფურც. 17.

№ 7. 1754 წ. დეკემბრის 1. კაპიტან ოთარ თუმანოვის მოხსენებითი ბარათი საგარეო საქმეთა სახელმწიფო კოლეგიისადმი, აღმოსავლეთ საქართველოში ლეკთა თარეშით გამოწვეული ზარალის, ქართველი ელჩების რუსეთიდან დაბრუნების და ირან-თურქეთში მომხდარ ამბების შესახებ.

სახელმწიფოს კალელია უცხოს საქმისასა. კაპიტან კნიაზ ოთარ თუმანოვისაგან მდებლად მოხსენება. ჩინდ მკათათვის ოცდაათს ქართლში მეფებთან მოველ, ხელთუბანს ბძანდებოდნენ. მეორეს დღეს ვიახელ. რომელიც ქართველთაგან ვავიგონე: ლეკის ჯარნი წამოსულიყვნენ. ეს ჯარი გაყოფილიყო, ზოგნი ფერსიანში წასულიყვნენ ზოგი ქართლში დაფატულიყვნენ. ამ ჯარისაგან ათასი ლეკნი მკათათვის ცამეტს ხიდისთავს სოფელში შემოსდგომოდათ, ათი კაცი ცეცხლში დაეწოთ, იქიდან დირბს სიმეგრეში შემოსდგომოდათ. მკათათვის თვრამეტს მეფეები მიხდომოდნენ, შებმულიყვნენ მოეკლათ ლეკი ასორმოცამდინ,

<sup>1</sup> ხელრთვა არ ირჩევა.

სხვანი ღამით გაპარულიყვნენ. ქართველი დაჭრილიყო კნიაზი ორი, ჯარის კაცი მოკლეს თუ დასჭრეს ორმოცამდის. აგვისტოს ორს მეფე ემპერატორს დანდა კახეთს, სხვა ლეკნი კიდევ გამოსულიყვნენ კახეთში, ხუძუხის ბატონი სამიათასამდინ ლეკნი ყვანდა. მეფე ერეკლე რომ კახეთს წაბძანდა ის ხუძუხელნი ლეკნი ქართლში მოვიდნენ, აგვისტოს თორმეტს დღეშეთს და ბაზალეთის მოუხდენ ცოტა რამ ტყვე იშოვნეს, პირუტყვი სულ წაიყვანეს. მოვიდნენ მუხრანს, მჭადის ჯვარის ციხეს შემოადგნენ. აგვისტოს თექვსმეტს მეფე ერეკლე მობძანდა, ორი ათასამდინ კაცი ახლდა, მეფე თეიმურაზ და მეფე ერეკლე ერთათ შეიყარნენ. აგვისტოს ცხრამეტს მეფეები შებნენ ხუძუხელებს, მოკლეს ლეკი ოთხას სამოცამდის. რომელიც დაფატულის ლეკებისაგან ქურდულად წახდა: აგვისტოს ერთს, სოფელი მწყნეთი — მოკლეს თუ დატყვევეს სული ორმოცი, პირუტყვი სულ წაიყვანეს; აგვისტოს ათს რუისიდან, სურამიდან ტყვე შვიდი რამთონიმე პირუტყვი; აგვისტოს თოთხმეტს, ბეყამიდან ტყვე ოცამდინ; აგვისტოს ოცდაერთს, წავკისიდან ტყვე ხუთი, მოკლეს ხუთი; აგვისტოს ოცდასამს ვერეს მოუხდენ, მეფე ერეკლე გაბძანდა ლეკები გაიქცენ; აგვისტოს ოცდაათს სხალტბას სოფელს მოუხდენ, მოკლეს თუ წაიყვანეს ტყვე თოთხმეტი; სეკდებრის სამს ტაბახმელადამ წაიყვანეს ტყვე ორი, მოკლეს ოთხი, ამავე დღეს ოთხი ტივი წახდინეს ფქვილით და ქერით სავსე; სეკდებრის ექვს კიდევ მწყნეთიდან ტყვე სამი; სეკდებრის თორმეტს დიღმიდან ტყვე ერთი, ვერედამ ტყვე ორი, ამავე დღეს ხოფლედამ წაიყვანათ ტყვე, თუ მოეკლათ თოთხმეტი; სეკდებრის თექვსმეტს წავკისიდან ტყვე ერთი, მოხისიდან ტყვე ორი, გუთნეული შებმული ორი; სეკდებრის ოცს სავალისშვილოში მოეკლათ ლეკი ხუთი, ქართველი დაჭრილიყო სამი; სეკდებრის ოცდა ხუთს ხაშმზედ ქარაენი წაეხდინათ, ამავე დღეს ყოჩაქლისიას მოუხდენ, წაიყვანეს ტყვე ხუთი, მოკლეს ლეკი ერთი; სეკდებრის ოცდაექვს მცხეთას და ავკალას მიუხდნენ, ცოტა რამ პირუტყვი წაიყვანათ; სეკდებრის ოცდაშვიდს ბოლნის მოეკლათ ლეკი ერთი. ოკდობრის ერთს საბაშიოს ნუნიდან წაიყვანათ ტყვე ოცამდინ, კიდევ საბაშვილოდამ ამ წელს წაიყვანათ ტყვე ორმოცამდის, ამავე დღეს წაიყვანათ სოღალუხიდან ტყვე შვიდი, მოეკლათ ორი, ჯორი წაიყვანათ ოცამდის, თელათ გორის ნახირი წაეღოთ; ოკდობრის სამს ბოლნისის გზაზედ შებმული ურემი ორი, ტყვე ორი; ოკდობრის ხუთს გორიდან წაიყვანათ შებმული გუთნეული ერთი, ცხენი ოცამდის, ტყვე ერთი, ოკდობრის შვიდს კლოუბნიდან<sup>1</sup> მონასტრიდან მოეკლათ კაცი ხუთი, ტყვე წაიყვანათ სამი; ოკდობრის ათს წისქვილებიდან წაიყვანათ ტყვე ოთხი, მოეკლათ ლეკი ერთი, ამავე დღეს საფალავანდისშვილოდამ წაიყვანათ ტყვე ოცამდის; ოკდობრის ათს კახეთის სავარეჯოს სოფლიდან ციხეში გარდაპაროდნენ, დაეტყვევებინათ სული სამოცამდის, მოეკლათ კაცი ორი, ეს ტყვეები მარტყოფელებს დაეყრევიებინათ, მოეკლათ ლეკი ერთი, მანავის ბოლოს მოეკლათ ლეკი ხუთი; ქისიყიდან წაეღოთ გუთნეული ექვსი, ტყვე ორი, მოეკლათ კაცი ორი; შილდიდან მოეკლათ კაცი სამი, დაეტყვევებინათ ოთხი; ქისტაურიდან წაიყვანათ ნაცვალი ერთი, კახეთს რასაც ლეკნი ჭარე-

<sup>1</sup> დედანში „ლოუბნიდამ“.

ლები ქურდობენ და ახდენენ, კახელებიც პასუხს უშვებენ, ქურდობით და ცხადად დაკლებას ცდილობენ; ოკდობრის ცამეტს კუმისიღამ ხუთი წამის ცხვარი წაიყვანეს, დატყვევეს სული ოთხი, მოეკლათ ლეკი ერთი, ოკდობრის თხუთმეტს კიდევ კუმისიღამ ჩომა დაეტაცათ მოეკლათ თუ დაეტყვებინათ კაცი თუ ქალი ცხრა; ოკდობერს თექვსმეტს ქერეს მიხდომოდენ, მოეკლათ ლეკი სამი; ოკდობერს ოცს მწყნეთს კიდევ მოეკლათ თუ დაეტყვებინათ კაცი ოთხი; ოკდობერს ოცდახუთს ავჭალის ბოლოდამ წაეყვანათ ურმები შებმული, ტყვე სამი, კიდევ კოდინამ ურმები შებმული, ტყვე ორი; ოკდობერს ოცდარვას ქალაქს შეშის მომტანი წაეყვანათ კაცი სამი; ოკდობერს ოცდაათს ქალაქს მიმავალს კაცებს დახდომოდენ დაეტყვებინათ კაცი ოთხი; ოკდობერს ოცდათერთმეტს შეშახედ ყოფილიყვნენ დაეტყვებინათ კაცი ხუთი, დაბალი ჯორი ორმოცამდინ; ნოემბრის ერთს ბოლნის მოეკლათ კაცი ორი, წაეყვანათ ხარი ორმოცამდის; ნოემბრის ხუთს ქალაქის პირის სოფლებში შეშახედ ყოფილიყვნენ, წაეყვანათ კაცი ცხრა, ამავე დღესვე არაგვის პირიღამ მოეკლათ თუ დაეტყვებინათ სული თერთმეტნი. ჩინდ ნოემბრის ცხრას კნიახ სვიმონ მაყას-შვილი არქიერეს ათანასეს კრებულში მოვიდნენ აქ თბილისის ქალაქში. რაც ყოვლად მოწყალის ხელმწიფის წყალობა მოუვიდათ დიდად მადლობით მიიღეს, ვგონებ რომ რითაც შემძლებელი იყვნენ ქრისტიანობის მორჩილი იყვნენ. თუმცა მეფეს შეძლება ქონდეს, რომ სამი ათასამდინ ნოქარი თეთრით დაიჭირონ, ყოველთვის ტოლნუხს ჯამაგირს მისცემდენ. ამ ქვეყანას გზა მიეცემა, რომ როცა დიდი ჯარი მოუხდეს, ჯამაგირით დაჭერილი ნოქრის ჯარი და საქვეყნო ჯარიც დაგროვდეს პასუხის მიცემა შეძლებათ. ამ ქვეყანას ქრისტიანი ნოქარი კიდევ ამდონი იშობება ამ თარიღში, რომ ცოტას კაცს ქურდულად მოსულს პასუხი მისცეს. მაგრამ ამათ თეთრი არა აქვთ, ამ საქმით ამ ქვეყანას უჭირს მტერი გაძლიანებული ყავს, გლეხის კაცის მუშაობის დროს ყოველთვის მაშინ აუტყდებიან. ამათი ტყვე და საქონელი მიუდის დაღესტანისაკენ, იქიღამ ტყვე ისყიდება ყირიმში. ამ ხანათ ვადიდებული ყიზილბაში არავინ სჩანს რომ იმათკენ იყვნენ. ფარსიანში აზათხან არის ავღანი რომ იმას უჭირავს ერევიღამ დაჭერილი თავრეზი და ისპანი. ამ წასულს ზაფხულში შირაზიც დაუჭერია. აზათხანს ამ მეფების მოყრობაც მოუწოდომებია წასულს წელიწადებში. ამათაც მათლაბი ქონიათ, ამისთვის რომ უწინ წასულს წლებში მეფე ერეკლე ერევანს ბძანებულა, ის ავღანი აზათხან მოხდომია მეფეს ერეკლეს დიდად გამარჯვებია აზათხანზედ დიად მცირეს ჯარით, რადგან ფერსიანები თათარნი სულ ამაზედ გულ ნაკლულად არიან, ამიტომ უფრო რომ ესენი ქრისტიანათ არიან, იმ მტრობის მორიდებით იმათ გაუერთებლობისათვის ერთი არ შექნილიყვნენ რომ საქართველოს უფრო ძალი არ დაემართოს, იმიტომ აზათხანს რომ უთხოვნია ერთი თავის მოყვრის ქალი მიუციათ რომ დედმამა თათრად ყოლია, თვითან ქალიც თათრად ყოფილა. ამ ქალის ძმები ორი აზათხანთან არიან თათრად, იმათვე უთქვამთ ჩემი და ჩამოაყვანი-ნეო, რადგან იმათ უთქვამთ და თათრადაც ყოფილა ამათაც მიუციათ. ერთი ბიძა და ერთი ძმა იქ თათრად არიან, ერთი ბიძა თავის შვილებით და ერთი ძმა აქ მეფებს მოუქრისტიანებიათ. ეს ქალი რომ გაეგზავნათ ისპანს, ამ ქალი-



სათვის გაეტანებინათ კნიაზ იოვანე მდივანბეგი და ზალ ყაფლანის შვილი აზათხანს დაებრუნებინა ქართლში გამოეგზავნა, თავისი კაცი მამადბეგთან გამოეტანებინა, ქალის მადლობა შემოეთვალა აზათხანს, ფეშქაშები გამოეგზავნა მეფეებისათვის დედოფლებისათვის თავადებისათვის. ეს მამადბეგ გორს მოსულიყო ჩლნდ მკათათვის ოთხს. ამა მეფებმან გაისტუმრეს მამადბეგ, თავისი კაციც ბარათასშვილი თან გატანეს, ესენი წავიდნენ ჩლნდ ოკდობრის ერთს. ეს აზათხან ამათი კაის მდომეც რომ იყოს, ამ ხანათ იმისგან მოშველებაც არ იქნება, არც ერთმანეთს ენდობიან ასრე მგონია. ჩლნდ ოკდობრის თერთმეტს თავრეზილამ შათირი მოვიდა აქ ქალაქს. მართლაც არის აზათხან გასწყრომიან მერაბხანს და მერაბხან მოუკლავს. აზათხან შირაზილამ ლარს წასულა. ოკდობრის თერთმეტს აქეთ აზათხანის ამბავი აღარა მოსულა ფარსეთილამ. ამას წინათ წასულს წლებში ჩალაბის შვილი მოსულიყო ქართლის დასარბევად. მაშინ მეფეს ერეკლეს ჩერქეზნი გარდმოეყვანა თვითონაც ჯარი შეყარა, მიხლომოდა აჯი ჩალაბის შვილს, მეფეს ერეკლეს დიად გამარჯვებოდა, ჩერქეზნიც დიად კარგათ ყოფილიყვენ დიდად გამარჯვებოდათ. კარგად გარჯილიყვენ ჩერქეზის ჯარი, მაგრამ ბევრი გამოერთმევინათ, ამათ იმდონი შეძლება აღარ აქეთ რომ იმათ დაბატოჯონ ან თეთრის მიცემა შეძლებოდეთ, მე ასე ვგონებ აგრევე გაჯას შავერდი ხან ზის ექვსას-შვიდასი კაცი ეყოლება. სოფლები სულ აოხრებით აქეს, მაგრამ ქრისტიანის კაცების ჩაგვრას და მტრობას დიად ჩემობს. სომხები იმყოფებიან სილნალად კულისტიანის ციხეში. თავი კაცი მელიქი უსუფ და მელიქ ათამ ქვიან, ამათ ათას ხუთასამდინ კაცი ეყოლება. ამ სომხებს მიხლომიან ფანახან, სომხებს გამარჯვებია. მოუკლავთ ფანახანის კაცნი სამასამდინ, ეს ომი ყოფილა ჩლნდ აგვისტოს ოცდაექვს. ჩლნდ მკათათვის ოცდაშვიდს თურქის მამულში ლეკნი მიხლომოდნენ, კოკია ქვიან ახალციხის ფაშის არის, სიმაგრეში გარდაპაროდნენ შვიდასამდის კაცი თუ ქალი დაეტყვებინათ, ქრისტიანებიც წაეყვანათ, ვერც ახალციხილამ ფაშა, ვერც ყარსილამ ვერა უშველეს რა. ამ ზამთრობით თურქის მამულში აქეთ მხრის ნაპირისაკენ მეციხოვნეს გარდა მომატებულის ჯარის ამბავი არა ჩანს რა თურქის მამულში. ჩლნდ დეკემბრის ა<sup>1</sup>.

ფონდი „Грузинские дела“. საქმე К—53, ფურც. 29—35.

<sup>1</sup> თუმანოვის ხელრთვა „კაპიტან კნიაზ ოთარ თუმანოვი ხელი მომიწერია“ თვით ტექსტში არის ჩართული აბზაცების დასასრულებზე განაწილებული.

№ 8. 1755 წ. თებერვლის 7. კაპიტან ოთარ თუმანოვის მოხსენებითი ბარათი საგარეო საქმეთა სახელმწიფო კოლეგიისადმი, ქართლში ლეკეთა თარეშის და თურქეთ-ირანში მომხდარი ამბების შესახებ.

სახელმწიფოს კალედიას უცხოს საქმისასა. კაპიტან კნიაზ ოთარ თუმანოვისაგან მდებლად მოხსენება. ჩნდ დეკემბრის ერთის დაწერილი წიგნი გამოგზავნეთ, ყიზლარის კამედათს მიერთმევოდა. რაც ამბავი იყო იმ წიგნით მოგხსენდებათ. იმ წიგნს აქეთ, ქართლიდამ წაიყვანეს ქურდულად ლეკებმან დეკემბრის ჩვიდმეტს მარნეულას გზიდამ ტყვე ოთხი. დეკემბრის ოცდაექვს დატყვევეს თხილოვნის გზიდამ ტყვე სამი; დეკემბრის ოცდაცხრას დატყვევეს ლეკებმან ვაყიდამ ტყვე თერთმეტი. ჩნე იანვარში ამბავი მოვიდა, რომ აზათხანი<sup>1</sup> შირაზს იქით ერთ სიმაგრეში მიხდომია სეფიხანს, აზათხანს დამარცხებია, თოფხანა იქ დარჩომია, თვითან ისპანს მისულა. იმ სეფიხანს ამდონი ძალა არ ქონია რომ თან მოყოლოდა. ეს აზათხან ისპანს ჯარს იგროებს, ასრე ამბობს, სამე ტახტი მე მიჭირავსო ვაყენებას აპირობსო, მას უკან ვინც არ მამივა თაბას უზამო. ამ დამარცხებას მითამ არად ივდებს, თავრებს და ერეგანს კაცნი გამოუგზავნია, ჯარს იყრის აზათხან. ფერსიანში დიად არეულობა არის. ზოგიერთი ელი ქართლიდამ წასული ბორჩალუ ერეგნიდამ ისევ მოსვლას აპირებენ ქართლში. ამიტომ ფერსიანში არეულობა არის. ჩნე იანვარში ახალციხიდან ამბავი მოვიდა ხოთქარი მომკვდარა სხვა დაუსვამთ. ახალციხის ფაშა ძველს ხოთქარს გამოეცვალა, იმისივე ძმისთვის მიეცა ახალციხის ფაშობა, აფუზ მამბლ ფაშა ქვიან. იმ ძველის ფაშისთვის ვანის ფაშობა მიეცა. ყარსიდამე ამბავი მოვიდა ჭორად, რომე ორი ფარმანი მოვიდაო ახალის ხოთქარისაგანო, ერთი თავისის გახოთქრებისა, მეორე ეგიჩრის ულუფისაო, ეგიჩარს აძლევსო პატივისაო. კიდევ ჭორად ვაევიგონეთ, ამ შემოდგომაზედ აზრუმს ჟამი იყოო, ახლა ზამთარში გარდავარდაო. ყარს, ახალციხეს, ფერსიანში, ქართლში სიმთელე არის. დიწერა ეს წიგნი ჩნე თებერვლის შვიდს. კაპიტან კნიაზ ოთარ თუმანოვს ხელი მომიწერია<sup>2</sup>.

ფონდი „Грузинские дела“. საქმე К—53, ფურც. 46—47.

<sup>1</sup> დედანში „აზათხანს“.

<sup>2</sup> თუმანოვის ხელრთვა „კაპიტან კნიაზ ოთარ თუმანოვს ხელი მომიწერია“ თვით ტექსტში არის ჩართული აზნაცების დასასრულებზე განაწილებული.

№ 9. 1755 წ. მარტის 21. კაპიტან ოთარ თუმანოვის მოხსენებითი ბარათი საგარეო საქმეთა სახელმწიფო კოლეგიისადმი, თურქეთსა და ორბანში მომხდარ ამბების შესახებ.

სახელმწიფოს კალედია უცხო საქმისასა. კაპიტან კნიაზ ოთარ თუმანოვისაგან ძღაბლად მოხსენება. ჩნენ თებერვლის თვრამეტს ერევნიდამ ამბავი მოვიდა, თურქნი ლაშქრობას აპირობენო, ხოთქარს ლაშქრობა უბძანებია, კიდეც შიშობენ სადმე აქეთ არ ილაშქრონო. კიდეც მარტის შვიდს თბილისის ქალაქს თახათიდამ სომეხი მოვიდა არუთინა გასპარაშვილი. თახათიდამ წამოსულიყო დეკდებრის ოცდაშვიდს, ამან თქვა თახათს ამბავი მოვიდაო კოსტადილოლიდამაო რუსეთის ელჩი და ფრანგის ელჩი დაითხოვესო. ქორად გავიგონე რუსეთზედ და ფრანგზედ ლაშქრობა აქეს ხოთქარსაო, ზოგიერთი ადგილის ფაშები დაუბარებია. ამ თარიღში ამგვარი ამბები მოვიდა, ვცდილობ მართალი შევიტყო და მოვასხენო. ფერსიაში ამ თარიღში აზათხან ზის ისპანს, დიად არეულობა არის ფერსიაში, გვიან გვიან მოდის ამბავი გზის არეულობისაგან. საქართველოში ქურდნი ლეკნი არიან, მეფემ ერეკლემ კახეთის ჯარი მოაყვანინა, რაც მოხდება მოვასხენებთ. ქურდი ლეკნი ძალას შერებთან იტაცებენ, სოფლებს აოხრებენ. სიღნაღის სომეხები უკუდგომილსავით არიან თავის ადგილში, ფანას ხანს და თათრებს არავის ემსახურებიან ამ ხანათ. ვგონებ მეფე ქართლის და მეფე კახეთის, რაც ამ მეფებს შეძლება ქონდეს, ქრისტიანობის სამსახურის მოწადენი იყვნენ. კიდეც ეს ამბავი ითქო, აქიმ ოლლი ალი ფაშა არის რომ სულთან მამულის დროს ორჯერ ვეზირ აზამობა მიუცემია. ბათუს ვეზირი იყო, ის დაუბარებიათ რომ ვეზირ აზამათ დასვან. ის ალი ფაშა აქით ფესიცკის ქვეყნის ბელადი არის, მაშინ ფესიცკის ქვეყანა რომ ხოთქარს ეჭირა ის ალი ფაშა სალაშქროდ ყოფილა ადერბეჯანის ქვეყანაში. კაპიტან კნიაზ ოთარ თუმანოვს ხელი მომიწერია<sup>1</sup>. დაიწერა ესე მოხსენება ჩნენ მარტის კა.

ფონდი „Грузинские дела“. საქმე K—53, ფურც. 51<sup>ა</sup>—52.

№ 10. 1755 წ. ნოემბრის 20. კაპიტან ოთარ თუმანოვის მოხსენებითი ბარათი ყიზლარის კომენდ. ფონ-ფრაუნდლორფისადმი, ლეკების და სხვა მთიულ მაჰმადიანების კახეთზე თავდასხმის, ირან-თურქეთში მომხდარ ამბების და საქართველოდან თუმანოვის გამოსამგზავრებლად მზადების შესახებ.

ქ. კეთილშობილს და მაღლად პატივცემულს ჩემს მოწყალეს უფალს ბრადიდრს, ყიზლარის კამედატს ივან ლიოვიჩს ფოფროვიდოვს<sup>2</sup>, მრავალს მოკითხვას და სამსახურის ნატრას მოვასხენებთ. აქ ამბავი მოვიდა თურქების მამულში ბაიაზეთში და ყარსში ჭირებება-ჟამი გაჩენილა. ახალციხესაც ქორად

<sup>1</sup> თუმანოვის ხელრთვა თვით ტექსტში არის ჩართული აბზაცების დასასრულებზე განაწილებული.

<sup>2</sup> დამანინჯებულია, უნდა „ფონფრაუნდლორფს“.

ამბობენ ლეკები მოდიან თურქის მამულსაც არბევენ, კოკია და ბარალოტიც დაურბევიან. ქრისტიანს არბევენ და ატყვევებენ, აგრევე ყარსს ყაზახობენ. სადმე მანდით ლეკის მხარეს გაუფრთხილდი ჭირვებას და ჟამს. მართალია ბაიაზეთში და ყარს ჭირვება და ჟამი გაჩენილა, ქართლში სიმთელეც არის, არც ჭირი და არც სხვა სნეულობა არა არის რა. ჯერ თურცკისას ჭორად ამბობენ გაზაფხულზედ ლაშქრობას აპირობენო, ეს არა ჩანს საით აპირობენ, არც ამ ამბავს ეტყობა სიმართლე ისრე ჭორად ამბობენ. ქართლში ხუძუხის ბატონი მოუხდა, კახეთს ყორელში ციხეს შემოადგა. აჯი ჩალაბის შვილი ხუძუხის ბატონის შვილთან იყო, აგრევე კაკის სულთანს, ჭარელებიც და განჯის ჯარიც იყო. იქნებოდენ თვრამეტ ათასამდინ კაცი. ყვარლის ციხეს შემოადგენ აგვისტოს ოცდაათს. სეკდებრის ოცდაშვიდს, ქართლისა და კახეთის მეფებმან ყორელის ციხეში ჯარი შეგზავნეს, ციხეზედ რომ სიბა მიეტანათ ის დაუწვეს. სეკდებრის ოცდარვას გაეცალენ. ამ დროებში მეფე ერეკლე ჯარით მიუხდა ჭარის ნაპირებში, ზოგიერთი სოფლები დაურბია. ეს რომ შეიტყვეს ჭარელები, კაკის სულთანის, გაჯის ჯარი, აჯიჩალაბის შვილი ხუძუხის ბატონს მეცალენ, თავთავის ადგილს წავიდნენ. ხუძუხის ბატონი ორის სამის ათასის კაცით აქ ქართლში დიდროვანს ტყეებსა და სიმაგრეში დადგა, ყაზახობდა და ქურდობდა, სოფლის სოფლამდინ გზებზედ დიად ძალას შერებოდა. საქართველოს ჯარი და კახეთის აქ მეფებს ახლდენ, მაგრამ მიდვრად ვერ დახელეს შესაბმელად. ხან ერთ სიმაგრეში დგებოდა, ხან მეორეში. ახლა განჯის გზისაკენ წავიდა თავის ქვეყნისაკენო. ფერსიანში დიად არეულობა არის. სეკდებრის ექვს ჩაფარი მოვიდა, ამბობენ აზათხან ყენათ დაჯდომას აპირებსო, ახლა ისბანს არის. თეთრის სიქა თავის სახელით მოუჭრევენებია, და ჯერ ჯილა არ დაურჭვია. სიღნაღის სომხის მელიქი უსუფ აქ მეფებთან მოვიდა თავის ცოლ-შვილით, სამოცამდინ კაცი ყავდა, სიღნაღი დაუცლია, პურისა დიად ძვირობა ყოფილა. უაზულობას ძალა უქნია, გლეხი რაიათი ფანას დარჩენია. მელიქს ათამს ცოლ-შვილი გაჯას გაუგზავნია, თვითონ ისევე ჯერ თავის ციხეში არის, მაგრამ ამ ხანათ მშველელი არავინ უჩანთ. უწინაც მინდოდა მეფებს დავთ-ხოვნოლი წამოვსულიყავ, მეფები აქ არ იყვნენ კახეთს ბძანდებოდენ, ამ ზაფ-ხულს ლეკის შიში იყო. ოკდებრის ხუთს მეფები აქ მოვიდნენ მე დავეთხოვე. ამ ხანებში ისევე კახეთში წაბძანდა. მობძანდება მეც დავეთხოვები და წამოვალ. მოველი თქვენგან ჩერქეზის ბატონს ბათიყოს წივნი მოსწეროთ, რომ მაგ მთაზედ არა დამიშავდეს რა. ეს ჩემი მოწერილი მანდ გადაწერიანე სახელმწიფოს ინასტრანის კალეგიაში გაგზავნე. დაიწერა ნოემბრის კ<sup>1</sup>. თქვენის სამა-ხურის მონატრე კაპიტანი კნიაზ ოთარ თუმანოვი.

ფონდი „Грузинские дела“, საქმე, К—53, ფურც. 57—58.

<sup>1</sup> საბუთში წელი მოხსენებული არ არის. თარიღდება საქართველოს ისტორიაში კარგად ცნობილ და აქ აღწერილ ფაქტების მიხედვით.

**№ 11. 1756 წ. მარტის 23. კაპიტან ოთარ თუმანოვის მოხსენებითი ბარათი საგარეო საქმეთა სახელმწიფო კოლეგიისადმი, ანტონ I კათალიკოსის გაკათოლიკების, თურქეთის ამბების, ქართლში ლეკთა თარეშის და და პაატა ბატონიშვილის განჯელ შავერდი ხანთან ყოფნის შესახებ.**

სახელმწიფოს კალელიას უცხოს საქმისას. კაპიტან კნიაზ ოთარ თუმანოვისაგან მდებლად მოხსენება. ქალაქსა თბილისისასა იმყოფებოდნენ პატრები, რვა ქონდათ საყდარი, ერთი თბილისს, ერთი გორს, ამით გარდაეცვალათ ზოგიერთი სომეხთა და მცირე რამე ქართველთაცა. ერის გული ქართლის კათალიკოზი ანტონი, რომელი იყო მეფის თეიმურაზის დისწული, ეს კათალიკოსი ანტონი პატრებს აძალიანებდა. საქართველოს ხალხი ამბობდნენ კათალიკოზი რომის სარწმუნოებაზედ მიქცაო და გამართლდა. შეიტყვეს ანტონის კათალიკოზის გარდაქცევა, ათას შვიდას ორმოცდათხუთმეტს დეკემბრის თექვსმეტს მეფე ერეკლე კახეთიდან მობძანდა, მასვე ღამესა შეკრიბნეს ეფისკოპოზნი არქიმანდრიტნი, სამღვდლონი აგრევე თავადნი. მასვე ჟამსა ორნი არქიმანდრიტნი ზინონ და სვიმონ მოციქულად მიუგზავნეს კათალიკოზს ანტონის, კეშმარტი სარწმუნოება კითხეს, მან აღიარა ბერძნის სარწმუნოებიდან გასვლა და რომის სარწმუნოებაზედ მისვლა. და მასვე ჟამს წამოაყენეს კათალიკოზის მახლობელნი ხუთნი სამღვდლონი, ერთი სომხის ტერტერა, ამით უფრო აღიარეს რომის სარწმუნოებაზედ მისვლა. ეს ანტონი მასვე ჟამსა კათალიკოზობიდან გადაყენეს და წირვისაგან გაკვეთეს, ხუთნი სამღვდლონი და ერთი სომხის ტერტერა მეორეს დღეს გაკრიჭეს. მერმე რა ეს დაკრეჭა ესმა ანტონის, დანაშაულზედ თავი დასდო, მართლმადიდებლობაზედ დადგომა თქვა, წიგნით და აღთქმით ფიცი დასდვა. მერმე სულ წამოთქვა რაც რომის სარწმუნოება ქონებოდა, თავისის სიტყვით რომ თქვა თვრამეტი თვე დაეყო ანტონის რომის სარწმუნოებაზედ იმათი ახსარებით და ზიარებით. ახლა კათიხეს გაგზავნეს, ეს განუწესეს: რადგან თვრამეტი დაეყო თვე აგრევე თვრამეტს თვეს წირვისაგან დააყენეს, ოდეს თვრამეტი თვე გავიდეს წიგნი დაუწერეს შეწყნარებისა წირვის დასტური მისცეს, ეს ფიცი და შეჩვენება დადებინეს და წიგნით დამტკიცეს რომ არასფრის მიზეზით ანტონის კათალიკოზობა აღარ იქნეს. ამ რიგი შეწყნარების წიგნი მისცეს, თუ უნდოდეს აქვე დადგესო თუ უნდოდეს საბერძნეთში ან საცა უნდოდეს წავიდესო. ათას შვიდას ორმოცდათუთხმეტს დეკემბრის ოცს პატრები დაითხოვეს, საცა გინდოდეს წადითო სხვა არაფერი არ აწყინეს რა. დეკემბრის ოცდასამს ქალაქიდან წავიდნენ, ფრანგის საყდარს ქართველის საყდრად აკეთებენ. ათას შვიდას ორმოცდათქვსმეტს იანვრის შვიდს ერევნიდან კაცი მოვიდა იმას ეთქვა აზათხანს დამარცხებიაო, ზოგი ამბობენ კიდევ მოუკლავთო. ერევნის ხალხი ფიქრში არიანო. პირველი ამბავი იყო ჯერ წიგნი არავის მოსვლოდა, ფერსიაში დიად არეულობა არის. კიდევ სომეხებისაგან გავიგონე რომე თურქების ქვეყანაში განუწესებია ხოთქარის ჩათაჩი აბდულა ფაშა, სარასკრობა მიუცემია, ეს ჩათაჩი აბდულა ფაშა რომ სარასკარი არის ეს ტრაპიზონს არის. სადმე ასრე ჭორად ამბობენ ქრისტიანებზედ ილაშკრებსო. ამ ჩათაჩი აბდულა ფაშას ზალუმს კაცს ამბობენ,

უსამართლო გაუშინჯავი კაცი არისო, ხალხი ამბობს, ვისაც უნახავს სადმე, საქმის წამყვანი კაცი არ არისო. კიდევ ექიმოვლი ალიფაშა რომ იყო კარხედ ვეზირად იჯდა, რომ დაჭერილი იყო, ის აქიმოვლი ალიფაშაში ხონთქარს გამოუყვანია, ზოგი ამბობენ ვეზირად დასვამენო კარხედ, ზოგი ამბობენ ანგურის ქალაქში დასმენ ვეზირათო. ბაიაზეთში, ყარსში, ახალციხეს ჟამი არის, ქართლში მშვიდობა არის, არც ჟამი არც სხვა სნეულება არა არის რა, სიმთელე არის. ათას შვიდას ორმოცდათექვსმეტს იანვრის თორმეტს ქალაქიდან წამოველ თებერვლის რვას ყაზახში მოველ<sup>1</sup>. ვიყავ, მარტის ოცდასამს ყიზარაში მოველ. მეფე ქართლისა და მეფე კახეთისა ქალაქში იყვნენ მე რომ მოვდიოდი, მეფეები ბძანებდნენ რუსეთის ერთგულობაზედ თავის დადებას, მაგრამე სხვა რიგად შინჯვენ მანდ რომ მოვალ ჯათებით მოვასხენებ. ქართლი დიად ქურდის ლეკისაგან გათავებული არის რომე ყოველთვის მოსვენება არა აქვთ, აღარც შეძლება აქვთ, მაგრამ ვგონებ თუმცა შეძლება არა აქვთ, მაგრამ კიდევ ვგონებ რომ მეფებმა ან თუნდა თურეწყნი ჩამოვიდნენ ქართლში რამოდენიმე ხანი სიმაგრეში ვგონებ რომ გაუმავრდნენ. იქ ქართლში ზოგიერთის კაცისაგან დაფარული პარტიები არის, ბევრიგად ჭორი და ტყვილები გაიშლება ხოლმე. ქართლის საავალიშვილოში კნიაზ პეტრე ავალიშვილი ხეობაში დაყენებული არის მეფებისაგან, რომ ახალციხიდან არავინ გარდმოუშვას, ჟამისა ემინიათ მოყადალედ არის. რომელიც სომხის პირველი პატრიარქი იყო ემნაძინს იჯდა, რომ თათრულეებ უჩქილისას ეძახიან, ის პატრიარქი ნოემბრის თერთმეტს მოკვდა. საქართველოს მეფე ვახტანგის შვილი რომელი იყო ნაშობი მხლებლისაგან სახელად პატა ერქო, რომელი რუსეთსაც იყო, ახლა განჯას არის შავერდის ხანთან, იმას ახლავს ერთი ეჯუბა და სამი სხვა კაცი. სადმე განჯას რომ ჩასულა იქ ქართლის სომხები შავერდის ხანს დაუჭერია, თქვენი ბატონის შვილი არისო, ოცთუმნამდინ წაურთმეგია პატასთვის მიუტეგნია, თითონაც მცირე რამეს ულუფასაც აძლევს სადმე. ეს პატა იმერეთის რაჭას ყოფილიყო იქ მოეცრუებინათ, იქიდან განჯას მოსულა. დაიწერა ათასშვიდას ორმოცდათექვსმეტს მარტის ოცდასამს<sup>2</sup>.

ფონდი „Грузинские дела“. საქმე К—53, № 4, ფურც. 2—5.

<sup>1</sup> აქ ერთი სიტყვა გაურკვეველია.

<sup>2</sup> საბუთს უკან მინაწერი აქვს: „Получено при доношении астраханского губернатора Жилина от 11-го апреля иод № 45 в 17-го мая 1756 года“. ამ საქმეში წინამდებარე საბუთს თან დართული აქვს რუსული თარგმანი, შესრულებული საგარეო საქმეთა კოლეგიის თარგმანის დავით აბაზაძის მიერ.

№ 12. 1756 წ. მაისის 22. კაპიტან ოთარ თუმანოვის მოხსენებითი ბარათი საგარეო საქმეთა სახელმწიფო კოლეგიისადმი, ქართლში და თეიმურაზის საწინააღმდეგო თავადაზნაურული ოპოზიციის არსებობის, ქართლ-კახეთის მეფეთა რუსულ ორიენტაციისადმი განწყობილების, ქართული ძალების რუსეთის ინტერესებისათვის გამოყენების შესაძლებლობის და სხვ. შესახებ.

სახელმწიფოს კოლეგიას უცხო საქმისასა. კაპიტან კნიაზ ოთარ თუმანოვისაგან მდებლად მოხსენება. ათას შვილას ორმოცდათექვსმეტს მარტის ოცდასამის დაწერილის წიგნში მოვიწერე, საქართველოს მეფებთან მიბძანეს რუსეთის ერთგულობაზედ თავის დადება, მაგრამ სხვა რიგად შინჯვენ მეთქი მანდ მოვალ და ჯათებით მოვასხენებ მეთქი: ა) ეს ჯათი არის, რომელიც ახლა კახ მეფე თეიმურაზ ზის იმას ეჭირა სამკვიდროდ ჩამომავლობით კახეთის სამეფო. ქართლის თბილისის სამეფო, აქ რომ მეფე ვახტანგ მოვიდა იმასა და იმის ნათესავთ ეჭირათ ხვალმე სამკვიდროდ. თბილისის სამეფო, ეს მეფე ქართლის ვახტანგ რომე აქ რუსეთში მოვიდა თამასხანის დროს, ორივე ამ მეფემ თეიმურაზს და იმის შვილს ერეკლეს დარჩა, ახლაც უჭირავს. თუმცა კახეთი უფრო მდებალი იყო, ახლა რადგან ორივე ერთად არის კახეთს უფრო სამკვიდროდ<sup>1</sup> ეჭიდებიან, ქართლი უფრო იჩაგრება. ამის გულისათვის ქართველი წყინობენ დაჩაგვრას დაფარვით, მაგრამ არა შეუძლიათ რა რომ გამოაცხადონ და არც ასრეთი სიმაგრე უჭირავთ რომ შეძლოთ რამე კახელებზედ. რომელიც ქართლში პირველი სიმაგრეა არაგვის საერისთო, იმ სიმაგრეში კახი კაცი ჩოლოყასშვილი კნიაზ ჯიმშერ უზის, არც ქართველთ შეუძლიათ რომ იმაზედ ხმა ამოიღონ. ბ) ყოველთვის იქ ჭორები გაიშლება რომე მეფე ვახტანგის ძენი ანუ იმისი ჩამომავლობა მოდიანო, ამაში ის კახბატონებს ეფიქრებათ, თუმცა რუსეთთან დაიჭიროსო იმათ მიცემენო თავათ სამკვიდროსაო, ამიტომ ბეჯითათ არ ეჭიდებიან, კახეთს უფრო ხელს უწყობენ. ამიტომ დაფარული პარტიები არის. გ) თუმცა ისინი ამას არ შიჯვედენ<sup>2</sup>, რაც შეუძლიათ ერთგულობას იჩემებენ. დ) ქართლის მეფე თეიმურაზ უფრო მშვიდი და მოწყალე არის საქმე სლაბად უჭირავს, მისი შვილი ერეკლესი უფრო ეშინიათ უფრო საქმის წამყვანია, უიმისოთ არა იქნება რა. მაგრამე მეფე თეიმურაზის ცოლი დედოფალი ქართლის, ერეკლეს დედის ნაცვალაია, დაფარული შური არის. მეფე თეიმურაზ დედოფლის სიტყვის დამჯერე არის. ე) აგრევე ამავე მეფის ვახტანგის ნათესავი ფერსიასი დაფატული არის, აქედამ ცალკე ეფიქრება და იქედან ცალკე. ამაში არც ძალი აქვთ და არც ხაზინა. რასაც უნდათ ქართველი და კახნი იტყვიან ხვალმე იმათ ძრახვს, მაგრამე ფიქრი იშვიითათ აქვთ, უფროსი ერთი ზოგი ტკბილობით და ზოგი მუქარით მიყავთ თავათი საქმე მეფე ერეკლეს, ფიქრი და შიში მიცრე რამე აქვთ. ვ) ქართლში ერთი სარამჯამი არა არის რა, არც ამისი დამტკიცება აქვთ, დრო იქნება მონდომე-


<sup>1</sup> დედანში „სამკვიდლოთ“.

<sup>2</sup> ასეა დედანში.

ბით იქმნენ ჯარის შეყრას, დრო შეხდება დიად მცირე ჯარს ძლიერ შეიკრიბონ, თუ რა რბევის ალაგას წავიდნენ სადმე და საშოვარს მოელიან თავათ კაცს გარეთაც სხვას ქვეყნის მთის კაცებსაც ბევრს აიყოლებენ. იმ აყოლით ყოფილა უწოდელი იმათი გამარჯვებები. ზ) ყაზახის სახანო და ბორჩალოს სახანო უჭირავს ამ ჯათით რომე უფროსი ერთი ელია ამყრელ დამყრელი ამისი ეშინიათ, რომე პირუტყვს მოგტაცებენო ამის გულისთვის მსახურებენ, მაგრამ ჯარს ვერ ენდობიან ლეკზედ, ამათაც მსახურებენ და ლეკსაც, ყოველთვის რაც ჯარი გამოვა აზულას იქ ყაზახში იშოვნიან ხვალმე. ც) მე რომ ვგონებ ამაში თუ გამოიყენებიან როცა ან თურქის ჯარი ფერსიაში ჩამოვიდნენ, ან რუსეთს თურეკცი ავშალოს როდისმე მაშინ რომე ქართლი და კახნი მოდგინებით იყვნენ რუსეთზედ მთის კაცსა და აგრევე გარეშეს კაცს თეთრით და მცირე რამით რუსეთის წყალობით კაცთ იშოვნიან და აიყოლებენ, ქურდობით და ყაზახობით მიხდომით თურეკცის მამულში ძალას უზმენ, საშოვრის გულისათვის ბევრი აყვებიან. ეგების იქნეს იმათ შიგნითვე ერთმანერთში არეულობა შექნიათ, ამ ჯათით ბევრი ზარალი იქნება შექნათ, თურეკცის აგრევე ჯარი დაუც...<sup>1</sup> ურეგულო ქვეყნებია დასაკლისი იქნება იმათი, თუნდა ამავე ქართველებს დაუმარცხდეს რუსეთის დასაკლისი არა იქნება რა. დამარცხებიდამაც ის იქნება რომელიც იქ ვერ დადგება აქ გადმოვლენ. ამ მეფე ვახტანგის შვილიშვილების ფიქრი არ ექნებოდეს, აქედამეც ნუგეში და წყალობა ექნებოდეს ერეკლეს, აქაური შიში იმ მხარეს რუსეთის ფიქრი აქვთ, ძალიანი სახერი არის რუსეთისა. თ) იქილამე რომ მოვდიოდდი სამიოდ სათი გამამატანა ერეკლემ გასაკეთებლად, ზოგი ერთი ზეპირად შალები დამაბარა, შემძლებელი ვარ ამ მიზეზით იქ წიგნი მივწერო იქ რჩევა მივწერო, იქილამე აქაური ნუგეში იამებათ, თუმცა ინებოს კალეგამ როგორც ბძანებს მე წიგნს დაწერ რჩევას მივწერ. მეფე ერეკლეს ის წიგნი ინასტრენიამ გავიწიგოს ჩემავიარობით მივწერ, ის წიგნი ყიზლარის კამედატი ჩერქეზის კაცის ხელით გაუგზავნის ჩემავიარათ, იქილამ რომ წიგნი მოვა იმ წიგნით ვაიშიჯვის. ეს ამიტომ მოვახსენე რომ ამ მეფე ვახტანგის შვილისა და შვილიშვილების მივწერო, ამათი ფიქრი არა ქონდეს უფრო აქაურს სამსახურს ეცდებიან. ი) ამიტომ მოვახსენე რომე ამას წინათ რევაზ ეჯუბოვი წასულიყო და რაგინდარა იქ თავის მუცლის ზღაპრით ელაპარაკნა, სხვა და სხვა რივად ამბობდენ ჭორს ამიტომ სახელდობით მოხსენება ვერ შეეძელ ტყვილი არ შემჩნეოდა, იმ დროში არქიმანდრიტი არსენ ქართლში დახდომოდა, რომელი იმყოფება ოსეთის კამისიაში. იქ ჭორიც ერთი რომ ითქვას ბევრად გაიშლება. ია) ჩერქეზს ბერებამდის ერისთავის კაცი გამომატანეს შიო ნალრაზიძე, იმისის ხელით წიგნი მივწერე. ჩემი მამული მეფე ერეკლეს მივაბარე. აგრევე ზოგიერთი დარჩომილი ასალები მქონდა ისიც მეფე ერეკლეს მივართვი, ამიტომ რომ ხათრიჯამი შეიქნას რუსეთი იმათ წყალობის ჩანს, რომ მე იმათ ველტვი და მეფე ვახტანგის შვილისა და შვილისშვილის ისინი მერჩის ამიტომ მივწერე. იმ მიწერილის შავებსაც თუ მიბძანებთ მოვართმევ, ჩემით ვამჯობინე თქვენს წინაშე გამომიცხა-

<sup>1</sup> სიტყვა არ იკითხება.





დებია. იბ) რომელიც იქ არის ალაგები იქაურის სიტყვით ამბობენ რუმე მად-  
ნები იყოს ვეცხლისა რამდონსამე ალაგს, ცოტა რამ პრობა მოციტანე, მამ  
გვარს მიწას ამბობენ ფშავს არისო სხვაგანაც ამბობენ, თქვენს წინაშენ გამო-  
მიცხადებია. იგ) ქართლში ქურდის ლეკისაგან დიად ძალა ჰქონდა, თუ დიდი  
ჯარი გამოვა პირდაპირ შებმიან და ქართველები აჯობებენ, თუ არ ქურდო-  
ბით ძალას შვრებიან. ჩნდნ მკათათვის ლ ჩნდნ მკათათვის გასვლამდის რომ  
ჩემის შეტყობით დატყვებულა და მოუკლავთ კაცით ქალით შვიდას რვაასამ-  
დის, აგრევე ლეკი რომ თვითან უთქვამთ ექვსას შვიდასამდინ, მაგრამ მეტს  
იტყვიან ხვალმე. იდ) ლეკები აგრევე ურუმის მამულიდამაც მიდიან ხვალმე,  
ატყვევებენ ქრისტიანს ლეკები. იე) ჩნდნ იანვრის კზ ჩერქეზებში შევიტყე,  
რომელიც ოსეთის კამისია არის იმაზედ ახლოს სოფელში ოზანას იმყოფე-  
ბოდენ იმერელი მეფის კაცნი, კნიაზ ჯაფარიძე როსტომ ჯაფარისშვილი კიდევ  
იმასთან მყოფი ოსი ვნახე, ამაზედ იმყოფებოდა სადმე რომე ჩერქეზიდამ და  
ოსის ჯარი წაიყვანოს. იმერელი მეფე რაჰის ერისთავს ებძვის, უწინ სადმე  
ყოფილიყო რაჰის ერისთავის კაცნი იმათაც ეთხოვა არ გარდაყოლოდნენ. ახლა  
ეს მეფის კაცი ცდილობს გარდაყოლას. ეს იმერეთი და რაჰა ორივე თურეწკის  
კერძად არიან, ერთმანერთში ლაშქრობას აპირებენ სადმე. მე რომ ვგონებ  
ხოუ დაიშლებოდეს, რომელიც რუსეთის მოსმინო არიან რომ არ წაყენენ ისი  
ჯობს ჩემის გაშიჯულობით. ამიტომ რომ ერთი ის იქნების რომე ჩერქეზებმან  
იმ მხარეზედ თურეცკის კაცს არ შეჩვიონ რომე თურეცკის რჯული აქთ ჩერ-  
ქეზებთ, საშოგარისაც ხარბი არიან, მეორე ქრისტიანს ტყვეს ბევრს დატყვე-  
ვებენ, იმერლებიც საჩუქრად ქრისტიანს ტყვეს მისცემენ იმ თურეცკის მხა-  
რესა, არ ემჯობინება, რაც კვლავ უქნიათ ერთმანერთში ის ქნას. ივ) როცა  
ქართლში ჩერქეზები გარდავლენ ის დასაშლელი არ არის ამიტომ ან ლეკს  
შებმიან და ან თათარს, ასრე ვგონებ. იზ) ქართველს მეფებს აქაური იმედი  
აქვთ რუსეთით კვეხურობენ, რომ აქედამ კაცნი მივლენ პატივს აძლევენ, რომე-  
ლიც კამისიაზედ კაპიტანი კნიაზ თომა ბარათოვთან ყიზლარიდამე კაცნი მო-  
ვიდენ ყაზახურის ტანისამოსით, სახელები არ ვიცი, ერთი იმათგან დვარენინი,  
მეფებმა<sup>1</sup> კარგი პატივი მისცეს, კანის ადგილს დასვეს. წამოსვლის დროს ვავი-  
გონე რომ კიდევ ეჩუქებინოთ, თუ კიდევ თქვენს მეფეს გასტინიცა მიერთოვო,  
არ ვიცი ვისგან იყო ღურბინს აბობდენ. ამ გვარის კაცით და რუსეთის ტანი-  
სამოსით ვიც მივა იამებათ, ამიტომ რომ გარემეს მტერს აშინებენ, ყველთვის  
მუცლის ზღაპრით ჭორები გაიშლება, იქ ხომ სიტყვის დაშლა არ არის, ვისაც  
რა მოადგება იმას იტყვიან. იც) ყენის შვილს ეძახიან, ერთი ყავთ მცირე  
რამის ულუფით ხელის თითები გაბადული აქვს სადმე ყავთ და კიდევ მალვენ.  
ით) კიდევ ვავიგონე აზათხან თავრეზისკენ მურუმისაკენ წამოსულა, თუმცა  
ქართველი მეფე მეგობრობას ამბობს, როცა დროს დახელებს არ დაინდობს.  
აზათხანთან იმყოფება აბდულას შვილი, რომელ არს მეფე ვახტანგის ძმის  
წულის შვილი. ყიზილბაშსში არეულობა არის კლებაში მიდის. აგრევე ქართ-  
ლის კათალიკოზათ რომ იყო ისიც მეფე ვახტანგის ძმისწულია და მეფე თეი-

<sup>1</sup> დედანში „მეფები“.


მურაზის დისწულია. კ) მე რომ მიველ მეფებს, დედოფლებს, კათალიკოსს, ერისთავს, მუხრანის ბატონს, ვეზირს, ეშიკაღაღბაშს აგრევე სხვათა ცხოვრებით მივეტანე, ამიტომ იქ ერთიბარი ვაკეთებოდა, აგრევე იქაური ტანისამოსი შევაკერვინე, ამებით არ ცოტა ხარჯი დამემართა. კა) თურქუკის რაც მოვიწერე იმის მეტი არა გამიფონია რამე. პეტერბუხს მოველ. დაიწერა ჩნვ მისის კბ. მე კაპიტან კნიაზ ოთარ თუმანოვს ხელი მომიწერია.

ფონდი „Грузинские дела“. საქმე K—53, № 4, ფურც. 11—18.

№ 13. 1756 წ. ივლისის 13. კაპიტან ოთარ თუმანოვის ერეკლე II და თეიმურაზ მეორისადმი მიწერილი წერილების პირები, წარდგენილი საგარეო საქმეთა კოლეგიაში.

მეფე ქართლისასა და მეფეს კახეთისასა მდაბლად მოხსენება კაპიტან კნიაზ ოთარ თუმანოვისაგან. მერმე ამას მოვახსენებ, თქვენც მოგეხსენება და თუმანიათაც აგრევე მოქალაქებმანც, თუ ხათრი არ დაიჭირეს რომ ჩემი მამული ჩემს სიძეს აშხარბუვას ებარა, როცა ჩემი განაყოფი წამოედავა დემეტრე და მდივანი ედიშერ, მაშინ ის წიგნი თქვენს წინაშე მოეტანათ. მას უკან თქვენ მოწყალება გექნათ, ჩემთვის წიგნი მოგეწერათ: შენი მამული როგორც შენს დისწულს აღას ქონიაო მიბარებული ისრე შენ მოსვლამდინს ამისთვისვე მიგვებარებიაო. მე მადლობელი შევიქენ თქვენის მოწყალებისაგან. რუსეთიდან რომ გაიხელ თქვენის წიგნით მანდ რომ მოველ, გავშინჯე რომ ჩემი მიბარებული მამული თვითან წიგნები აელო, უწიდელის ბატონებისაგან თვითან ეშოვნა ჩემს დისწულს აღას, აქ გაშინჯეთ ჩემის დისწულის ერთიბარი და სიმართლე. თქვენ რომ წიგნი გებოძათ მოწყალება გექნათ, ჩემი მამული ჩემთვის გებოძათ, შვიდი რვა წელიწადი იქნება. ვიცით თქვენს ნაბძანებს აღასრულებთ, რაც ჩემის მამულის მოსავალია თუმანისშვილებმაც იციან. ამას გარეთ, ოცდა თერთმეტი წელიწადია რომ ჩემი მამული უჭირავს, ამ თქვენის ნაბძანების რომ წიგნი მოგეწერა ამის აქეთ რვის წლის მოსავალი ეს თქვენ გამომირთვით. ამას გარეთათ რაც რვის წელიწადს იქით ჩემი მამული ჭერია, ან ჩემი მიბარებული საქონელი ქონია მე მოვალ თავ კაცად, მე ვიცი და მაგან, რაც ქართლში სამართალია ან მე გამოვიტან ფიცით და ან მაგას გავატანინებ ფიცით. სხვას გარეთათ ქვეყანამ იცის, რაც ჩემი აქვს მაგას, ამიტომ ცდილობდა კაცის კაცით ჩემს ერთიბრის მოჭრას რომ თქვენ გამწყრომოდით მაგას ეს მამული შერჩომოდა. მოველი თქვენის მოწყალებისაგან რომ ამ რვა წლის თქვენი ნაბძანები მამულის მოსავალი ეს გამომირთოთ, მეფე ერეკლეს მიერთოს, როგორც მოვახსენო იმ რიგად მებოძოს ამას გარეთ მე მად მოვალ თავკაცად, მე ვიჩივლებ თქვენს წინაშე, ან რაც ჩემი აქვს, ან ფიცით გავატანინებ და ან ფიცით გამოვიტან ჩნვ იანვრის კვ.

მეფეს კახეთისასა მდაბლად მოხსენება კაპიტან კნიაზ ოთარ თუმანოვისაგან. გრძლად რალა მოვახსენო, იანვრის ოცდახუთს ბერებთან მოველ. მე ბა-



ტონს მამათქვენთან და თქვენთან არზა მომიწერია იმით შეიტყობთ, ღმერთის იცის მართლა მოგახსენებ რომ ეს საბაბი იყო, რომ ჩემს თავს გაბეჭდებდას კაცის კაცით. ახლა რა მჯის რომ ფიცით მოგახსენო თორემ ნახავთ, ღმერთის იცის მართალია რომ ბიძათქვენი ბაქარ რომ გამიწყრა მასუკან თქვენი ოჯახის ერთგული ვარ, ღმერთს დაუჯერე. სხვა რა მოგახსენო, არზა გახელ, ეს ყველამ იცის სამას-ოთხასი თუმანს იქს, ეს თეთრი თქვენ გამოართვით ჩემს დისწულს აღას, თქვენ დახარჯეთ ალალი მიქნია ალბათ რომ დახარჯოთ. მე ღმერთის იცის პირველად რუსეთის ერთგული ვარ ჩემის ფიცისაებრ, მას უკან თქვენის ოჯახისა, დამიჯერე ღმერთის იცის მართლის გულით მოგახსენებ. ბატონის შვილი გიორგი, ლევან და ალექსანდრესას თქვენის ოჯახისა მიჩვევია, რომ თქვენი წყალობა ჩემზედ იყოს და ქართლში ბძანდებოდეთ, ჩემი მამული ხომ ჩემს შვილსა ჩამომავლობას ეჭირება. თუ გიორგი და ლევან ალექსანდრე იყვნენ, ხომ თქვენც მოგეხსენება ჩემს შვილსა და შვილის შვილს წახდენენ და არც ჩემს მამულს მისცემენ. ჩინე იანვრის კ<sup>2</sup>.

ეს ორი წიგნი რომ მივწერე ეს ქვემო წერილი გამოაცხადებს რისაც ძალით არის. ამ ძალით მივწერე მეფებთან წიგნი, იმაში ჩემი თეთრისა მიბარება წერია მეფეს ერეკლესთვის და მას უკან მოხსენება როგორც მოგახსენო იმ რიგად მებძძოს მეთქი, ამიტომ არის რომ ორთავ მეფებთან არზას საჯაროდ წაიკითხვედნ და მირთმევა არ დაიწერებოდა. მეორეს მეფე ერეკლესთან რომ არის, იმას მართლ წაიკითხვედა იმ არზით მირთმევა. ჩემი თავაკად მისვლისა რომ დავწერე, ამ ჯათისათვის დავწერე რომ ვინ იცის მივიღე სადმე საქმეზედ ამას ვიტყვი რომ მაშინვე მოგწერეო მეთქი ჩემის სადაოსათვის მოგსულვარ მეთქი. ჩინე მთიბათვის იგ დაიწერა.

ფონდი „*Грузинские дела*“. საქმე K—53, ფურც. 62—65<sup>b</sup>.

სტალინის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
სსრკ ისტორიის კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 1945. II. 3)

**პირთა და გეოგრაფიულ სახელთა საძიებელი**

ბაზაძე დავით, საგარეო საქმეთა კოლეგიის თარჯიმანი 10, 14, 15, 25.	ადერბეიჯანი 22.
აბდულა ფაშა ჩათაჩი 24.	ადილგერა ჩერქეზი, აზნაური 16.
აბდულას კალი (ვახტანგ VI შთამომავ.) 16.	ავალიშვილი პეტრე 25.
აბდულას შვილი (ვახტანგ VI შთამომავ.) 28.	ავჭალა 18, 19.
	ახათხან 8, 16, 19, 20, 21, 22, 23, 24, 28.

<sup>1</sup> ამ საბუთის წარმოშობა ახსნილია 1756 წ. 22 მაისის მოხსენებით ბარათში. იხ. საბუთი № 12. მუხლი 11.

<sup>2</sup> აქ თვის რიცხვი შეცდომით უნდა იყოს. ტექსტში აღნიშნულია, რომ იანვრის 25 „ბერებთან მოველო“, ცხადია 20 იანვრის წერილში 25 იანვრის ამბავი ვერ მოხვდებოდა.

- აზრუმი 7, 21.  
 ათამ მელიქი (სომხების თავი კაცი) 20, 23.  
 ათანასე თბილელი, მიტროპოლიტი 13, 19.  
 ალექსანდრე ბატონიშვილი (ვანტანგ VI შთამომავალი) 30.  
 ანგურის ქალაქი (ანკარა) 25.  
 ანტონ I კათალიკოსი 9, 24, 28.  
 არაგვისპირი 19.  
 არაგვის საერისთო 26.  
 არსენ არქიმანდრიტი 27.  
 ასტრახანი 2, 10, 13, 14, 17.  
 ალა (ოთარ თუმანოვის დისწული) 29, 30.  
 აღმოსავლეთი საქართველო 9.  
 აფუხ მამად ფაშა 21.  
 აქიმ ოღლი ალი ფაშა (თურქეთის ვეზირ-ახანი) 22.  
 ახალციხე 21, 22, 25.  
 ახალციხის ფაშა 20.  
 აშნარბეგა (ოთარ თუმანოვის სიძე) 29.  
 აჯი ჩალაბის შვილი 8, 20, 23.  
 აჯი ჩალაბი 16.  
 ბაგრატიონები (კახეთის შტო) 9.  
 ბაზალეთი 18.  
 ბათიყა (ჩერქეზთ ბატონი) 23.  
 ბაიაზეთი 7, 22, 23, 25.  
 ბარალეთი 23.  
 ბაქარ მეფე 30.  
 ბართოვი თომა 28.  
 ბესტუჟევი-რიუმინი ალექსი (საგარ. საქმ. კოლეგ. ხელმძღვ.) 15.  
 ბეყამი 18.  
 ბილნისი 19.  
 ბორჩალუ 21.  
 ბაბაშვილი ვალ., დოცენტი 7.  
 განჯა 20, 23, 25.  
 გასპარაშვილი არუთინა 22.  
 ვიორგი ბატონის შვილი (ვანტანგ VI შთამომავ.) 30.  
 გორი 18, 20, 24.  
 ჯემეტრე (ოთარ თუმანოვის განაყოფი) 29.  
 კალესტანი 19.  
 დირბი 17.  
 დილომი 18.  
 დუშეთი 18.  
 ქდიშერ მდივანი 29.  
 ერევანი 11, 16, 19, 21, 22, 24.  
 ერეკლე II 8, 13, 18, 20, 22, 23, 24, 26, 27, 29.  
 ექიმ ოღლი ალი ფაშა 25.  
 ყნშიაძინი 25.  
 ყნშიაძინის პატრიარქი 25.  
 ყაჯუბოვი რევაზი 7, 27.  
 ვანი 21.  
 ვანის ფაშა 21.  
 ვაყა (სოფელი) 21.  
 ვანტანგ VI 16, 26, 28.  
 ვერე 18.  
 ვორონცოვი მიხეილი (გრაფი-კანცლერი) 15.  
 ზემო ქართლი 16.  
 ზინონ არქიმანდრიტი 24.  
 შავაურნი (ოსები) 15.  
 თავრეზი 19, 20, 21, 28.  
 თამასხანი 26.  
 თბილისი 6, 9, 11, 12, 19, 22, 24.  
 თბილისის სამეფო 26.  
 თეიმურაზ II 12, 13, 18, 24, 26, 28, 29.  
 თეიმურაზ II ცოლი (დედოფალი) 26.  
 თომა ბართოვი 28.  
 თოხათი 22.  
 თუმანიანი 29.  
 თუმანიშვილები 29.  
 თუმანოვი ოთარ, კაპიტანი 1, 2, 3, 4—12, 14—17, 20—24, 26, 29.  
 თუმანოვი ოთარის ცოლშვილი 2, 15.  
 თურქეთი 3, 4, 5, 7, 22, 27.  
 თურქუქი იხ. თურქეთი.  
 თხილთვანი 21.  
 იასე მეფე 16.  
 იმერეთი 5, 25.  
 ირანი 3, 5, 6, 12, 13, 17, 19, 20, 21, 22, 24, 26, 27, 28.  
 ისპანი 11, 16, 19, 21, 23.  
 კაკასია 9.  
 კათიხევი 24.  
 კაკის სულთანი 23.  
 კალოუბანი 18.  
 კახეთი 1, 8, 18, 23, 24, 26.  
 კოდა 19.  
 კოკია 20, 23.  
 კონსტანტინეპოლი 7, 22.  
 კოსტადილოპოლი იხ. კონსტანტინეპოლი.  
 კულისტანის ციხე 20.  
 კუმისი 19.  
 ლარი 20.  
 ლევან ბატონიშვილი (ვანტანგ VI შთამომავ.) 30.  
 მამად ბეგ აზათხანის კაცი 20.  
 მამუდ სულთანი 22.  
 მანავი 18.  
 მარიამ ბეგუმ 8.  
 მარნეულა 21.  
 მარტყოფი 18.  
 მაყაშვილი სვიმონი 13, 19.

- მერაბ-ხანი 20.  
 მიშკარაზი (თუმანოვის ნათესავი) 11.  
 მოსკოვი 15.  
 მოხისი 18.  
 მულამი 16.  
 მურუმი 28.  
 მუხრანი 18.  
 მწყნეთი 18, 19.  
 მკადის ჯვარის ციხე 8, 18.
- ნალრაზიძე შილა 27.
- ნუნან (სოფელი) 4, 28.  
 ორბელიანი პაპუნა (ისტორ.) 8, 9.  
 ოსეთის კამისია 4, 15, 27, 28.
- პაატა ბატონიშვილი 25.  
 პანინი ნიკიტა (საგ. საქმ. კოლეგ. ხელმძღვ.) 4.  
 პახუნი არქიმანდრიტი (ოსეთის „კამისის“ წვე-  
 რი) 15.  
 პეტერბურგი 5, 7, 10, 15, 29.  
 Porta Отоманская იხ. თურქეთი
- ჟილინი გენ. მაიორი ასტრახანის გუბერნატ.  
 17, 25.
- რაჭა 5, 25.  
 რაჭის ერისთავი როსტომი 4, 28.  
 როსტომ რაჭის ერისთავი 4, 28.  
 რუისი 16, 18.  
 რუსეთი 1, 2, 3, 4, 5, 9, 11, 12, 15, 22, 26, 27.
- საავალიშვილო 18, 25.  
 საბაშილა 18.  
 საბერძნეთი 24.  
 საფრანგეთი 22.  
 საქართველო 1, 2, 3, 5, 6, 8—14, 16, 17.  
 სვიმონ—მოციქული ანტონ კათალიკოსთან 24.  
 სეფიხან 21.  
 სიღნაღი (სომხეთის) 23.  
 სოლომონ I 4, 28.  
 სოღალუხი 18.  
 სტეფანწმინდა 16.  
 სურამი 18.  
 სხალტბა 18.
- ტაბახმელა 18.  
 ტრაპიზონი 24.
- უსუფ მელიქი (სომხების თავი კაცი) 8, 20, 23.  
 უჩქილისა იხ. ეჩმიადინი  
 ურუმის მამული 28.
- ფანახან 20, 22, 23.  
 ფერსია იხ. ირანი.  
 ფონ-ფრაუნდორფი ი. ლ. ყიზლარის კომენ-  
 დანტი 7, 17, 22.  
 ფოფროვიდოვი იხ. ფონ-ფრაუნდორფ.  
 ფშავი 28.
- ჭალაქი იხ. თბილისი.  
 ქართლის სამეფო 1, 3, 5, 6, 7, 9, 15, 17, 1  
 20, 21, 23, 25—30.
- ქერე 19.  
 ქისიყი 18.  
 ქისტაური 18.  
 ქუნძახის მფლობელი 8, 23.  
 ყაბარდო 5.  
 ყაბარდო მცირე 5, 25.  
 ყაენის შვილი (ცრუ) 9, 28.  
 ყაზანის სახანო 25, 27.  
 ყაზი ახლოვის შვილი 15.  
 ყარსი 7, 20—23, 25.  
 ყაფლანის შვილი ზაალი 16, 20.  
 ყაფლანის შვილი იოვანე მდივანბეგი 16, 2  
 ყვარლის ციხე 8, 23.  
 ყიზილბაშეთი იხ. ირანი.  
 ყიზლარი 2, 10, 14, 17, 22, 25, 28.  
 ყიზლარის კამენდანტი 10, 16, 21, 27.  
 ყიზრარი იხ. ყიზლარი.  
 ყირიმი 19.  
 ყორელი იხ. ყვარელი.  
 ყოჩაქლისია 18.  
 ყუბახანი 16.  
 ჩერქეზეთი 4, 15.  
 ჩოლოყასშვილი ჯიმშერი 26.  
 შავგერდი ხან განჯელი 20, 25.  
 შილდა 18.  
 შირაზი 20, 21.  
 ციციშვილი გივი 15, 16.  
 წყნეთი იხ. მწყნეთი.  
 წავკისი 18.  
 ჯარელი ლეკები 18, 19, 23.  
 კიკინაძე ზაქ. 9.  
 ხაშმი 18.  
 ხელთუბანი 6, 17.  
 ხერხეულიძე ომანი (ისტორ.) 8.  
 ხიდისთავი 17.  
 ხოვლე 18.  
 ხუძუხის ბატონი იხ. ქუნძახის მფლობელი.  
 ხუძუხელნი ლეკნი 18.  
 ჯაფარიძე როსტომ 4, 28.

### 3. მუშაობები

## ირიგაცია საქართველოსა და ამიერკავკასიაში<sup>1</sup>

(1801—1920 წ. წ.)

### ეკონომიური გამოკვლევა

#### I

მიწათმოქმედების ტექნიკაში ირიგაცია — სადაც ეს საჭიროა და აუცილებელი — უძლიერეს ფაქტორს წარმოადგენს. ამიერკავკასიაში ხელოვნური მორწყვა უძველესი დროიდანვე მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ქვეყნის ეკონომიურ ცხოვრებაში. კერძოდ აღმ. ამიერკავკასიაში ხელოვნური მორწყვა წარმოადგენდა არა მხოლოდ ტექნიკურ გაუმჯობესებას, არამედ აუცილებელ პირობას მიწათმოქმედებისა და მეჯოგეობისათვისაც კი.


მტკვრისა და არაქსის ქვემოთა ველებზე „ვერაგითარი კულტურა ვერ იხეირებს მორწყვის გარეშე, ვინაიდან გრძელი, ცხელი ზაფხულის განმავლობაში, როდესაც წვიმა ძლიერ იშვიათად მოდის, მოურწყველად დაიხრუეება ყოველგვარი მცენარე და ეს ველები იქცევიან მზით გადამწვარ უღაბნობად, სადაც შეუძლებელია ადამიანის ბინადარი ცხოვრება“<sup>2</sup>.

აღმ. საქართველოსა, სომხეთსა და აზერბაიჯანში ჩვენს დრომდე დაცული ნაშთები ძველ დროსა და საშუალო საუკუნეებში გაყვანილი სარწყავი არხებისა, რომელთაც დიდი, თუ პატარა მდინარეებიდან სარწყავი წყალი, როგორც მაცოცხლებელი ძალა, მიჰყავდათ იმ დროისათვის აყვავებულს, ხოლო შემდგომში, საირიგაციო სისტემის მოშლის მიზეზით, გაუდაბნობულ ველებსა და ხეობებში. მაგალითად, მილისა (ყარაბალისა) და მულანის ველებზე დღემდე დაცულია ნანგრევები ქალაქებისა და დიდი ირიგაციული ნაგებობებისა, რომლებიც მოწმობენ, რომ აქ, მორწყვის მეოხებით, ოდესღაც არსებულან სოფლები და ქალაქები. ჯერ კიდევ სტრაბონი წერდა რა ალბანეთის (დაახლ. თანამედროვე

<sup>1</sup> ჰიდროლოგიის ზოგიერთი სპეციალური საკითხისათვის კონსულტაციას მიწევდა აწ განსვენებული პროფ. ბ. ყავრიშვილი.

გამოკვლევა მოხსენდა თ. ს. უ. ჰიდროლოგიის კათედრას — 1943. V. 6.

<sup>2</sup> М. Псарев, Очерк орошения в Закавказском крае (СМЭБГК, V, 1, 2). Шопен, Историч. памятник состоян. Армянской области... 365; МИЭБГКЗК, IV, 1, 254; Х. Вермишев, Земледелие у госуд. крестьян Закавк. кр., 514—515; ОРВЗК, III, 52, 261—262; IV, 257—259; СВРЗК, XI, 743.



აზერბაიჯანის ტერიტორიის) უხვმოსავლიანობის შესახებ, აღნიშნავდა, რომ ეს იყო შედეგი ხელოვნური მორწყვის მაღალი ტექნიკისა.

ხელოვნური მორწყვის გარეშე იმდენად შეუძლებელი იყო აღმ. ამიერკავკასიაში ცხოვრება, რომ, თანახმად ხალხური გადმოცემისა, ჩინგისყანის ურდოების შემოსევათა პერიოდში მოშლილი მილის ველის უდიდესი არხის — გიაურ-არხის (=ბელიას-არხის) — განახლება უკისრია ისეთს დაუნდობელ დამპყრობელს, როგორც იყო თვით თემურლენგი<sup>1</sup>. პრუსიელი რევირუნგსრატი ბარონი აფგუსტ ფონ-ჰაქსტჰაუზენი, რომელმაც 1843 წ. მოიხილა სომხეთში, როგორც უკვე მოშლილი ისე მომქმედი სარწყავი არხები, აღნიშნავდა, რომ ესენი წარმოადგენენ „საირიგაციო ნაგებობათა დიდის ცოდნითა და გამოცდილებით გაყვანილ რთულ სისტემებს“<sup>2</sup>. იგივე ავტორი აცხადებდა: „სომხეთში მოურწყველად უკვე არაფერი არ ხარობს, მაგრამ თვით საქართველოშიაც უიმისობა შეუძლებელია... ირანელებმა თავიანთი უკანასკნელი შემოსევის დროს... კახეთში მოშალეს ყველა მაშინდელი არხები, რაბები (შლიუშები) და სხვ. მოსახლეობამ, რომელსაც მათ აღსადგენად ძალა არ ჰყოფნიდა, დასტოვა ეს მიდამოები, რომლებიც დღემდე მხოლოდღა ველს წარმოადგენს... როდესაც ამ ქვეყანაში [ამიერკავკასიაში] მოგზაურობ, ხედავ, რომ აქ წინათ მიწები ბევრად უკეთესად ყოფილა დამუშავებული, ვიდრე ახლაა, ხვდები დიდ სივრცეებს ველებისა და ვრცელ ტყეებს, სადაც მოჩანს არა მხოლოდ ნიშნები ძველი ნაყანევისა, არამედ აურაცხელი რაოდენობა არხებისა, საგუბარებისა (კაშხალე-ბისა); ქვის ნაგებობათა ნანგრევებიც კი აშკარად მოწმობენ არხების, რაბებისა და სხვ. არსებობაზე. შირაქის ველი სულ დასერილია ძველი არხებით... რომლებიც, რუქაზე რომ იყოს გადაღებული, გვიჩვენებენ, რომ აქ ოდესღაც უნდა ეარსება კარგად მოფიქრებულ და დიდის ხელოვნებით ნაგებ სისტემას არხებისას; ახლა ყველაფერი გათიანებულია... სამკუთხედი, რომელიც იქმნება მტკვრისა და არაქსის შეერთებით... დაფარული იყო წინათ... არხების ვრცელი სისტემით. ზემოთ, ყარაბაღის მთის აღმოსავლეთით, მტკვარი შეერთებული იყო არაქსთან ფართო არხით 20—30 მილის სიგრძისა, რომლის ნაშთები ახლაც ჩანან... ასეთი სისტემის აგება უნდა მოჩანდეს ჭეშმარიტად ბუმბერაზულ შრომად, როგორც გვგვით, ისე თავისი შესრულებით“<sup>3</sup>.

კავკასიის ნამესტნიკი ა. ბარიატინსკი 1857—1859 წ.წ. თავისი მოღვაწეობის უკვეშეგრძობილეს ანგარიშგებაში წერდა: „ამჟამად ამიერკავკასიის საუკეთესო მიწები, რომლებიც ყველაზე უფროა ხელსაყრელი სამხრეთის მკენარეულობათა გასაშენებლად და ძველი დროიდანვე აღმოსავლეთის უმდიდრესი მიწების სახელით იყვნენ განთქმულნი, — ქვეყნები, რომლებიც მდებარეობენ მტკვრისა და არაქსის ქვედა წილებზე (по нижнему течению) და ერევნის გუბერნიის საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი წარმოადგენენ მიყრუებულ უდაბნოს სანახაობას. გამუდმებული შემოსევები... ნელნელა ჰფანტავდა მოსახლეობას,

<sup>1</sup> გაზ. „Кавказ“, 1873 г. №№ 30, 39, 59 — ახმედ-ბეგ ჯევანშირის ფელეტონები.

<sup>2</sup> A. v. Haxthausen, Transkaukasien, Leipzig, II, 176—178.

<sup>3</sup> იქვე, 129—136.

წყალსადენი არხები დაისილნენ და ახლა ეს მიწები ... გადამწვარ ველზეაღი არიან გადაჭიმული“<sup>1</sup>.

მორწყვის ხელოვნება განვითარების მაღალ საფეხურზე იდგა ძველ საქართველოში<sup>2</sup>. თანამედროვე დამკვირვებელთა გაკვირვებას იწვევს დღემდე დაცული ნაშთები X—XII ს.ს. გაყვანილი არხებისა და თიხის მილებით გაკეთებული წყალსადენებისა, რომლებიც ხშირად გრძელ მანძილზე არიან გადაჭიმული. თამარ მეფის მიერ ბოძებული ერთი სიგელიდანა ჩანს, რომ ირიგაცია, წყალსადენის გაყვანა, ცოდნის სპეციალურ დარგად იყო უკვე გამოყოფილი. სახელდობრ, შიო მღვიმის მონასტერი ახლად შექმნილ ყმათა ორ კოშკს ავალდებულებს, რათა „თუთითი შვილი მათი ქუქანაკად [დაახლ. ჰიდრაულიკოსად — პ. გ.] გაისწავლებოდის“<sup>3</sup>.

ცნობილია ის მუშაობა, რაც ქართლში, XVIII საუკ. დასაწყისს, ჩაატარა ვახტანგ VI მოშლილი არხების განახლებისათვის. ვახუშტი ბატონი-შვილი დიდის ყურადღებით აღნიშნავდა საქართველოში არსებულ არხებს და მათს ეკონომიურ მნიშვნელობას; იგი წერდა: „...ხოლო მდინარის იორის კიდე იმიერი და ამიერი არს ფრიად ნაყოფიერი, ვინადგან აღმოვლენან რუნი, და ირწყვიან ველნი, და სცენდებიან ყოველნი მარცვალნი“<sup>4</sup>; „ხუნანის ველსა შინა არა იყო ნაყოფი უწყლობით. ჟდ მეფემან ვახტანგ გაიტანა რუ ქციისა ნახიდურის ბოლოდამ და აღაშენა დაბნები და ნაყოფიერებს ფრიად“<sup>5</sup>; ანდა კიდევ: თბილისის „სამხრით არის ველი საბურთალისა. ამას შინა ყოფილა რუ ვერიდამ მოტანილი და აწ უმისოდ უნაყოფო არს“...<sup>6</sup>; „ამ რუისის მთის სამხრეთის მინდორი ნიქოზამდე და ლიახვით დვანის-წყალამდე ირწყვის ორის ლიახვის რუთი, თამარ მეფის ქმნულითა, და ნაყოფიერებენ დაბნები ყოვლითავე მრავალნი. ხოლო სალთვისის რუ განაახლა ჟ მეფემან ვახტანგ [V], არამედ აწ უქმი იყო. ხოლო რუისი არს უწყლო, თვინიერ წყაროსა ერთისა, რომელი არს ეკლესიისა თანა — არამედ სცხორებენ მით რუთი, და ირწყვის მინდორი ურბნისამდე“<sup>7</sup> ამითვე“<sup>8</sup>.

XVIII საუკუნის მიწურულის შემოსევებსა და თარეშებს და შემდეგ, XIX საუკუნის დამდეგიდან ამიერკავკასიის დასაპყრობად რუსეთის ცარიზმის მიერ წარმოებულ ომებს შედეგად მოჰყვა აქ ირიგაციის სისტემის მოშლა. მაგალითად, ქართლში წინანდელი სარწყავი არხების მოშლასა და ამ მიზეზით

<sup>1</sup> АСКАК, XII, 1320.

<sup>2</sup> ი. ანთაძე, წყლის მფლობელობა და სარწყავი წყალი საქართველოში... 131—151; ა. მამულაიშვილი, გრემის სარწყავი არხი (სსმგ, XI 6, 1941) 173—181.

<sup>3</sup> „შიო მღვიმის სამი სიგელი“, ს. ქაკაბაძის პუბლიკაცია, 9.

<sup>4</sup> ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, 1941 თბ., 89.

<sup>5</sup> იქვე, 45—46.

<sup>6</sup> იქვე, 54.

<sup>7</sup> ურბნისის რუს გამოდებისათვის იხ. ვახტანგ VI, დასტურლამალი, პ. უმიკა-შვილის რედაქციით, 1888 ტფ. 67, 83.

<sup>8</sup> ვახუშტი, I. c., 78—79, აგრეთვე 37, 51, 63, 73, 81; ვახტანგ VI, დასტურ-ლამალი, 103.





ველებს ვატიალეზას აღნიშნავდა „გუთნის დედის“ ფელეტონისტი: მეტივენი ბული სარწყავი ადგილი ქართლისა ირწყვის დიდი და პატარა ლიხვებით, მეტადრე კიდევ პატარა ლიხვით, და ასე ხალხმოსხმული ადგილიც არ არის საქართველოში... ძველი ნარუალები, რომელთაგანაც ახლა დარჩენილან ნაღაგაგები, ამტკიცებენ, რომ წყლებიც მეტი ყოფილან მაშინა და ხალხიც უფრო დასახლებულნი და მრავალნი ქართლის ვაკესა, გვერდის ძირსა და დიდი ლიხვის გაღმა მხარესა. მაგალითად, ორი დიდი ნარუალია დღეს გაუქმებული: ერთი დიდის ლიხვიდამ გაყვანილი, რომელიც მიდის სამაჩაბლოს თავიდამ მთის ძირობაზედ, გადის თიხრეგებისაკენ და უფლის თავს წუხარს, ტბეთებს და ამათ წინ დაცემულს, დღეს ურწყავ ადგილებს, ვიდრე ბრეთამდის და საღირბომდის და, როგორც ვამიგონია, ეს რუ ყოფილა გაყვანილი ღირბის ბოლოსა, წვერისა და ლოლეთის თავში და ჰრწყავდა ამ მინდვრებს ვიდრე ფრანგსა და მტკვარამდის. ახლა ეს ამოდენა ადგილები არის ურწყავი და ყოველს გვალვიანს წელიწადს ხალხი რჩება მშვიერი. მეორე ნარუალი არის გაყვანილი პატარა ლიხვიდამ დმერისისა და ვანათის თავიდამ გვერდის ძირობაზედ, წამოყვანილი კულბითსა და ფლავისმანისაკენ, გასული ზემო არცევისა, აძვისა, მეჯვრისხევისა, კირბილისა და ბერშეეთის თავში და გაყვანილი ხურვალეთს ტირიფანებში. აქედამ ეს რუ რწყამდა მთელს მოხსენებულს სოფლების ვაკეებს და იმ საშინელს დიდს მინდორს, რომელსაც ეძახიან ტირიფონას და რომელსაც დღეს ზოგჯერ წყალიც არა აქვს, რომ საქონელმა დალიოს“<sup>1</sup>. ფელეტონისტი აღნიშნული აქვს სხვა მაგალითებიც ძველი სარწყავი სისტემის მოშლისა XIX საუკუნის პირველს ნახევარში.

ცარიზმის მიერ ამიერკავკასიის დაპყრობითი ომების დროს და შემდეგაც, კარგა ხნის განმავლობაში, ადგილობრივი ადმინისტრაციისათვის გაუგებარი იყო აქ არსებული სარწყავი არხების სისტემა, მათი მოვლისა და ექსპლოატაციის წესი. ასე რომ, პირველ ხანებში, ცარიზმი აქ არამცთუ ხელს არ უწყობდა ახალი არხების გაყვანას, არამედ სწორედ ამ ხანებში მოიშალა და სავესებით უფარვისი შეიქმნა ზოგიერთი მნიშვნელოვანი საირიგაციო ნაგებობა. კიდევ ერთი მაგალითი. ბაქოს გუბერნიის ჯევათის მაზრაში, ირანელთა ბატონობის უკანასკნელ ხანებში, ადგილობრივ მკვიდრთაგან მდ. მტკვრის ნაპირას (ყარაჩაის საფოსტო სადგურის მახლობლად) მოწყობილი იყო დიდი წყალსაცავი, რომლის მეოხებითაც „ყველა ახლობელი მიწა იძლეოდა ხორბლის ფრიად კარგ მოსავალს“.

ირანის ხელისუფალთაგან აღმ. ამიერკავკასიაში დანიშნული ხანები „არა მხოლოდ მეთვალყურეობდნენ წყლით სარგებლობისა და განაწილების სისწორეს და არხების დაცვას, არამედ იმათ გაჰყავდათ ახალი არხებიც და ეწეოდნენ ძველთა შეკეთებას, რისთვისაც ახდენდნენ მცხოვრებთა მობილიზაციას და ამ შრომას აძლეოდნენ სახალხო დღესასწაულის ხასიათს. ეს ჩვეულება ამჟამადაც, დაცულია მცირე აზიის სახანოებშიო“, წერდა 1883 წ. ფონ-ვაისენჰოფი<sup>2</sup>.

<sup>1</sup> გაზ. „გუთნის-დედა“, 1873 წ. № 5, გვ. 4—6.

<sup>2</sup> CKOCX, VI, 135.

ცარიზმის მიერ ამ ქვეყნის დაპყრობის შემდეგ შემოსხენებულ, წყალსაცავი უწყვე არ სარგებლობდა წინანდელი მზრუნველობით; ახალი მთავრობე არ შექმნიდა და მით უმეტეს არ აიძულებდა მოსახლეობას დაეცვა და სისტემატური მეთვალყურეობა გაეწია ამ საირიგაციო ნაგებობისათვის, რის გამოც იგი თანდათან ფუჭდება... ხოლო ბოლოს... გადაქცეულ იქნა ხაზინის საშემოსავლო სტატიად და როგორც ასეთი საჯარო ვაჭრობით გაიციმოდა კერძო პირზე იჯარით. მეიჯარე, რომელიც წყალსაცავს მხოლოდ გარკვეული ვადით იღებდა „მხოლოდ ერთ მიზანს ისახავდა — რაც შეიძლება მალე გამდიდრებულიყო საიჯარო წყალსაცავიდან წყლით სარგებლობისათვის (გლეხებისაგან) მოსავლის ნაწილის აკრეფით და სათანადო ყურადღებას არ აქცევდა არც თვით წყალსაცავსა და არც მისგან გაყვანილ რუებს, და, მხოლოდ იმას ცდილობდა, რათა ეს ნაგებობანი სავსებით არ მოშლილიყო საიჯარო ვადის გასვლამდე“. ასეთ პირობებში, როგორც ალი ფინი წერდა, წყალსაცავი და რუები სავსებით გაფუჭდნენ და „ამჟამად (1880-იან წლებში) წყალსაცავის ადგილი გადაქცეულია ნაწილობრივ საძოვრად, ნაწილობრივ სახნავად, ღოღო მოსახლერე, ოდესღაც ნაყოფიერი მიწები, რომლებიც თვით მდინარის ადიდებით არ ირწყვებიან, გადაიქცნენ უნაყოფო უდაბნოებად“<sup>1</sup>.

ცნობილია, რომ ცარიზმის ადგილობრივი ხელისუფლება იმთავითვე დიდის გულმოდგინებით ცდილობდა გამოენახა აქ სახაზინო (ე. ი. ნამდვილად თვით ღორმუცელა მოხელეთა!) შემოსავლის წყაროები. ამ მიზნით ბევრადნენ საერთოდ შემოსავლისა და მეურნეობრივი თაოსნობისათვის ყოველ აშუცილებელ ფაქტორს და, ამათს შორის, სარწყავი არხებით სარგებლობასაც.

ჯერ კიდევ 1808 წელს განჯელი სომხები ასტრახანის საფოსტო-საბაჟოს<sup>2</sup> დირექტორ ივან ოვისათვის მირთმეულ არხაში, სხვათა შორის, ჩიოდნენ, რომ „ჯევათ-ხანის დროს პურეული გამოსაღები მიჰქონდათ იმდენი, რამდენიც ხანს უნდოდა, განუსაზღვრელი რაოდენობით; მაგრამ პ. ციციანოვმა ეს გამოსაღები მოსპო და ბრძანა ყველას ეთესა პური, რათა ქალაქს იგი უხვად ჰქონოდა. ახლა კი, 1808 წ., კომენდანტმა იაკიმოვმა განაახლა ამ გამოსაღების გადახდევინება და იჯარით გასცა სარწყავი არხებიც-კი, რითაც ჩვენ ჯევათხანის დროს უსასყიდლოდ ვსარგებლობდით ბაღებისა და პურის ყანების მოსარწყავადო“<sup>3</sup>. სარწყავი არხები იჯარით გაიციმოდა აღმ. ამიერკავკასიის სხვა მაზრებშიაც, სადაც ეს არხები, ცხადია, ამის გამო კიდევ უფრო ჩქარა ფუჭდებოდნენ.

მდ. არაქსის ქვემოთა წელის სარწყავი ველების შესწავლის საფუძველზე ს. ზავაროვი 1898 წ. წერდა: „საკვირველია, რომ XIX ს. 30-იანი წლებიდან, მიუხედავად მოსახლეობის სამჯერ გადიდებისა, თითქმის არც ერთი მეტად თუ ნაკლებად მნიშვნელოვანი არხი არ გაყვანილა ერევნის გუბერნიაში. სარწყავი მოედნის გაფართოებისათვის მოსახლეობა ისაზღვრება მხოლოდ ძველი-

<sup>1</sup> МИЭБГКЭК, VII, 305.

<sup>2</sup> ამ მხრივ ამიერკავკასია მაშინ ასტრახანის საოლქო კანტორას ექვემდებარებოდა.

<sup>3</sup> АСКАК, IV, № 692, стр. 489.



დანვე არსებული არხების გაფართოებითა და გაღრმავებით... სარწყავი მოწყობის არ იზრდება უმთავრესად იმის გამო, რომ არ არსებობს ორგანო, რომელიც მოწოდებული იყოს და რომელსაც შეეძლოს მოცემული რაიონის მორწყვით დაინტერესებული მოსახლეობის ამ მიზნით შეკავშირება და წამოწყების განხორციელება“<sup>1</sup>. ჯერ კიდევ 1870-იანი წლებიდან ადგილობრივი წრეები აშკარად ბრალს სდებდნენ ცარიზმის ადმინისტრაციას — მორწყვის სისტემის მოშლისათვის. იმავე გუბერნიაში ძველი საირიგაციო სისტემის შესწავლის შედეგად ინჟ. ჰიდრაულიკოსი ტარლოვსკი წერდა (1902 წ.): „მდ. აჯიჩაის ბასეინში, არაქსის მარჯვენა ნაპირას, სადაც ოდესღაც იყო ქალაქი ერვანდაკერტი, რომელსაც მოსე ხორენელის აღწერით ამშვენებდა ბაღები, ყვავილნარები და გარს ერტყა დამუშავებული მიწები, ამჟამად იმყოფება სახაზინო ტიალი მიწდორი კარაკალა, საგსე თავისი მორიყლებით“<sup>2</sup>.

პროფ. ს. ეგი აზაროვი ცდილობდა ცარიზმის გამართლებას: „საირიგაციო ნაგებობის დაცემა არ შეიძლება ავსნათ მთავრობის გულგრილობით. მიმდინარე [XIX] საუკუნის პირველ მეოთხედში ქვეყანა კიდევ არ იყო დამუშავებული; ცალკე სახანოებში კიდევ გრძელდებოდა ომები ქრისტიანთა განსათავისუფლებლად“ და სხვა პოლიტიკური მოვლენები მთავრობას ხელს უშლიდა ყურადღება მიექცია მორწყვის სისტემისათვის<sup>3</sup>. რამდენიმედ უფრო თვალთმაქცური იყო ამ მხრივ პოზიცია მ. პსარევისა, რომელიც აქ საირიგაციო ნაგებობათა მოშლის მიზეზების შესახებ წერდა: „რუსეთის მთავრობას, რომელმაც მოსახლეობას აჩუქა გარკვეული უფლებები და დამოუკიდებლობა, არ შეეძლო ესარგებლა ირანის ხელისუფლების დროს არსებული მაძულებელ ზომებით, რაც არ შეეფერება ჰუმანურ მიზნებს ჩვენი კანონმდებლობისა, და წყლის განაწილება მორწყვის რაიონებში მიენდო თვით მოსახლეობას, როგორც ამ საქმეში უშუალოდ დაინტერესებულს... ადგილობრივმა მოსახლეობამ კი, — არ იყო რა მიჩვეული დამოუკიდებელ საზოგადოებრივ ცხოვრებას, — ვერ შესძლო შეენარჩუნებინა წინანდელი სისტემა წყლით სარგებლობისა, და, ამგვარად, ირიგაცია თანდათანობით ეცემოდა“<sup>4</sup>. გამოდის რომ მ. პსარევი სარწყავ ნაგებობათა მოშლას აბრალებს ადგილობრივ მოსახლეობას, რომელსაც ძველი დროიდანვე შეუქმნია თავის ქვეყანაში ირიგაციის იმ დროისათვის რთული სისტემა და ამ სისტემაზე დამყარებული მიწათმოქმედება.

თუმცა თვით მ. პსარევის მსჯელობიდანაც აშკარად ჩანს ცარიზმის როლი ირიგაციის დაცემაში, რაც 1880-იან წლებამდეც გრძელდებოდა: „წყლით სარგებლობის მონაწილეთა შორის დაიწყო მრავალრიცხოვანი ბოროტმოქმედება ცალკე, უფრო გავლენიან პირთა მხრივ, რომლებიც თავიანთი პირადი სარგებლობისათვის მიმართავდნენ სხვადასხვა ხერხებს წყლის განაწილების არსებული წესრიგის დასარღვევად. წყლის განაწილებისათვის მეთვალყურეობის

<sup>1</sup> С. Заваров, Опыт исследования сель.-хоз.. Эриванской губ..., 1899, Т., 317.

<sup>2</sup> ТМКСХП, LI, 644.

<sup>3</sup> С. Егиазаров, Исследов. по истории учреждений в Закавказье, I, 236.

<sup>4</sup> М. Псарев, I, с., 7.

გასაწევად მოსახლეობის მიერ არჩეული მერაბები იწყებენ ზოროტად გამოყენებას თავიანთი უფლებისა, მათ ეს თანამდებობა გადააქციეს ფრიად ფარდობა და მტაცებლური გამდიდრების საშუალებად. არა ჰქონდათ რა თვით ელემენტური ცოდნა ირიგაციის ტექნიკაში, არჩეულ მერაბებს არ შეეძლოთ მოსახლეობისათვის არავითარი სასარგებლო მითითების მიცემა — ახალი არხების გაყვანისა ან ძველის შეკეთების შემთხვევებში. ზოგიერთ რაიონში გაჰქრა თვით მერაბის თანამდებობაც, რის გამოც უთვალავმა დავამ და შეჯახებამ მოსახლეობაში წყლისათვის ... გამოიწვია ჩარევა ადგილობრივი პოლიციისა, რომელსაც უმეტესწილად არავითარი წარმოდგენა არა აქვს ირიგაციის საკითხებში“. ამგვარ გაუგებრობათა შედეგად კი დაზარალდა სარწყავი არხების ქსელი და „მრავალმა თემმა საერთო არხიდან გაიყვანა თავისთვის პატარა არხი“. შემდეგ მთავარი არხისათვის თითქმის არავინ ზრუნავდა და ეს უკანასკნელი ადრე თუ გვიან იშლებოდა<sup>1</sup>.

მაგრამ დროთა მსვლელობაში აუცილებელია არამცთუ არსებული საირიგაციო სისტემის დაცვა, არამედ მოსახლეობის გამრავლებისა და, მაშასადამე, მიწათმოქმედების სივრცის გაფართოების შესაბამისად, მისი შემდგომი გაუმჯობესება და გადიდება; სხვარივად, ქვეყანაში, სადაც მიწათმოქმედება დამყარებულია მორწყვაზე, არ შეიძლება არ დაეცეს მოსავლიანობა და საერთოდ მიწათმოქმედების რენტაბელობა. ამის ნათელ საილუსტრაცია მასალას იძლევა, მაგალითად, განჯის გუბერნია, სადაც:

	1883 წ.		1899 წ.
დაითესა მარცვლეული	312.852,0	ჩეტვერტი	726.402,0 ჩეტვერტი
აღებულ იქნა მოსავალი	1.982.083,0	„	2.817.886,0 „
1 კვ. ვერსზე დაითესა	8,1	„	28,7 „
„ „ აღებულ იქნა მოსავალი	51,9	„	73,5 „

ამგვარად, 1883 წელთან შედარებით 1899 წელს 1 კვ. ვერსზე დათესილი მარცვლეულის რაოდენობამ 350 პროცენტს მიაღწია, ხოლო აღებული მოსავლის რაოდენობამ კი მხოლოდ 142 პროცენტს. ი. სეგალი სამართლიანად აღნიშნავდა, რომ მოსავლიანობის ასე დაცემის მთავარი მიზეზი იყო არა იმდენად მიწათმოქმედების იარაღების პრიმიტიულობა და ნიადაგის გამოფიტვა, რამდენადაც სარწყავი წყლის არასაკმარისობა, ე. ი. საერთოდ ირიგაციის ჩამორჩენილობა<sup>2</sup>.

## II

როგორც, მაგალითად, ინგლისმა ინდოეთში<sup>3</sup>, ისე ცარიზმმა ამიერკავკასიაში ძლიერ დაგვიანებით მიაქცია ყურადღება მორწყვის საქმეს. ცარიზმის ხელისუფლებამ ამიერკავკასიის წყლებს უწინარეს ყოვლისა ყურადღება მიაპყრო,

<sup>1</sup> СМЭБГК, V, I, 7.

<sup>2</sup> И. Сегаль, Сборн. сведений о Елизаветпольской губ., Т. 1902, I, 41—42. იხ. აგრ. ინჟ. პილცოვის სტატიები: КСХ, 1903 г. № 472, стр. 938; № 472, стр. 982

<sup>3</sup> კ. მარქსი, კაპიტალი, I, 460.



როგორც მიმოსვლის საშუალებას — რაც ესოდენ საგრძნობი და აუცილებელი იყო სამხედრო თვალსაზრისით და სავსებით ჩვეულებრივიც თვით ცნობარების გამოცდილებით რუსეთში, სადაც მდინარეები მსახურებდნენ არა სარწყავ, არამედ მიმოსვლის საშუალებად.

ირიგაციის თვალსაზრისით ცარიზმის ხელისუფლების პირველი ღონისძიება გამოიხატა იმაში, რომ 1833 წელს დაარსებულ „სოფლის და მანუფაქტურული მრეწველობისა და ვაჭრობის წამქეზებელი თბილისის საზოგადოების“ ერთ-ერთ ამოცანად დასახულ იქნა „აღდგენა და გამრავლება სარწყავი არხებისა, რაც ესოდენ აუცილებელია ამიერკავკასიისათვის“<sup>1</sup>; შემდეგ 1837, 1840, 1847, 1849 წ. წ. დაწყებულ იქნა მუშაობა აქ არსებულ ძველ საირიგაციო ნაგებობათა გაცნობისა და საერთოდ მორწყვის სისტემის ტექნიკურ და სოციალ-ეკონომიურ მხარეთა შესწავლისა და მოწესრიგებისათვის. მაგალითად, 1847 წელს შედგენილ იქნა პროექტები ძველი არხების განახლებისა და ახალთა გაყვანის შესახებ<sup>2</sup>; თუმცა ამ ღონისძიებათ რამდენადმე რეალური შედეგები არ მოჰყოლია და 1880-იან წლებში კი თვით ეს პროექტებიც (12 არხის გაყვანისა, თუ განახლების შესახებ) უკვე დაკარგული იყო კანცელარიათა არქივებში<sup>3</sup>. მართალია, ზოგიერთი პროექტის მიხედვით 1850-იან წლებში დაიწყო მუშაობა, მაგრამ მალე აღმოჩნდა, რომ ეს პროექტები ტექნიკურად არ ყოფილა სათანადოდ დამუშავებული, რის გამოც ადგილობრივი მოსახლეობისა და ხაზინის მნიშვნელოვანი ხარჯით აღდგენილი და ახლადგაყვანილი არხები (მაგალითად, იორის, გეოგჩაის, სარდარაბადისა და სხვ.) მალე კვლავ გაფუჭდნენ, ანდა საერთოდ მხოლოდ უმნიშვნელო ზომით ამართლებდნენ თავდაპირველად დასახულ მიზნებს.

თვით ინჟ. ჰიდრავლიკოსი მ. პსარგევი იძულებული იყო (1888 წ.) ელიარებინა, რომ „ამიერკავკასიაში არხების გაყვანისათვის ადმინისტრაციის მიერ წამოწყებულმა ვერც ერთმა მუშაობამ, რაც უმეტესად 1860-იანი წლების დასაწყისამდე გრძელდებოდა... ვერ მიიღწია ვერავითარ სასარგებლო შედეგს, მიუხედავად დიდძალი ხარჯების გაწევისა“<sup>4</sup>. ვ. დინგელშტედი, ამიერკავკასიის ირიგაციის ცნობილი სპეციალისტი, ცარიზმის ადმინისტრაციის იმდროინდელ ღონისძიებათა ჩაფუშვის მიზეზად ასახელებდა იმ გარემოებას, რომ აქ „საინჟინერო ხელოვნების ყველაზე მძიმე სამუშაოებს უყურებდნენ, როგორც იოლსა და მარტივ საქმეს, რომლის შესრულება შეიძლება მიენდოს რომელიმე პრაპორჩიკ-ტოპოგრაფს, ან მაზრის უფროსს და, ბოლოს, ირანელ უბრალო ოსტატს“<sup>5</sup>.

საერთოდ 1840—1850-იან წლებში ირიგაციის საქმეებს აქ განაგებდა ჯერ ნამესტნიკი, ხოლო შემდეგ სახელმწიფო ქონებათა ექსპედიცია, რომელთა მოღვაწეობა გამოიხატებოდა უმთავრესად ძველი ირიგაციის სისტემის ერთგვარ

<sup>1</sup> П. Гугушвили, Сельское хозяйство и аграрные отношения, 1938, I, 143.

<sup>2</sup> ЗКОИРТО, XIV, 65—68; СВРЭК, XI, 104.

<sup>3</sup> СМЭБГК, V, I, 10—11; СКОСХ, VI, 137, 225.

<sup>4</sup> СМЭБГК, V, I, 14; СКОСХ, VI, 218.

<sup>5</sup> ЗКОИРТО, XIV, 78.

შესწავლა-გაცნობასა და, იშვიათად კიდევ, აღდგენასა და გადაკეთებაში<sup>1</sup>, რაც ხშირად მოშლასა და გაფუჭებასაც უდრიდა. დადებითი შედეგი არ მოჰყოლია არც 1851 წელს ამ მხრივ პ. კ. უსლარის მიერ ჩატარებულ მუშაობას, სახელდობრ მდ. არაქსისა და მისი მიდამოების გამოკვლევას — მორწყვის პირობათა შესწავლის მიზნით რომ იქნა შესრულებული<sup>2</sup>.

ამასობაში წყლით სარგებლობის საქმე სულ უფრო მწვავედებოდა. ცალკე თემებსა და სოფლებსა და მემამულეებს შორის მიმდინარეობდა დაუსრულებელი დავაქრობა წყლით სარგებლობის საკითხებზე.

აღათობრივი სამართლით, განსაკუთრებით აღმ. ამიერკავკასიაში, საერთოდ შემოუფარგვლელ მიწას, წყალს, ტყეს, საბალახოს უყურებდნენ როგორც „სამეფოს“, „სახელმწიფოს“, „ღვთის მიერ მოცემულს“, საყოველთაო სარგებლობისათვის დანიშნულს. ვახტანგ VI კანონიც აცხადებდა: „ქვეყანაზე ეს სამი არ დაეკირების კაცსა და ხელმწიფის არის: წყალი, შეშა და ბალახი“ (§ 169). მაგრამ ცალკე კომლის (პიროვნების) მიერ გათხრილი ჭა, გაყვანილი წყარო, მდინარის ბუნებრივი კალაპოტიდგან გამოყვანილი სარწყავი არხი შეიძლებოდა გამხდარიყო ობიექტი კერძო საკუთრებისა. მაგალითად, განჯის მაზრაში, როგორც აბელოვი ვადმოგვცემს, ქიაპრიზის<sup>3</sup> წყალი ჭების გამთხრელის სრულ საკუთრებას შეადგენდა. აქ ქიაპრიზების მფლობელნი თითქმის მემკვიდრეობითი უფლებით ეწეოდნენ ექსპლოატაციას, ჯერ ერთი, საზოგადო მიწის წიაღისა და, მეორედ, მისი ზედაპირის ერთი ნაწილისაც, რომელიც ირწყვოდა ქიაპრიზების წყლით, რის გამოც თემი ჰკარგავდა შესაძლებლობას თავისუფლად განეგო მის ნაღელში მოქცეული მიწა და წყალი, როგორც საზოგადო სიკეთე<sup>4</sup>. ქიაპრიზები კერძო პირთ ეკუთვნოდათ განჯის გუბერნიის ჯევანშირის მაზრაშიაც, როგორც ეს აღწერილი აქვს ხან-აგოვს<sup>5</sup>. ამგვარ საირიგაციო ნაგებობათ აკეთებდნენ აგრეთვე ნახჩევანისა და შუშის მაზრებშიაც, სადაც, მაგალითად, მემამულე ახმედ-ბეგ ჯევანშირს 1880-იან წლებში ჰქონია დიდი ქიაპრიზები<sup>6</sup>. ქიაპრიზების წყლით ქ. თბილისშიაც რწყავდნენ ბაღებს<sup>7</sup>.

ამიერკავკასიაში, ირანის ყოფილ სახანოებში, უფლება წყლის სარგებლობისა ჩრდილავდა უფლებას მიწათმფლობელობისას. წყალი ყოველგვარი მფლობელის მიწაზე უნდა ყოფილიყო გაშვებული<sup>8</sup>. ქართული ადათითაც „თუ აუცილებლობამ მოითხოვა, წყალი შეიძლება თვით ეკლესიაზე

<sup>1</sup> СВРЭК, XI, 104.

<sup>2</sup> П. Услар, Взгляд на Эриванск. губ. в гидрографическом отношении... (ЗКОИРГО, 1852, I, 18—32).

<sup>3</sup> ქიაპრიზი — საირიგაციო ნაგებობაა, მთის ფერდობზე, საერთოდ დაქანებულ ადგილას ამოთხრილი ჭების სახით. ჭების ძირი შეერთებულია მიწისქვეშა გალერეით, რის გამოც ყველა ასეთი ჭიდან წყალი ერთი ხერხლით (მილით) გამოდის და რწყავს დაქანების ქვემოთა მიწის ფართობს.


<sup>4</sup> В. Дингельштедт, Водовлаждение и ирригация, I, 162; МИЭБГКЗК, VII, 50.

<sup>5</sup> МИЭБГКЗК, VI, I, 362.

<sup>6</sup> СКОСХ, VI, 107—111; М. Псарев, I, с., 37.

<sup>7</sup> С. Вейсенгоф, I, с., 154.

<sup>8</sup> В. Дингельштедт, I, с., I, 163; газ. „Кавказ“, 1881 г., №№ 109, 128—129; С. Егиазаров, I, с., I, 249.



იქნას გამოყვანილი“<sup>1</sup>. დაახლოებით ასეთივე აზრს ატარებდა ვახტანგ VI კოდექსი: „წყალი ასრე რომე, როცა ხელმწიფე რუს გატანას მოინდობებს, სადაც ეპრიანების რუსთავს ვერაფინ დაუშლის, სადაც რუს მოიხდენს ვენახში თუ ხოდაბუნში, რაც დახვედეს გასჭრის და გაატარებსო“<sup>2</sup>. მაგრამ არამცთუ მეფეს, არამედ ყველა სხვასაც (მემამულეს, სოფელს) შეეძლო თავისუფლად გაეყვანა სარწყავი არხი, ოღონდ „რუს გამოღებაში, რომ შუაში სხვის მამული ედოს, იმ შუას მამულის პატრონს [თუ] არა გაუკეთდება რა, ფასი უნდა მისცესო“; ე. ი. ასეთს შემთხვევაში მიწის პატრონს სასყიდელს უზნის არხის გამყვანი. მაგრამ თუ ამ არხის გაყვანით იმ მამულსაც სარგებლობა შეუძლია ნახოს, მაშინ არხის გამყვანი და „შუას მამულის პატრონი“ ერთმანეთში უნდა „კარგად მორიგდნენო“<sup>3</sup>.

საერთოდ ძველი, ადათობრივი თუ დაწერილი სამართლის ძირითადი აზრი ის იყო, რომ უწყლოდ მიწის დატოვება დაუშვებლად ითვლებოდა, თუ კი წყლის (არხის) გამოყვანა ტექნიკურად და ეკონომიურად შესაძლებელი იქნებოდა. ამიტომაც, როდესაც სარწყავი არხი (რუ) კერძო საკუთრება იყო, მაშასადამე, კერძო მიწას რწყავდა, იგი ამ მიწასთან ან მის ნაწილთან გაიყიდებოდა. ვახტანგის კანონების 114 §-ში ნათქვამია: „სარწყავ წყალს, როგორც მამულს გაიყოფენ ძმანი, ისე წყალი იმდენ ნაკადათ გაიყოფისო“. ანდა კიდევ, 1477 წ. ვაცემულს, მამულის ნასყიდობის წიგნში ნათქვამია: „მოგყიდეთ ჩვენი მკვიდრი მამული კრწანის ვენახი... მისითა წყლითა, რა გუარადაცა ამას წინად ჰქონებიაო“<sup>4</sup>. 1713 წ. ნასყიდობის სიგელითაც მემამულე მიწას ჰყიდის „თავისის წყლითა, რაც მოუნდებოდეს“<sup>5</sup>.

თავისთავად ცხადია, რომ ასეთს პირობებში შესაძლებელი იქნებოდა მიწის უწყლოდაც გაყიდვა. 1727 წ. ვაცემულს მიწის ნასყიდობის წიგნში ნათქვამია: მოგყიდეთ ვენახი ხოვლეს „უწყლოთ მოგყიდეთ, შენის წყლით უნდა მორწყვიდე“<sup>6</sup>: რაც შეეხება საერთო, სათემო არხებს ამათი უზენაესი განმკარგულელებელი მეფე იყო: „რომელ სოფელსაც მეფე უბრძანებს და დაჩემებს რუს, იმ წყალს ერთი მეორეს ვერ შეეცილებისო“<sup>7</sup> — აცხადებს ვახტანგ VI. საერთო რუს გაყვანა, დაცვა, შეკეთება თემის, თუ კერძო პირთა ამხანაგობის საერთო ძალებითვე წარმოებდა<sup>8</sup>, ხოლო მემამულე (თავადი, აზნაური, ხანი, ბეგი, მელიქი, სულთანი, ალაღარი) ვალდებული იყო, თუ აუცილებლობა მოითხოვდა, მათთვის არხის გასაყვანად მიწა დაეთმო.

<sup>1</sup> Газ. „Юридическое Обозрение“, 1883 г., №№ 137, 138.

<sup>2</sup> „Сборник Законов ц. Вахтанга VI“, დ. ბაქრაძის რედაქციით, §§ 50, 170 ი. ანთაძე, I, ს., 138.

<sup>3</sup> იქვე, § 244; შეადარე ბერძნული კანონების 419 და 420 მუხლებს (იხ. იქვე, გვ. 229).

<sup>4</sup> ნ. ბერძენიშვილი, დოკუმენტები საქ. სოც. ისტორიისა, 1940, I, 3—4.

<sup>5</sup> „საქ. სიძველენი“, ე. თაყაიშვილის რედაქციით, III, № 204, გვ. 246.

<sup>6</sup> იქვე, № 290, გვ. 339.

<sup>7</sup> „Сборн. Зак. Вахтанга VI“, § 170; „საქ. სიძვ.“, III, №№ 43, 44, გვ. 35—36.

<sup>8</sup> ვახტანგ VI, დასტურლამალი, პ. უმიკაშვილის რედაქციით, 67, 87; დ. ფურცელაძე, Крестьянские грамоты, 16, 37.

მაგრამ XIX საუკუნიდან ცარიზმის ბიუროკრატის მფარველობით შექმნილი მემამულეები, არამცთუ ნებას არ აძლევდნენ თემებს (სოფლებს) გაეყვანათ არხები მათს მიწებზე, არამედ ხშირად სავსებით ითვისებდნენ მათ მიერ შეკეთებულ ძველ არხებს, რომლებიც ოდითვანვე თემის საკუთრება იყო<sup>1</sup> და, ამგვარად, დაუსრულებელი დავაქრობა წარმოებდა ამა თუ იმ არხის დაჩემებისათვის. ამ მხრივ ცნობილი იყო, მაგალითად, პროცესი თბილისის ზემოთ ძეგვისწყაროდან გაყვანილი სარწყავი წყლით სარგებლობის შესახებ. მდინარის ზემოთ ახლადგაშენებული ბაღების მოსარწყავად ძეგვისწყლის თითქმის მთელი წყალი გამოყენებული იქნა მემამულის მიერ, რითაც ქვემოთ მცხოვრებ სოფლებმა, რომლებიც დიდი ხნიდანვე სარგებლობდნენ ძეგვისწყალს სარწყავად, დაჰქარგეს მათი მიწათმოქმედური მეურნეობის ეს აუცილებელი პირობა... პროცესი იმდენად გართულდა, რომ საქმემ რამდენიმეჯერ მიალწია თვით უმართებულეს სენატამდე და დავაქრობა გრძელდებოდა სრული ორმოცი წლის განმავლობაში (1829—1869 წ.წ.)<sup>2</sup>.

ცარიზმის ხელისუფლების უყურადღებობის მეოხებით აღმ. საქართველოში ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც მდინარის ქვემო წელზე მდებარე სოფლებს წყალს ართმევდნენ ზემოთური<sup>3</sup>; არაიშვიათად მემამულენი, რომელთაც მდინარისპირა მიწები ეკუთვნოდათ, ხელს უშლიდნენ თავიანთს მიწაზე მოსარწყავი არხის (რუს) გაყვანას, ანდა კიდევ უზომო სასყიდელს სთხოვდნენ ამისათვის სოფლებსა თუ თემებს.

მდ. ქსანიდან გაყვანილი სარწყავი არხების შესახებ, რომლებიც თავ. მუხრანბატონის მამულში გადიოდნენ, ქ. ვერმიშევი 1885 წ. წერდა: „ამგვარად, მთელი ველის სასიცოცხლო ნერვი მთლიანად მემამულის ხელშია და მის უშუალო მეთვალყურეობას ემორჩილება. თუ ჩვენ მხოლოდ გავიხსენებთ, რაოდენ დიდია მეურნეობისათვის წყლის მნიშვნელობა, მაშინ აშკარად დავინახავთ მთელ ხელსაყრელობას მემამულის კარმიდამოს ამგვარი მდებარეობისა. შეიძლება ითქვას, რომ ფლობს რა ამ სასიცოცხლო კვანძს, მემამულეს მით უზრუნველყოფილი აქვს ბატონობა მთელს მიდამოში“<sup>4</sup>.

არხის პატრონები ხშირად უზომო სპეკულაციას ეწეოდნენ სარწყავი წყლით. ი. სერებრიაკოვი 1862 წ. წერდა: „ტფილისში გენერალმა ყორღანოვმა გააკეთა ორთქლის წყლის ამოსაღები მაშინა მტკვრის პირზედ და თუმცა მეტად კეთილსინდისიერად იქცევა (sic! — პ. გ.), მაგრამ მაინც ორის დღის მიწის მორწყვა რომ გინდოდეთ, წელიწადში ჯდება ორმოცი თუმანი“<sup>5</sup>. ბევრად უფრო გვიანაც, თვით 1900-იან წლებშიაც აღმ. ამიერკავკასიის სხვადასხვა კუთხეში დიდი შემოსავლის მომცემი იყო სარწყავი წყალი: არხი, მილი თუ ქიაპრიზი, რომელთაც კერძო პირებიც

<sup>1</sup> МИЭБГКЭК, III, II, 65; VI, II, 357; С. Егiazаров, I. с., I, 251—253.


<sup>2</sup> СКОСХ, VI, 153; СМЭБГК, V, I, 19; С. Егiazаров, I. с., I, 238, 257.

<sup>3</sup> МИЭБГКЭК, III, II, 61; IV, II, 205; V, I, 118.

<sup>4</sup> Х. Вермишев, Очерк хозяйства И. Баграциона-Мухранского, 317.

<sup>5</sup> გაზ. „გუთნის-დედა“, 1862 წ. № 24.





აწყობდნენ წყლით ვაჭრობის მიზნით. მაგალითად, 1911 წ. ნახჩევანში ამ მიზნით ქიაპრიზები გააკეთა მელიქ-ეინათოვმა, რომელმაც სამუშაოთა შესასრულებლად თბილისიდან წაიყვანა ჰიდრაულიკოსი<sup>1</sup>.

როგორც წყლით სპეკულაცია, ისე მემამულეთა მიერ სარწყავი არხების დაჩემება — რის ფაქტებსაც ქვემოთ დაწვრილებით შევეხებით — ძველად იშვიათად ხდებოდა. ცარიზმის მიერ დაპყრობამდე აღმ. ამიერკავკასიის სახანოები იყოფოდა ცალკეულ, შედარებით წვრილ, ადმინისტრაციულ ერთეულებად — მაჰალელებად<sup>2</sup>. სხვადასხვა პროვინციაში მაჰალს განაგებდა ნაიბი<sup>3</sup>, ბეგი, სულთანი, მინბაში ანდა მელიქი<sup>4</sup> — სახელწოდებებს შორის არსებულ განსხვავებათა მიუხედავად მათი ფუნქციები და კომპეტენცია თითქმის სავსებით ერთგვარი იყო. ამათ, მსავსად ძველი საქართველოს მოურავებისა, თავიანთს რაიონებში ეპყრათ ადმინისტრაციული და სასამართლო ხელისუფლება, თუმცა თვით თემის შინაგანი მმართველობის რიგ საკითხებში ისინი არ ერეოდნენ; ასეთი იყო მაგალითად ფინანსიური მმართველობა<sup>5</sup>.

მაჰალი, როგორც წესი, წარმოადგენდა მდინარის ხეობას, ქალას, ველს, ბასენს და წყლის უმადლესი ადმინისტრატორი აქ მერაბი (მირაბი) იყო<sup>6</sup>. ცარიზმის მთავრობამ ქვეყანა დაჰყო სულ სხვა პრინციპის მიხედვით და რამდენადმე უფრო მსხვილ ადმინისტრაციულ ერთეულებად — მაზრებად. მაგრამ მაჰალი, როგორც წყლის რაიონი მაინც დარჩა; ოღონდ ამ დროიდან იგი, ცხადია, არ ემთხვეოდა სახელმწიფოებრივად მიღებულ ადმინისტრაციულ-სამმართველო ერთეულს. ერთ მაზრაში რამდენიმე მაჰალი შედიოდა. წყლის უფროსად კვლავ მერაბი დარჩა, მაგრამ თუ წინათ მას ირიგაციის სეზონის დასაწყისში ყოველწლივ ირჩევდნენ, ამ დროიდან არჩევა უკვე სამი წლით ხდება<sup>7</sup>.

მერაბს ჰყავდა თავისი ხელქვეითი<sup>8</sup>. მერაბის პირველი ხელქვეითია ჯუგარი<sup>9</sup>, რომელსაც ნიშნავს სოფელი, თემი. ჯუგარს პოლიციური უფლებამოვალეობა აკისრია. მისი მთავარი დანიშნულებაა თვალყური ადევნოს წყლით სარგებლობის უფლების დაცვას, რათა ვინმემ ზედმეტი წყალი არ მიითვისოს, სხვისი რიგით არ ისარგებლოს და სხვ. ჯუგარი გარკვეულ ხელფასს ღებულობს. აღმ. ამიერკავკასიაში, სადაც გატარებული იყო წყლის ადმინისტრაციის ამგვარი სპეციალიზაცია, ჯუგარი სხვადასხვა მაზრაში სხვადასხვა სახელწოდებითაა ცნობილი<sup>10</sup>. მერაბი და მისი ხელქვეითი დიდი პატივისცემითა და ავტო-

<sup>1</sup> КХ, 1911 г., № 19, 13—14.

<sup>2</sup> მაჰალ, სპ. — mahall, რაიონი, უბანი.

<sup>3</sup> АСКАК, VIII, № 388.

<sup>4</sup> АСКАК, I, № 159, стр. 196.

<sup>5</sup> Вейсенгоф, I, с. 134—135; Егиазаров, I, с. 81—82.

<sup>6</sup> მერაბი (მირაბი) — სპ., თურქ. mir-ap; mir-abi — წყლის თავი, წყლის უფროსი.

<sup>7</sup> МИЭБГКЭК, II, I, 173, 452; VI, II, 89, 362; VII, 55; III, II, 52; V, I, 5.

<sup>8</sup> Вейсенгоф, I, с. 135; МИЭБГКЭК, VI, II, 362; Haxthausen, I, с. 173.

<sup>9</sup> Haxthausen, I, с. 176; Вейсенгоф, I, с. 135; Егиазаров, I, с. 100,

265—266; МИЭБГКЭК, VI, II, 89, 362; VII, 55.

<sup>10</sup> МИЭБГКЭК, II, I, 173, 452; VI, II, 88—89.

რიტეტით სარგებლობდნენ. მსხვილ მემამულეს (ბეგს) ხშირად საკუთარი მერაბი ჰყავდა, რომელიც, ცხადია, მთლიანად მემამულის ინტერესებს ემსახურებოდა. მერაბი ჩვეულებრივად ხელმძღვანელობდა მთელს მაჰალში სარწყავი წყლის განაწილებას ცალკე თემებსა თუ სოფლებს შორის, — მეთვალყურეობდა არხების (რუების) დაცვის საქმეს; მასვე ეკუთვნოდა გირდავის უფლება — ე. ი. აუცილებლობის შემთხვევაში როგვარეშე ამა თუ იმ სოფლის ნათესისათვის წყლის მიწოდების და, მაშასადამე, მაჰალში, ამ ხნის მანძილზე, ყველა სხვისათვის წყლის შეწყვეტის უფლება<sup>2</sup>.

მერაბს, გარდა ხელფასისა, ეძლეოდა ერთი ან ორი ბაში, ე. ი. მას შეეძლო საკუთარ მამულში გაეყვანა რუ, რითაც მთელი მაჰალის ე. წ. ზედმეტი სარწყავი წყალი მის საკუთრებაში გადადიოდა<sup>3</sup>. მართალია, ბოროტმოქმედების შემთხვევაში მაზრის უფროსს, გუბერნატორს, შეეძლო მერაბის დასჯა, დაჯარიმება, გადაყენება; მაგრამ მერაბი, როგორც ამბობდნენ, თვითონ იყო „მაჰალის გუბერნატორი“. მერაბის თვითნებობას ხელს უწყობდა, როგორც ის გარემოება, რომ ცარიზმის ადგილობრივ ხელისუფლებას თვით 1890 წლამდე არა ჰქონდა გარკვეული კანონმდებლობა წყლით სარგებლობის უფლების შესახებ, არც ირიგაციის საქმე გაეგებოდა და მან არც შესაბამი ადგილობრივი ადამიანებისა იცოდა. ყოველდღე ამის გამო მერაბს თითქმის უშიშრად შეეძლო წვრილი თუ მსხვილი ბოროტმოქმედება ჩაედინა. „მის ხელში ძლიერ ფარალს წარმოადგენს გირდავის დანიშვნის უფლება და «ზედმეტი» წყალი, რაც მას ეძლევა ჯილდოს სახით. ხშირად, ემყარება რა ვითომდა «უკიდურეს აუცილებლობას», იგი მაჰალის მთელ წყალს აძლევს თემებს, რომლებიც მას უხვი «საჩუქრებით» იმადლიერებენ, ანდა წამოაყენებენ და მხარს უჭერენ მის კანდიდატურას არჩევნების დროს“<sup>4</sup>.

მერაბი ამასთანავე ყოველივე ხერხით ცდილობდა სასტიკად დაესაჯა ის სოფლები, თემები, რომლებიც არჩევნების დროს მის წინააღმდეგ მისცემდნენ ხმას<sup>5</sup>. წყლით, ბაშის სახით რომ ეძლეოდა, მერაბი აშკარად ეჯერებოდა. მაგრამ მერაბს შეეძლო, და ამ შესაძლებლობით იგი ყოველ ნაბიჯზე სარგებლობდა, „ზედმეტი“ წყლის სახით აუცილებელიც მიეთვისებინა და როდესაც ზოგიერთი თემის ნათესები უწყლობით ფუჭდებოდა, მერაბი თავისუფლად ჰყიდდა ხოლმე „ზედმეტ“ წყალს იმაზე, ვინც მეტს მისცემდა<sup>6</sup>.

მერაბი წყალს აძლევდა გავლენიან მემამულეს, კულაკს, ყველას ვისგანაც რაიმე სარგებლობას მოელოდა, ანდა უხვად რწყავდა საკუთარ ყანას, რაც მას ჰქონდა სხვადასხვა თემში. სხვადასხვა თემში მერაბს ყანა ისევ ბოროტმოქმედების მეოხებით უზნდებოდა: მცირეწყლიან რაიონებში გლეხები სიამოვნებით

<sup>1</sup> МИЭБГКЭК, VI, II, 85.

<sup>2</sup> გირდავ — ს. girdav — წყლის შეწყვეტა, შეჩერება.

<sup>3</sup> МИЭБГКЭК, VI, II, 85.

<sup>4</sup> СМЭБГК, III, II, 53.

<sup>5</sup> КСХ, 1898 г. № 239, стр. 501—503.

<sup>6</sup> ს. მირზაიანიცი წერდა, რომ „ვალარშაპატში ჯუვარები წყალს ყიდნიან მდიდრებზე, ხოლო ღარიბთა ბაღები მოურწყველი რჩებაო“ (КСХ, 1895 г. № 62, стр. 1081).

თანხმდებოდნენ თავიანთი საკუთარი მიწა დაემუშავებინათ სანახევროდ იმასთან, ვინც კისრულობდა ზაფხულობით ამ ყანის მორწყვას; ასეთი ყოვლისშემძლე იყო მხოლოდ მერაბი, რომელსაც გლეხები ამ პირობით სანახევროდ აძლევდნენ ყანებს. სწორედ ამგვარად მერაბს ერთს თემში ჰქონდა ბალი, მეორეში ბოსტანი, მესამეში ბამბის პლანტაცია და მეოთხეში ბრინჯის ყანა — რამდენადაც „გლეხები ნებაყოფლობით შედიან მის მფარველობაში“, რათა უზრუნველყოფილი იქნან სარწყავი წყლით. ხოლო იმ დროს, როდესაც მერაბი, ამგვარად, მოიხმარს „ზედმეტ“ წყალს — „ტირილითა და დრტვინვით ემუდარება მას მთელი სოფელი, რათა იხსნას იგი საშინელი განადგურებისაგან“<sup>1</sup>... ამგვარად სარწყავი წყლით სპეკულაცია, მოკლე დროში გამდიდრების უბადლო საშუალებათაგანი იყო.

აღმ. საქართველოში — თბილისის გუბერნიაში — სარწყავი წყლის გამგებლობა მერუის<sup>2</sup> ან არხჩის<sup>3</sup> ხელში იყო; მეთვრამეტე საუკუნეში გვხვდება მერაბიც, რომელსაც მეფის ხელისუფლება ნიშნავდა<sup>4</sup>. ბარონ ჰაქსტჰაუზენის აღწერით (1843 წ.) აღმ. საქართველოში „ყველგან ვხვდებით არხებსა და მასზე დამყარებულ მორწყვის სისტემას; ყოველი პატარა მდინარე გამოყენებულია; სოფლები ინახავენ და უფლიან არხებს; ხშირად რამდენიმე სოფელი ერთიანდება არხთა არადიდი სისტემის საერთო ძალებით მოვლა-დაცვისათვის და მაშინ ეს სოფლები ჰქმნიან ერთგვარ ამქარს. ყოველი მისი მიწის სიდიდის მიხედვით ეწევა ტვირთს და მონაწილეობს სარფაში, ე. ი. გარკვეული საათების განმავლობაში ირწყვის მისი მიწა და სხვა. ამქარს მეთვალყურეობს არჩეული მამასახლისი ჰიდრაულიკის ნაწილში — მერუე, — რომელიც განაგებს და ზედამხედველობს არხის სამუშაოებს და წყლით სარგებლობას, მომრიგებელია დავაში და სხვ. ვინც მერუეს არ დაემორჩილება ანდა მას შეურაცხყოფას მიაყენებს, იმას თემი ახდევინებს ხარს, რომელსაც დაკლავენ და შეჭამენ. მერუე ლეზულობს მცირე შემოსავალს ბაღებიდან და სხვ.“<sup>5</sup>

აქ აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ა. ჰაქსტჰაუზენი, რომელიც ფრიად სერიოზული დამკვირვებელი იყო საზოგადოებრივი ცხოვრებისა, აცხადებს, რომ საქართველოში წყლით სარგებლობის მოწესრიგების საფუძველზე სოფლები ერთგვარ ამქარს ჰქმნიანო. ცნობის-მოყვარეობის აღმძვრელია, რომ ასეთივე ხასიათის ამქარის არსებობა თითქმის 45 წლის შემდეგაც არის აღწერილი, მაგრამ ახლა არა საქართველოში, არამედ სომხეთში — მორწყვაზე დამყარებული მებოსტნეობის მაგალითზე.

ქ. გუმბრში (ლენინაკანში) მებოსტნეები, თუ უფრო ადრიდანვე არა, 1828 წლიდან მაინც მოყოლებული, თურმე ჰქმნიდნენ ცალკე ამქარს. ამქარს ჰყავდა უსტაბაში. ეს კორპორაცია 1887 წელს აღწერა კ. ტერ-პეტროსი-


<sup>1</sup> МИЭБГКЭК, III, I, 274; С. Егнazarов, I, с., I, 263.

<sup>2</sup> Haxthausen, I, с., II, 60; Вейсенгоф, I, с., 134—135; МИЭБГКЭК, III, II, 61; V, I, 163.

<sup>3</sup> МИЭБГКЭК, III, II, 61.

<sup>4</sup> ი. ანთაძე, I, с., 142—143.

<sup>5</sup> Haxthausen, I, с., II, 58.



ანცმა<sup>1</sup>. როგორც უკანასკნელი მოგვითხრობს, უსტაბაში ადათის მიხედვით აწესრიგებდა უსტათა (ოსტატთა) შორის წამოჭრილ დავებს და, რაც მთავარია, მეთვალყურეობდა თვით მებოსტნეთა (ოსტატთა) მიერ გაყვანილი არნიდან წყლით სარგებლობის წესრიგს. ადათის მიხედვით სარწყავი წყლით ბოსტნის შორწყვა შეეძლო მხოლოდ იმ მებოსტნეს, რომელსაც ამქრის (თემის) მიერ მინიჭებული ჰქონდა მებოსტნეობის ოსტატის წოდება. ამასთანავე მებოსტნეობისათვის ხელისმოკიდება შეეძლო მხოლოდ საბოსტნე მიწის მესაკუთრეს, რომელსაც უფლება ჰქონდა იჯარითაც აეღო საბოსტნე მიწა. მაგრამ ოსტატის წოდების არამქონე მებოსტნეც (ქარგალიც) არ ჩივებდა უსაქმოდ. რამდენადაც მებოსტნეობის პროდუქტებზე დიდი მოთხოვნილება იყო ოსტატი-მებოსტნე იჯარით იღებდა მიწის დიდ ნაჭერს, რასაც ამუშავებდა დაქირავებული მუშის (ქარგლის) დახმარებით<sup>2</sup>.

მაგრამ მებოსტნე-ოსტატს მაინც არ შეეძლო სურვილისამებრ გაედიდებინა თავისი ბოსტნის ფართობი; რადგან მას, ადათის მიხედვით, მხოლოდ განსაზღვრული, ამქრის ყველა წევრისათვის თანაბარ ზომიერი რაოდენობით შეეძლო ესარგებლა სარწყავი წყლით. ამ შეზღუდვას შეძლებული მებოსტნე თავს აღწევდა იმით, რომ თავის ბოსტანში მონაწილედ შეჰყავდა (ხშირად, ალბათ, მოჩვენებით მონაწილედ!) მიწის მეორე ნაჭრის მქერელი მებოსტნე-ოსტატი და ამგვით იდიდებდა მისაღები სარწყავი წყლის რაოდენობას, რათა მოურწყველობით ბოსტანი არ გაფუჭებოდა — „რამდენადაც წყლით სარგებლობის რიგი და ხანგრძლივობა დამოკიდებული იყო მხოლოდ ამქრის წევრი მებოსტნე-ოსტატისა (პიროვნებისა) და არა მის მიერ საბოსტნედ აღებული მიწის ფართობზე“<sup>3</sup>.

ამგვარად, ორსავე შემთხვევაში საქმე გვაქვს საინტერესო მოვლენასთან — სარწყავი წყლით სარგებლობის საფუძველზე, როგორც სოფლად ისე ქალაქად, ამქრული კორპორაციის წარმოქმნისა და არსებობისა. მაგრამ სადაც არ უნდა იყოს ეს ამქარი, იგი სოფლის მეურნეობის სექტორში მოძრაობს, გლენხურ-მიწათმოქმედურ საქმიანობაზეა დამყარებული და სწორედ ამდენად გვევლინება, როგორც ერთგვარი გარდამავალი საფენური, რგოლი, თემიდან (მარკიდან) ამქრულ-ქალაქური ხელოსანთა კორპორაციისაკენ<sup>4</sup>. მოკლედ: ამიერკავკასიის ისტორიული სინამდვილიდან ზემოხსენებული ფაქტები ერთხელ კიდევ ცხადყოფენ და ამტკიცებენ ბურჟუაზიული ეკონომიური მეცნიერებისათვის იმ დღემდე სადაო და მიუღებელ დებულებას ფრ. ენგელსისა, რომელიც აცხადებს, რომ, როგორც

<sup>1</sup> К. Тер-Петросянц, Очерк сельск.-хоз. культуры в Александрополе: ТКОСХ, 1887 г. № 9—10, стр. 632—633.

<sup>2</sup> იქვე, 633.

<sup>3</sup> იქვე

<sup>4</sup> იხ. ბ. გუგუშვილი, კაპიტალიზმის წარმოშობა და განვითარება საქართველოსა და ამიერკავკასიაში, 1941 თბ., 168—169.



საქალაქო წყობილებას ისე ამქრულ ორგანიზაციასაც საფუძვლად დაედგა მუხრანის წყობილება<sup>1</sup>.

მაგრამ დაფუძრუნდეთ მერუეს. როგორც აღმ. ამიერკავკასიის სხვა გუბერნიებში, ისე თბილისის გუბერნიასაც მერუეს ჰქონდა გირდავის უფლება<sup>2</sup>. გასაგებია, რომ მერუე, მსგავსად მერაბისა, ხშირად ბოროტად სარგებლობდა თავისი ხელისუფლებით, სპეკულაციას ეწეოდა წყლით, ღებულობდა ქრთამს<sup>3</sup> და ა. შ. მაგალითად, კახეთში „მერუეების თვითნებობის მეოხებით, თუ მოხელის ბრძანებით, წყალი ყოველთვის არეულათა ხმარდება მეურნეს და ზოგი თუ მთელი წლის განმავლობაში თავის მამულს... რწყავს ბევრჯერ და ძლიერადაც, მისი მომიჯნავე — ვერც ერთხელ. ამის გამო ბევრჯერ ისიცა ხდება, რომ არამცთუ ერთმანეთს უწყვეტენ და ჰპარავენ წყალს, საქმე იქამდინ მიღწევს ხოლმე, რომ ერთმანეთს სიკვდილით აღარ ინდობენ და ბევრჯერაც დაუმტკრევეიათ მომიჯნავეებს ერთმანეთისათვის თავებრი“<sup>4</sup>.

ქვემოთ კორესპონდენტი აღნიშნავს ამგვარი ვითარების მიზეზსაც: „თუ სოფლის მოხელესთან კეთილად არა ხართ განწყობილი და ერთერთმანეთმორის რამ შუღლი გაქვთ ჩამოვარდნილი, ნუ იფიქრებთ, რომ თქვენ თქვენი ჭირნახული მორწყათ და ამით გადაარჩინოთ ძირფესვიანად ამოხმობისაგან... ბევრჯერ ისიცა ხდება, რომ, მართალია, მოხელესთან ხარ, მაგრამ მერუეებს ყოველთვის რიგიანი საუზმე, სადილი, სამხარი და ვახშამი თუ არ გაუკეთე და მამაპაპურად არ გამოათვერი, უამისოდ წყალს ვერ მიუშვებთ მამულში...“<sup>5</sup>. აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ მერუე „ძველითგანვე არსებული“ წესით ხელფასს ნატურით ღებულობდა, რაც კახეთის მეღვინეობის რაიონებში ყოველ დღიურ ვენახზე, რომელიც ირწყვოდა, ერთ ჩაფს უდრიდა. წინათ, ნატურალური ურთიერთობის ბატონობის დროს, შეიძლება ეს ერთი ჩაფი ღვინოდ იდი ხელფასი არ ყოფილიყო, მაგრამ 1880-იანი წლებიდან, როდესაც ღვინო უკვე საქსპორტო საქონლად იქცა, — მერუეს ფრიად მაღალი გასამრჯელო გამოუდიოდა. „ამ თითო ჩაფობით იმდენი უდგებათ მერუეებს“ ღვინო, რომ ამის გაყიდვით „რამდენიმე კაცის დაქირავებას შეიძლება სოფელი“<sup>6</sup>. ამასთანავე ხშირად ეს მერუეები აუცილებლად საჭიროზედ ბევრად მეტი ჰყავდა სოფელს და ამგზით მით უფრო ძვირი უჯდებოდა მორწყვა.

ოფიციალური დამკვირვებელნიც კი აღიარებენ, რომ წყლისსარგებლობის მოუწყვსრიგებლობა და „მთელი ეს მექრთამეობა და ანარქია გამოწვეულია წყლისმფლობელობაზე სპეციალური კანონის არარსებობით“<sup>7</sup>. ხოლო საერთო საიმპერიო კანონებში „ძნელია კაცმა მიაგნოს ძირითად საწყისებს საირიგაციო

<sup>1</sup> ფრ. ენგელსი, გლენთა ომი გერმანიაში, 1935 თბ., 171; Маркс и Энгельс, Сочинения, 1933, М., IV, 41—42.

<sup>2</sup> СМЭБГК, II, 421.

<sup>3</sup> МИЭБГКЗК, IV, II, 206; V, I, 23, 188.

<sup>4</sup> ნ. ველისტიხელი, წერილი კახელებისადმი: გაზ. „მეურნე“, 1889 წ. № 28, გვ. 5.

<sup>5</sup> იქვე.

<sup>6</sup> იქვე.

<sup>7</sup> СМЭБГК, II, 422—423.

უფლებათა მოწესრიგებისათვის, რამდენადაც ისინი გამოცემულია ცენტრალური გუბერნიებისათვის [რუსეთისა]“, სადაც მდინარეებს, მსახურებენ რა მხოლოდ სამომოსვლო გზების სახით, სულ სხვა ეკონომიური მნიშვნელობა ჰქონდათ, ვინემ აღმ. ამიერკავკასიაში, სადაც ყოველ მდინარეს ადგილობრივი ცხოვრებისათვის უმთავრესად მხოლოდ იმდენად ჰქონდა ფასი, რამდენადაც იგი საქრო და გამოსაყენებელი იყო ირიგაციისათვის. მდინარეთა სხვა მნიშვნელობა აქ ბუნებრივად შეორე რიგზე დგებოდა.

წყლისმფლობელობისა და წყლისთარგებლობის სფეროში რუსეთის საიმპერიო კანონმდებლობაში არსებული ხარვეზებით სარგებლობდნენ ცარიზმის ადმინისტრაციასთან შეხმატებილებული ქართველი თავადები და იჩემებდნენ სარწყავ რუებს და ხშირად მთელი მდინარის წყლით სარგებლობის უპირატესობასაც. ამ მხრივ ზოგიერთი მემამულის თვითნებობა იქამდეც კი მიდიოდა, რომ, ბატონყმობის გაუქმების შემდეგაც, ახერხებდა გლეხობის დაბეგვრას სარწყავი რუებით სარგებლობისათვის; — ანდა უწინარეს სავსებით უსპობდა მთელ რიგ თემებს სარწყავი წყლით სარგებლობის საშუალებას, რამდენადაც მდინარის ზემოთ, ამა თუ იმ საჭიროებისათვის, მოახმარდა თითქმის მთელ გამოსაყენებელ წყალს, ხოლო შემდეგ, თუ ქვემოთური სოფლები იკისრებდნენ მისთვის ბეგარის გადახდას — გაუშვებდა ხოლმე ქვემოთ წყლის ნაწილს.

1872 წ. მთელს ქართლში გვალვიანი ზაფხული იყო. დაიშვა არა მხოლოდ ურწყავი, „აგრეთვე ბევრი სარწყავი ადგილებიცა, რადგან მომეტებული წყალი დაშრა. გალმა მხარი, რომელიც ირწყვის ატენის ხეობის წყლით, ტანათი, და რომელიც არის საუკეთესო ადგილი ქართლში, დაიშვა უფრო კიდევ სხვა მიწეზით. რათგან ეს წყალი, დაიხ ბატარა ტივების საზიდათ, ამის გამო ატენის მებატონემ თავ. გრ. ერისთავმა, რომელმაც გასცა თავისი სატივო ტყე იჯარით, დამართა საგუბრები. წყალი სამი-ოთხი დღე გუბდებოდა ხეობაში, სადაც ჰყრიდნენ დაგუბებულს წყალში ტივებსა და მერმე ერთბაშად უშვებდნენ ზვავს წყალს ტივების წამოსაღებათ, რომელიც ჩამოიწმინდებოდა რამდენიმე საათის განმავლობაში და მერმე ისევე გუბდებოდა ამავე საქმისათვის. ამგვარად მთელი მხარე დარჩა უწყლოთ და მოურწყავათ იმისთანა გვალვიანს წელიწადში“<sup>1</sup>.

მდ. ტანას ქვემოთურმა სოფლებმა, ცხადია, თავის დროზე მიმართეს გორის მაზრის ადმინისტრაციასა და სასამართლო ორგანოებს, რათა თავ. ერისთავს მათთვის არ წაერთმია სარწყავი წყალი, ურომლისოდაც ამ სოფლებს განადგურება მოელოდათ. მაგრამ გავლენიანმა მემამულემ შესძლო — შესძლო წინააღმდეგ ადათობრივი სამართლისა — საქმის მოგება. თითქმის ერთი წლის შემდეგ თბილისის საოლქო სასამართლომ „ეს საქმე განიხილა აპელაციის წესით, რომელიც გადაიტანეს დაჩაგრულმა სოფლებმა, და გადასწყვიტა სასარგებლოდ სოფლებისა, რომ ერისთავს აღარ შეეძლო ტანას დაგუბება. წარმოიდგინეთ ის პირნი, რომელნიც მთელს მხარეს იმეტებენ დასაღუბათ თავის პირადის სარგებლობისათვის და ის პატიოსანი ადვოკატები, რომელნიც ყოვლის ღონისძიებით

<sup>1</sup> გაზ. „გუთნის დედა“, 1873 წ. № 5, გვ. 4—6.



ცდილობდნენ ამგვარი კაცების მოქმედების გამართლებას და ქვეყნის დასუსტებას — პათეტიურად აცხადებს ფელეტონისტი<sup>1</sup>.

თუ რა საბუთით ამართლებდა თავ. ერისთავი თავის პრეტენზიას და მოქმედებას, ვგებულობთ სიტყვებიდან მომჩივანი სოფლების ერთერთი წარმომადგენლისა, რომელიც საოლქო სასამართლოს მსაჯულთა წინაშე აცხადებდა:

„ატენის ხეობა, სადაც ჩამოდის მდინარე ტანა და რომლითაც ირწყვის მთელი მხარე, მიეცა განსვენებულს ლენერალს თავადს გიორგი ერისთავს, ახლანდელი წყლის მემკვიდრის სიმამრს, მმართველობისაგან მისთვის, რომ მას დაეცვა ამ ხეობიდან გამოსული ლეკის თარეშებიდამ ეს მხარე. ჩვენ შეგვისრულეს ეს: ლეკები აღარ გვაწუხებენ, რომლებიც უმეგათოთაც მოსპო მმართველობამ, მაგრამ ჩვენ გვირჩევნია ისევ ლეკების ხელში დავრჩენილიყავით, ისევ ლეკებს ავუკალით, ვიდრე უწყლოთ ამოწყვეტასა! ლეკს ვაქვაცობით, თოფით, იარაღით მიანიც შევიკავებდით და ვერ გვიბედადნენ ჩვენს უკანასკნელებამდის მიღწევას. მაგრამ, როგორ უნდა გაუძლოს ხორციელმა კაცმა უწყლობას! ლეკს რაც უნდა ექნა, წყალს ვერ შეგვიკრავდა. დღეს წყალს გვასალმებენ! მიიღეთ ყურადღებაში: ნუ თუ ლეკების შემოსევა უწყლობაზედ უარესი იყო? დაგვიცვეს ლეკებიდამ და დაგვაგდეს უწყლოთ“!<sup>2</sup>.

ამ სიტყვებს განმარტება არ სჭირდება. მაგრამ ისიც გამოიჩვენა, რომ თავ. ერისთავს ტანის წყლის დაგუბებისას, გარდა ტივების ჩაცურებისა, თურმე სხვა მისწრაფებაც ამოძრავებდა. გრ. ერისთავი სასამართლომდეც თანხმდებოდა წყლის გაშვებას, ოღონდ სოფლებისაგან „სანაცვალგებოდ“ გარკვეულ გადასახადს თხოულობდა ამისათვის. ამგვარად, „თურმე ერთი მიზეზთაგანი ამ წყლის დაგუბებისა ყოფილა ისა, რომ დასდონ წყლის ბეგარა იმ ხალხს, რომელნიც ხმარობენ ამ წყალს. რასაკვირველია, ამ წადილს კიდევც შეისრულებდა [მემამულე], რომ მარტო ჩვენი... სოფლები ყოფილიყვნენ ამ წყლის ამარა. მაგრამ ბედი ამ სოფლებისა, რომ აქ ჰქონდათ მამულები და ვენახები მრავალ გორელობასაც. გორელი ხალხი... არ გაება დაგებულს მახეში და მიმართეს სასამართლოს“<sup>3</sup>.

გადმოგვცემს რა ყოველივე ამას ფელეტონისტი, რომლის ვინაობა სამწუხაროდ ჩვენთვის უცნობია, — თუ იგი ანტონ ფურცელაძე არ არის, — აცხადებს: „საკვირველი ხალხია აქაური თავადაზნაურობა. რომ შესაძლებელი იყვეს და მმართველობა ნებას მისცემდეს ვგონებ ჰაერიც კი საბეგროდ გაჰხადონ და გლენკაცს გადასახადი დაადონ ამაში. მართლაცა და საკვირველი უსამართლობა სჭირთ აქაურთ გლენკაცობას, თითქმის მთელს უეზღში [გორისა] წყლის ბეგარის შესახებ. რუები, რომელიც გამოდის გლენკაცის ხელითა, რომელიც მაგრდება და ინახება გლენკაცის ჯანით, არიან საბეგრონი და გლენკაცი აძლევს ამაში გადასახადს მებატონეს და ხშირად იმ მებატონეს, რომლისაც მამულზედ თითქმის არც კი ვადის ეს რუები და რომელიც თვითონაც ჰსარგებლობს ამ რუთი გლენკაცის მარჯვენის შემწეობით“<sup>4</sup>.

<sup>1</sup> გაზ. „გუთნის დედა“, 1873, № 7, გვ. 1.

<sup>2</sup> იქვე, № 5.

<sup>3</sup> იქვე.

<sup>4</sup> გაზ. „გუთნის დედა“, 1873 წ. № 5.

როგორც ვხედავთ, მიუხედავად იმისა, რომ არც ადათობრივი საფუძვლითა, და არც ვახტანგ VI კანონით<sup>1</sup>, რომლებიც ამ მხრივ კიდევ ძალაში იყვნენ, წყლის დაბეგვრა მემამულეებს არ შეეძლოთ, უკანასკნელნი მინც ახდენინებდნენ გლეხებს ამ ბეგარას. ასეთს პირობებში საცხვებით მართებული ფელეტონისტი, რომელიც აცხადებს, რომ მემამულეებმა გორის მაზრაში მხოლოდ ძალმომრეობით მიაღწიეს სარწყავი წყლის დაბეგვრას და ისიც ბატონყმობის გაუქმების შემდეგ. ცხადია, მემამულეები ამ ძალმომრეობის დასაბუთებას ცდილობდნენ, რათა „თავის საქმის გასამართლებლად ჰქონოდათ რაიმე მიზეზი“. ხოლო „მიზეზი ერისთავთაგან თითქმის მთელი ვაკე გორხევით ხალხის დაბეგვრისა ის იყო, რომ მართლაცა და 1837 წლამდინ ამათ ეკუთვნოდათ ეს მზარე“<sup>2</sup>. ჩვენს ფელეტონისტს ამ შემთხვევაში მხედველობაში აქვს საქართველოში და კერძოდ გორის მაზრაში თავადების ყმობიდან აზნაურთა განთავისუფლება, რაც ნამდვილად მოხდა არა 1837, არამედ 1833 წელს, რა დრომდეც, მართლაც მთელი ხსენებული მამულები ერისთავთა მფლობელობაში ითვლებოდა<sup>3</sup>. შემდეგ თავადთა დამოკიდებულებიდან განთავისუფლებულმა აზნაურებმა სასამართლოში მოუგეს ერისთავებს შესაბამისი „მამულებიცა, სადაც გამოდიან ეს რუები“. მაშასადამე, როგორც ფელეტონისტი აცხადებს, „წყლის ბეგარის მიზეზიც მოესპოთ ერისთავიანთ“. მაგრამ „შენ არ მომიკდე, ხალხი ბეგარას აძლევს ისევ ერისთავიანთ“ და ერისთავებს გარდა, ახლა თურმე, „მათი ნაყმევი აზნაურებიც იღებდნენ წყლის ბეგარას“<sup>4</sup>.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ არხებით ირწყვოდა თვით მემამულეთა მიწებიც, ე. ი. „უამწყლოთ წახდება მებატონის მამული, რომელიც გლეხს კაცს აქვს მიცემული სამეოთხედოთ, თუ ნადელში“<sup>5</sup>. ამგვარად სარწყავ არხებს დაპატრონებული მემამულე, გარდა იმისა, რომ ღალას ახდევინებდა გლეხს სანადელოთ მიცემული მიწის მოსავლიდან, იმავე შემოსავალს გლეხისას ბეგარავდა კიდევ წყლის მიცემისათვისაც. რის გამოც „ეს წყლის ბეგარა წარმოადგენს ერთს იმ ძალთაგანს მებატონეების მხრივ, რომლიდანაც გლეხების განთავისუფლება ჰპოვა საჭიროთ მმართველობამ. გადავარდა ის უსაფუძვლო ძალა მებატონეებისა ყმებზედ და იმასაც თან უნდა გაჰყოლოდა ეს უსამართლო და უსაფუძვლო მებატონეთა უფლება, მაგრამ რაღაცა სასწაულით შეინარჩუნეს მებატონეებმა ეს ბატონური ძალა და ამ მხრივ იკავებენ თავის ნაყმეებს ისევ ბატონურს კლანჭებში“<sup>6</sup>.

გადმოგვცემს რა ყოველივე ამას, ავტორი იმედებს ხელისუფლებაზე ამყარებს, რომ უკანასკნელი გლეხებს „განთავისუფლებს ამ სწორედ ნამდვილი ბატონყმური დამოკიდებულებიდან, ესე იგი წყლის ბეგარიდან, რათა უწყლოთ

<sup>1</sup> „Сборник законов и. Вахтанга VI“. § 169.

<sup>2</sup> გაზ. „გუთნის დედა“, 1873 წ. № 7.

<sup>3</sup> П. Гугушвили, Сельское хозяйство и аграрные отношения, I, 349—350.

<sup>4</sup> „გუთნის დედა“, 1873 წ. № 7.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 3.

<sup>6</sup> „გუთნის დედა“, 1873 წ. № 7, გვ. 3.



იქნას გამოყვანილი“<sup>1</sup>. დაახლოებით ასეთივე აზრს ატარებდა ვახტანგ VI კოდექსი: „წყალი ასრე რომე, როცა ხელმწიფე რუს გატანას მოინდობს... სადაც ეპრიანების რუსთაგს ვერაფინ დაუშლის, სადაც რუს მოინდენს ვენახში თუ ხოდაბუნში, რაც დახვედეს გასჭრის და გაატარებსო“<sup>2</sup>. მაგრამ არამცთუ მეფეს, არამედ ყველა სხვასაც (მემამულეს, სოფელს) შეეძლო თავისუფლად გაეყვანა სარწყავი არხი, ოღონდ „რუს გამოღებაში, რომ შუაში სხვის მამული ედოს, იმ შუას მამულის პატრონს [თუ] არა გაუკეთდება რა, ფასი უნდა მისცესო“; ე. ი. ასეთს შემთხვევაში მიწის პატრონს სასყიდელს უხდის არხის გამყვანი. მაგრამ თუ ამ არხის გაყვანით იმ მამულსაც სარგებლობა შეუძლია ნახოს, მაშინ არხის გამყვანი და „შუას მამულის პატრონი“ ერთმანეთში უნდა „ქარგად მორიგდნენო“<sup>3</sup>.

საერთოდ ძველი, ადათობრივი თუ დაწერილი სამართლის ძირითადი აზრი ის იყო, რომ უწყლოდ მიწის დატოვება დაუშვებლად ითვლებოდა, თუ კი წყლის (არხის) გამოყვანა ტექნიკურად და ეკონომიურად შესაძლებელი იქნებოდა. ამიტომაც, როდესაც სარწყავი არხი (რუ) კერძო საკუთრება იყო, მაშასადამე, კერძო მიწას რწყავდა, იგი ამ მიწასთან ან მის ნაწილთან გაიყიდებოდა. ვახტანგის კანონების 114 §-ში ნათქვამია: „სარწყავ წყალს, როგორც მამულს გაიყოფენ ძმანი, ისე წყალი იმდენ ნაკადათ გაიყოფისო“. ანდა კიდევ, 1477 წ. ვაცემულს, მამულის ნასყიდობის წიგნში ნათქვამია: „მოგვიდეთ ჩვენი მკვიდრი მამული კრწანის ვენახი... მისითა წყლითა, რა გუარადაცა ამას წინად ჰქონებიაო“<sup>4</sup>. 1713 წ. ნასყიდობის სიგელითაც მემამულე მიწას ჰყიდის „თავისის წყლითა, რაც მოუნდებოდეს“<sup>5</sup>.

თავისთავად ცხადია, რომ ასეთს პირობებში შესაძლებელი იქნებოდა მიწის უწყლოდაც გაყიდვა. 1727 წ. ვაცემულს მიწის ნასყიდობის წიგნში ნათქვამია: მოგვიდეთ ვენახი ხოვლეს „უწყლოთ მოგვიდეთ, შენის წყლით უნდა მორწყვიდე“<sup>6</sup>: რაც შეეხება საერთო, სათემო არხებს ამათი უხენაესი განმკარგულელებელი მეფე იყო: „რომელ სოფელსაც მეფე უბრძანებს და დაჩემებს რუს, იმ წყალს ერთი მეორეს ვერ შეეცილებისო“<sup>7</sup> — აცხადებს ვახტანგ VI. საერთო რუს გაყვანა, დაცვა, შეკეთება თემის, თუ კერძო პირთა ამხანაგობის საერთო ძალებითვე წარმოებდა<sup>8</sup>, ხოლო მემამულე (თავადი, აზნაური, ხანი, ბეგი, მელიქი, სულთანი, ალაღარი) ვალდებული იყო, თუ აუცილებლობა მოითხოვდა, მათთვის არხის გასაყვანად მიწა დაეთმო.

<sup>1</sup> Газ. „Юридическое Обозрение“, 1888 г., №№ 137, 138.

<sup>2</sup> „Сборник Законов ц. Вахтанга VI“, დ. ბაქრაძის რედაქციით, §§ 50, 170 ი. ანთაძე, I, ს., 138.

<sup>3</sup> იქვე, § 244; შედარე ბერძნული კანონების 419 და 420 მუხლებს (იხ. იქვე, გვ. 229).


<sup>4</sup> ნ. ბერძენიშვილი, დოკუმენტები საქ. სოც. ისტორიისა, 1940, I, 3—4.

<sup>5</sup> „საქ. სიძველენი“, ე. თაყაიშვილის რედაქციით, III, № 204, გვ. 246.

<sup>6</sup> იქვე, № 290, გვ. 339.

<sup>7</sup> „Сборн. Зак. Вахтанга VI“, § 170; „საქ. სიძვ.“, III, №№ 43, 44, გვ. 35—36.

<sup>8</sup> ვახტანგ VI, დასტურლამალი, პ. უმიკაშვილის რედაქციით, 67, 87; დ. ფურცელაძე, Крестьянские грамоты, 16, 37.



მაგრამ XIX საუკუნიდან ცარიზმის ბიუროკრატიის მფარველობით წაქეზებული მემამულეები, არამცთუ ნებას არ აძლევდნენ თემებს (სოფლებს) გაეფუძნებინათ არხები მათს მიწებზე, არამედ ხშირად სავსებით ითვისებდნენ მათ მიერ შეკეთებულ ძველ არხებს, რომლებიც ოდითგანვე თემის საკუთრება იყო<sup>1</sup> და, ამგვარად, დაუსრულებელი დავაქრობა წარმოებდა ამა თუ იმ არხის დაჩემებისათვის. ამ მხრივ ცნობილი იყო, მაგალითად, პროცესი თბილისის ზემოთ ძეგვისწყაროდან გაყვანილი სარწყავი წყლით სარგებლობის შესახებ. მდინარის ზემოთ ახლადგაშენებული ბაღების მოსარწყავად ძეგვისწყლის თითქმის მთელი წყალი გამოყენებული იქნა მემამულის მიერ, რითაც ქვემოთ მცხოვრებ სოფლებმა, რომლებიც დიდი ხნიდანვე სარგებლობდნენ ძეგვისწყალს სარწყავად, დაჰკარგეს მათი მიწათმოქმედური მეურნეობის ეს აუცილებელი პირობა... პროცესი იმდენად გართულდა, რომ საქმემ რამდენიმეჯერ მიაღწია თვით უმართებულეს სენატამდე და დავაქრობა გრძელდებოდა სრული ორმოცი წლის განმავლობაში (1829—1869 წ.წ.)<sup>2</sup>.

ცარიზმის ხელისუფლების უყურადღებობის მეოხებით აღმ. საქართველოში ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც მდინარის ქვემო წელზე მდებარე სოფლებს წყალს ართმევდნენ ზემოურნი<sup>3</sup>; არაიშვიათად მემამულენი, რომელთაც მდინარისპირა მიწები ეკუთვნოდათ, ხელს უშლიდნენ თავიანთს მიწაზე მოსარწყავი არხის (რუს) გაყვანას, ანდა კიდევ უზომო სასყიდელს სთხოვდნენ ამისათვის სოფლებსა თუ თემებს.

მდ. ქსანიდან გაყვანილი სარწყავი არხების შესახებ, რომლებიც თავ. მუხრანბატონის მამულში გადიოდნენ, ქ. ვერმაშევი 1885 წ. წერდა: „ამგვარად, მთელი ველის სასიცოცხლო ნერვი მთლიანად მემამულის ხელშია და მის უშუალო მეთვალყურეობას ემორჩილება. თუ ჩვენ მხოლოდ გავიხსენებთ, რაოდენ დიდია მეურნეობისათვის წყლის მნიშვნელობა, მაშინ აშკარად დავინახავთ მთელ ხელსაყრელობას მემამულის კარმიდამოს ამგვარი მდებარეობისა. შეიძლება ითქვას, რომ ფლობს რა ამ სასიცოცხლო კვანძს, მემამულეს მით უზრუნველყოფილი აქვს ბატონობა მთელს მიდამოში“<sup>4</sup>.

არხის ბატონები ხშირად უზომო სპეკულაციას ეწეოდნენ სარწყავი წყლით. ი. სერებრიაკოვი 1862 წ. წერდა: „ტფილისში გენერალმა ყორღანოვმა გააკეთა ორთქლის წყლის ამოსაღები მაშინა მტკვრის პირზედ და თუმცა მეტად კეთილსინდისიერად იქცევა (sic! — პ. გ.), მაგრამ მაინც ორის დღის მიწის მორწყვა რომ გინდოდეთ, წელიწადში ჯდება ორმოცი თუმანი“<sup>5</sup>. ბევრად უფრო გვიანაც, თვით 1900-იან წლებშიაც აღმ. ამიერკავკასიის სხვადასხვა კუთხეში დიდი შემოსავლის მომცემი იყო სარწყავი წყალი: არხი, მილი თუ ქიპრიზი, რომელთაც კერძო პირებიც

<sup>1</sup> МИЭБГКЭК, III, II, 65; VI, II, 357; С. Егiazаров, I, с., I, 251—253.  
<sup>2</sup> СКОСХ, VI, 153; СМЭБГК, V, I, 19; С. Егiazаров, I, с., I, 233, 257.  
<sup>3</sup> МИЭБГКЭК, III, II, 61; IV, II, 205; V, I, 118.  
<sup>4</sup> X. В е р м и ш е в, Очерк хозяйства И. Баграциона-Мухранского, 317.  
<sup>5</sup> გაზ. „გუთონის-დედა“, 1862 წ. № 24.

აწყობდნენ წყლით ვაქრობის მიზნით. მაგალითად, 1911 წ. ნახჩევანში ამ მიზნით ქიპრიზები გააკეთა მეღიქ-ეინათოვმა, რომელმაც სამუშაოთა შესასრულებლად თბილისიდან წაიყვანა ჰიდრაულიკოსი<sup>1</sup>.

როგორც წყლით სპეკულაცია, ისე მემამულეთა მიერ სარწყავი არხების დაჩემა — რის ფაქტებსაც ქვემოთ დაწვრილებით შევხებით — ძველად იშვიათად ხდებოდა. ცარიზმის მიერ დაპყრობამდე აღმ. ამიერკავკასიის სახანოები იყოფოდა ცალკეულ, შედარებით წვრილ, ადმინისტრაციულ ერთეულებად — მაჰალელებად<sup>2</sup>. სხვადასხვა პროვინციაში მაჰალს განაგებდა ნაიბი<sup>3</sup>, ბეგი, სულთანი, მინაზი ანდა მეღიქი<sup>4</sup> — სახელწოდებებს შორის არსებულ განსხვავებათა მიუხედავად მათი ფუნქციები და კომპეტენცია თითქმის სავსებით ერთგვარი იყო. ამათ, მსგავსად ძველი საქართველოს მოურავებისა, თავიანთს რაიონებში ეპყრათ ადმინისტრაციული და სასამართლო ხელისუფლება, თუმცა თვით თემის შინაგანი მმართველობის რიგ საკითხებში ისინი არ ერეოდნენ; ასეთი იყო მაგალითად ფინანსური მმართველობა<sup>5</sup>.

მაჰალი, როგორც წესი, წარმოადგენდა მდინარის ხეობას, ჭალას, ველს, ბასეინს და წყლის უმალღესი ადმინისტრატორი აქ მერაბი (მირაბი) იყო<sup>6</sup>. ცარიზმის მთავრობამ ქვეყანა დაჰყო სულ სხვა პრინციპის მიხედვით და რამდენადმე უფრო მსხვილ ადმინისტრაციულ ერთეულებად — მაზრებად. მაგრამ მაჰალი, როგორც წყლის რაიონი მაინც დარჩა; ზღონდ ამ დროიდან იგი, ცხადია, არ ემთხვეოდა სახელმწიფოებრივად მიღებულ ადმინისტრაციულ-სამმართველო ერთეულს. ერთ მაზრაში რამდენიმე მაჰალი შედიოდა. წყლის უფროსად კვლავ მერაბი დარჩა, მაგრამ თუ წინათ მას ირივაციის სეზონის დასაწყისში ყოველწლივ ირჩევდნენ, ამ დროიდან არჩევა უკვე სამი წლით ხდება<sup>7</sup>.

მერაბს ჰყავდა თავისი ხელქვეითი<sup>8</sup>. მერაბის პირველი ხელქვეითია ჯუვარი<sup>9</sup>, რომელსაც ნიშნავს სოფელი, თემი. ჯუვარს პოლიციური უფლებამოვალეობა აკისრია. მისი მთავარი დანიშნულებაა თვალყური ადევნოს წყლით სარგებლობის უფლების დაცვას, რათა ვინმემ ზედმეტი წყალი არ მიითვისოს, სხვისი რიგით არ ისარგებლოს და სხვ. ჯუვარი გარკვეულ ხელფასს ღებულობს. აღმ. ამიერკავკასიაში, სადაც გატარებული იყო წყლის ადმინისტრაციის ამგვარი სპეციალიზაცია, ჯუვარი სხვადასხვა მაზრაში სხვადასხვა სახელწოდებითაა ცნობილი<sup>10</sup>. მერაბი და მისი ხელქვეითი დიდი პატივისცემითა და ავტო-

\* KX, 1911 г., № 19, 13—14.

<sup>2</sup> მაჰალა, სპ. — mahall, რაიონი, უბანი.

<sup>3</sup> АСКАК, VIII, № 388.

<sup>4</sup> АСКАК, I, № 159, стр. 196.

<sup>5</sup> Вейсенгоф, I, с., 134—135; Егиазаров, I, с., 81—82.

<sup>6</sup> მერაბი (მირაბი) — სპ., თურქ. mir-ap; mir-abi — წყლის თავი, წყლის უფროსი.

<sup>7</sup> МИЭБГКЭК, II, I, 173, 452; VI, II, 89, 362; VII, 55; III, II, 52; V, I, 5.

<sup>8</sup> Вейсенгоф, I, с., 135; МИЭБГКЭК, VI, II, 362; Naxthausen, I, с., 173.

<sup>9</sup> Naxthausen, I, с., 176; Вейсенгоф, I, с., 135; Егиазаров, I, с., 100,

265—266; МИЭБГКЭК, VI, II, 89, 362; VII, 55.

<sup>10</sup> МИЭБГКЭК, II, I, 173, 452; VI, II, 88—89.

რიტეტით სარგებლობდნენ. მსხვილ მემამულეს (ბეგს) ხშირად საკუთარი შერაბი<sup>1</sup> ჰყავდა, რომელიც, ცხადია, მთლიანად მემამულის ინტერესებს ემსახურებოდა.

მერაბი ჩვეულებრივად ხელმძღვანელობდა მთელს მაჰალში სარწყავი წყლის განაწილებას ცალკე თემებსა თუ სოფლებს შორის, — მეთვალყურეობდა არხების (რუების) დაცვის საქმეს; მასვე ეკუთვნოდა გირდავის უფლება — ე. ი. აუცილებლობის შემთხვევაში როგვარეშე ამა თუ იმ სოფლის ნათესისათვის წყლის მიწოდების და, მაშასადამე, მაჰალში, ამ ხნის მანძილზე, ყველა სხვისათვის წყლის შეწყვეტის უფლება<sup>2</sup>.

მერაბს, გარდა ხელფასისა, ეძლეოდა ერთი ან ორი ბაში, ე. ი. მას შეეძლო საკუთარ მამულში გაეყვანა რუ, რითაც მთელი მაჰალის ე. წ. ზედმეტი სარწყავი წყალი მის საკუთრებაში გადადიოდა<sup>3</sup>. მართალია, ბოროტმოქმედების შემთხვევაში მაზრის უფროსს, გუბერნატორს, შეეძლო მერაბის დასჯა, დაჯარიმება, გადაყენებაც; მაგრამ მერაბი, როგორც ამბობდნენ, თვითონ იყო „მაჰალის გუბერნატორი“. მერაბის თვითნებობას ხელს უწყობდა, როგორც ის გარემოება, რომ ცარიზმის ადგილობრივ ხელისუფლებას თვით 1890 წლამდე არა ჰქონდა ვარკვეული კანონმდებლობა წყლით სარგებლობის უფლების შესახებ, არც ირიგაციის საქმე გაეგებოდა და მან არც შესაბამი ადგილობრივი ადამ-ჩვეულება იცოდა. ყოველდღე ამის გამო მერაბს თითქმის უშიშრად შეეძლო წვრილი თუ მსხვილი ბოროტმოქმედება ჩადინა. „მის ხელში ძლიერ დარალს წარმოადგენს გირდავის დანიშვნის უფლება და «ზედმეტი» წყალი, რაც მას ეძლევა ჯილდოს სახით. ხშირად, ემყარება რა ვითომდა «უკიდურეს აუცილებლობას», იგი მაჰალის მთელ წყალს აძლევს თემებს, რომლებიც მას უხვი «საჩუქრებით» იმადლიერებენ, ანდა წამოაყენებენ და მხარს უჭერენ მის კანდიდატურას არჩევნების დროს“<sup>4</sup>.

მერაბი ამასთანავე ყოველივე ხერხით ცდილობდა სასტიკად დაესაჯა ის სოფლები, თემები, რომლებიც არჩევნების დროს მის წინააღმდეგ მისცემდნენ ხმას<sup>5</sup>. წყლით, ბაშის სახით რომ ეძლეოდა, მერაბი აშკარად ვაჭრობდა. მაგრამ მერაბს შეეძლო, და ამ შესაძლებლობით იგი ყოველ ნაბიჯზე სარგებლობდა, „ზედმეტი“ წყლის სახით აუცილებელიც მიეთვისებინა და როდესაც ზოგიერთი თემის ნათესები უწყლობით ფუჭდებოდა, მერაბი თავისუფლად ჰყიდდა ხოლმე „ზედმეტ“ წყალს იმაზე, ვინც მეტს მისცემდა<sup>6</sup>.

მერაბი წყალს აძლევდა გავლენიან მემამულეს, კულაკს, ყველას ვისგანაც რაიმე სარგებლობას მოელოდა, ანდა უხვად რწყავდა საკუთარ ყანას, რაც მას ჰქონდა სხვადასხვა თემში. სხვადასხვა თემში მერაბს ყანა ისევ ბოროტმოქმედების მეოხებით უზრუნველყოდა: მცირეწყლიან რაიონებში გლეხები სიამოვნებით

<sup>1</sup> МИЭБГКЗК, VI, II, 85.


<sup>2</sup> გირდავ — ს. girdav — წყლის შეწყვეტა, შეჩერება.

<sup>3</sup> МИЭБГКЗК, VI, II, 85.

<sup>4</sup> СМЭБГК, III, II, 53.

<sup>5</sup> КСХ, 1898 г. № 239, стр. 501—503.

<sup>6</sup> ს. მირზაიანიც ვერა, რომ „გლარშაბატში ჯუჯარები წყალს ყიდიან მდიდრებს, ხოლო ღარიბთა ბაღები მოურწყველი რჩება“ (КСХ, 1895 г. № 62, стр. 1081).



თანხმდებოდნენ თავიანთი საკუთარი მიწა დაემუშავებინათ სანახევროდ იმასთან ვინც კისრულობდა ზაფხულობით ამ ყანის მორწყვას; ასეთი ყოვლისშემძლე კი იყო მხოლოდ მერაბი, რომელსაც გლეხები ამ პირობით სანახევროდ აძლევდნენ ყანებს. სწორედ ამგვარად მერაბს ერთს თემში ჰქონდა ბაღი, მეორეში ბოსტანი, მესამეში ბამბის პლანტაცია და მეოთხეში ბრინჯის ყანა — რამდენადაც „გლეხები ნებაყოფლობით შედიან მის მფარველობაში“, რათა უზრუნველყოფილი იქნან სარწყავი წყლით. ხოლო იმ დროს, როდესაც მერაბი, ამგვარად, მოიხმარს „ზედმეტ“ წყალს — „ტირილითა და დრტვინვით ემუდარება მას მთელი სოფელი, რათა იხსნას იგი საშინელი განადგურებისაგან“<sup>1</sup>... ამგვარად სარწყავი წყლით სპეკულაცია, მოკლე დროში გამდიდრების უბადლო საშუალებათაგანი იყო.

აღმ. საქართველოში — თბილისის გუბერნიაში — სარწყავი წყლის გამგებლობა მერუის<sup>2</sup> ან არხის<sup>3</sup> ხელში იყო; მეთვრამეტე საუკუნეში გზვდება მერაბიც, რომელსაც მეფის ხელისუფლება ნიშნავდა<sup>4</sup>. ბარონ ჰაქსტჰაუზენის აღწერით (1843 წ.) აღმ. საქართველოში „ყველგან გზვდებით არხებსა და მასზე დამყარებულ მორწყვის სისტემას; ყოველი პატარა მდინარე გამოყენებულია; სოფლები ინახავენ და უვლიან არხებს; ხშირად რამდენიმე სოფელი ერთიანდება არხთა არადიდი სისტემის საერთო ძალებით მოვლა-დაცვისათვის და მაშინ ეს სოფლები ჰქმნიან ერთგვარ ამქარს. ყოველი მისი მიწის სიდიდის მიხედვით ეწევა ტვირთს და მონაწილეობს სარფაში, ე. ი. გარკვეული საათების განმავლობაში ირწყვის მისი მიწა და სხვა. ამქარს მეთვალყურეობს არჩეული მამასახლისი ჰიდრაულიკის ნაწილში — მერუე, — რომელიც განაგებს და ზედამხედველობს არხის სამუშაოებს და წყლით სარგებლობას, მომრიგებელია დავაში და სხვ. ვინც მერუეს არ დაემორჩილება ანდა მას შეურაცხყოფას მიაყენებს, იმას თემი ახდევინებს ხარს, რომელსაც დაკლავენ და შეჭამენ. მერუე ღებულობს მცირე შემოსავალს ბაღებიდან და სხვ.“<sup>5</sup>.

აქ აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ა. ჰაქსტჰაუზენი, რომელიც ფრიად სერიოზული დამკვირვებელი იყო საზოგადოებრივი ცხოვრებისა, აცხადებს, რომ საქართველოში წყლით სარგებლობის მოწესრიგების საფუძველზე სოფლები ერთგვარ ამქარს ჰქმნიანო. ცნობის-მოყვარეობის აღმძვრელია, რომ ასეთივე ხასიათის ამქარის არსებობა თითქმის 45 წლის შემდეგაც არის აღწერილი, მაგრამ ახლა არა საქართველოში, არამედ სომხეთში — მორწყვაზე დამყარებული მებოსტნეობის მაგალითზე.

ქ. გუმბრში (ლენინაკანში) მებოსტნეები, თუ უფრო ადრეიდანვე არა, 1828 წლიდან მაინც მოყოლებული, თურმე ჰქმნიდნენ ცალკე ამქარს. ამქარს ჰყავდა უსტაბაში. ეს კორპორაცია 1887 წელს აღწერა კ. ტერ-პეტროსი-

<sup>1</sup> МИЭБГКЭК, III, I, 274; С. Егиазаров, I, с., I, 263.

<sup>2</sup> Haxthausen, I, с., II, 60; Вейсенгоф, I, с., 134—135; МИЭБГКЭК, III, II, 61; V, I, 183.

<sup>3</sup> МИЭБГКЭК, III, II, 61.

<sup>4</sup> ი. ანთაძე, I, с., 142—143.

<sup>5</sup> Haxthausen, I, с., II, 58.

ანცმა<sup>1</sup>. როგორც უკანასკნელი მოგვეთხრობს, უსტაბაში ადათის მიხედვით აწესრიგებდა უსტათა (ოსტატთა) შორის წამოჭრილ დავებს და, რაც მთავარია, მეთვალყურეობდა თვით მებოსტნეთა (ოსტატთა) მიერ გაყვანილი არხიდან წყლით სარგებლობის წესრიგს. ადათის მიხედვით სარწყავი წყლით ბოსტნის მორწყვა შეეძლო მხოლოდ იმ მებოსტნეს, რომელსაც ამქრის (თემის) მიერ მინიჭებული ჰქონდა მებოსტნეობის ოსტატის წოდება. ამასთანავე მებოსტნეობისათვის ხელისმოკიდება შეეძლო მხოლოდ საბოსტნე მიწის მესაკუთრეს, რომელსაც უფლება ჰქონდა იჯარითაც აეღო საბოსტნე მიწა. მაგრამ ოსტატის წოდების არამქონე მებოსტნეც (ქარგალიც) არ რჩებოდა უსაქმოდ. რამდენადაც მებოსტნეობის პროდუქტებზე დიდი მოთხოვნილება იყო ოსტატი-მებოსტნე იჯარით იღებდა მიწის დიდ ნაჭერს, რასაც ამუშავებდა დაქირავებული მუშის (ქარგლის) დახმარებით<sup>2</sup>.

მაგრამ მებოსტნე-ოსტატს მაინც არ შეეძლო სურვილისამებრ გაედიდებინა თავისი ბოსტნის ფართობი; რადგან მას, ადათის მიხედვით, მხოლოდ განსაზღვრული, ამქრის ყველა წევრისათვის თანაბარ ზომიერი რაოდენობით შეეძლო ესარგებლა სარწყავი წყლით. ამ შეზღუდვას შეძლებული მებოსტნე თავს აღწევდა იმით, რომ თავის ბოსტანში მონაწილედ შეჰყავდა (ხშირად, ალბათ, მოჩვენებით მონაწილედ!) მიწის მეორე ნაჭრის მჭერელი მებოსტნე-ოსტატი და ამგვით იდიდებდა მისაღები სარწყავი წყლის რაოდენობას, რათა მოურწყველობით ბოსტანი არ გაფუჭებოდა — „რამდენადაც წყლით სარგებლობის რიგი და ხანგრძლივობა დამოკიდებული იყო მხოლოდ ამქრის წევრი მებოსტნე-ოსტატისა (პიროვნებისა) და არა მის მიერ საბოსტნედ აღებული მიწის ფართობზე“<sup>3</sup>.

ამგვარად, ორსავე შემთხვევაში საქმე გვაქვს საინტერესო მოვლენასთან — სარწყავი წყლით სარგებლობის საფუძველზე, როგორც სოფლად ისე ქალაქად, ამქრული კოორპორაციის წარმოქმნისა და არსებობისა. მაგრამ სადაც არ უნდა იყოს ეს ამქარი, იგი სოფლის მეურნეობის სექტორში მოძრაობს, გლეხურ-მიწათმოქმედურ საქმიანობაზეა დამყარებული და სწორედ ამდენად გვევლინება, როგორც ერთგვარი გარდამავალი საფეხური, რგოლი, თემიდან (მარკიდან) ამქრულ-ქალაქური ხელოსანთა კოორპორაციისაკენ<sup>4</sup>. მოკლედ: ამიერკავკასიის ისტორიული სინამდვილიდან ზემოხსენებული ფაქტები ერთხელ კიდევ ცხადყოფენ და ამტკიცებენ ბურჟუაზიული ეკონომიური მეცნიერებისათვის იმ დღემდე საღაო და მიუღებელ დებულებას ფრ. ენგელსისა, რომელიც აცხადებს, რომ, როგორც

<sup>1</sup> К. Гер-Петросянц, Очерк сельск.-хоз. культуры в Александрополе: ТКОСХ, 1887 г. № 9—10, стр. 632—633.

<sup>2</sup> იქვე, 633.

<sup>3</sup> იქვე

<sup>4</sup> იხ. პ. გუგუშვილი, კაპიტალიზმის წარმოშობა და განვითარება საქართველოსა და ამიერკავკასიაში, 1941 თბ., 168—169.



საქალაქო წყობილებას ისე ამქრულ ორგანიზაციასაც საფუძვლად დაედგა თმური წყობილება<sup>1</sup>.

მაგრამ დავუბრუნდეთ მერუეს. როგორც აღმ. ამიერკავკასიის სხვა გუბერნიებში, ისე თბილისის გუბერნიაშიაც მერუეს ჰქონდა გირდავის უფლება<sup>2</sup>. გასაგებია, რომ მერუე, მსგავსად მერაბისა, ხშირად ბოროტად სარგებლობდა თავისი ხელისუფლებით, სპეკულაციას ეწეოდა წყლით, ღებულობდა ქრთამს<sup>3</sup> და ა. შ. მაგალითად, კახეთში „მერუეების თვითნებობის მეოხებით, თუ მოხელის ბრძანებით, წყალი ყოველთვის არეულათა ხმარდება მეურნეს და ზოგი თუ მთელი წლის განმავლობაში თავის მამულს... რწყავს ბევრჯერ და ძლიერადაც, მისი მომიჯნავე — ვერც ერთხელ. ამის გამო ბევრჯერ ისიცა ხდება, რომ არამცთუ ერთმანეთს უწყვეტენ და ჰპარავენ წყალს, საქმე იქამდინ მიღწევს ხოლმე, რომ ერთმანეთს სიკვდილით აღარ ინდობენ და ბევრჯერაც დაუმტკრევიათ მომიჯნავეებს ერთმანეთისათვის თავპირი“<sup>4</sup>.

ქვემოთ კორესპონდენტი აღნიშნავს ამგვარი ვითარების მიზეზსაც: „თუ სოფლის მოხელესთან კეთილად არა ხარო განწყობილი და ერთერთმანეთშორის რამ შუღლი გაქვთ ჩამოვარდნილი, ნუ იფიქრებთ, რომ თქვენ თქვენი ჭირნახული მორწყათ და ამით გადაარჩინოთ ძირფესვიანად ამოხმობისაგან... ბევრჯერ ისიცა ხდება, რომ, მართალია, მოხელესთან ხარ, მაგრამ მერუეებს ყოველთვის რიგიანი საუზმე, სადილი, სამხარი და ვახშამი თუ არ გაუკეთე და მამაპაპურად არ გამოათვერი, უამისოდ წყალს ვერ მიუშვებთ მამულში...“<sup>5</sup>. აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ მერუე „ძველითაგანვე არსებული“ წესით ხელფასს ნატურით ღებულობდა, რაც კახეთის მეღვინეობის რაიონებში ყოველდღიურ ვენახზე, რომელიც ირწყვოდა, ერთ ჩაფს უდრიდა. წინათ, ნატურალური ურთიერთობის ბატონობის დროს, შეიძლება ეს ერთი ჩაფი ღვინოდ იდი ხელფასი არ ყოფილიყო, მაგრამ 1880-იანი წლებიდან, როდესაც ღვინო უკვე საექსპორტო საქონლად იქცა, — მერუეს ფრიად მაღალი გასამრჯელო გამოუღიოდა. „ამ თითო ჩაფობით იმდენი უდგებათ მერუეებს“ ღვინო, რომ ამის გაყიდვით „რამდენიმე კაცის დაქირავენას შეიძლება სოფელი“<sup>6</sup>. ამასთანავე ხშირად ეს მერუეები აუცილებლად საჭიროზედ ბევრად მეტი ჰყავდა სოფელს და ამგზით მით უფრო ძვირი უჯდებოდა მორწყვა.

ოფიციალური დამკვირვებელნიც კი აღიარებენ, რომ წყლისსარგებლობის მოუწყვსრიგებლობა და „მთელი ეს მექრთამეობა და ანარქია გამოწვეულია წყლისმფლობელობაზე სპეციალური კანონის არარსებობით“<sup>7</sup>. ხოლო საერთო საიმპერიო კანონებში „ძნელია კაცმა მიაგნოს ძირითად საწყისებს საირიგაციო

<sup>1</sup> ფრ. ენგელსი, გლეხთა ომი გერმანიაში, 1935 თბ., 171; Маркс и Энгельс, Сочинения, 1933, М., IV, 41—42.

<sup>2</sup> СМЭБГК, II, 421.

<sup>3</sup> МИЭБГКЭК, IV, II, 206; V, I, 23, 188.

<sup>4</sup> ნ. ველისციხელი, წერილი კახელებისადმი: გაზ. „მეურნე“, 1889 წ. № 28, გვ. 5.

<sup>5</sup> იქვე.

<sup>6</sup> იქვე.

<sup>7</sup> СМЭБГК, II, 422—423.

უფლებათა მოწესრიგებისათვის, რამდენადაც ისინი გამოცემულია ცენტრალური გუბერნიებისათვის [რუსეთისა],“ სადაც მდინარეებს, მსახურებენ რამდენადაც სამომოსვლო გზების სახით, სულ სხვა ეკონომიური მნიშვნელობა ჰქონდათ, ვინემ აღმ. ამიერკავკასიაში, სადაც ყოველ მდინარეს ადგილობრივი ცხოვრებისათვის უმთავრესად მხოლოდ იმდენად ჰქონდა ფასი, რამდენადაც იგი საჭირო და გამოსაყენებელი იყო ირიგაციისათვის. მდინარეთა სხვა მნიშვნელობა აქ ბუნებრივად მეორე რიგზე დგებოდა.

წყლისმფლობელობისა და წყლითსარგებლობის სფეროში რუსეთის საიმპერიო კანონმდებლობაში არსებული ხარვეზებით სარგებლობდნენ ცარიზმის ადმინისტრაციასთან შეხმატკბილებული ქართველი თავადები და იჩემებდნენ სარწყავ რუებს და ხშირად მთელი მდინარის წყლით სარგებლობის უპირატესობასაც. ამ მხრივ ზოგიერთი მემამულის თვითნებობა იქამდეც კი მიდიოდა, რომ, ბატონყმობის გაუქმების შემდეგაც, ახერხებდა გლეხობის დაბეგვრას სარწყავი რუებით სარგებლობისათვის; — ანდა უწინარეს სავსებით უსპობდა მთელ რიგ თემებს სარწყავი წყლით სარგებლობის საშუალებას, რამდენადაც მდინარის ზემოთ, ამა თუ იმ საჭიროებისათვის, მოახმარდა თითქმის მთელ გამოსაყენებელ წყალს, ხოლო შემდეგ, თუ ქვემოთური სოფლები იკისრებდნენ მისთვის ბეგარის გადახდას — გაუშვებდა ხოლმე ქვემოთ წყლის ნაწილს.

1872 წ. მთელს ქართლში გვალვიანი ზაფხული იყო. დაიშვა არა მხოლოდ ურწყავი, «აგრეთვე ბევრი სარწყავი ადგილებიცა, რადგან მომეტებული წყალი დაშრა. ვალმა მხარი, რომელიც ირწყვის ატენის ხეობის წყლით, ტანათი, და რომელიც არის საუკეთესო ადგილი ქართლში, დაიშვა უფრო კიდევ სხვა მიზეზით. რათგან ეს წყალი, დიახ პატარა ტივების საზიდათ, ამის გამო ატენის მებატონემ თავ. გრ. ერისთავმა, რომელმაც გასცა თავისი სატივო ტყე იჯარით, დამართა საგუბრები. წყალი სამი-ოთხი დღე გუბდებოდა ხეობაში, სადაც ჰყრიდნენ დაგუბებულს წყალში ტივებსა და მერმე ერთბაშად უშვებდნენ ზვავს წყალს ტივების წამოსაღებათ, რომელიც ჩამოიწმინდებოდა რამდენიმე საათის განმავლობაში და მერმე ისევე გუბდებოდა ამავე საქმისათვის. ამგვარად მთელი მხარე დარჩა უწყლოთ და მოურწყავათ იმისთანა გვალვიანს წელიწადში“<sup>1</sup>.

მდ. ტანას ქვემოთურმა სოფლებმა, ცხადია, თავის ღროზე მიმართეს გორის მაზრის ადმინისტრაციასა და სასამართლო ორგანოებს, რათა თავ. ერისთავს მათთვის არ წაერთმია სარწყავი წყალი, ურომლისოდაც ამ სოფლებს განადგურება მოელოდათ. მაგრამ გვალვიანიმა მემამულემ შესძლო — შესძლო წინააღმდეგ ადათობრივი სამართლისა — საქმის მოგება. თითქმის ერთი წლის შემდეგ თბილისის საოლქო სასამართლომ „ეს საქმე განიხილა აპელაციის წესით, რომელიც გადაიტანეს დაჩაგრულმა სოფლებმა, და გადასწყვიტა სასარგებლოდ სოფლებისა, რომ ერისთავს აღარ შეეძლო ტანას დაგუბება. წარმოიდგინეთ ის პირნი, რომელნიც მთელს მხარეს იმეტებენ დასაღუპათ თავის პირადის სარგებლობისათვის და ის პატიოსანი ადვოკატები, რომელნიც ყოვლის ღონისძიებით

<sup>1</sup> გაზ. „გუთნის დედა“, 1873 წ. № 5, გვ. 4—6.





ცდილობდნენ ამგვარი კაცების მოქმედების გამართლებას და ქვეყნის „დასუსტებას“ — პათეტიურად აცხადებდნენ ფელეტონისტი<sup>1</sup>.

თუ რა საბუთით ამართლებდა თავ. ერისთავი თავის პრეტენზიას და მოქმედებას, ვგებულობთ სიტყვებიდან მომჩივანი სოფლების ერთერთი წარმომადგენლისა, რომელიც საოლქო სასამართლოს მსაჯულთა წინაშე აცხადებდა: „ატენის ხეობა, სადაც ჩამოდის მდინარე ტანა და რომლითაც ირწყვის მთელი მხარე, მიეცა განსვენებულს ღენერალს თავადს გიორგი ერისთავს, ახლანდელი წყლის მემკვიდრის სიმამრს, მმართველობისაგან მისთვის, რომ მას დაეცვა ამ ხეობიდან გამოსული ლეკის თარეშებიდამ ეს მხარე. ჩვენ შეგვისრულეს ეს: ლეკები აღარ გვაწუხებენ, რომლებიც უმაგათოთაც მოსპო მმართველობამ, მაგრამ ჩვენ გვირჩენია ისევ ლეკების ხელში დაგრჩენილიყავით, ისევ ლეკებს ავეკალით, ვიდრე უწყლოთ ამოწყვეტასა! ლეკს ვაქაცობით, თოფით, იარაღით მაინც შევიკავებდით და ვერ გვიბედადნენ ჩვენს უკანასკნელბამდის მიღწევას. მაგრამ, როგორ უნდა გაუძლოს ხორციელმა კაცმა უწყლობას! ლეკს რაც უნდა ექნა, წყალს ვერ შეგვიკრავდა. დღეს წყალს გვასალმებენ! მიიღეთ ყურადღებაში: ნუ თუ ლეკების შემოსევა უწყლობაზედ უარესი იყო? დაგვიცვეს ლეკებიდამ და დაგვაგდეს უწყლოთ“!<sup>2</sup>.

ამ სიტყვებს განმარტება არ სჭირდება. მაგრამ ისიც გამოიკვავა, რომ თავ. ერისთავს ტანის წყლის დაგუბებისას, გარდა ტივების ჩატურებისა, თურმე სხვა მისწრაფებაც ამოძრავებდა. ვრ. ერისთავი სასამართლომდეც თანხმდებოდა წყლის გაშვებას, ოღონდ სოფლებისაგან „სანაცვალგებოდ“ გარკვეულ გადასახადს თხოულობდა ამისათვის. ამგვარად, „თურმე ერთი მიზნითაგანი ამ წყლის დაგუბებისა ყოფილა ისა, რომ დასდონ წყლის ბეგარა იმ ხალხს, რომელნიც ხმარობენ ამ წყალს. რასაკვირველია, ამ წადილს კიდევ შეისრულებდა [მემამულე], რომ მარტო ჩვენი... სოფლები ყოფილიყვნენ ამ წყლის ამარა. მაგრამ ბედი ამ სოფლებისა, რომ აქ ჰქონდათ მამულები და ვენახები მრავალ გორელობასაც. გორელი ხალხი... არ გაება დაგებულს მახეში და მიმართეს სასამართლოს“<sup>3</sup>.

გადმოგვცემს რა ყოველივე ამას ფელეტონისტი, რომლის ვინაობა სამწუხაროდ ჩვენთვის უცნობია, — თუ იგი ანტონ ფურცელაძე არ არის, — აცხადებს: „საკვირველი ხალხია აქაური თავადაზნაურობა. რომ შესაძლებელი იყვის და მმართველობა ნებას მისცემდეს ვგონებ ჰაერიც კი საბეგროდ გაჰხადონ და გლენჯაკს გადასახადი დაადონ ამაში. მართლაცა და საკვირველი უსამართლობა სჭირთ აქაურთ გლენჯაკობას, თითქმის მთელს უფზში [გორისა] წყლის ბეგარის შესახებ. რუები, რომელიც გამოდის გლენჯაკის ხელითა, რომელიც მაგრდება და ინახება გლენჯაკის ჯანით, არიან საბეგრონი და გლენჯაკი აძლევს ამაში გადასახადს მებატონეს და ხშირად იმ მებატონეს, რომლისაც მამულზედ თითქმის არც კი ვადის ეს რუები და რომელიც თვითონაც ჰსარგებლობს ამ რუთი გლენჯაკის მარჯვენის შემწეობით“<sup>4</sup>.

<sup>1</sup> გაზ. „გუთნის დედა“, 1873, № 7, გვ. 1.

<sup>2</sup> იქვე, № 5.

<sup>3</sup> იქვე.

<sup>4</sup> გაზ. „გუთნის დედა“, 1873 წ. № 5.

როგორც ვხედავთ, მიუხედავად იმისა, რომ არც ადამიანთა უმრავლესობა, და არც ვახტანგ VI კანონით<sup>1</sup>, რომლებიც ამ მხრივ კიდევ ძალაში იყვნენ, წყლის დაბეგვრა მემამულეებს არ შეეძლოთ, უკანასკნელნი მაინც ახდევინებდნენ გლეხებს ამ ბეგარას. ასეთს პირობებში სახსრებით მართებულია ფელეტონისტი, რომელიც აცხადებს, რომ მემამულეებმა გორის მაზრაში მხოლოდ ძალმომრეობით მიაღწიეს სარწყავი წყლის დაბეგვრას და ისიც ბატონყმობის გაუქმების შემდეგ. ცხადია, მემამულეები ამ ძალმომრეობის დასაბუთებას ცდილობდნენ, რათა „თავის საქმის გასამართლებლად ჰქონოდათ რაიმე მიზეზი“. ხოლო „მიზეზი ერისთავთაგან თითქმის მთელი ვაკე გორხევით ხალხის დაბეგვრისა ის იყო, რომ მართლაცა და 1837 წლამდინ ამათ ეკუთვნოდათ ეს მხარე“<sup>2</sup>. ჩვენს ფელეტონისტს ამ შემთხვევაში მხედველობაში აქვს საქართველოში და კერძოდ გორის მაზრაში თავადების ყმობიდან აზნაურთა განთავისუფლება, რაც ნამდვილად მოხდა არა 1837, არამედ 1833 წელს, რა დრომდეც, მართლაც მთელი ხსენებული მიმულები ერისთავთა მფლობელობაში ითვლებოდა<sup>3</sup>. შემდეგ თავადთა დამოკიდებულებიდან განთავისუფლებულმა აზნაურებმა სასამართლოში მოუგეს ერისთავებს შესაბამისი „მამულებიცა, სადაც გამოდიან ეს რუები“. მაშასადამე, როგორც ფელეტონისტი აცხადებს, „წყლის ბეგარის მიზეზიც მოესპოთ ერისთავიანთ“. მაგრამ „შენ არ მომიკვდე, ხალხი ბეგარას აძლევს ისევ ერისთავიანთ“ და ერისთავებს გარდა, ახლა თურმე, „მათი ნაყმევი აზნაურებიც იღებდნენ წყლის ბეგარას“<sup>4</sup>.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ არხებით ირწყვოდა თვით მემამულეთა მიწებიც, ე. ი. „უამწყლოთ წახდება მებატონის მამული, რომელიც გლეხს კაცს აქვს მიცემული სამეოთხედოთ, თუ ნადელში“<sup>5</sup>. ამგვარად სარწყავ არხებს დაპატრონებული მემამულე, გარდა იმისა, რომ ღალას ახდევინებდა გლეხს სანადელოთ მიცემული მიწის მოსავლიდან, იმავე შემოსავალს გლეხისას ბეგრავდა კიდევ წყლის მიცემისათვისაც. რის გამოც „ეს წყლის ბეგარა წარმოადგენს ერთს იმ ძალთაგანს მებატონეების მხრივ, რომლიდანაც გლეხების განთავისუფლება ჰპოვა საჭიროთ მმართველობამ. გადავარდა ის უსაფუძვლო ძალა მებატონეებისა ყმებზედ და იმასაც თან უნდა გაჰყოლოდა ეს უსამართლო და უსაფუძვლო მებატონეთა უფლება, მაგრამ რაღაცა სასწაულით შეინარჩუნეს მებატონეებმა ეს ბატონური ძალა და ამ მხრივ იკავებენ თავის ნაყმეებს ისევ ბატონურს კლანჭებში“<sup>6</sup>.

გადმოგვცემს რა ყოველივე ამას, ავტორი იმედებს ხელისუფლებაზე ამყარებს, რომ უკანასკნელი გლეხებს „განთავისუფლებს ამ სწორედ ნამდვილი ბატონყმური დამოკიდებულებიდან, ესე იგი წყლის ბეგარიდან, რათგან უწყლოთ

<sup>1</sup> „Сборник законов ц. Вахтанга VI“. § 169.

<sup>2</sup> გაზ. „გუთნის დედა“, 1873 წ. № 7.

<sup>3</sup> П. Гугушвили, Сельское хозяйство и аграрные отношения, I, 349—350.

<sup>4</sup> „გუთნის დედა“, 1873 წ. № 7.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 3.

<sup>6</sup> „გუთნის დედა“, 1873 წ. № 7, გვ. 3.

ქართლის მამული მამულათ არ ჩაითვლება და მებატონეებს შეუძლიანთ ეს გადასახადი თანდათან იქამდინ ასწიონ“, რომ გლეხებს ძველებურად მიეღონ ნაშრომი წაართვან, და ისე გამოდის, რომ „რუეების პატრონი მებატონეებისათვის ბატონყმობა სრულიადაც არ გადავარდნილა და გლეხები დარჩებიან ისეთივე ყმები, როგორც ყოფილან იქამდინ“<sup>1</sup>.

ერთ-ერთი ანალოგიური მოვლენა აღნიშნულია გაზ. „დროებაში“, ათიოდეწლის შემდეგ. სახელდობრ ივ. მაჩაბელი წერდა: „საკმაოა ჩვენის ძლიერის ფეოდალისათვის პატარა ფეხი სადმე მოიკიდოს ან გაკლით რომელსაჲმ ჩრდილქვეშ სადილი მიირთვას, რომ მერე გარშემო ადგილები მიისაკუთროს და სოფლები... ყურმოჭრილ ყმებად გაიხადოს. ერთი ამნაირ სოფელთაგანია წილკანი, რომელიც მეტად მძიმე ყალან-ბეგარას იხდის მხოლოდ იმიტომ, რომ წყალი, ურომლისოდაც წილკნელებს ერთი დღეც არ შეუძლიათ ცხოვრება, ბატონის მამულზედ გამოდის“<sup>2</sup>.

თვით წილკნელი გლეხის კორესპონდენციაში ვკითხულობთ, რომ ყოველივე ეს ჩვენ უნდა მოგვეთმინა, მაშინაც კი „როცა ბატონის მოურავები მათრახით ბეჭებზედ კორიანტელს გვადენენ... რა ვქნათ რო არ მოვითმინოთ? როგორ გავუბედოთ წინააღმდეგობა იმისთანა პირსა, რომელსაც მუჭაში უჭირავს ჩვენი ბედი. სად წავიდეთ, ვისთან ვიჩივლოთ? ჩვენვე გავგამტყუნებენ და ყოველი ჩვენი ღონისძიება ჩვენვე ლახვრად გადაგვექცევა... დიად, ამას მოგახსენებდით, რომ ჩვენში ბატონყმობა ხელახლად დაარსდა“<sup>3</sup>.

მაგრამ წილკნელები ამასაც არ დააჯერეს. 1883 წელს მემამულე „გ. ე—ლი“ ვადმობრძანდა წილკანში, უბრძანა მამასახლისის ხალხი შეეგროვებინა... გლეხები რო შეეჭურდით, ბ. გ. ე—მა გვიბძანა: „წყლის სათავე მე მეკუთვნის, ამიტომ დღეის შემდეგ თქვენ უნდა მემსახურნეთ მე და არა სხვას ვისმეო“<sup>4</sup>. ამგვარად, ორი მემამულე ერთმანეთს ეცილება სოფ. წილკნის გლეხთა ექსპლოატაციაში: ერთი იმ საბუთით, რომ არხი მის მიწაზე გადის, მეორე კიდევ იმის მიზეზით, რომ ამ არხის სათავე მას ეკუთვნის. პირველის მამულში სამუშაოდ მიმავალ გლეხებს გზაზე მეორე მემამულის ბანდა დაუხვდა და გარეკა. ამის შემდეგ პირველის (ი. ბ.—ნის) „მოურავებმა გრიალი შემოიტანეს წილკანში, დაიწყეს გინება და ლანძღვა“, რის შედეგადაც ერთერთმა მოურავმა რევოლვერით სასიკვდილოდ დასჭრა ერთი გლეხი“<sup>5</sup>.

თემის მიერ გაყვანილი და საერთოდ სათემო არხების მითვისებას ადგილი ჰქონდა აღმ. ამიერკავკასიის, კერძოდ ერევნის, ბაქოს და განჯის გუბერნიების მემამულეთაგანაც<sup>6</sup>.

<sup>1</sup> იქვე, გვ. 3; კურსივი ყველგან ჩვენია.

<sup>2</sup> „დროება“, 1883, № 124, გვ. 1.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 1.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 2.

<sup>5</sup> „დროება“ 1883, № 124, გვ. 2.

<sup>6</sup> О. Егнazarov, I. c. I, 245—246, 253, 259.

ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც ერთი სოფელი წყალს ართმევდა მეორეს. მაგალითად, ზემოთური ქვემოთურებს; ანდა ის სოფლები, რომელთა მიწაზე გადიოდა სარწყავი არხი, ითვისებდნენ სარწყავი წყლით სარგებლობის უპირატეს უფლებას. ერევნის გუბერნიის ეჩმიაძინის მაზრაში სოფ. პატარა შაგრიარის მიწები ირწყვოდა არაქსიდან გაყვანილი არხით; ეს არხი სოფ. დიდი შაგრიარის მიწებზე გადიოდა, სანამ პ. შაგრიარის ყანებს მოაღწევდა. ხოლო დ. შაგრიარის მცხოვრებნი „აჩერებენ წყალს საკუთარი ნათესებისათვის და ამრიგად არ უშვებდნენ მას პ. შაგრიარელთა ნათესების მოსარწყავად. არავითარი რიგი არ არის; ინიშნება მხოლოდ ორი ან სამდღიანი ვადა, რომლის განმავლობაშიაც სოფ. პ. შაგრიარის გლეხებმა უნდა მორწყონ თავიანთი ნათესები. ეს ვადა ინიშნება 25 დღეში ან ერთ თვეში ერთხელ. მაგრამ მაშინაც სოფ. პატარა შაგრიარელი გლეხები არასაკმარისად სარგებლობენ წყალს“, რადგან დიდი შაგრიარელი გლეხები ამ სამ დღეშიაც არ აკლიან პატარა შაგრიარელებს მორწყონ თავიანთი ყანები<sup>1</sup>. ანალოგიურ მოვლენებს ჰქონდა ადგილი განჯის გუბერნიის ნუხისა და არეშის მაზრებშიაც, სადაც დიდად გავრცელებული იყო ბრინჯის კულტურა და, მაშასადამე, მიწათმოქმედება ესოდენ ძლიერ იყო დამოკიდებული ირიგაციისაგან<sup>2</sup>.

### III


სარწყავი წყლით სარგებლობის ინტენსივობა დამოკიდებულია როგორც თვით კლიმატურ პირობებზე, აგრეთვე გავრცელებულ კულტურებსა და წლის დროთა პერიოდებზე. საერთოდ ამიერკავკასიის საირიგაციო რაიონებში მისდევდნენ ხორბლის, ქერის, ბრინჯის, ბამბის და სხვ. მოყვანას. ამავე რაიონებში განვითარებულია მებაღეობა-მებოსტნეობა, მევენახეობა, თუთის ხის პლანტაციები და სხვ. კულტურები. ამათგან ყველაზე მეტი სარწყავი წყალი სჭირდება ბამბის მინდვრებსა და განსაკუთრებით კი ბრინჯის პლანტაციებს. ამ უკანასკნელისათვის აუცილებელია განუწყვეტელი მორწყვა თესვისა და ზრდის მთელი პერიოდის განმავლობაში; ასე რომ ბრინჯის პლანტაცია თითქმის სულ წყლით უნდა იყოს დაფარული; მისი მორწყვა წყდება მხოლოდ მოსავლის აღების ერთი-ორი კვირით ადრე, ე. ი. სექტემბრის ბოლოსა და ოქტომბრის დასაწყისში. ბრინჯის პლანტაციას დაახლოებით შვიდნახევარჯერ მეტი მორწყვა (წყალი) სჭირდება, ვინემ ბამბას<sup>3</sup>.

სწორედ იმის გამო, რომ ბრინჯის კულტურას დიდძალი მოსარწყავი წყალი სჭირდება და იმის გამოც, რომ იგი ხელს უწყობს ქვეყნის დაჭაობიანებას და, მაშასადამე, მალარიის გავრცელებას, როგორც, ადრე, დას. ევროპის ქვეყნებში, მაგალითად, იტალიაში, ისე ჩვენში გასული საუკუნის ოთხმოცდა-

<sup>1</sup> КСХ, 1895 г., № 67, стр. 1169.

<sup>2</sup> ТМКСХП, LII, 90—92.

<sup>3</sup> Н. Таратынов, О роли чалтыка в эконом. и санитарном отношениях в Закавказском крае, 1903, III, 3—6; М. Псарев, I, с., 30—31; ТМКСХП, LII, 91—92.



ათიანი წლებიდან იწყება ბრძოლა ბრინჯის კულტურის წინააღმდეგ<sup>1</sup>. ამ მოძრაობას ამიერკავკასიაში ხელმძღვანელობდნენ განსაკუთრებით შიდა კავკასიის სეთის საფეიქრო მრეწველობის ინტერესთა დამცველნი, რომელნიც პარალელურად ქადაგებდნენ ბამბის კულტურის უპირატესობათა შესახებ. უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ ზემოხსენებულ ავტაციასზე ბევრად უფრო მოქმედებდა თვით სარწყავი წყლის ნაკლებობა და სიძვირე, რაც გლეხობას, მეტი თუ ნაკლები ზომით, აიძულებდა დაეტოვებინა ბრინჯის კულტურა და გადასულიყო მებაღეობასა, მევენახეობასა და სხვა კულტურაზე, რომელსაც უფრო ნაკლები ზომით სჭირდებოდა სარწყავი წყალი.

გაზაფხულის პერიოდში, როდესაც ყველაზე უფრო მეტი სარწყავი წყალი იხარჯება, მდინარეები სავსეა და, მათსადამე, სარწყავი წყლის ნაკლებობაც არ იგრძნობა. ამის გამო, ივნისამდე, როგორც წესი, გაბატონებულია წყლით სარგებლობის დატაცებითი, თავისუფალი, სისტემა — არავითარი რიგი არ არსებობს; ყველას მიყავს იმდენი წყალი, რამდენიც სურს. ამ პერიოდში წყლის ადმინისტრაცია დასვენებულია<sup>2</sup>.

ივნისის შუა რიცხვებიდან მდინარეები თანდათანობით კლებულობენ, ხოლო ივლისსა და აგვისტოში წყალი ძლიერ ეცემა, ასე რომ ზოგერთი მდინარე, თუ სავსებით არ შრება, უკვე ხშირად ფრიად მცირე რაოდენობით იძლევა სარწყავ წყალს. სწორედ ამ თვეებშია ყველაზე მეტი სიცხე და, მაშასადამე, შესაბამისი კულტურის მოსავალიც ყველაზე მეტადაც დამოკიდებული მორწყვის ინტენსივობაზე — და ეს განსაკუთრებით ეხება ყველაზე უფრო ძვირფას კულტურებს, როგორიცაა ბრინჯი, ბამბა, გუნჯუთი და სხვ. სწორედ ამ თვეებში დგება ხოლმე ზეკრიტიკული მომენტი: წყლის ნაკლებობით ხშირად ფუჭდება ნათესები და შეიძლება დაიღუპოს ირიგაციასზე დამყარებული მიწათმოქმედება. ამავე დროს ჩაიდება წყლით სასტიკი სპეკულაცია, დავიდარაბა თემებსა და მამამულეებს შორის, რაც არაიშვიათად სისხლისმღვრელ შეტაკებამდე მიდის.

მაგალითად, ერევნის გუბერნიის ახალბაიხეთის მაზრაში ამ თვეებში წყლით სარგებლობის ნიადაგზე ატეხილი დაგების მიზეზით მცხოვრებთა შორის ხშირი შეტაკების შესახებ ადგილობრივი კორესპონდენტი წერდა: „...ჩიხედეთ მკვლელობათა სტატისტიკაში და თქვენ დანახავთ, რომ სახელდობრ ამ უბედურ ოლქში საბალახო ადგილებზე ყოველწლიურად ხდება რამდენიმე დასახიჩრება და მკვლელობა წყალისათვის. წვეთი წყალი მის წონა ოქროდ ფასობს“<sup>3</sup>. თუ ასე მწვავედებოდა საქმე საბალახოების მორწყვაზე, გასაგებია, არანაკლები სიმძაფრის შეჯახებებს ექნებოდა ადგილი ყანების მორწყვისათვის საჭირო წყლის განაწილებაში და, ყოველივე ამის მეოხებით, წყლის ადმინისტრაციასაც ამ თვეებში გახურებული მუშაობა ექნებოდა<sup>4</sup>.

<sup>1</sup> ცხადია, მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც ბრინჯის პლანტაციები სოფლებსა და ქალაქებს აკრავდნენ და ხელს უწყობდნენ მოსახლეობაში ეპიდემიების გავრცელებას.

<sup>2</sup> МИЭБГКЗК, III, II, 42, 67, 276; IV, II, 206; СМЭБГК, III, II, 55.

<sup>3</sup> КХ, 1914 г., № 2, стр. 5.

<sup>4</sup> П. Петрович, Продовольственная нужда в Закавказье, 1913 г., Т. 4—6.

საერთოდ, იენისის დადგომიდანვე იწყება მერაბის (მერუსი) და მის სიღრმეებითა გაცხოველებული მოღვაწეობა. ამ დროიდან წყალს მხოლოდ წინასწარ დადგენილი რიგითა და ზომით<sup>1</sup> ღებულობენ. მოცემული თემი თავისი არხით განუწყვეტლივ ღებულობს კუთვნილი რაოდენობის წყალს, რასაც თემის წევრთა შორის რიგრიგობით ანაწილებს. მცირეწყლიანობის შემთხვევაში თემთა შორისაც იწყება წყლის რიგობით მონხმარება: მთელი საირიგაციო ნაგებობის წყალი ჯერ, რამდენიმე ხნით, ეძლევა ერთ თემს, შემდეგ მეორეს და ა. შ. ზეკრიტიკულ მომენტში მიმართავენ ხოლმე გირდავის წესს. გირდავი, ე. ი. რიგზე ადრე „უკიდურესი აუცილებლობის“ გამო მოცემული თემისათვის, ან ყანისათვის წყლის მიცემა, ჩვეულებრივ ძლიერ მოკლე ხნით, არაუმეტეს სამი დღისა, გრძელდება.

თვით თემს შიგნით თემის წევრთა შორის წყლის განაწილება უპირატესად წარმოებდა იმავე კრიტერიუმის მიხედვით, როგორაც ხდებოდა, მაგალითად, სახელმწიფო გლეხთა შორის სათემო მიწების გადაანაწილება<sup>2</sup>. თემი იყოფოდა ჯგუფებად: ათეულებად (ტასნაკებად, დაღებად), უზნებად; ეს იყო საირიგაციო ერთეულიც, რის მიხედვითაც ლიტრა-ჩარექობის, ამა-ჩარექობის, ბაშის და სხვ. საფუძველზე ხდებოდა წყლის მიწოდება თითოეული კომლისათვის ანუ კომლთა ამხანაგობისათვის, ჯგუფისათვის.

#### IV

ამიერკავკასიის ირიგაციის საკითხთა მეცნიერული შესწავლა პირველად 1860—1863 წ. წ. დაიწყო ინგლისელმა ინჟინრებმა ბელიმ და გაბბამ. მათ პირველად სპეციალურად ჩაატარეს ამიერკავკასიის ჰიდროლოგიური გამოკვლევა<sup>3</sup>. სხვათა შორის, ამათი და შემდეგ ფონ-ვაისენჰოფის გამოანგარიშებით 1880-იანი წლების დასაწყისში მდ. მტკვრისა და მისი შენაკადების სარწყავი წყალი გამოყენებული იყო მხოლოდ 35—37 პროცენტით. ბელიმ და გაბბამ შეისწავლეს აღმ. ამიერკავკასიის თითქმის ყველა ასე თუ ისე შესამჩნევი მდინარე. მათი გამოანგარიშებით მდ. მტკვრის ყველა შენაკადებისა და ლენქორანის მაზრის მდინარეთა სარწყავი წყლის რაციონალური გამოყენებით შესაძლებელი იქნებოდა ორ მილიონამდე (1.963.000) დესეტინა მიწის მორწყვა. ამასთანავე იმ დროისათვის აღმ. ამიერკავკასიაში უკვე ირწყვოდა დაახლოებით 0,8 მილიონი დესეტინა მიწა, ე. ი. კიდევ შეიძლებოდა მორწყვა 1,2 მილ. დეს. ფართობისა.

ცარიზმის ხელისუფლებამ თანდათანობით დაინახა და შეიგნო, აუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამიერკავკასიის ეკონომიკისათვის, უწინარეს მიწათ-

<sup>1</sup> ამიერკავკასიის სხვადასხვა კუთხეში ფრიალ სხვადასხვაგვარი იყო სარწყავი წყლის საზომი ადგილობრივი ერთეულები: СМЭВГК, III, II, 56; II, 424; МИЭВГКЗК, IV, II, 207; V, I, 188; СКОСХ, VI, 135.

<sup>2</sup> იხ. პ. გუგუშვილი, თემური მიწათმფლობელობა ამიერკავკასიაში: ეკონ. ინსტ. შრომები, 1946, I, 18—22.

<sup>3</sup> СВРЗК, XI, 743.



მოქმედებისათვის მორწყვას. ცხადია, ამ გარემოებას რუსეთის ცალკეული მხარე-  
ლები იმთავითვე ამჩნევდნენ და საჭიროდ თვლიდნენ, მოუწოდებდნენ კიდე-  
ვაც მთავრობას აქ ირიგაციის სისტემის აღდგენისა და განვითარებისაკენ.  
მაგრამ 1860-იან წლებამდე მაინც არსებული სოციალ-ეკონომიური ვითარება  
შეუძლებელს ხდიდა ასეთ წამოწყებათა ასე თუ ისე ფართო მასშტაბით განხორ-  
ციელებას. ამ დროიდან კი უკვე ადგილობრივი, ქართული, აზერბაიჯანული,  
სომხური და რუსული პუბლიცისტიკაც თავის ყოველდღიური მსჯელობის საგნად  
ხდის ირიგაციის საკითხს. პრესა ირიგაციის მოშლით ხსნის მოსავლიანობის  
დაცემას, შიმშილიანობას, წვრილ-მწარმოებელთა გაღატაკებასა და სხვ. მართ-  
ლაც, თუ რამდენად დაეცა, მაგალითად, მილის ველის ნაყოფიერება შედგად  
ირიგაციის მოშლისა, ჩანს შემდეგიდან. 1870 წელს აქ 1264 კომლისაგან შემდ-  
გარ მომთაბარეთა ჯგუფებს ეჭირათ დაახლოებით 2500 კვ. კილომეტრი ფარ-  
თობი, ე. ი. 1 კომლზე მოდიოდა 200 დესეტინამდე, და ამ მიწისათვის, რო-  
გორც ყიშლალისათვის, ისინი ერთ დესეტინაზე იხდიდნენ 10—30 კაპიკს —  
საიჯარო ქირას<sup>1</sup>. ორმოციოდე წლის შედეგად, შედეგად მორწყვისა მილის  
ველის ამ აწ ნაყოფიერ მიწებზე მოდიოდა უზვი მოსავალი: 1 დესეტინაზე  
100 ფუტამდე ხორბლეული ანდა 15 ფუთზე მეტი ბამბა<sup>2</sup>. ამ შემთხვევაში  
მიწის საიჯარო ქირად, იმ დროს აქ არსებული საიჯარო ქირის მინიმუმი,  
ე. ი. მოსავლის ერთიმეოთხედიც რომ ავიღოთ, გამოდის, რომ მილის ველზე  
მიწის შემოსავალი დაახლოებით 100-ჯერ გაზრდილა. სხვა სიტყვებით: შემო-  
სავლის თითქმის არამქონე მიწა დიდი შემოსავლის მომტანი გამხდარა.

როგორც აღვნიშნეთ, 1860—1870-იანი წლებიდან საზოგადოებრივი მოძრა-  
ობის ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემად იქცევა მორწყვის სისტემის აღდგენა-  
განვითარება. ცარიზმის ადგილობრივი თუ ცენტრალური ხელისუფლება უკვე  
მეტი გულისყურით ექცევა ამ საკითხს, რის შესასწავლადაც გაღებულ იქნა  
ერთგვარი თანხები. 1880-იანი წლებიდან უკვე იქმნება მეცნიერული ლიტერა-  
ტურა ამიერკავკასიის ირიგაციის საკითხებზე; ამ შრომებმა<sup>3</sup> უდაოდ დიდი  
გავლენა მოახდინეს მორწყვის საქმის შემდგომ განვითარებაზე.

აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ 1860—1870-იანი წლებიდან  
ამიერკავკასიის ირიგაციის საქმე უცხოეთის კაპიტალის ერთგვარ ყურადღებასაც  
იქცევდა. უცხოეთის კაპიტალი უშედეგოდ ცდილობდა კონცესიის საფუძველზე  
ხელში ჩაეგდო აქაური ნაყოფიერი სარწყავი მიწები<sup>4</sup>. მაგალითად, ინგლისური

<sup>1</sup> СКОСХ, VI, 224—225.

<sup>2</sup> П. Петрович, Итоги урожая хлопка в Закавказье в 1913 г., 1914 г., Тиф-  
лис, 32—34.

<sup>3</sup> რომელთა შორის აღსანიშნავია: С. Вейсенгоф, Предположения инженером  
Белли и Габба по орошению... Закавказского края, 1880; მისივე, Сведения о состоя-  
нии орошения на Кавказе, 1883; М. Герсеванов, Очерк положения ирригации  
в Закавказье, 1883; მისივე, Очерк гидрографии Кавказского края, 1886; В. Дин-  
гельштедт, Водонаделение и ирригация, 1880—1883, I, II; М. Псарев, Очерк  
орошения в Закавказском крае, 1888; აგრეთვე მთელი რიგი სტატიები და მონოგრაფიები,  
გამოქვეყნებული სხვადასხვა პერიოდულ გამოცემებში, განსაკუთრებით ЗКОИРТО-ში.

<sup>4</sup> В. Дингельштедт, I, с., II, 308—320.

კაპიტალი მისწრაფოდა ხელი მოეკიდა კახეთის ირიგაციისათვის, ხოლო დახარჯული კაპიტალის „ასანზღაურებლად“ იგი მოითხოვდა 79 წლის განმავლობაში ყოველ მორწყულ დესეტინაზე წლიურად აედო: ვენახისა და ხეხილის ბაღიდან 15 მანეთი, ცოტა ამაზე მეტი ბრინჯის პლანტაციასზე და 4 მანეთი სახნავსა და საბალახოზე. მაგრამ სახელმწიფო გლეხებმა გადაქრით უარი თქვეს ამ მიზნით „ტყუილა-უბრალოდ ფულის გადაყრაზე“<sup>1</sup>.

ამასთანავე, როგორც ჩანს, ამ მიმართულებით ამოძრავებულა ფრანგული კაპიტალიც. 1873 წელს ს. მესხი წერდა, რომ ალაზნის ველზე „არხების გაკეთება რამდენსამე კახელ მემამულეს განუზრახავთ და იმათ, როგორც ამბობენ, მიწერ-მოწერაც ჰქონიათ ზოგიერთ პარიზის კაპიტალისტებთან. ამბობენ, რომ პარიზში ორი კამპანია არის მზად, რომ ისინი ამ საქმეს მოკიდებენ ხელსაო, თუ კი მინდვრების პატრონები ზოგიერთ პირობებს შეუსრულებენ იმათაო“<sup>2</sup>. უნდა ვივარაუდოთ, რომ მხარეთა შეუთანხმებლობის გამო ჩაიშალა ეს წამოწყებაც.

შემდეგ, 1899 წელს თბილისში ჩამოვიდნენ ინგლისელ და ამერიკელ კაპიტალისტთა ჯგუფის წარმომადგენლები — ინჟ. ჰიდრავლიკოსები: W. Hall და I. Rages — კალიფორნიიდან. ამათ პირველ რიგში დაათვალიერეს ყარაიას საირიგაციო ნაგებობა და მიწათმოქმედების კულტურა, მერმე სარდარაბადისა, მილისა და მულანის ველები<sup>3</sup>. მათ აზრად ჰქონდათ „ორგანიზება მსხვილი აქციონერული საზოგადოებისა ახალ საირიგაციო ნაგებობათა მოსაწყობად და ექსპლოატაციისათვის და აგრეთვე წისქვილების, ზეთსახდელი და შაქრის სარაფინადო ქარხნებისა და ბამბის საწმენდი ფაბრიკების გამართვა“<sup>4</sup>. ბოლოს, 1900-იან წლებშიაც იყო ერთგვარი, ისევ უშედეგო, ცდები ამიერკავკასიის ირიგაციაში უცხოეთის კაპიტალის დაბანდებისა.

მაგრამ უცხოელი თუ ადგილობრივი სპეციალისტებისა და კაპიტალისტების პროექტები, გეგმები და საერთოდ თაოსნობის აღამიანთა და თვით აღმინისტრაციის მიზანდასახულობა ან სავსებით არ ეხებოდა ცხოველმყოფელ სინამდვილეს, ანდა, — თავდაპირველად ნავარაუდევ მასშტაბთან შედარებით, — მხოლოდ უმნიშვნელო გავლენას ახდენდა მდგომარეობის გაუმჯობესებაზე. იყო კიდევ მრავალი მიზეზი, მაგალითად, მიწების გაუმჯობესებლობა, თვით სარწყავი წყლით სარგებლობის უფლებათა და ადგილობრივი ნორმების შეუსწავლელობა სათანადო ორგანოების მხრივ და სხვ., რაც საფუძველს უმაგრებდა ცარიზმის ადმინისტრაციის უმოქმედობასა და ინერტიულობას ამ საქმისადმი. ჯერ კიდევ 1846 წელს დაწყებული საქმე წყლით სარგებლობის ადათობრივი სამართლის ჩაწერისა და დაკანონებისა ახალ-ახალ და ხშირად ერთმანეთის საწინააღმდეგო მითითებებს ღებულობს 1850, 1860, 1870-იან წლებში და მთელ რიგ კომისიათა მუშაობის შემდეგ მხოლოდ 1880 წელს შედგენილ იქნა „კავკასიაში წყლისსარგებლობის წესებისა და უფლების კანონპროექტი“, რომელიც კიდევ

<sup>1</sup> KCX, 1894 r. № 36, стр. 620.

<sup>2</sup> ს. მესხი, ალაზნის მინდორში არხის გაყვანაზე: გაზ. „დროება“, 1873 წ. № 7.

<sup>3</sup> KCX, 1899 r. № 296, стр. 661.

<sup>4</sup> იქვე.



ათი წლის განმავლობაში ვადადიოდა განსახილველად ერთიდან მეორე სამი-  
ნისტროს კანცელარიაში.

ამ ხნის განმავლობაში წყლით სარგებლობის წესები უპირატესად, ცხადია, დამყარებული იყო ადათობრივ სამართალზე და ვახტანგ VI კანონებზე. მაგრამ ადმინისტრაციის მიერ ამათი შეუსწავლელობა და გაუგებრობა ფრიადართულეზდა წყლით სარგებლობისადმი ზედამხედველობის გაწევას. 1847 წელს ცარიზმის მიერ გამოცემული პირველი კანონმდებლობითი აქტი შესახებ ამიერკავკასიის ირიგაციისა იმითღა განისაზღვრა, რომ თბილისის გუბერნიის ერევნისა და ნახჭევანის მაზრებში კრძალავდა ადგილობრივი ადმინისტრაციის ჩარევას წყლის განაწილების საქმეში, რაც ჩვეულებისამებრ თვით სოფელსა და მის მიერ არჩეულ მოხელეს უნდა ეწარმოებინა<sup>1</sup>. შემდეგ 1859 წ. კანონში ნათქვამია: „ამიერკავკასიაში როგორც გაყვანა, ისე დაკვა და ექსპლოატაცია სარწყავი არხებისა დარჩეს იქ მოქმედი ადგილობრივი ადათების საფუძველზე, სანამ ამ საგანზე გამოცემული არ იქნება განსაკუთრებული დადგენილება“<sup>2</sup>. და ეს დადგენილება, როგორც ჩანს, მხოლოდ... 22 წლის შემდეგ, ე. ი. 1880 წელს შედგენილი, ზემოხსენებული, კანონპროექტის სახით იყო 1859 წელს ნაგულისხმევი...

ხსენებული კანონპროექტისათვის მიძღვნილი ესოდენ დიდი ღრის განმავლობაში, როგორც დავინახეთ, ამიერკავკასიის ირიგაცია უკიდურეს მდგომარეობამდე მივიდა; და, თუმცა 1874 წლამდე კავკასიაში სახელმწიფო ქონებათა ცენტრალურ სამმართველოსთან ითვლებოდა სამი ინჟენერ-ჰიდრაავლიკოსი, მაგრამ მათი მოღვაწეობა, არ ემორჩილებოდა რა არც ერთ სპეციალურ ხელმძღვანელ ორგანოს ზედამხედველობას და იყო რა მოკლებული გარკვეულ სისტემას, „არამც თუ საირიგაციო მეურნეობის გაუმჯობესებას, არამედ თვით ამ საქმის მართველად და ჯეროვანად შესწავლასაც კი ხელს არ უწყობდა“, — როგორც აღნიშნავს ოფიციალური დამკვირვებელი<sup>3</sup>.

1882 წელს ადგილობრივი ადმინისტრაციის მიერ აუცილებელ საჭიროებად იქნა აღიარებული ბაქოს, განჯისა და ერევნის გუბერნიებში საირიგაციონაგებობათა და წყლით სარგებლობის ზედამხედველობისათვის დაენიშნათ თითო ინჟენერ-ჰიდრაავლიკოსი. მაგრამ, კავკასიის მმართველობაში სწორედ ამ წელს დაწყებული საერთო რეორგანიზაციის მოლოდინში, პეტერბურგმა ეს შუამდგომლობა სრულიად უყურადღებოდ დასტოვა.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ქვეყანაში, სადაც მიწათმოქმედება დამყარებულია მორწყვაზე, აუცილებელია არსებობა საზოგადოდ აღიარებული სპეციალური ადათობრივი თუ დაწერილი კანონებისა, რომლებიც განსაზღვრავენ იმ რთულ მოვლენებს, რომელთაც იურიდიული, ადმინისტრაციული, ყოფიერებითისა და ტექნიკურის მხრივ წარმოშობს წყლისმფლობელობისა და წყლითსარგებლობის პრაქტიკა. როგორც დავინახეთ, ასეთი კანონმდებლობის არ-არსებობა დიდად უშლიდა ხელს ამიერკავკასიაში ირიგაციის განვითარებას და მორწყვის არსებულ საშუალებათა ნორმალურ ექსპლოატაციასაც კი.

<sup>1</sup> Свод законов, III, статья 641.

<sup>2</sup> Свод законов, X, I, ст. 442, пр. 2.

<sup>3</sup> СМЭБГК, V, I, 20.

ბოლოს, როგორც იქნა, 1890 წლის 3 დეკემბერს დამტკიცდა 1880 წელს შედგენილი კანონპროექტი, — ე. ი. გამოიცა ამიერკავკასიისაში წყლისმფლობელობისა და წყლითსარგებლობის საქმეობად დაწვრილებითი კანონი.

3 დეკემბრის კანონით სახელმწიფო ცხადდება „უზენაეს მფლობელად ყოველგვარი წყლისა, რომელიც ვადის ერთი მფლობელის (მამულის) ფარგლებიდან“<sup>1</sup>. ამგვარად, წყლისმფლობელობა სამოქალაქო სამართლის სფეროდან გადატანილია საჯარო-უფლებრივ ურთიერთობათა სფეროში, „სადაც კერძო საკუთრების უფლება დაქვემდებარებულია საზოგადო კეთილდღეობის იდეისათვის“<sup>2</sup>. კანონმა დააწესა საირიგაციო ნაგებობისათვის საპირო მიწის იძულებითი გასხვისება — საკარმიდამოს გამოკლებით. დაწესდა აგრეთვე წყლის სპეციალური ადმინისტრაცია — როგორც კავკასიისათვის ცენტრალური, ისე ადგილობრივი ორგანოების სახით.

მთავრობის ცენტრალურ ორგანოს წარმოადგენდა წყლის ინსპექცია კავკასიაში, რომელსაც შემდეგში ეწოდა: წყლის მმართველობა კავკასიაში (ВУ). წყლის სამმართველოს ფუნქციებში შევიდა, როგორც ადმინისტრაციული ისე ტექნიკური საქმეები. ადგილობრივი ორგანო განაგებდა წყლის ოლქის (მაჰალის) საქმეებს. ადგილობრივი ორგანო შედგებოდა საბჭოსა, მერაბისა, ჯუფართა (ზედამხედველთა) და წყლის მამასახლისისაგან. ყველა ეს თანამდებობა იყო არჩევითი — 3 წლის ვადით.

3 დეკემბრის კანონი წყლითსარგებლობის მოწესრიგებაში ძირითადად ემყარებოდა შესაბამის ადათობრივ სამართალს, რაც აქ, როგორც აღვნიშნეთ, ძველი დროიდანვე იყო გამოიშუაებული<sup>3</sup>. მართალია, 3 დეკემბრის კანონს მრავალი დეფექტი ჰქონდა, მაგრამ ის მაინც წინგადადგმული ნაბიჯი იყო. ამ დროიდან უფრო გაძლიერდა და მეტადაც ეფექტური შეიქნა ხელისუფლების დონისძიებანი ირიგაციის საქმეში.

1888—1891 წ.წ. მუშაობას აწარმოებდა სამხრეთ-რუსეთისა და კავკასიის ირიგაციის ექსპედიცია, რომელსაც ხელმძღვანელობდა ინჟ. ი. ჟილინსკი. წარმოებდა ძიება წყლის დამატებითი რესურსებისა სარდარაბადისა და გარნიბასარის მაჰალისათვის<sup>4</sup>. შესწავლილ იქნა კერძოდ მდ. გარნი-ჩაი, მდ. ზანგი და სხვ., აგრეთვე რიგი წყაროები და მიწისქვეშა წყლები; დიდი მუშაობა იქნა გაწეული სევანისა და ამ წყლებით მოსარწყავი მიწების გამოსაკვლევად<sup>5</sup>.

<sup>1</sup> КК, 1914, Отд. общий, 46.

<sup>2</sup> ТКОСХ, 1891 г. № 5—6, 4—17.

<sup>3</sup> А. Шан-Гирей, Разделение права на воду от права на землю: КСХ, 1905 г. № 572—577.

<sup>4</sup> И. Жилинский, Очерк работ экспедиции по орошению на... Кавказе, 1892, СПб.; Г. Назарянц, Дело орошения в Гарнибасаре Эриванск. губ.: К. Х. 1916 г. № 15—16, стр. 2—3.

<sup>5</sup> И. Жилинский, Записка об орошаемых и пригодных для орошения землях в Туркестане, Закаспийской области и Закавказье: Труды Хлопк. Комитета, 1907, СПб., 57—66.

1895—1896 წ. წ. იგივე ექსპედიცია სპეციალურად მუშაობს მტკვრისა და არაქსის ბასენების შესწავლისა და რეგულაციის მიზნით, რათა შეიძლება მეტი წყალი იქნას გამოყენებული მოსარწყავად — უმთავრესად მულანის ველისა, რომელიც ამ დროიდან მეზამბეობისა და კოლონიზაციის განვითარებისა და გაფართოების უმნიშვნელოვანეს სივრცედ იყო მიჩნეული<sup>1</sup>.

ირიგაციის დიდი მნიშვნელობა, ცხადია, ადგილობრივ ტექნიკურ ინტელიგენციას უკარნახებდა საკუთარი და, მასთანავე, ადგილობრივი პირობებისათვის — ღრმა კალაპოტიდან წყლის, იქვე, ზემოთ ამოყვანისათვის — შესაბამი ხერხები და საშუალებანი გამოემუშავებინა, გამოეგონა. ამ მხრივ აღსანიშნავია, მაგალითად, ა. ე. ხან-აგოვის „ჰიდლაერული ავტოელევატორი“, კონსტრუირებული 1890-იანი წლების ბოლოს. ამ „ჰიდრაულურ ავტოელევატორს თავისთავად ამოჰყავს წყალი ქვემოდან ზემოთ“. ა. ხან-აგოვის აპარატი მრავალგან იყო გამოფენილი და გამოცდილი. აპარატი მუშაობდა, სხვათა შორის, ბაღების მოსარწყავად ავკლაში, აგრეთვე თვით ქ. თბილისში (სადაც, მტკვრიდან ამოყვანილი წყლით, რწყავდა გენ. ჟუკოვის ბაღს), გორში (კალატუზოვის მამულში) და სხვ.<sup>2</sup>, მაგრამ მალე, 1900-იანი წლებიდან, ალბათ, არარენტაბელობისა და ტექნიკური შეუსაბამობის მეოხებით, თანდათანობით დავიწყებას მიეცა.

კავკასიის წყლის სამმართველოს მუშაობა, გარდა იმისა, რომ ერთგვარ ზედამხედველობას ახორციელებდა ზემოხსენებული ექსპედიციის საქმიანობაში, მხოლოდ იმაშილა გამოიხატებოდა, რომ იცავდა გაფუჭებისაგან ირიგაციის არსებულ სისტემას, ამავრებდა მდინარეთა ნაპირებს, სწავლობდა ზოგიერთ მდინარეს, მისი წყლის მოსარწყავად გამოყენების თვალსაზრისით<sup>3</sup>. 1910 წელს წყლის სამმართველოსთან შეიქმნა ჰიდრომეტრიული განყოფილება, რომელსაც სისტემატური დაკვირვება უნდა ეწარმოებინა ამიერკავკასიის ჰიდროგრაფიისა და წყლის მარავთა შესწავლისათვის<sup>4</sup>.

წყლის სამმართველოს მიერ 1903 წლის მდგომარეობის მიხედვით შედგენილი ამიერკავკასიის ირიგაციის რუქის თანახმად მორწყვით სარგებლობდა სულ 3963 დასახლებული პუნქტი (ქალაქი და სოფელი), სადაც სარწყავი წყლით სარგებლობდა 269.678 კომლი. ხოლო რიცხვი მიწათმფლობელთა და საღალლო მამულებისა (инрочных статей), რომლებიც სარწყავი წყლით სარგებლობდნენ,

<sup>1</sup> С. Мелик-Саркисян, О навогах р. Аракса: Труды Вольного Экон. Об-ва, 1897 СМБ, I, 36; М. Навроцкий, Основания для орошения Мильской и Муганской степей: Сборн. „Карадагск. рудные месторождения“, 1902 СПб, 166—200.

<sup>2</sup> იხ. КВПС, 1900 г. № 6, стр. 5—7.

<sup>3</sup> СВРЭК, XI, 109—112.

<sup>4</sup> ТМКСХП, ЛII, 93—102; А. Эссен, Гидрография Закавказья, 198; უფრო ადრე, სახელდობრ 1903 წ., მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროსთან დაარსებულ იქნა ჰიდროლოგიური კომიტეტი (იხ. КСХ, 1903 г. № 487, стр. 1080—1081). 1913 წ. გამოქვეყნდა ამიერკავკასიის ჰიდრომეტრიული განყოფილების მუშაობის პირველი შედეგები: Отчет гидрометрической части за 1910—1912 г. г.; ამავე 1913 წლიდან დაიწყო ჰიდრომეტრიული ბიულეტენების გამოცემაც — წელიწადში სამჯერ.

უდრიდა 7305-ს. მთელი სარწყავი მიწის ფართობი შეადგენდა 1.258.171 დესე-ტინას. ამათგან ყოველწლივ ირწყევოდა 718.961 დეს. ამავე დროს მეტეორული და გადამყვანი (განმშტოებელი) არხების საერთო რაოდენობა უდრიდა — 5946; ბუნებრივ წყალსაცავთა რაოდენობა — 1783; ქიაპრიზებისა და წყალსაცავთა ხელოვნური ნაგებობის რაოდენობა — 725. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 1903 წ. ცნობაში აღნუსხულია მხოლოდ ის რაიონები, სადაც უკვე არსებობდა ამ დროისათვის წყლის მმართველობის ადგილობრივი ორგანოები.

1911 წლიდან წყლის სამმართველოს მუშაობა უფრო გაცხოველდა და კონცენტრირებულ იქნა უმთავრესად მტკვრისა და არაქსის ქვედაწელის შესწავლაზე<sup>1</sup>. წყლის სამმართველომ ამ წელს პირველმა მიაქცია რეალური ყურადღება მორწყვის საკითხს დას. საქართველოში<sup>2</sup>. 1913 წ. სწავლობდნენ მდ. რიონიდან წყლის გაყვანით ქუთაისის მაზრის სოფლების მორწყვის საქმეს. 1911—1913 წ. წ. მოსარწყავად გამოყენების მიზნით წარმოებდა აგრეთვე მდ. ცხენის წყლის გამოკვლევა<sup>3</sup>. მორწყვის საქმეზე განსაკუთრებით დიდ თანხებს ხარჯავდა ამიერკავკასიაში კოლონიზაციის სამმართველო<sup>4</sup>, რომელსაც სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ამოცანად ჰქონდა დასახული ამ ქვეყნის რუსებით კოლონიზაცია, რისთვისაც მიწების საჭირო ფონდის გამონახვა ამდროიდან უკვე მხოლოდ მორწყვის მეოხებით იყო შესაძლებელი. ამგვარად, ცარიზმმა ამიერკავკასიაში მიწათმოქმედების გაფართოებისათვის ესოდენ აუცილებელი ფაქტორი, როგორცაა მორწყვა, ამ ქვეყნის კოლონიზაციის, მაშასადამე, რუსიფიკაციის საკითხს უშუალოდ დაუკავშირა<sup>5</sup>, რამდენადაც ის, ცარიზმი, დადებით როლს დამაშობდა ირიგაციის საქმეში.

ცარიზმის ადგილობრივი ბიუროკრატიის უმოქმედობის ფონზე ადგილობრივი ეროვნული ძალები უშედეგოდ ცდილობდნენ საკუთარი ინიციატივის გამოჩენას, როგორც მრავალ სხვა, ისე კერძოდ ირიგაციის საქმეშიაც. აქ, მაგალითისათვის, აღვნიშნავთ ერთ-ერთ ცდას მელიორაციის ბანკის დაარსებისა. მორწყვის მოთხოვნილებათა ასე თუ ისე დაკმაყოფილების მიზნით 1902 წელს მელიორაციის ბანკის დაარსების პროექტი წამოაყენა ქართველი ინტელიგენ-

<sup>1</sup> СВРЗК, XI, 112—114.

<sup>2</sup> თვით ქართული პრესა ჯერ კიდევ 1880-იანი წლებიდან აღნიშნავდა დას. საქართველოში ტყეების გაჩენვისა და სხვ. მიზეზთა გამო ზაფხულობით, განსაკუთრებით პატარა მდინარეებში, წყლის დეარდნისა და საერთოდ ცის ნალექების შემცირების ფაქტს და ამასთანავე მიუთითებდა მოსარწყავი არხების გაყვანისათვის დროულად ზრუნვის საჭიროებას (იხ. „დროება“, 1883 № 120).

<sup>3</sup> СВРЗК, XI, 109—110.

<sup>4</sup> „Кавказ в 1909 году“, 1910, Тифлис, 69—72.

<sup>5</sup> იხ. Ив. Маевский, К полемике об орошении Мугани (Как и для кого орошать Мугань?), 1901, Т.; КСХ, 1900 г. № 14—15, 1901 г. №№ 18, 20—26; Газ. „Кавказ“, 1901 г. № 146; И, Маевский, Практика большого орошения и орошение для переселенческих участков... 1903. Тифлис.

ციის ჯგუფმა ვ. წერეთლის მეთაურობით<sup>1</sup>; მაგრამ ამ ცდას რეალური შედეგი არ მოჰყოლია.

თვით 1914 წლამდე ამიერკავკასიაში არსებობდა სულ რამდენიმე დიდი საირიგაციო ნაგებობა (ინჟინერული სისტემა). ამათგან ყველაზე აღრინდელია ყარაიას საირიგაციო სისტემა. ყარაიას ველის მორწყვის პროექტი შეადგინა ინგლისელმა ინჟინერმა გაბბამ; საირიგაციო მუშაობა მისივე ხელმძღვანელობით დაიწყო 1864 წელს და პირველი რივისა დამთავრდა 1867 წ., რადროიდანაც იწყება აქ მორწყვა — მარიას არხით<sup>2</sup>.

ძველი ქართული წყაროების მიხედვით ირკვევა, რომ აქ სარწყავი რუები ჯერ კიდევ ვახტანგ გორგასალს (V საუკ.) გაუყვანია<sup>3</sup>. ვახუშტის გეოგრაფიაში ვკითხულობთ: „ნაგების [ძველი ბოსტანქალაქის, რუსთავის] აღმოსავლით და სამხრით არის ველი დიდი ყარაიისა ... ნაგებიდამ გაიღო ჟღ მეფემან ვახტანგ [VI] რუ მტკვრისაგან, და მიერ ჟამიჲგან ნაკოფიერებს ქალებს ქვემოთი მინდორი“<sup>4</sup>. სენია ჩხეიძეც ამოწმებს, რომ ვახტანგ VI „განიღო რუ ნიხურითგან, ვიდრე ყისყალამდის, აღაშენა ხუნანი, სოფლებსა უშენსა აღვილებსა და განიღო ნაგებიდამ ბოლოსა ყარაიისასა და აღაშენა სოფლებიო“<sup>5</sup>. ამგვარად, ყარაიას სარწყავი სისტემა ჯერ კიდევ მეხუთე საუკუნეში არსებულა და უკანასკნელად ის ვახტანგ VI მიერ ყოფილა განახლებული. „შემდეგში იგი საწყისად დაედვა ახლანდელ მარიას არხს ყარაიისიო“, აცხადებს ისტორიკოსი დ. ფურცელაძე<sup>6</sup>.

ყარაიას მამული ეკუთვნოდა „კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენ საზოგადოებას“, რომელმაც აქ მოაწყო ხსენებული არხი, მარიის არხის სახელწოდებით<sup>7</sup>. 1885 წლიდან ყარაიას მამული ხაზინის ხელში გადავიდა. მამულის სიგრძე უდრიდა 21.200 დესეტინას; ამათგან 1900-იანი წლების ბოლოს ირწყვოდა 16.000-მდე დესეტინა. მდ. მტკვრიდან გაყვანილი მარიის არხის სიგრძე უდრიდა 18,5 ვერსს, მთავარი შტოს სიგრძე — 5 ვერსს და 16 წვრილი განმანაწილებელი რუებისა — 104 ვერსს. ხაზინა ყარაიას სარწყავ ველებს იჯარით აძლევდა უპირატესად რუს კოლონიზატორებს.

ერეგნის მაზრის არაზ დას ველის საირიგაციო სისტემა გენ. კანანოვის თაოსნობით გაყვანილია 1874 წელს. ეს არხი, რომელიც 10.000 დესეტინა მიწას რწყავდა, გამოდის მდ. არაჰსიდან. არხის მაგისტრალის სიგრძე უდრიდა 36 ვერსს, ხოლო 9 განმანაწილებელიანად არხის საერთო სიგრძე იყო 76 ვერსი.

<sup>1</sup> В. Церетели, Сущность проекта мелиоративного банка: КВПС, 1902 г. № 119, стр. 8—9.

<sup>2</sup> СВРЗК, XI, 743.

<sup>3</sup> Д. Пурцеладзе, Грузинские церковные гуджары, 1881, Т., I, შენიშვნა სქოლიოში.

<sup>4</sup> ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 1941 თბ., 50—51.

<sup>5</sup> „ქართლის ცხოვრება“, II, 323; პროფ. მ. ჯანაშვილი, საქართველოს ისტორია, მეორე გამოცემა, 1894. თბ. 408.

<sup>6</sup> Д. Пурцеладзе, I. с. 1; ი. ანთაძე, I. с., 149.

<sup>7</sup> ТКОСХ, 1888 г. № 7—8, 384—390.

მულანის ველის საირიგაციო სისტემის გაყვანა დაიწყო 1901 წ. პირველი რიგის არხი — ქვემო-გოლიციინისა — გაიხსნა 1902 წელს დაიწყო ზემო-გოლიციინის არხის გაყვანა. ორივე არხი არაქსიდან გამოდის. ორივე არხით 1913 წ. ირწყვოდა ჩრდ. მულანის ველის დაახლოებით 25.000 დესეტინა ფართობი. ცენტრალური მულანი ირწყვოდა ქვემო-ვორონცოვის არხით, რომელიც ისევ არაქსიდანაა გაყვანილი. ამ არხის სიგრძე უდრიდა 72 ვერსს და 1913 წელს მით ირწყვოდა 12.000 დეს. ფართობი. 1909 წელს დაიწყო და 1913 წელს დამთავრდა ზემო-ვორონცოვის არხის გაყვანა, რომელიც პირველსავე წელს რწყავდა სამხრეთ მულანის 8.000 დეს. ფართობს (ამ არხით ნავარაუდები იყო სულ 30.000 დესეტინის მორწყვა). მულანის ველი ირწყვოდა აგრეთვე მდ. ბოლგარჩაიდან გაყვანილი ორი არხით (5.000 დეს.). ასე რომ 1913 წ. მულანის ველზე ირწყვოდა სულ დაახლოებით 50.000 დეს. ამავე დროს მიმდინარეობდა მუშაობა ცენტრალური მულანისა და ქვემო მულანის არხების გაყვანისათვის, რომელთაც უნდა მოერწყათ 130.000 დეს. ფართობზე მეტი. ამ არხების გაყვანა 1916 წ. ძირითადად უკვე დამთავრებული იყო<sup>1</sup>.

მაგრამ მულანში საირიგაციო მშენებლობის ნავარაუდები მასშტაბით განვითარებას ხელს უშლიდა ის გარემოება, რომ „ამ ველზე მოსახლეობის საჭირო რაოდენობით მოზიდვა და დაბინავება ვერ ხორციელდებოდა“; ხოლო ვერ ხორციელდებოდა მხოლოდ იმის გამო, რომ ადგილობრივ მკვიდრთ (ამიერკავკასიელ ხალხებს) უკრძალავდნენ მორწყულ ველებზე დასახლებას — აქ უპირატესად რუსული ელემენტები უნდა დაესახლებინათ. ხოლო ცენტრალური რუსეთის გუბერნიებიდან სათანადო რაოდენობით გლეხობის ვადმოსახლების პროცესის გაჭიანურების, ე. ი. მულანში შესაბამისი რაოდენობით მოსახლეობის არ-არსებობის მეოხებით, 1916 წელს, მაგალითად, გამოყენებული იყო მხოლოდ 36 პროცენტი მთელი მორწყული მიწისა.

საერთოდ, მულანის ველის საირიგაციო სისტემის მშენებლობის ინტენსივობა აშკარადედა იმისდა მიხედვით, თუ რამდენად იზრდებოდა აქ მორწყული მიწის ფართობი<sup>2</sup>:

წლები	დესეტინობით
1902—1908	6.000
1908—1909	16.000
1910	18.000
1911	22.000
1912	47.000
1913	50.000

ხოლო 1916 წლის ბოლოსათვის მულანის ველის ოთხივე საირიგაციო სისტემით ირწყვოდა დაახლოებით 180.000 დესეტინა ფართობი<sup>3</sup>.

<sup>1</sup> СБРЭК, XI, 743.

<sup>2</sup> А. Эссен, Орошение в Закавказье, 1914. 50—51.

<sup>3</sup> „Закавказье“, стат. жон. сб., 207.



მთელს ამიერკავკასიაში 1903—1912 წ. წ. მორწყული მიწების ფართობი გადიდა 274.160 დესეტინით, ე. ი. 38 პროცენტით, რაც უდაბლესი მთების იმ ფაქტს, რომ 1900-იანი წლებიდან საირიგაციო მშენებლობა შედარებით შესამჩნევი ტემპით ვითარდებოდა. მაგრამ, ცხადია, ეს კიდევ არ იყო საკმარისი. აღმ. ამიერკავკასიაში ჯერ კიდევ რჩებოდა დიდძალი, მოურწყველობისაგან, გაუდაბნობებული ველები. მოურწყველი იყო, მაგალითად, მილის ველი<sup>1</sup>—280.000 დეს., შირვანის ველი—500.000 დეს., სალიანისა—130.000 დეს. და სხვ., რომელთა საერთო ფართობი ერთ მილიონ დესეტინას აღემატებოდა.

ჩვენ აქ, რასაკვირველია, არაფერს ვამბობთ იმის შესახებ, რომ თვით ზემოხსენებულ საინჟინერო სისტემებსაც ფრიად მნიშვნელოვანი დეფექტები ახასიათებდა; თუმცა, ცხადია, რომ ძველი დროის, თუნდაც ყველაზე სრულქმნილ ირიგაციასთან შედარებით, ესენი ბევრად უფრო თანამედროვე სისტემებს წარმოადგენდნენ.

საერთოდ, ამ სისტემების მთავარი დეფექტები იყო: 1. პრიმიტიული წყალმიმღები ნაგებობა, რაც ვერ უზრუნველყოფდა არხში აუცილებელი რაოდენობით წყლის რეგულარულ შემოსვლას; 2. სისტემის მრავალსათავიანობა, ე. ი. მდინარის მცირე მონაკვეთში მრავალი წვრილი არხისათვის ცალკეულ წყალგამყვანთა არსებობა; 3. ზომიერ მეტი სამარქაფო ნაწილები არხებისა, რაც იწვევს წყლის აუარებელ დანაკარგს ფილტრაციისა და აორთქლების სახით; 4. არხების დიდი სიგრძივი დახრილობა ერთგან, ხოლო სხვაგან სავსებით დაუხრელობა; 5. სასხლეტი (срощной) და კოლექტორული ქსელის უქონლობა, რასაც შედეგად მოსდევს დაჭაობიანება და გაბიკობება (გამარილიანება) მიწებისა<sup>2</sup>.

მაგრამ გარდა იმისა, რომ 1860-იანი წლებიდან შექმნილი საირიგაციო სისტემებიც კი არადაპაკმაყოფილებელი იყო, აღმინისტრაცია გულგრილად უყურებდა ძველი მოსარწყავი არხებისა და რუების მიმდინარე შეკეთებისა და დაცვის საქმეს. ამასთანავე ეს „ძველი, პრიმიტიული“ სისტემა კიდევ დიდად მნიშვნელოვან როლს თამაშობდა საერთოდ ამიერკავკასიაში.

ამ მხრივ ფრიად მჭერმეტყველურია განცხადება ოფიციალური პირის, დიდი სახელმწიფო მოხელის, ნ. მატფევევისა, რომელიც 1914 წელს, იხილავდა რა ამიერკავკასიაში ირიგაციის მდგომარეობას, ასკენიდა: „შეიძლება გადაჭარბების გარეშე ითქვას, რომ მორწყვის ძველი ქსელი არამცთუ არ გაუუმჯობესებიათ ამ ქვეყნის რუსეთთან შეერთების დროიდან, არამედ თითქმის საერთოდ მოშლამდგა მიღწეული. ირანელთა ბატონობის დროს ყოფილ მუსლიმანურ პროვინციებში და ბატონყმობის დროს საქართველოში ეს საკითხი ადვილად წყდებოდა. სახელდობრ, სარწყავ ნაგებობათა დაცვა-მოვლის სამუშაოები გაწერილი იყო გლეხობაზე ნატურალური ბეგარის სახით, რაც იძულებითი

<sup>1</sup> „Обзор Елизаветпольской губ. за 1910 г.“ 1912. Тифлис, стр. 259—260.

<sup>2</sup> СВРЗК, XI, 743.

წესით სრულდებოდა. ეს უდაოდ არასამართლიანი წესი ამჟამად, რასაკვირველია, მოსპობილია, მაგრამ ახალი წესებიც ამ საქმეში ვერ უზრუნველყოფენ წარმატებას“<sup>1</sup>.

ყოველივე ამას კარგად გრძნობდა, მაგალითად, პ. პეტროვიჩი, რომელიც ჯერ კიდევ 1913 წელს წერდა: „ამიერკავკასიაში არ არის არც საკმაო რაოდენობით სარწყავი წყალი, არც მისი წესიერი განაწილება; ახალი არხების, რუბების, ქიაპრიზების, წყალსაცავების, არტეზიული ჭების, წყალსაქაჩავთა გაყვანა-აშენების საკითხები, მთელი სამხარეო წყლის ინსპექციის რეორგანიზაციის, წყლის სამართლის საკითხის მოწესრიგება და სხვ. დღის წესრიგზე დგას და უცდის გადაჭრასო“<sup>2</sup>.

მაგრამ ცარიზმისა და კაპიტალიზმის პირობებში შეუძლებელი იყო ამ საკითხების რაციონალური და ადგილობრივი მოსახლეობის მასებისათვის სასურველი და სასარგებლო სახით გადაჭრა. 1917—1920 წ.წ. ომებისა და რევოლუციების განმავლობაში, როგორც საერთოდ სახალხო მეურნეობა, ისე ირიგაციულ ნაგებობათა უდიდესი ნაწილი მოიშალა და დაიზღვა. კერძოდ, ყარაიას და მულანის სისტემების დარღვევას ხელი შეუწყო აქედან კოლონიზატორთა აყრამ და საერთოდ წყლის ადმინისტრაციის დაშლამ. არხები დაისილა და მიწით გაიფსო:

ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდანვე დაიწყო როგორც მთელი სახალხო მეურნეობის, ისე ირიგაციის აღდგენა. ლენინი ადგილობრივი კომუნისტების განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ირიგაციის საქმეს. სახელდობრ ამხანაგ სერგო ორჯონიკიძის სახელზე კავკასიელი კომუნისტებისადმი წერილში, 1921 წ., ლენინი მითითებას იძლეოდა: „...ერთბაშად შეეცადეთ გააუმჯობესოთ გლეხის მდგომარეობა და დაიწყოთ მორწყვის დიდი სამუშაოები. მორწყვა ყველზე მეტად არის საჭირო და ყველაზე უფრო გარდაქმნის ქვეყანას, ააღორძინებს მას, დაასამარებს წარსულს, განამტკიცებს გადასვლას კომუნისმში“<sup>3</sup>.

ლენინისა და სტალინის უშუალო მითითებათა საფუძველზე 1921 წლიდან დაიწყო ამიერკავკასიაში საირიგაციო სისტემის აღდგენისა და მშენებლობის სავსებით ახალი პერიოდი... 1926 წელს უკვე მიღწეული იყო ომისწინადროინდელი დონე მოსარწყავი ფართობის სივრცის მიხედვით. ჯერ კიდევ 1924 წლის ბოლოს ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებში ირწყვოდა (დესეტინობით)<sup>4</sup>:

ახერბაიჯანში	700.000,	რაც შეადგენდა საერთოდ ვარგისი მიწის დაახლოებით	11 <sup>0</sup> / <sub>100</sub> -ს
სომხეთში	140.000	„ „ „ „	18 „
საქართველოში	100.000	„ „ „ „	3 „

<sup>1</sup> Н. Матфеев, Водный закон и земство на Кавказе: КХ, 1914 г. № 14, 4.  
<sup>2</sup> П. Петрович, Продовольственная нужда в Закавказье в 1913 г., Т., 21—22.  
<sup>3</sup> Ленин, Сочинения, XXVI, 192.  
<sup>4</sup> „Закавказье“, 159—160.



მაგრამ დაიწყო არამხოლოდ ძველ საირიგაციო სისტემათა აღდგენა, არამედ, როგორც ვთქვით, გაიშალა უდიდესი აღმშენებლობითი მუშაობები. სწორედ ახალი სისტემების შესაქმნელად, როგორც, მაგალითად, მდ. რიონიდან მაშველისა და სხვ., დიდი ღიახვიდან — ტირიფონისა, არპა-ჩაიდან — სარდარაბადისა, არაქსიდან — გიუარ-არხისა და ა. შ. აღსანიშნავია, რომ მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ მიაქცია ჯგროვანი ყურადღება და რეალურ შედეგამდე მიიყვანა კერძოდ დას. საქართველოს ირიგაციის საქმე. ადრიდანვე აღიარებული იყო, რომ ქუთაისის გუბერნიის შავი ზღვისაგან დაშორებული რაიონები — ყვირილისა და რიონის ზემოთა ქალები — საქიროებენ მორწყვას. ამ რაიონებში წვიმები იშვიათად მოდის. მაგალითად, 1890—1911 წლებში, ე. ი. 22 წლის მანძილზე ამ რაიონებში აღნიშნული იყო 13 გვალვიანი წელიწადი (60%), როდესაც უწყიმობით (უწყლობით) გაფუჭდა ყანები<sup>1</sup>. დას. საქართველოში მხოლოდ 1921—1925 წ. წ. იქნა გაყვანილი რამდენადმე მნიშვნელოვანი საირიგაციო სისტემა, რითაც მოირწყო 30.000 დეს. მიწა<sup>2</sup>.

მაგრამ საირიგაციო მშენებლობამ ამიერკავკასიაში განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიიღო სტალინური ხუთწლიანი გეგმების საფუძველზე. ამხანაგი ლ. პ. ბერია 1936 წელს, აღნიშნავდა რა ირიგაციის დიდ მნიშვნელობას, აცხადებდა, რომ საირიგაციო მშენებლობის შემდგომ განვითარებას შეუძლია მოგვეცეს „დიდძალი ახალი მიწები სოფლის მეურნეობის განსავითარებლად, ჩვენი კოლმეურნეობის განსამტკიცებლად, კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა შემოსავლის გასადიდებლად“<sup>3</sup>.

სტალინის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
პოლიტიკური ეკონომიის კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 1943. VI. 3)

<sup>1</sup> KX, 1909 r. № 11, 7—9.

<sup>2</sup> ურ. „ტენნიკა და ცხოვრება“, 1927 წ. № 10 (25).

<sup>3</sup> ლ. პ. ბერია, ღონისძიებანი საქართველოს კოლმეურნეობათა შემდგომი განმტკიცებისათვის, 1936 თბ., 131.

სიმ. ყაუხჩიშვილი

## ეფრემ მცირე და ბერძნულ-ბიზანტიური ლექსწყობის საკითხები<sup>1</sup>

### I

მეთერთმეტე საუკუნის გამოჩენილი ფილოლოგოსის ეფრემ მცირის ორიგინალურ ნაშრომთაგან ცნობილია მხოლოდ ორი: ა) „მოსახსენებელი მცირე სუმეონისთვის ლოლოთეტისა და თხრობად მიზეზსა ამათ საკითხავთა თარგმანისასა“ და ბ) „უწყებად მიზეზსა ქართველთა მოქცევისასა, თუ რომელთა წიგნთა შინა მოიკსენების“. მაგრამ, გარდა ამისა, ეფრემის ორიგინალურ ნააზრევს შეიცავენ ის სქოლიოები, რომელთაც ეფრემი უხვად ურთავს თავის ნათარგმნ თხზულებებს. ამ სქოლიოთაგან ყველაზე მრავალრიცხოვანია ე. წ. დიონისე დიონისე არეოპაგელის წიგნების თარგმანში ჩართული შენიშვნები.

დიონისე არეოპაგელის თხზულებები, ეფრემ მცირის მიერ ნათარგმნი, ხუთ წიგნად განიყოფება:

- 1) «საეკლესიოადა მღვდელთმთავრობისათჳს» (De ecclesiastica hierarchia),
- 2) «სადღუმლოდ ღმრთისმეტყუელებისათჳს» (De mystica theologia),
- 3) «სახელთათჳს ღმრთისათა» (De divinis nominibus),
- 4) «ზეცათა მღვდელთმთავრობისათჳს» (De coelesti hierarchia),
- 5) «ეპისტოლენი ათნი».

ეფრემ მცირემ თარგმნა არა მარტო დიონისეს შემოხსენებული წიგნები, არამედ ის სქოლიოებიც, რომლებიც დაურთეს არეოპაგეტიკულ წიგნებს VII—X საუკუნეთა კომენტატორებმა (მაქსიმე აღმსარებელმა, გერმანოზმა და სხვებმა); გარდა ამისა, ეფრემმა თვითონაც დაურთო საკუთარი შენიშვნები. ეს შენიშვნები უპირატესად გრამატიკული ხასიათისაა: ისინი ეხებიან ეტიმოლოგიურ, ლექსიკოლოგიურსა და სალექსწყობო საკითხებს.

<sup>1</sup> წაკითხულია მოხსენებად კლასიკური ფილოლოგიის კათედრის სხდომაზე 1945 წლის თებერვლის 12-ს.



## II

დიონისე არეოპაგელის ხუთსავე წიგნს ეფერემ მცირის თარგმანში წამდგარებული აქვს ეპიგრაფები («ზედაწარწერილი»), ლექსად გამოთქმული ეპიგრაფებია<sup>1</sup>:

1. De eccl. hier.: ღმრთივ განწესებათ იგავთა სამდღელთა ერთსახე-ქმნული სახემრავლობისაგან ერთსახეობით აღკსნით შემოკრებულ ჰყავ და მიჩუენებ ჩუენ ერთისა მის ნათლისა ერთბრწყინვალესა ნათელთ გარდაფენასა.
2. De coel. hier.: ანგელოზებრთა სიბრძნეთა კამკამებათ მრავალნაწილად ყოვლით-კერძო განჰფინე და ამით კაცთა გამოუბრწყინვე ხილვად ცაჲ გონებისაჲ ღირსად შეზავებული ვარსკულავებითა გულისკმის ყოფათაჲთა.
3. De myst. theol.: ქუე დაუტევენ გონებათა ნათელნი და არსთასაცა ცნობასა ზეშთა ექმენ და ესრეთ შეზუედ ღამედ საღმრთოდ წერილსა საფარველ მისსა ბნელის დადებისათჳს რომლისაჲ უღონო არს სახელისდებაჲ.
4. ათი ეპისტოლე: ბრწყინვალესა მას ნისლსა შინა მავალი ერთსახეობით იწყებ და განაწესებ უცთომელსა და ყოვლად ელვის სახესა ბრძენ საზომებსა ღმრთისმეტყუელებისასა ეპისტოლეთა მიერ ერთ ათეულთა.
5. De div. nom. გონებასა მას ზეშთა ბრწყინვალებათასა ღმრთივ დაწერილნი ბაგენი რაჲ შეახენ მრავალფერ ჰყოფ შენ სახელ დიდად სიკეთეთა და შემდგომადცა სიკუდილის ჰკმობ ღმრთივ კმოვანად ცხოველ ბრძენთა მთ ქების მეტყუელებათა.

პირველ ორ ეპიგრაფს ეფერემ მცირის შემდეგი შენიშვნები აქვს დართული:

De eccl. hier.: «და ესეცა იროიკოჲ ორმუკლი ჩუდმეტ მარტული ენისა უგრძესობისათჳს და დასდებულად უნაკლულობისათჳს ათორმეტ მარტულად იამბიკოდ მიითუალეთ და უსასყიდლოდ ლოცვა ყავთ ეფერემ ყდ საწყალობელისათჳს» (ხელთ. A—163, გვ. 075).

De coel. hier.: «და ესეცა ორმუკლი იროიკოჲ ხუთმუკლ იამბიკოდ ითარგმნა. ამას გალობდით და მე გლახ ცეცხლსა შინა მყოფსა მომიკსენებდით, წმიდანო მამანო!» (ხელთ. A—163, გვ. 063).

პირველ რიგში ჩვენს ყურადღებას იპყრობს გამოთქმა «ორმუკლი».

<sup>1</sup> არეოპაგეტიკული წიგნების ქართული თარგმნის რამდენიმე ხელთნაწერი მოგვეპოვება. ქვემოთ ციტატები მოგვყავს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერებიდან: A—163 და A—684.

რას ნიშნავს გამოთქმა „ორმუკლი“? ის ნიშნავს *δίσταχον* „ორმუკლი“ ეფრემ მცირეს ესმის როგორც *σείχος*, ეს ჩანს მისი სქოლიოებისა და თარგმანის სხვა ადგილებიდანაც. მაგალითად,

„ამასთანა გამოაჩინებს, თუ რა-სათუხ „ღმრთისმეტყუელებითნი განწესებანი“ და „საღმრთოთა სახელთა“ წიგნი უმცირედ-მუკლეს არიან უფროჲს, ვიდრე „სახის შემოღებითი ღმრთისმეტყუელებაჲ“ (ხელ. A—163, გვ. 412; A—684, გვ. 180 v).

Διὰ τὴν αἰ „*Θεολογικαὶ Ἰποτυ-  
πῶσαι*“ καὶ ὁ *Περὶ θείων ὀνομάτων*“ λόγος ὁ λ ι γ ὀ σ τ ι χ ο ἰ εἰσι μᾶλ-  
λον ἢ ἡ „*Συμβολικὴ Θεολογία*“ (Migne 425 B).

თუ *σείχος* „მუკლია“, ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ „ორმუკლი“ არის *δίσταχον*. მაგრამ, როგორც ცნობილია, *δίσταχον* არა უბრალოდ „ორი ტაეპია“, არამედ ისეთი ორტაეპედი, რომელთაგან ერთი ტაეპი ჰეგზამეტრია, ხოლო მეორე პენტამეტრი. ეფრემის შემთხვევებშიც „ორმუკლი იროიკოჲ“ ნახმარია „ზედაწარწერილად“ ანუ ეპიგრაფად. მართლაც, ეპიგრაფებად (ან ეპიგრაფებად) ბერძნულ მწერლობაში ელეგიური დისტიქი იხმარებოდა.

მაშასადამე, აქედან უნდა დავასკვნათ, რომ ეფრემ მცირე „ორმუკლი იროიკოს“ ხმარობს ბერძნული ელეგიური დისტიქის აღსანიშნავად. მაგრამ არეოპაგეტიკული წიგნების ბერძნულ დედანში (არსებული გამოცემების მიხედვით)<sup>1</sup> არც ერთ ხუთ ტრაქტატთანს არ აქვს იმის მსგავსი ეპიგრაფები, რომლებიც ეფრემს დაურთავს ქართულ თარგმანში. ხოლო, რომ ეს ქართული ეპიგრაფები რომელიღაც ბერძნული დედნის მიხედვით არის დაწერილი, ჩანს შემდეგიდან:

### 1. De mystica theologia-ს ქართულად აქვს ეპიგრაფი:

ქუე დაუტევენ გონებათა ნათელნი  
და არსთასაცა ცნობასა ზეშთა ექმენ,  
და ესრეთ შეხუედ ღამედ საღმრთოდ წერილსა  
საფარველ მისსა ბნელის დადებისათუს,  
რომლისაჲ უღონო არს სახელისდებაჲ.

ბერძნულს გამოცემაში ამ ეპიგრაფის ადგილას სწერია: *Τὴν ὁ θείος γνό-  
φος* „რა არის ღვთაებრივი სიბნელე“. ეს სათაური, მართლაც, გამოხატავს ქართული ლექსის შინაარსს («ქუე დაუტევენ გონებათა ნათელნი... შეხუედ ღამედ საღმრთოდ წერილსა საფარველ მისსა ბნელის დადებისათუს»). ჩანს, ზემოთ მოყვანილ ბერძნულ სათაურს („რა არის ღვთაებრივი სიბნელე“) მოჰყვებოდა ლექსად დაწერილი ეპიგრაფი.

2. ერთ-ერთი იამბიკონის განმარტებაში ეფრემ მცირე წერს: «და ესეცა იროიკოჲ ორმუკლი ჩუდმეტ მარცუალი ენისა უგრძესობისათუს და დასდებულად უნაკლულობისათუს ათორმეტ მარცულად იამბიკოდ მიითუალეთო...»

<sup>1</sup> ჩვენ ხელთ გვქონდა Corderius-ის გამოცემა (ანტვერპ. 1634) და Migne-ისა (PG 3 და 4).

(იხ. ზემოთ, გვ. 68). ამ განმარტებიდან ჩანს, რომ ეფრემი გარკვეული მოსაზრებებით ჩვიდმეტმარცვლოვან იროიკოს ქართულად გადაწერის ცემს თორმეტმარცვლიანი იამბიკონით. მაშასადამე, მას ხელთჰქონია ბერძნული „ჩვიდმეტმარცვლიანი იროიკო“, რომლისთვისაც შეუფარდებია ქართული „თორმეტმარცვლიანი იამბიკონი“. ბერძნული ჩვიდმეტმარცვლიანი იროიკო კი შეიძლება იყოს მხოლოდ „დაქტილური ჰეგზამეტრი“. მართლაც, „იროიკო“ ბერძნულ მეტრიკაში გარკვეული ტექნიკური ტერმინია და ნიშნავს „საგმირო [ეპოსის] საზომს“, ე. ი. დაქტილურ ჰეგზამეტრს. ჯერ კიდევ არისტოტელეს აქვს ნათქვამი: τὸ δὲ μέτρον τὸ ἥρασιχον ἄπει τῆς πεντασ ἡρμιασεν. „საგმირო მეტრი, როგორც ცდა ამტკიცებს, შესაფერისია [ეპოპეისათვის]“<sup>1</sup>. ასევე ეწოდებოდა დაქტილურ ჰეგზამეტრს ბიზანტიურ ეპოქაშიც. მაგრამ დაქტილური ჰეგზამეტრი საშუალო ბერძნულის სალექსწყობო კრიტერიუმებს აღარ შეეფერებოდა: დაქტილური ჰეგზამეტრი ანტიკურ-ბერძნული კვანტიტეტისანი საზომი იყო, მარცვალთა სიგრძე-სიმოკლის პრინციპზე აგებული; ბიზანტიურ-ბერძნული ლექსი კი მარცვალთა რაოდენობას ემყარებოდა და მახვილს. ამიტომაც იყო, რომ ბიზანტიურმა ეპოქამ VI საუკუნიდან მოკიდებული დამკვიდრა პოეზიაში თავისებური „თორმეტმარცვლიანი“ და „თხუთმეტმარცვლიანი“. მაგრამ IV—VI საუკუნეებში (და აქა-იქ შემდეგაც) იხმარებოდა ანტიკურ-ბერძნული სალექსო საზომები, მათ შორის დაქტილური ჰეგზამეტრიც; ხოლო რადგან ხმოვანთა სიგრძე-სიმოკლე ენას უკვე აღარ ახასიათებდა, ამიტომ დაქტილში (— —) ორი მოკლე მარცვალი ვეღარ შეინაცვლებოდა ერთი გრძელი მარცვლით, ე. ი. დაქტილი ვერ გადაიქცეოდა სპოდელ (—), და, ამრიგად, მარცვალთა რაოდენობის მხრით ყოველი ტაეპი ჩვიდმეტმარცვლიანი იქნებოდა.

და არა ისე, როგორც ანტიკურ პერიოდში იყო, რომ, იმისდა მიხედვით თუ სად შესცვალა სპონდემ დაქტილი, ტაეპი შეიძლებოდა ყოფილიყო 16, 15, 14 და 13-მარცვლიანი. ეს გარემოება კარგად იცის ეფრემ მცირემ და ამიტომ ჰქვია მასთან იროიკოს — «ჩვიდმეტ მარცვლი».

ამგვარად, ეფრემ მცირეს ხელთ უნდა ჰქონოდა ბერძნულ დედანში დაქტილური ჰეგზამეტრებით (და პენტამეტრებით) გამართული ეპიგრაფები. მაგრამ ენისა უგრძესობისათვის და დასდებულად უნაკლულობისათვის მან დაქტილური ჰეგზამეტრები შესცვალა იამბიკონებით.

ზემოთ ჩვენ განვმარტეთ, რომ «ორმუკლი» უნდა ნიშნავდეს ἑρμιασ-ს, ე. ი. ელეგიურ დისტიქს (ეპიგრაფებიც ხომ ელეგიური დისტიქებით იწერებოდა). მაგრამ ეფრემის განმარტებით «ორმუკლი» ორ სტროფსაც ნიშნავს. ელეგიური დისტიქი — ორი ტაეპისაგან (ჰეგზამეტრისაგან და პენტამეტრისაგან) შედგენილი სტროფი იყო და ეფრემის გამოთქმა «იროიკო ორმუკლი» ნიშნავს „საგმირო საზომით გამართულ ორ სტროფს“, ე. ი. ოთხ ტაეპს (ორ ჰეგზამეტრსა და ორ პენტამეტრს). თითოეული ეპიგრაფი მან გა-

<sup>1</sup> „პოეტიკა“ თავი XXIV; იხ. ქართული თარგმანი ს. დანელიასი (თბ. 1944), გვ. 52.



მართა ხუთტაეპიანი იამბიკონით, რაც არ შეიძლება უდრიდეს ობტაქსიონს იროიკოს; იგი უდრის ორსტროფიან (ოთხტაეპიან) იროიკოს, ხოლო რადგან იროიკო (17-მარცვლოვანი) უფრო გრძელი ტაეპი იყო, ვიდრე იამბიკონი (12-მარცვლოვანი), ამიტომ მან ოთხი იროიკო ხუთ იამბიკონად თარგმნა. De coel. hier.-ის ეპიგრაფის განმარტებაში აკი ამბობს ეფრემი: «და ესეცა ორმუკლი იროიკოა ხუთმუკლ იამბიკოდ ითარგმნაო» (იხ. ზემოთ, გვ. 68). დასასრულ, ამავე განმარტებით მტკიცდება, რომ «მუკლი» ეფრემის ტერმინოლოგიაში ნიშნავს ტაეპსაც და სტროფსაც. «ხუთმუკლი იამბიკო» — ხუთტაეპიანი იამბიკონია, ხოლო «ორმუკლი იროიკოა» — ორსტროფიანი იროიკოა.

III

ეფრემ მცირე „იროიკოს“ სთარგმნის იამბიკონით საღვთისმეტყველო ეპიგრაფების გადმოცემის დროს, ხოლო იმავე „იროიკოს“, არა-საღვთისმეტყველო ძეგლებიდან ამოღებულს, ის სთარგმნის სხვა საზომით.

დიონისე არეოპაგელი De mystica theologia-ს პირველ თავში ხმარობს სიტყვას Πουλυβίος, რომელსაც ეფრემი თარგმნის «მრავალსიტყუა»-დ.

ამ სიტყვას მაქსიმე ურთავს გრამატიკული ხასიათის სქოლიოს, რომელშიაც განმარტავს განსხვავებას ორ ფორმას შორის: πωλυβίος და πωλνβίος.

„Πουλυβίος“ παροξυτόνας ὁ πολυλά λέγων. „πωλνβίος“ δὲ προπαροξυτόνας ὁ πολλῶν λόγων θεόμενος ἄς καὶ „πρωτότοιος“ προπαροξυτόνας ὁ πρώτως τεχθεῖς, „πρωτότοιος“ δὲ παροξυτόνας ἢ πρώτως τεχοῦσα γυνή, ἄς καὶ „Ὀμηρος“.

Πρωτοτόιος, κινύρη, οὐ πρὶν εἰδύειά τόχοιο (Migne 420 B).

„Πουλυβίος“, თუ ბოლოდან მეორე მარცვალზეა მახვილი, მრავლის მთქმელს ნიშნავს; ხოლო „πωლνβίος“, თუ მახვილი მესამეზეა, მრავალი სიტყვის მქონეს. ასევე „πρωτότοιος“ ნიშნავს პირველად შობილს, ხოლო „πρωτοτοίος“ პირველად მშობელ ქალს, როგორც მაგალითად, ჰომეროსთან: „პირველად მშობელი კინირე, რომელსაც წინათ არ უშობია“.

ეფრემის თარგმანი მაქსიმეს ამ სქოლიოსი გაცილებით უფრო ვრცელია (A—163, გვ. 440):

«ამას თანა შეისწავე ესეცა, ვითარმედ „მრავალსიტყუა“ უწოდიან მრავალ-მეტყუელსაცა, ხოლო აქა უღრმესითა სიტყუთა დიდი ესე მოძღუარი „მრავალსიტყუად“ იტყუს მრავალთა სიტყუათა მოქენებასა ღმრთისათს რასმე თქუმად. და ეგრეთვე „მცირე-სიტყუაობა“ სხუაგან მცირედ-მეტყუელისათს ითქუმის, ხოლო აქა ნაცვალად გამოუთქუმელობისა და მცირედ-სათქუმელობისა, და უმცირესი სიტყუაობა, ვითარ იგი „პირმშრ-შობ“ განყო უმიროს, რაჟთა რაჟჟამს ესრეთ გაჰქრას პირმშრ-შობ ყრმას მოასწავებდეს პირმშოდ შობილსა. ხოლო რამეთუ ესრეთ თქუას პირმ[შო] (A—163შობ), დედაკაცსა იტყოდის პირმშოდ მშობელსა, რომლისათს [იგივე] უმიროს იტყუს:

„ბარბით მცემელობს პირმშრ-შობ ვერ მეცნიერი შობისა“.

ეფრემის ეს სქოლიო ჩვენს ყურადღებას იპყრობს შემდეგით:

1) მაქსიმე განმარტავს, თუ რა განსხვავებაა ორ ფორმას შორის *παισ-λῆγος* და *παισλῆγος* — პირველი აქტიუური მნიშვნელობისაა („*παισλῆγος* ლაპარაკობს“, მრავალ-მეტყუელი), ხოლო მეორე პასიუური მნიშვნელობისაა („ვიზიდაც ბევრს ლაპარაკობენ“, მრავალთა სიტყუათა მოქენე). ეფერემი, ვარდა ამისა, მსჯელობს აგრეთვე სიტყვაზე *ἐλεῖν* და ამბობს: იგი, საზოგადოდ, ნიშნავს „მცირედ-მეტყუელს“ (აქტიუური მნიშვნელობით), ხოლო აქ, დიონისესთან „მცირედ-სათქუმელს“ ან „გამოუთქუმელს“ (პასიუური მნიშვნელობით). დიონისე არეოპაგელი, მართლაც, თავის ტრაქტატში *παισ-λῆγος*-თან ერთად ხმარობს *ἐλεῖν*-საც («მრავალ-სიტყუაცა არს სახიერი იგი ყოველთა მიზეზი, და თანად მცირე-სიტყუაცა და უთქუმელ, ვინაეცა არცა სიტყუაჲ, არცა მოგონებაჲ გუაქუს მისთჳს»), მაგრამ მაქსიმეს ამ სიტყვისათვის სქოლიო არ დაუტოვავს.

2) მაქსიმეს განმარტებიდან არა ჩანს, თუ დიონისე რა აზრით ხმარობს ამ სიტყვას: *παισλῆγος* თუ *παισλῆγος*. ეფერემი კი გარკვევით ამბობს: «აქა უღრმესითა სიტყუთა დიდი ესე მოძღუარი „მრავალსიტყუად“ იტყვს მრავალთა სიტყუათა მოქენეობასა ღმრთისათჳს რასმე თქუმადა, ე. ი. პასიუური მნიშვნელობით ხმარობსო. მართლაც, თანამედროვე ლექსიკოგრაფებს ასე ესმით დიონისეს მიერ ამ სიტყვის ხმარება (იხ. Pape, Gricechisch-Deutsches Hdw.: *παισλῆγος*, wovon viel gesprochen wird od. werden muss, Dionys. Areop.).

3) რაც შეეხება *ἐλεῖν*-ს, ბერძნული სიტყვათ-ხმარება, რამდენადაც შეგვიძლია ვიმსჯელოთ არსებული ლექსიკოგრაფიული ლიტერატურის მიხედვით, არ იცნობს განსხვავებულ ფორმებს *ἐλεῖν* და *ἐλεῖν*. ის იცნობს მხოლოდ მეორეს, *ἐλεῖν*.

ეფერემიც თავის განმარტებაში არ ამბობს, რომ ორგვარი დაწერილობა არსებობდეს, იმ დროს, როდესაც „მრავალი სიტყვის“ შესახებ ამბობს — არის *παισλῆγος* და *παισλῆγος*-იცო, „მცირესიტყვაობაზე“ გადმოგვცემს: სხვაგან ის ნიშნავს „მცირედ-მეტყუელს“, ხოლო აქ, დიონისესთან, „მცირედ-სათქუმელსო“ («მცირე-სიტყუაობაჲ სხუაგან მცირედ-მეტყუელისათჳს ითქუმის, ხოლო აქა ნაცვალად გამოუთქუმელობისა და მცირედ-სათქუმელობისა, და უმცირესი სიტყუაობაჲ»).

მაშასადამე, ეფერემ მცირის აზრით ერთი და იგივე ფორმა *ἐλεῖν*-ი ორივე მნიშვნელობისაა: აქტიუურისაც და პასიუურისაც („მცირედ-მეტყუელი“ და „მცირედ-სათქუმელი“, უკანასკნელი კი „გამოუთქუმელს“ უდრის). თვით დიონისეს ტექსტშიც ეფერემს *ἐλεῖν*-ი ესმის პასიუური მნიშვნელობით: «მრავალ-სიტყუაცა არს სახიერი იგი ყოველთა მიზეზი, და თანად მცირე-სიტყუაცა და უთქუმელ»).

საიდან მთმდინარეობს ეფერემის მიერ მოცემული პასიუური გაგება ამ სიტყვისა? მართალია, ძველ ბერძნულ ლექსიკოგრაფიაში არ არის აღნიშნული *ἐλεῖν*-ის ასეთი გაგება, მაგრამ ძნელი სათქმელია, რომ ის ეფერემის შეთხზული იყოს.

როგორც ჩანს, საშუალო ბერძნულში იყო *ἐλεῖν*-ის პასიუური გაგება. ახალი ბერძნული ხმარობს მას ორივე მნიშვნელობით: 1. „მცირედ-მეტყუელი“,

2. „მცირედ-თქმული“, „მცირედ-სათქმელი“, „მცირეოდენთა მიერ სათქმელი“  
 Δ. Δημητράκιου-ს ლექსიკონში ვკითხულობთ: „2. νεώτ. ἢ λεγόμενος *δὲ* *ἐπιπέπτος*,  
 ἢ βραχυλόγος, ἢ σύντομος“ (Δ. Δημητράκιου, Μέγας λεξικὸν τῆς ἑλληνικῆς  
 γλῶσσης, ტომი VI, ათენი 1939, გვ. 5089).

ჩვენ ვფიქრობთ, რომ საშუალო ბერძნულშიაც ორივე ვაგება არსებობდა და ეფრემის მიერ მოცემული ვაგება ცოცხალი სალაპარაკო ბერძნულიდან მომდინარეობს (ბიზანტიურ ლექსიკოგრაფიაში კი ასეთი ვაგება ჯერ-ჯერობით დადასტურებული არ არის).

4) შესადარებლად მოყვანილია *πρωτοτόκος* და *πρωτότοιος* („პირველ მშობელი“ და პირველშობილი“ ანუ „პირმშობ“) და საილუსტრაციოდ ჰომეროსია დამოწმებული: „ილიადის“ XVII, 5-ში *πρωτοτόκος* ნახმარია „პირველ მშობელი ქალის“ მნიშვნელობით — ასე განმარტავს მაქსიმე და ასევე სთარგმნის ეფრემ მცირეც. მაქსიმეს მიერ მოყვანილი ტაეპი „ილიადიდან“ ეფრემსაც ლექსით მოჰყავს

*Πρωτοτόκος, κισυρη, ὅς πρην εἰδήσῃ τόκοιο*

«ბარბით მცემელობს პირმშობ-შობ ვერ მეცნიერი შობისაჲ».

ეს ტაეპი ჩვენს ყურადღებას იპყრობს თავისი საზომით<sup>1</sup>: იგი გამართულია ე. წ. „დაბალი შაირით“.

ეფრემ მცირეს მეორე ტაეპიც აქვს გადმოთარგმნილი ჰომეროსის „ილიადიდან“ თავის შრომაში „ელინთა მეზღაპრეობა“:

„ამის ვისიმე დგომაჲ ცხენისაჲ სასმენელ იქმნა ბავათა ზედა“; ეს არის „ილიადა“ VI, 506:

*ἄς δ' ὄψεε τις σταντὸς Ἰπποῖς, ἀκοσσησας ἐπὶ φάτῃη<sup>2</sup>*

ამ ტაეპს ეფრემი გადმოგვცემს ბისტოკაურით, ოცმარცვლოვანი ტაეპით. ჩვენ ვამჩნევთ, ამრიგად, რომ ეფრემ მცირე დაქტილურ ჰეგზამეტრს სხვადა-

<sup>1</sup> „ილიადის“ XVII, 5-ის შინაარსი ეფრემის თარგმანში საკმაოდ უცნაურია და არც ჰომეროსის მიერ გადმოცემულ აზრს გამოხატავს: „ის, ვინც პირველად შობს და ვისთვისაც აქამდე მშობიარობა უცნობი იყო, ხარბითსა სცემსო“, ე. ი. ზეიმობსო. ნამდვილად კი ჰომეროსთან შემდეგ საკითხზეა ლაპარაკი: პატროკლე რომ მოჰკლა პარისმა, მენელაე მაშინვე მივიარდა მოკლულის გვამთან უკანასკნელის დასაცავად ტროელების მხრით შეურაცხყოფისაგან, და ის, მენელაე — ამბობს ჰომეროსი, ისე დაფათფათებდა პატროკლეს სხეულს, როგორც თავის ხბოს დასტრიალებს ბლავილით ძროხა, რომელმაც პირველად დაბადაო. გაუგებრობა წარმოდგა იქიდან, რომ მთარგმნელს კონტრექსტი ხელთ არ ჰქონდა; მას ჰქონდა მხოლოდ ეს ერთი ტაეპი: იქ კი *κισυρη* შეიძლება ნიშნავდეს „ბარბითსაც“ (სამუსიკო საკრავს) და „ბლავილსაც“.

<sup>2</sup> აქაც ეფრემს მეჭანიჭურად, შინაარსის გაუთვალისწინებლად, აქვს გადმოცემული ჰომეროსის ეს ტაეპი. „სასმენელ იქმნა“ არაფერ შუაშია. აქ ლაპარაკია იმაზე, რომ ჰექტორთან შეხვედრის შემდეგ, როდესაც ძამა შეარცხვინა პარისი, ლაჩარი ხარ და შინ ზიხარო, პარისიც მოეზადა საბრძოლველად, აისხა იარაღი და გაეჭანა ქალაქისაკენ, როგორც ბავამი დიდხანს ნადგომი და ქერ-ხაჭამი ცხენი; *აკოსსიას* „ქერ-ნაჭამს ნიშნავს, იგი იშვიათი სიტყვაა და მხოლოდ ჰომეროსთან გვხვდება, ორჯერ (II. VI, 506 და XV, 263), სრულიად ერთნაირ ტაეპში. სიტყვა, საერთოდ, გაუგებარი იყო თვით ბერძნებისათვისაც და იგი არა ერთხელ ყოფილა ბერძენ გრამატიკოსთა და სქოლიასტთა კვლევის საგანი. ამკარაა იმ ხელნაწერში, რომელიც ეფრემს ხელთ ჰქონდა, ეწერებოდა *აკოსსიას* („სასმენელი“).



სხვანაირად გადმოგვეცემს: საღვთისმეტყველო ტექსტებში მან 12-მარცვლოვანი იამბიკონით გადმოგვცა იგი, ხოლო ჰომეროსის ტაეპებისათვის მან აირჩიეს სხვა ბალი შაირი და ბისტიაკური. როგორც ჩანს, ასეთი წესი არა-საღვთისმეტყველო ლექსის გადმოცემისა ქართულ მწერლობაში ეფრემ მცირემდეც იყო: ჩვენ გვაქვს ხომ კიდევ ჰომეროსის მესამე ტაეპიც („ილიადა“ II, 204), პროკოპის მარტილობის VI—VII საუკუნის ტექსტში, სადაც დაქტილური ჰეგზამეტრი აგრეთვე ბისტიაკურით არის გადმოცემული («არა კეთილ არს მრავალ უფლება, ერთ უფალ იყავნ და ერთ მეუფე»)¹.

სტალინის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
კლასიკური ფილოლოგიის კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 1946. I. 9)

С. Каухчишвили

## Эфрем Мцире и некоторые вопросы греко-византийской метрики

Грузинский ученый и переводчик-комментатор Эфрем Мцире в своих комментариях к переводу книг Псевдо-Дионисия Ареопагита дает некоторый материал по вопросам греко-византийской и грузинской метрики.

1. Каждой из пяти ареопагитических книг Эфрем Мцире предпосылает строфу-эпиграф, состоящий из пяти стихов (т. н. Zwölfsilber), при чем поясняет, что «героическое двустрофие, семнадцатисложные [стихи], он перевел пятистрочной ямбической строфой». Из этого явствует, а) что *τὸ ἑρσικὸν μέτρον* он понимает как 17-тисложный стих, б) что в греч. оригинале тоже должны были быть эти эпиграфы, из которых каждый представлял собой два элегических дистиха, т. е. четыре стиха, и с) что эти четыре героических стиха принято было передавать пятью ямбическими стихами.

2. В схолиях Максима Исповедника к трактату *De mystica theologia* приводится один стих из „Илиады“ (XVII, 5), который Эфрем Мцире переводит тоже стихом, но не двенадцатисложным ямбом, а употребляемым в груз. светской поэзии «шаири». Два других случая перевода стихов Гомера размером «шаири» и «бистикаури», засвидетельствованные в др.-груз. литературе, убеждают нас в том, что в византийскую эпоху гекзаметры христианского содержания грузинские переводчики передавали ямбическим размером, а гекзаметры не-христианского характера переводили размерами, так сказать, светского характера.

¹ იხ. პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, რუსთაველის ეპოქის სალიტერატურო მემკვიდრეობა: რუსთაველის კრებული, თბ. 1938, გვ. 52.

ილ. ცეცვაძე

## გრამატიკული კლას-ნიშნებიანი მიცემითი ბრუნვა ხუნძური ენის ანწუხურ კილოში

ანწუხური ეკუთვნის ხუნძურის სამხრულ კილოთა ჯგუფს და ხასიათდება მთელი რიგი თავისებური მოვლენებით, რომელთაგანაც ზოგს დიდი მნიშვნელობა აქვს ხუნძური ენის ისტორიისათვის.

ერთ-ერთი ამგვარი თავისებურება ანწუხურისა ამ პატარა წერილში (წინასწარი ცნობის სახით) იქნება წარმოდგენილი<sup>1</sup>.

\*  
\* \*

კავკასიური ენებიდან, სპეციალურ ლიტერატურაში დღემდის მოპოვებულ ცნობათა მიხედვით, ანდიურშია დადასტურებული გრამატიკული კლას-კატეგორიის ნიშნების მქონე მიცემითი ბრუნვა; იქიდანვე ვიცნობთ გრამატიკულ კლას-ნიშნებიან ნათესაობით ბრუნვასაც.


ანდიურში საზოგადოდ ოთხი გრამატიკული კლასია გარჩეული, — ოთხივე კლასის ნიშანი წარმოდგენილია ბრუნვის ფორმაში:

ინულ დუ-ჟ ვიც'ი? სადაა შენი ძმა?	დი-ვ-ო წინნოსუ ინუბოლო ჰედე-ჟ მე არ ვიცი სადაა ის	(I კლ.)
ინულ დუ-ჟ დოც'ი? სადაა შენი და?	დი-ჟ-ო წინნოსუ ინუბოლო ჰედე-ჟ მე არ ვიცი სადაა ის	(II კლ.)
ინულ დუ-ბ კოტუ? სადაა შენი ცხენი?	დი-ბ-ო წინნოსუ ინუბოლო ჰედე-ბ მე არ ვიცი სადაა ის	(III კლ.)
ინულ დუ-რ ხუჩა? სადაა შენი წიგნი?	დი-რ-ო წინნოსუ ინუბოლო ჰედე-რ მე არ ვიცი სადაა ის	(IV კლ.)

მრავლ. რიცხვში კლას-ნიშნები უცვლელი რჩება<sup>2</sup>.

<sup>1</sup> ანწუხურის ზოგიერთ თავისებურებათა შესახებ შემთხვევა გვეჩვენა ალგენიშნა საანგარიშო მოხსენებაში, რომელიც წაკითხული იყო კავკასიურ ენათა კათედრის სხდომაზე 1942 წ. 6. X. (1942 წ. აგვისტო-სექტემბერში კავკასიურ ენათა კათედრის შუამდგომლობით სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ მივლინებული ვიყავ ყვარლის რაიონის სოფ. თივ-თებელჯონში ანწუხურ კილოზე სამუშაოდ).

<sup>2</sup> А. Д и р р, Краткий грамматич. очерк анд. яз.; გვ. 11.



ანდიური დალესტნის ენათა ჯგუფში შედის და ხუნძურ ენასთან ახლო დგას. მეტ წილ გრამატიკულ მოვლენებში ანდიური და ხუნძური მონაცემებს გვაძლევენ.

ამ შემთხვევაში კი ხუნძური თითქოს სცილდება ანდიურს: პირველში ხელშესახებად არა ჩანს გრამატიკული კლას-კატეგორიის ნიშნების მიხედვით გარჩეული მიცემითი და ნათესაობითი; ამჟამად გრამატიკული კლასი ხუნძურში უღვლილებაში დაჩნდება, ბრუნებაში — არა.

გვქონდა თუ არა ისტორიულად ხუნძურში ის, რაც ამჟამად ანდიურში გვაქვს დაცული? — ე. ი. **გრამატიკული კლას-ნიშნები იყო თუ არა წინათ აღნიშნული ხუნძურ ბრუნებაში?**

სპეციალურ ლიტერატურაში ამ კითხვაზე დადებითი ხასიათის პასუხია გაცემული; ვგულისხმობთ არ ნ. ჩიქობავას მიერ გამოთქმულ აზრს: „ანდიურში [ამ შემთხვევაში] შემონახულია ის, რაც წინათ გვქონდა ხუნძურში“, — ხუნძურ ბრუნებაში წინათ ისევე აღნიშნებოდა გრამატიკული კლასები, როგორც ახლა ანდიურში. ამგვარი დაშვების საწინდარს საკუთრივ ხუნძური ბრუნების ზოგი თავისებური მოვლენაც იძლეოდა<sup>1</sup>, მაგრამ მთავარი მაინც ანდიურის ჩვენება იყო: თვით ხუნძური ბრუნების ზოგი თავისებური მოვლენა და ბრუნებებში გაქვევებული კლას-კატეგორიის ნიშნების დაძვება ანდიურის მიხედვით ხდებოდა. ხოლო, ხუნძურის დიალექტები, — რამდენადაც მას ლიტერატურა იცნობდა, — სალიტერატურო ენასთან, ამ მხრივ, დიდ განსხვავებას არ ჰქმნიდა.

ერთადერთ გამონაკლის კილოდ ცნობილი იყო ანწუხური, რომელშიაც დადასტურებული იყო **-ბ-** ფორმანტიანი მიცემითი ბრუნვა<sup>2</sup>.


მაგრამ იმავე ანწუხურში მიცემითი ბრუნვის სხვა ფორმანტიანი ვარიანტებიც ყოფილა დაცული. სახელდობრ, **იმდენი ვარიანტი, რამდენიც კლას-კატეგორია გვაქვს.**

ხუნძურში (და მის დიალექტებში), როგორც ცნობილია, ამჟამად გარჩეულია სამი გრამატიკული კლას-კატეგორია:

I კლასს განეკუთვნებიან მამრობითი სქესის ადამიანის სახელები, II-ს მდებრობითი სქესის ადამიანის სახელები, III-ს ყველა დანარჩენთა სახელები, — განურჩევლად სქესისა.

<sup>1</sup> ასე, მაგ., — რ ფორმანტის გამოყენება I და II პირის ნაცვალსახელთა ნათესაობითი ბრუნვის ნიშნად: დი-რ (ჩემი), დუ-რ (შენი), ნეყე-რ (ჩვენი — ექსკლუზ.), ნოჟო-რ || მუჟე-რ (თქვენი), ნელე-რ (ჩვენი — ინკლუზ.) საფუძველს იძლეოდა ნათესაობით ბრუნვაში IV გრამატიკულ კლას-კატეგორიის გაქვევებული ნიშნის გამოყოფისა; -ჲ-: დი-ჲ-ე (მე), დუ-ჲ-ე (შენ), დოსი-ჲ-ე (მას), დოზი-ჲ-ე (მათ)... ჩო-ჲ-ე (ცხენს), ბო-ჲ-ე (ჯარს)... შამილი-ჲ-ე (შამილს) II გრამატიკულ კლას-კატეგორიის, აგრეთვე, გაქვევებულ ნიშნად მიცემითში... დაწვრილებით იხ. არნ. ჩიქობავა, გრამატიკული კლასების ისტორიისათვის ხუნძურში: ენიმკი-ს მოამბე, I, გვ. 96—105, მისივე, ნაცვალსახელთა ბრუნება ხუნძურში: ენიმკი-ს მოამბე, XII, გვ. 31—52.

<sup>2</sup> არნ. ჩიქობავა, ნაცვალსახელთა ბრუნება ხუნძურში: ენიმკი-ს მოამბე, XII.



გრამატიკულ კლას-ნიშნებად გვაქვს:

- I კლ. ვ
- II კლ. ჰ
- III კლ. ბ

მრავლ. რიცხვის ნიშნად: რ (ყველა კლასისათვის)<sup>1</sup>.

ანწუხურში ყველა ეს ნიშანი წარმოდგენილია მიცემითი ბრუნვის ფორმაში:


ლუნ „მე“, მიც. დი-ვ-ე	მუნ „შენ“, მიც. დუ-ვ-ე
დი-ჰ-ე	დუ-ჰ-ე
დი-ბ-ე	დუ-ბ-ე
დი-რ-ე	დუ-რ-ე
ვაც „ძმა“, მიც. ვაცასი-ვ-ე	დაც „და“, მიც. დაცალ'აი-ვ-ე
ვაცასი-ჰ-ე	დაცალ'აი-ჰ-ე
ვაცასი-ბ-ე	დაცალ'აი-ბ-ე
ვაცასი-რ-ე	დაცალ'აი-რ-ე
ზალუმხან (საკ. სახ.), მიც. ზალუმხანი-ვ-ე	ფატიმათ (საკ. სახ.), მიც. ფატიმათი-ვ-ე
ზალუმხანი-ჰ-ე	ფატიმათი-ჰ-ე
ზალუმხანი-ბ-ე	ფატიმათი-ბ-ე
ზალუმხანი-რ-ე	ფატიმათი-რ-ე

მრავლ. რიცხვი:

ნიუ „ჩვენ“ (ექსკლუზ.), მიც. ნეჟე-ვ-ე	ნილ' „ჩვენ“ (ინკლუზ.), მიც. ნელ'ე-ვ-ე
ნეჟე-ჰ-ე	ნელ'ე-ჰ-ე
ნეჟე-ბ-ე	ნელ'ე-ბ-ე
ნეჟე-რ-ე	ნელ'ე-რ-ე
მუჟ „თქვენ“, მიც. მუჟე-ვ-ე	
	მუჟე-ჰ-ე
	მუჟე-ბ-ე
	მუჟე-რ-ე
ვაცალ „ძმები“, მიც. ვაცაზი-ვ-ე	დაცალ „დები“, მიც. დაცაზი-ვ-ე <sup>2</sup>
ვაცაზი-ჰ-ე	დაცაზი-ჰ-ე
ვაცაზი-ბ-ე	დაცაზი-ბ-ე
ვაცასი-რ-ე	დაცაზი-რ-ე

<sup>1</sup> მრავლ. რიცხვის -რ წარმოშობით IV გრამატიკული კლასის ნიშანია: წინათ ოთხი გრამატიკული კლასი განირჩეოდა ხუნძურში: იხ. ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, გრამატიკული კლასების ისტორიისათვის ხუნძურში: ვნიშკის მოამბე, I.

<sup>2</sup> ვაცასი-ვ-ე, დაცალ'აი-ვ-ე... ვაცაზი-ვ-ე, დაცაზი-ვ-ე შეიძლება ასედაც დაგვეშალა: ვაც-ას-ი-ვ-ე, დაც-ალ'აი-ვ-ე... ვაცა-ზი-ი-ვ-ე, დაცა-ზი-ი-ვ-ე, სადაც -ას, -ალ'ა, -ზ ვრგატივის სუფიქსებია: მიცემითი ბრუნვა ისევე, როგორც ნათესაობითი, ვრგატივის ფორმას იყენებს ფუძედ. -ი- დასაკავშირებელი ხმოვანი იქნება... -ე მიცემითი ბრუნვის ნიშანია.



ანწუხურის ოთხი ვარიანტის ადგილს ხუნძურში ერთი ფორმა იკავებს; ამ ერთი ფორმით ამჟამად აღნიშნულია სამივე გრამატიკული კლასი და მათგან რიცხვი რეალური ობიექტის სახელობით ბრუნვით გადმოცემული სახელებისა:

დიმე	{	ვოტჭულა <sup>1</sup> ემენ (I კლ.)	მე მიყვარს მამა
		ვოტჭულა ებელ (II კლ.)	„ „ დედა
		ბოტჭულა ლ'იმერ (III კლ.)	„ „ ბავშვი
		როტჭულა ლ'იმალ (მრავლ.)	„ „ ბავშვები <sup>2</sup>

შდრ. ანწუხური:

დი-ვ-ე	ვატჭანა	დედე	„მე მიყვარს მამა“
დი-ჟ-ე	ვატჭანა	ბაბა	„მე მიყვარს დედა“
დი-ბ-ე	ვატჭანა	კიზან	„მე მიყვარს ბავშვი“
დი-რ-ე	ვატჭანა	კიზანალ	„მე მიყვარს ბავშვები“

(ხუნძ. ვაცასე)	{	ვაცასი-ვ-ე	ვატჭანა	ვაც	ძმას უყვარს ძმა
		ვაცასი-ჟ-ე	ვატჭანა	ააც	„ „ და
		ვაცასი-ბ-ე	ვატჭანა	ჩუ	„ „ ცხენი
		ვაცასი-რ-ე	ვატჭანა	ჩოალ	„ „ ცხენები.

მიცემითში დასმული რეალური სუბიექტის ოთხი ვარიანტი აღნიშნავს სახელობითი ბრუნვით გადმოცემული რეალური ობიექტის სხვადასხვა კლასსა და მრავლ. რიცხვს.

საილუსტრაციო მაგალითები:

RO<sup>3</sup> I კლ.

დუვე ვაც ვატჭანიშ შენ ძმა გიყვარს? ლასივე ყებედა ვატჭუნ-ვოცა<sup>4</sup> მას მჭედელი უნდოდა; ყებედა დივეგი ვატჭუნ ვოცა, ვალ'ეჭო მჭედელი მეც მინდოდა, ვერ ვნახე; ხანას ბის'ა: ჰა ვას'ა დივე ტჭემინ ხანმა უთხრა, ეს ვაჟი მე მომეციო; ტჭური დას დინელ ვას' ხანასივე მისცა მან თავისი შვილი ხანს; ჰა ბიშუგუ ტინა ვას'ა სუნნი ნეჟედასა წაიკუნ ვატჭუნ ვაჩანა ენცუვე ეს ყველაზე უმცროსი (პატარა) შვილი ჩვენზე მეტად რად უყვარს მამას? აცაზივე კუდა ვაც ვატჭუნ ვოცადა დებს უფროსი (დიდი) ძმა უყვარდათ-ო; მაჟმუნათივე ბიხ'ინ ჩი ვატჭანა მიიმუნათს (საკ. სახელია) ქმარი უყვარს.

<sup>1</sup> სტამბაში სხვა შესაფერისი ნიშნის უქონლობის გამო, ტჭ ნიშნით გადმოცემულია მეოთხე საფეხურის მკვეთრი ლატერალი, რომელსაც ამჟამად თვით ხუნძები kb-თი (k რბილი ნიშნით) გადმოსცემენ.

<sup>2</sup> П. У с л а р, Аварский язык, § 121, გვ. 120.

<sup>3</sup> RO იგულისხმება სახელობით ბრუნვაში.

<sup>4</sup> მაგალითები ჩაწერილია ჩემ მიერ სოფ. თივსა და თებულჯოხში. თივის მეტყველებასა და თებულჯოხის მეტყველებას შორის საგრძნობი ფონეტიკური სხვაობაა: თებულჯოხ. ს' თივურში ყოველთვის შ-თია შეცვლილი. ასევე: შ'-ს, წ'-ჭ, ზ'-ჟ, ძ'-ჯ, ჰა-წ, ჩა-ც... ტექსტის სიჭრელეს ადგილი რომ არ ჰქონოდა, ამგვარ ფონეტიკურ განსხვავებებს აქ თავი ავარიდეთ და მაგალითები ყველგან თებულჯოხური ნიმუშების მიხედვით მოვყავას.

RO II კლ.:

ჰელე დას'ა ლ'აიდე ტჳ ეზიხ'ანა ეს ქალიშვილი ვის უნდა მიეცეს (მისთხოვდეს)? ჰელე დას'ა ტჳე ზიხ'ანა ბიშუგუ ტინა ვაცასიდე, სუნი ბის'ალ'აი ბიშუგუ ტინა ვაცასულ ჭიჩ ხარჳ ჰუბური... ეს ქალიშვილი უნდა მიეცეს ყველაზე უმცროს ძმას, რადგანაც (სუნი ბის'ალ'აი = რატომ, თუ ვიტყვით) უმცროსი ძმის ვაშლი დაიხარჯა; ენცულ ჰაშიდე ტჳური დას'აგი მამამ ამათ მისცა ქალიც (ენცულ: სიტყვა ხუნძახურია, ფორმა ანწუხური — შდრ. ხუნძ. ინსუცა!); დას'ი ჰარუ ს'ო ჩი ვიტუ ს'ვა, — ს'ო ჭოლოკან ჩიდასიდე — ერთი ახალგაზრდა კაცისათვის ქალის სათხოვრად ერთი გამოგზავნილი კაცი მოვიდა; რაჯაბიდე რუჩააბა დატჳანა რაჯაბს ცოლი უყვარს; ხიზრიდე რუჩააბა დატჳანა ხიზრის ცოლი უნდა; დასიდე დირ დას ტჳუნარო მას ჩემ ქალიშვილს არ მივეცემ.

RO III კლ.:

ჰასიბე ლ'აიკაბ ქვენ ტჳო ქუნაზი ვოდრი მას კარგი საჭმელი მისცა რა, აქამა; ბაბად რეტელ ხ'უხ'არი ჰე დას'ალ'აიბე დედამ ტანისამოსი მოუქსოვა ამ ქალს; ტჳურიდა ფარჩაჰაას ბიშუბუ კულა ვას'ასიბე ს'ო დეჰინ, ტჳოროსა ვას'ასიბე ს'ო მუტუ, ტინა ვას'ასიბე ს'ო ჭიჩ მისცა მეფემ ყველაზე უფროს ვაჟს ერთი ხალიჩა, საშულს ერთი სარკე, უმცროსს — ერთი ვაშლი; ჰადაბ ქის'ა ზალუმ-ხანიბე დინელ ჰალმადას ტჳური ეს ქისა ზელიმხანს მისმა ამხანაგმა მისცა; რაჯაბიდ მადუჰანასიბე წაიდაბ ჰორქო ჰუბუბაჩანა რაჯაბი მეზობელს ახალ ურემს უკეთებს; ქვერაზ იბე შიბ ბეჰარი ხელეზზე რა მოგივიდა? მაკ შვარაბ მეხალ'ა ჟეგიგი კვანა დილ'დუბე ბატადაბ ხაბარ დაბრუნებისას (უკან მოსვლის დროს) მე კვლავ დაგიწერ სხვა ამბავს.

RO მრ. რიცხვში:

ტჳე დურ ქარმანალ დირე მომეცი შენი ქალამნები მე! ბაბად ვას'აზირე წინდაკალ ხ'უხ'არეკა დედა ვაჟიშვილებს წინდებს უქსოვს; დაზირე ნეჟერ დას'ალ'ატჳუნარო მათ ჩვენ ქალიშვილებს არ მივეცემთ; ბაბად ჭანაკირე ჰანალ თური დედამ ქათამს კვერცხები დაუდო; ჭანკი რე ნუჰაალ ყუტრი კურდღელს გზები გადაუჭრა; ჰაჟ-მილ მაჰარულაზი რე ჭემერ ფადდა რუგალ ჰაადვანალ რუგო ვირები მთიელებისათვის დიდი (ბევრი) სარგებლობის მქონე ცხოველებია.

როგორც მაგალითებიდან ჩანს, RO-ის სახელობითი ბრუნვით გადმოცემული სახელის კლასი აღინიშნება როგორც ზმნაში, ისე სახელის მიცემითი ბრუნვის ფორმაშიც; მიცემითში დასმული სახელი კი შეიძლება იყოს RS-იცა და RO-იცა:

მიცემით ბრუნვაში RS: დედე-ვ-ე ვას' ვ-ატჩანა მამას ვაჟიშვ. უყვარს/  
 დედე-გ-ე მას' გ-ატჩანა „ ქალიშვილი  
 დედე-ბ-ე ოს' ბ-ატჩანა „ ხარი „  
 დედე-რ-ე უს' რ-ატჩანა „ ხარები „

მიც. ბრ. RO:

დედელ დასი-ვ-ე ვას' ტჭე-ვ-აჩანა მამა მას ვაჟიშვილს აძლევს  
 „ დასი-გ-ე მას' ტჭე-გ-აჩანა „ „ ქალიშვილს „  
 ბაბად დასი-ბ-ე წინდაკ ხ'უხ'-ბ-აჩანა დედა მას წინდას უქსოვს  
 „ დასი-რ-ე წინდაკალ ხ'უხ'-რ-აჩანა „ „ წინდებს „

ე. ი., როცა ორი RO გვაქვს, ერთი სახელობითი, მეორე მიცემითში, — უკანასკნელის ფორმაში პირველის გრამატიკული კლასის ნიშანი აღინიშნება.

2. ზოგი არსებითი სახელისა და ნაცვალსახელის გრამატიკული კლას-ნიშნებიანი მიცემითი ბრუნვა მხოლ. რიცხვში თავისებურ ფორმას იძლევა: ზოგჯერ მიცემითის ფორმაში ჩნდება -ძ (|| ზ) ელემენტი. იგი გვხვდება მარტოდენ III გრამატიკული კლასის სახელებში:

ჩუ—„ცხენი“,	მიც. ჩოძიბე <sup>1</sup>	ქვერ—„ხელი“,	მიც. ქველძიბე
ჰვე—„ძალი“,	„ ჰვეძიბე	ქვი—„ყოჩი“,	„ ქვიძიბე
ჭაქა—„ძროხა“,	„ ჭაქდაძიბე	ბეჰასე—„ხბო“,	„ ბეჰასეძიბე
წმე—„თხა“,	„ წმეძიბე	წუა—„ვარსკვლავი“,	„ წუაძიბე
ს'ი—„დათვი“,	„ ს'იძიბე	ბერ—„თვალი“,	„ ბელძიბე
ჭალა—„ჭაკი ცხენი“	„ ჭალაძიბე	შიბ—„რა“,	„ სუნძიბე

და სხვები.

ამ ელემენტის წარმოშობისა და ფუნქციის ახსნა მარტივია:

ასეთ შემთხვევებში მიცემითის ფუძედ გამოყენებულია ერგატივის ფორმა: ჩოდ, ჰვედ... (III გრამატიკული კლასის სახელებს ანწუხურში ერგატივის ნიშნად ყოველთვის -დ სუფიქსი აქვთ, შდრ. ხუნძ. -ცა სუფიქსი!). სუფიქსი -დ მიცემითში -ი (ფუძისა და აფიქსის დამაკავშირებელი) ხმოვნის წინ გააფრიკატდა და ძ-დ იქცა<sup>2</sup>:

ჩო-დ-ი-ბე → ჩო-ძ-ი-ბ-ე.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ძ ანწუხურში შედარებით მერყევი ბგერაა (ხუნძურისათვის კი სავსებით უცნობია!) და გამოთქმაში ზოგჯერ ზ-თი იცვლება<sup>3</sup>.


<sup>1</sup> ოთხი ვარიანტიდან აქ მხოლოდ ერთი ვარიანტი მოგვყავს.

<sup>2</sup> ანალოგიური ფონეტიკური პროცესის მაგალითი იქნება ხუნძურში ინფინიტივის -დე || -ლი სუფიქსის გადაქცევა -ზე || -ში სუფიქსად:

-დე → -ძე → -ზე (ქვენდე/ი → ქვენძე/ი → ქვენზე/ი — ჰამა).

იხ. არნ. ჩიქობავა, ინფინიტივის დიალექტური ვარიაციები ხუნძურში (ავარულში): ენიშკის მოამბე, ტ. I, გვ. 92. შუა საფეხური ამჟამად ანწუხურს შემოუნანავს: ჰვენძი, რვენძი...

<sup>3</sup> თვის მეტყველებაში ძ (|| ზ) შეცვლილია ჯ (|| უ)-თი. იხ. ზემოთ შენიშვნა!



3. მიცემითი ბრუნვის ფორმას ხშირად დაერთვის ფორმანტი -**ნი** (ნიშნული მიცემითი ბრუნვის ფორმანტი)

- დივე-ზი, დუვე-ზი, ლასივეზი...
- ჩოძიბე-ზი, ჰვეძიბე-ზი...
- ვაცასიდე-ზი, დაცაზიდე-ზი...
- დედევე-ზი, ბაბავე-ზი...

-ზი ფორმანტი მიცემით ბრუნვას მნიშვნელობას არ უცვლის. ამდენად იგი თანდებული არ არის და არც ნაწილაკია. მისი წარმოშობა კი საკვებით ნათელი არ არის. შესაძლებელია იგი წარმოშობით იგივე -დ-ი იყოს, რაც მიცემითი ბრუნვის ფუძეში გვაქვს (იხ. ზემოთ დი → ძი → || ზი). მაშინ:

(ჩო-ზი-ბ-ე-ზი || ← ჩო-ძი-ბ-ე-ზი ←) ჩო-დი-ბ-ე-ზი ← ჩო-დი-ბ-ე-დი.

თებელჯოხელი ომარ ომაროვის და ზიჯაუდინ აბაქაროვის ცნობით, ჩოდიბედი, ბაბავედი და სხვ. ამგვარი ფორმები ჩვეულებრივია ჩარაკ || ჩერაკ-ის სოფ. საბჭოში შეშვავალი აულების (ხ'ინდაკ, გვესატჭ, ჭიზტა, ტჭანი, საბდა...) მეტყველებაში.

თვით \*ჩო-დი-ბ-ე-დი ... კი მიცემითის გარკვევებული ფორმის შეკვეცილი (ან დაუმთავრებელი გარკვევებული) სახე შეიძლება იყოს:

ჩო-დი-ბ-ე-დი ← \*ჩო-დი-ბ-ე-დი [-ბ-ე].

ასეთ ვარაუდს მხარს დაუჭერდა ფორმათა გარკვევების სხვა ნამდვილი მაგალითები:

კუდიჯა-უ-აუ (I კლ.), კუდიჯა-ჯ-აჯ (II კლ.), კუდიჯა-ბ-აბ (III კლ.),  
კუდიჯა-ლ-ალ (მრ.)-დიდი<sup>1</sup>

და, აგრეთვე, -ზი ფორმანტის ფაკულტატიური ხმარება.

4. ზმნისაგან ნაწარმოებ მიმღებობურ ფორმებთან დაკავშირებულ მიცემით ბრუნვაში დასმული სახელის ფორმა ანწუხურში, აგრეთვე, გრამატიკული კლას-ნიშნების მიხედვით განირჩევა:

RS მხ. რ.:

დედე-ვ-ე	ვ-ატჭანა—	ვას: <sup>2</sup>	„მამის საყვარელი ვაჟიშვილი“
			(ზუსტად: „მამას საყვარელი ვაჟიშვილი“)
დედე-ჯ-ე	ჯ-ატჭანა—	მას,	„ქალიშვილი
დედე-ბ-ე	ბ-ატჭანა—ბ	ჩუ	„ცხენი
დედე-რ-ე	რ-ატჭანა—ლ	ჩოალ	„ცხენები

<sup>1</sup> П. У с л а р, Авар. язык, 86. 86.

<sup>2</sup> I და II გრამატიკული კლას-კატეგორიის ნიშანი მიმღებობაში სუფიქსის სახით არ აღინიშნება, ამ შემთხვევაში გრამატიკული კლასების გარჩევა პრეფიქსების მიხედვით ხერხდება:

ვ-ატჭანა — (I კლ.)  
ჯ-ატჭანა — (II კლ.)





## RS. მრ. რ.:

ვაცაზი-ვ-ე	ვ-ატჭანა—	ვაც	„ძმების (ზუსტად: „ძმებს“) საყვარელი ძმა“	
ვაცაზი-ფ-ე	ფ-ატჭანა—	ფაც	„	„ და
ვაცაზი-ბ-ე	ბ-ატჭანა—	ჩუ	„	„ ცხენი
ვაცაზი-რ-ე	რ-ატჭანა—	ჩოალ	„	„ ცხენები

დედემე ვატჭანა ვას' მუჭაჲმა ვუგო მამის საყვარელი ვაჟი-შვილი მახმადა არის; თიმაზივე ვატჭანა მუჭალიმ ჭუმარ ვუგო ბავშვების საყვარელი მასწავლებელი ომარი არის; ვოჲდა ს'ო ჭალლა-ჰასივე ვატჭარა ჩი იყო ერთი ღვთის საყვარელი კაცი; ჰაბ ჩუ ზალუმ-ხანიბე ჰალმალას ტჭურაბ ჩუ ბუგო ეს ცხენი ზელიმხანისთვის (ზელიმხანს) ამხანაგისგან მიცემული ცხენია; დირე ტჭურალ ჰაანალ აღლარიდ ქვა ჩემთვის მოცემულ კაკლები აღლარმა ჰამა...

ამგვარ კონსტრუქციაში მიმღეობასთან ორი სახელია დაკავშირებული: ერთი მიცემით ბრუნვაში, მეორე სახელობითში. პირველი RS-ია, მეორე RO. ზმნის ფორმაში, როგორც პრეფიქსის, ისე სუფიქსის სახით, წარმოდგენილია RO-ის გრამატიკული კლასის ნიშნები: ბ-ატჭანა -ბ ჩუ. ბ კლას-ნიშანი, — თავში და ბოლოში, — „ჩუ“ სახელს ეკუთვნის. მიცემითის ფორმაშიც, რომლითაც RS-ია გადმოცემული, RO-ის გრამატიკული კლასია აღნიშნული:

დედე-ბ-ე ბ-ატჭანა-ბ ჩუ  
დედე-რ-ე რ-ატჭანა-ლ ჩოალ.

RS კი მიმღეობის ფორმაში ნიშანს არ წარმოგვიდგენს, — იგი თითონ აღნიშნავს სხვა სახელის გრამატიკულ კლასს.

მიმღეობის იმავე ფუძესთან შესაძლებელია სხვა სახის კონსტრუქციაც გვექონდეს: მიმღეობასთან ორივე სახელი სახელობითი ბრუნვით იყოს დაკავშირებული. მაშინ მიმღეობაში ორივე სახელის გრამატიკული კლასი იქნება წარმოდგენილი და შესაძლებელი ფორმების რიცხვიც გაიზრდება:

დედე	ვ-ატჭანა —	ვას'	მამის მოყვარული	ვაჟიშვილი
„	ფ-ატჭანა —	ფას'	„	„ ქალიშვილი
„	ვ-ატჭანა —	ბ კიზან	„	„ ბავშვი
„	ვ-ატჭანა —	ლ ვას'ალ	„	„ ვაჟიშვილები
ბაბა	ფ-ატჭანა —	ვას'	დედის	„ ვაჟიშვილი
„	ფ-ატჭანა —	ფას'	„	„ ქალიშვილი
„	ფ-ატჭანა —	ბ კიზან	„	„ ბავშვი
„	ფ-ატჭანა —	ლ ვას'ალ	„	„ ვაჟიშვილები
ჩუ	ბ-ატჭანა —	ვას'	ცხენის	„ ვაჟიშვილი
„	ბ-ატჭანა —	ფას'	„	„ ქალიშვილი
„	ბ-ატჭანა —	ბ კიზან	„	„ ბავშვი
„	ბ-ატჭანა —	ლ ვას'ალ	„	„ ვაჟიშვილები

ჩოალ	რ-ატჩანა —	ვას'	ცხენების მოყვარული	ვაჟიშვილი
„	რ-ატჩანა —	დას'	„	ქალიშვილი
„	რ-ატჩანა —	ბ კიზან	„	ბავშვი
„	რ-ატჩანა —	ლ ვაცალ	„	ძმები

სულ 16 სხვადასხვა შინაარსის მატარებელი ფორმა მივიღეთ. 16-ივე განსხვავებული ფორმა გვექნება ხუნძურში<sup>1</sup>, მაგრამ ანწუხური კილო სულ 12 განსხვავებულ ფორმას გვაძლევს: ოთხს შემთხვევაში I და II გრამატიკული კლასის ფორმა საერთოა:

ვ-ატჩანა —  
 ჟ-ატჩანა —  
 ბ-ატჩანა —  
 რ-ატჩანა —

} ვას', დას' (იხ. ქვემოთ)

პირველი სახის კონსტრუქციამ მხოლოდ ოთხი შესაძლებელი ფორმა მოგვცა (იხ. ზემოთ).

პირველს შემთხვევაში (ე. ი., როცა მიმღეობასთან ორი სახელია დაკავშირებული, ერთი — მიცემითში, მეორე — სახელობითში, ხოლო, მიმღეობის ფორმაში მხოლოდ ერთი სახელის კლასია წარმოდგენილი) მიმღეობის შინაარსს ენებითი გვარის მნიშვნელობით ვადმოვცემთ:

დედე-ვ-ე ვ-ატჩანა- ვას' ვაჟიშვილი, რომელიც მამას უყვარს, — „მამის საყვარელი ვაჟიშვილი“ отцом любимый сын.

შდრ. ხუნძ. ჭაუჭუაღალ'აჟ ვ-ატჩულე-უ როს<sup>2</sup> — ქმარი, რომელიც ცოლს უყვარს, — „ცოლის საყვარელი ქმარი“ женою любимый муж<sup>3</sup>.

მეორე შემთხვევაში კი (როცა მიმღეობასთან ორი სახელია დაკავშირებული, — ორივე სახელობით ბრუნვაში, — მიმღეობაში ორივე სახელის გრამატიკული კლას-კატეგორიის ნიშნებია წარმოდგენილი) მიმღეობას მოქმედებითი გვარის მნიშვნელობას ვანიჭებთ:

დედე ვ-ატჩანა ვას' (ან დას')<sup>4</sup> მამის მოყვარული ვაჟიშვილი (ან ქალიშვილი) отца любящий сын (ან любящая дочь) შდრ. ხუნძ. ჭაუჭუ ვ-ატჩულე-უ როს — ცოლის მოყვარული ქმარი жену любящий муж<sup>5</sup>.

<sup>1</sup> ა რ ნ. ჩიქობავა, პოლიპერსონალიზმის საკითხი ხუნძურში: ენიკი-ს მოამბე, X, გვ. 64—70. მიმღეობის ყველა ფორმის ჩამოწერა აქ საჭირო არ იქნებოდა, რომ ანწუხური, ამ მხრივ, ხუნძურთან შედარებით, ზოგ თავისებურ ფორმას არ იძლეოდაც.

<sup>2</sup> ხუნძური ამჟამად მიცემით ბრუნვაში დასმული სახელის გრამატიკულ კლას-კატეგორიის ნიშნებს არც მიმღეობასთან განარჩევს.

<sup>3</sup> П. У с л а р, Авар. язык, გვ. 123.

<sup>4</sup> I და II გრამატიკულ კლასს დაბოლოების მიხედვით საერთო „ფორმა“ აქვთ, იხ. გვ. 81, შენიშვნა 2.

<sup>5</sup> ბ. უსლარი, იქვე, გვ. 126.



რის მიხედვით ვახერხებთ მნიშვნელობათა ამგვარ გარჩევას?

ფუძის მიხედვით ასეთი გარჩევა არ ხერხდება: ორსავე შემთხვევაში იქნება და იგივე ფუძე გვაქვს -ატჷანა- (ხუნძ. -ოტჷულე-)!  
 მიმღეობის ფორმის, მიმღეობის ფუძეზე დართული გრამატიკული კლას-ნიშნების მიხედვით?

გრამატიკული კლას-ნიშნების მიხედვით ხშირად შესაძლებელია გასაგები გახდეს მიმღეობის მნიშვნელობა. ასე, მაგალითად, **ა-ატჷანა-ბ** (ხუნძ. **ა-ოტჷულე-ბ**) არ შეიძლება ვნებითი გვარის შინაარსი ჰქონდეს. კლას-ნიშნები ორი გრამატიკული კლასის სახელზე მიგვიითებენ: **ა** (პრეფიქსი) II კლ., **ბ** (სუფიქსი) III კლ. ფორმაც შეიძლება ასე ვავიგოთ: RS III კლ., RO II კლ. — „III კლასის საგანი მოყვარული II კლ. საგნისა“, — ეს კი შეიძლება იყოს: დედის (II კლ.) მოყვარული ბავშვი (III კლ.) ან დის (II კლ.) მოყვარული ბავშვი (ან კიდევ რომელიმე სახელი III გრამატიკული კლასისა). ასევე, **ვ-ატჷანა-ლ** მიუთითებს RS მრ. რიცხვზე და RO-ის I კლასზე.

მაგრამ გრამატიკულ ნიშნებზე დამყარებით ხშირადვე შეუძლებელია მიმღეობის შინაარსის გადმოცემა: ერთი და იგივე გრამატიკული კლას-ნიშანი შეიძლება სხვადასხვა სახელის (RO-ის ან RS-ის) კლასზე მიუთითებდეს და ერთსა და იმავე მიმღეობურ ფორმას როგორც მიქმედებითი, ისე ვნებითი გვარის შინაარსიც შეიძლება ჰქონდეს:

**ბ-ატჷანა-ბ** მნიშვნელობით შეიძლება იყოს:

1. კიზნალ-აი-ბ-ე **ბ-ატჷანა-ბ** ჩუ ბავშვის **საყვარელი** ცხენი, — ცხენი, რომელიც ბავშვს უყვარს — **любимая лошадь**.

2. ჩუ **ბ-ატჷანა-ბ** კიზან ცხენის **მოყვარული** ბავშვი **лошадь любящий** ребенок.

ან კიდევ:

**რ-ატჷანა-ლ** = 1. ვაცასი-რ-ე<sup>1</sup> **რ-ატჷანა-ლ** ჩოალ — ძმის **საყვარელი** ცხენები, — ცხენები, რომლებიც ძმას უყვარს — **любимые лошади**.

2. ჩოალ **რ-ატჷანა-ლ** ვაცალ — ცხენების **მოყვარული** ძმები — **лошадей любящие братья**.

ასეთ შეხვედრებს რომ თავი გავანებოთ, ანწუხურში, ამ მხრივ, სხვა დაბრკოლებაც გვექმნება: I გრამატიკული კლასს II გრამატიკული კლასისაგან მიმღეობა დაბოლოების მიხედვით არ განარჩევს; ამის გამო:

**ვ-ატჷანა-** შეიძლება ნიშნავდეს:

1. ვაც **ვ-ატჷანა** ვაც (ხუნძ. ვაც ვ-ოტჷულე-უ ვაც) — ძმის მოყვარული ძმა — **любящий** (მოქმედ. გვ. მნიშვ.).

2. ვაც **ვ-ატჷანა** ვაც (ხუნძ. ვაც ვ-ოტჷულე-ა ვაც) — ძმის მოყვარული და — **любящая** (მოქმედ. გვ.).

<sup>1</sup> რიცხვის შეცვლით მიმღეობის ფორმა არ შეიცვლება: ვაცაზი-რ-ე რ-ატჷანა-ლ ჩოალ — ძმების საყვარელი ცხენები.

3. ვაცასი-ე-ე ან აცალ'აი-ე-ე... ვ-ატჯანა ვაც (ხუნძ. ვაცასე ვოტჯე) ულე-უ ვაც ან აცალ'აე... ვ-ოტჯულე-უ ვაც) ძმის ან დის... საყვარელი ძმა, — ძმა, რომელიც ძმას ან დას... უყვარს — **ЛЮБИМЫЙ** брат (ვნებ. გვ.). ასევე არა ნაკლები სამი მნიშვნელობისა შეიძლება დაურჩეს ფორმას: **ვ-ატჯანა** = დედის (II კლ.) მოყვარული ვაჟიშვილი (I კლ.) — **любящий**, დედის მოყვარული ქალიშვილი (II კლ.) — **любящая** და საყვარელი დედა — **любимая**.

მაშასადამე, მხოლოდ გრამატიკული კლას-კატეგორიის ნიშნები ყოველთვის არ გამოდგება მიმღებობის მნიშვნელობის (მოქმედ., ვნებ.) სადიფერენციაციო საშუალებად.

მიმღებობის შინაარსს მასთან დაკავშირებული სახელები (RS, RO) განსაზღვრავს. ფუძე კი მნიშვნელობას არ განარჩევს, იგი „ნეიტრალურია გვარის კატეგორიის მიმართ“<sup>1</sup>.

სტალინის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
კავკასიურ ენათა კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 1942. XI. 20)

Ил. Церквадзе

## Дательный падеж с классными показателями в анцухском диалекте аварского языка

(Резюме)

Дательный падеж с классными показателями („классный дательный п.“), характерный для андийского языка, не наблюдается в литературном аварском языке, но имеется в анцухском диалекте, одном из южных наречий аварского языка.

В анцухском диалекте различаются четыре варианта дательного падежа: დუნ — *dup* „я“, дательный п.: დი-ვ-ე — *di-v-e*, დი-ა-ე — *di-j-e*, დი-ბ-ე — *di-b-e*, დი-რ-ე — *di-r-e* „мне“...

Вставленные между основой и флексией дательного падежа, показатели грамматических классов: ვ — *v*, ა — *j*, ბ — *b* и формант множе-

<sup>1</sup> არნ. ჩიქობავა, პოლიპერსონალიზმის საკითხი ხუნძურში: ენიმიკის მოამბე, X, გვ. 67.

მისივე, ერატიული კონსტრუქციის პრობლემისათვის კავკასიურ ენებში: ამ კონსტრუქციის სტაბილური და ლაბილური ვარიანტები: ენიმიკის მოამბე, XII, გვ. 221—247.



სტვენного числа რ—ი (исторически не что иное, как показатель IV класса некогда наличного в аварском языке!)<sup>1</sup> относятся к реальному объекту глагола в именительном падеже:

დი-ვ-ე ვ-ატჷანა დედე — di-v-e v-atʃana dede (I кл.) — „я люблю отца“ (букв. „мне любитя отец“).

დი-ჯ-ე ჟ-ატჷანა ბაბა — di-j-e j-atʃana baba (II кл.) — „я люблю мать“ („мне любитя мать“).

დი-ბ-ე ბ-ატჷანა ჯუ — di-b-e b-atʃana ʃu (III кл.) — „я люблю лошадь“ („мне любитя лошадь“).

დი-რ-ე რ-ატჷანა ვაცალ — di-r-e r-atʃana vacal (множ. ч.) — „я люблю братьев“ („мне любятся братья“).

Ср. с аварским:

დი-ვ-ე di-j-e	{	ვ-ოტჷულა ემენ — v-otʃula emen
		ჯ-ოტჷულა ებელ — j-otʃula ebel
		ბ-ოტჷულა ჯუ — b-otʃula ʃu
		რ-ოტჷულა ვაცალ — r-otʃula vacal

<sup>1</sup> См. статью А. С. Чикобава. „К истории грам. классов в аварском языке“ Изв. ИЯИМК, I, 1937, стр. 97—105.

## კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

ვისრამიანი. ალ. ბარამიძის, პ. ინგოროყვას და კ. კეკელიძის რედაქციით და შესავალი წერილით. ლექსიკონი ი. აბულაძისა. მეორე გამოცემა. ტფ., 1938, XIX + 420 გვ. ფასი ყდით 15 მ.

ქართული ლიტერატურის თარგმნითი ძეგლის „ვისრამიანის“ მეორე მეცნიერული გამოცემით 1938 წელს განხორციელდა ქართველი მკითხველის დიდი ხნის დეზიდერატი, რადგან პირველი გამოცემა 1884 წლისა, ი. ჭავჭავაძის, ა. სარაჯიშვილის და პ. უმიკაშვილის რედაქციით დაბეჭდილი, მეცნიერების თანამედროვე მოთხოვნილებათ ნაკლებ აკმაყოფილებდა.

მართალია, 1884 წლის გამოცემა, წინააღმდეგ აკად. ნ. მარის აზრისა (Из грузино-персидских литературных связей: „Записки коллегии Востоковедов“, I, Ленинград, 1925, стр. 119), თავის დროისთვის სანიმუშოდ არის შესრულებული და მის რედაქციას, მეტადრე ფაქტიურ რედაქტორს პ. უმიკაშვილს, დიდი შრომაც აქვს გაწეული; მაგრამ წინამდებარე მეორე გამოცემა უდავოდ უკეთეს შთაბეჭდილებას სტოვებს მკითხველზე თუნდაც თავისი გარეგნობით: იგი დაბეჭდილია კარგ ქაღალდზე ლამაზი კორპუსით, ფორმატი მოკაზმული აქვს და კორექტურული შეცდომებიც შიგ ძალიან მცირეა. არსებითადაც ახალ გამოცემას ის უპირატესობა აქვს წინანდელთან, რომ იგი შევსებულია ორი ნაწყვეტით (გვ. 96, 28 — 97, 5 და 129). გარდა ამისა რედაქციას ხელთ ჰქონდა ამ ლიტერატურული ძეგლის 14 ხელნაწერი. რედაქციას პლიუსად უნდა მიეთვალოს ისიც, რომ აღუდგენია ცენზორის მიერ ამოღებული ნაწყვეტი 80=60 გვერდზე.

რედაქციას საკმაო შრომა აქვს გაწეული, ახალი გამოცემა უნაკლო რომ ყოფილიყო. ამ მიზნით მას: ა) გაუსწორებია პ. უმიკაშვილის შეცდომები; ბ) შეურჩევია სწორი და მართებული წაკითხვა ხელნაწერთა ვარიანტული ნაირობის შემთხვევებში და უპირატესობა მიუცია ირანული დედნის მიხედვით წაკითხვისათვის და გ) წაკითხვა დაუდგენია კონტექსტისა და ირანული დედნის მიხედვით იმ შემთხვევებში, როცა ყველა ხელნაწერის ტექსტი დამახინჯებული იყო და ვარიანტული განსხვავებანიც, როგორც რედაქცია ამბობს, „საქმეს ვერ ჰშველოდნენ“.

მაგრამ, ამასთან ერთად, უნდა ითქვას, რომ ახალ გამოცემას მაინც აქვს ნაკლი: I. გამეორებულია პირველი გამოცემის ზოგიერთი შეცდომა; II. უკუგდებულია პირველი გამოცემის რამდენიმე კარგი წაკითხვა და III. ტექსტი ზოგან უმართებულოდაა შესწორებული, რაც იწვევს ამა თუ იმ ადგილის დამახინჯებას.



შევეცდებით გამოცემის დასახელებული მინუსები ცხადვით მაგალითებით. მაგრამ სანამ ამას შევუდგებოდეთ, საჭიროდ ვცნობთ აღვნიშნოთ, რომ რედაქცია პ. უმიკაშვილის ზოგიერთი შეცდომის თუ კონიექტურის აღრვევ შესწორებასა ან სხვების მიერ განმარტებას არ იხსენიებს. მაგალითად, „მისისა ქუყანისა“ „მაჰისა ქვეყანისა“-დ შესწორება ეკუთვნის აკად. ნ. მარს (op. cit., გვ. 121—122). „ჰაშტა“ (მე-10 შესწ.) განმარტეს მ. ჯანაშვილმა, ნ. მარმა და იუსტ. აბულაძემ. ან კიდევ „ოქროსა ტრიალი“-ს გასწორება „ოქროსა ტარალი“-ს სახით (49 შესწორება) სიძნელეს არ წარმოადგენდა მას მერე, რაც ნ. მარმა ჯერ კიდევ 1897 წ. აღნიშნა, რომ „ვისრამიანის“ ტარალი არის არაბული ტარარ — მპარავი, ჯიბგირი (К вопросу о влиянии персидской литературы на грузинскую: ЖМНП. 1897, III, 227, прим. 2). ამგვარადვე, რედაქციას არა აქვს მოხსენებული ჩვენი მითითება, თუ რატომ უნდა გასწორებულიყო წარყვნილი ფორმა „დიდებისა“ „დედებისა“-ს სახით (იხ. „ვისრამიანის ტექსტისათვის“: ლიტ. მემკვიდრეობა, ტ. I, გვ. 279—280).

აკადემიური სტილი დარღვევულად მოჩანს იმ შემთხვევაშიაც, როცა რედაქცია 41. შესწორებაში ცნება „ჰარირის“ განმარტებისას წერს: „ნაზი აბრეშუმი“ ანუ ძველ ქართულად „ჰარირი“-ო. ჰარირი ძველი ქართული კი არ არის, არამედ არის იგივე არაბული ჰარირ, იმავე მნიშვნელობით ხმარებული (იხ. აბულაძე, შგლ. 849 ჰარირი, იქვე, 793 არირი).

ახლა შევუდგეთ „ვისრამიანის“ მეორე გამოცემაში შემჩნეული ზოგიერთი მინუსის აღნუსხვას ზემორე თქმულის თანამიმდევრობით, პირველ რიგში აღვნიშნოთ 1884 წლ. გამოცემის შეცდომათა განმეორებანი.

ასეთია, მაგალითად, ხუზისტანის დედაქალაქის სახელწოდება „აჰვაზი“, რომელსაც ახლანდელი რედაქცია ხმარობს, ძველი გამოცემის თანახმად, „ჰავალი“-ს ფორმით, მასასადამე, ამ წარყვნილ წაკითხვას იგი სრულიად უკრიტიკოდ დებულობს (იხ. და შდრ. 182, <sup>25</sup> სპარს. დედნის შესატყვის ადგილს: კ. 238, <sub>2</sub> ბ) <sup>1</sup>.

32 გვ. (სტრიქ. 5) ვკითხულობთ: „სიყუარულისა ასაკი ზღუისა მსგავსია, მისი ძირი და ნაპირი არა ჩანს“. სპარსულ დედანში „სიყუარულისა ასაკი“-ს ნაცვლად გვაქვს: მესალ-ე ეშუ, ე. ი. „არაკი სიყვარულისა“. ცხადია, აქ სიტყვა ასაკი მიღებულია „არაკი“-საგან, რომელიც, ალბათ, წარყვნილი ან გადასული ყოფილა ხელნაწერის იმ ნუსხაში, საიდანაც კოპისტს გადმოუღია ხსენებული წაკითხვა. ამიტომ რედაქციას ეს ადგილი ამ სახით უნდა გაესწორებინა: „სიყუარულისა არაკი ზღუისა მსგავსია...“ მას კი გაუსწორებლივ დაუტოვებია პირველი გამოცემის ეს წარყვნილი ადგილი.

ასევე განმეორებულია ძველი გამოცემის წარყვნილი წაკითხვა 212 გვერდზე (პირველი აბზაცის ბოლოს): „თუ კელი აღარ მედგას, რაზომცა თუალ-მარგალიტსა მოვისხმანო“. ცხადი კია, რომ უნდა იყოს: „რაზომცა თუალ-მარგალიტსა მოვისხამ“.

სრულიად გაუგებარია აზრი შემდეგი წანაკითხისა: „ხე ჭირთა აღრე მოიკუთვების, მაგრა მოკუთთილი გუიანად იზარდების“ (გვ. 287, <sub>5</sub>). მაგრამ

<sup>1</sup> კ აღნიშნავს კალკუტურ გამოცემას.

საკმაოა შეეუდაროთ იგი სპარსული დედნის შესატყვის ადგილს, რომელსაც ნათელი ვაზდეს. სპარსულ დედანშია (კ 357, 4):

დერეხთ ასან თევან ეზ ბონ ბერიდან  
ველაქენ ბაზ ნე თევან ფერვერიდან<sup>1</sup>.

სიტყვა-სიტყვით ეს ასე ითარგმნება: ხის ძირში მოჭრა ადვილია, მაგრამ მისი ხელახლა გაზრდა შეუძლებელიაო. ცხადია, აქ უნდა იყოს: „ხე ქრითა აღრე მოიკუთეების“ და ჩვენც ასე ვასწორებთ. რედაქციამ კი ასეთი ფრაზა („ხე ქრითა აღრე მოიკუთეების...“) უცვლელად დასტოვა და გაიმეორა ძველი რედაქციის შეცდომა.

ასევე უყურადღებოდ არის დატოვებული აშკარა წარყვნილი წაკითხვა: „არ ვინანი ამა ესრონისა ქმნასა“, სადაც უნდა იყოს: „არ ვინანი ამა ესრეობისა ქმნასა“ (იხ. ლექსიკონი, გვ. 360: ესრონი 111, 11. იხ. ესრეობა).

სრულიად ახალია ფორმა „შეეტყობის“ (გვ. 14, ტექსტის სტრ. 5); იქვე (სტრ. 7) არის უკვე „შეეტყუების“, 82, 2-ზე კი ისევ „შეეტყობის“. რა თქმა უნდა, აქ გამეორებულია ძველი გამოცემის შეცდომა (იხ. და შდრ, ვრ I გამ., 16, 5 და 7). თუ ერთ შემთხვევაში გვაქვს „შეეტყუების“, მეორეშიაც ასევე უნდა გვქონდეს; ძეგლის ენას კი, ცხადია, უფრო შეპფერის ფორმა „შეეტყუების“ (იხ. და შდრ. ვტლ. საიუბილეო გამოცემა).

ძველი გამოცემის წარყვნილი ადგილი: „ნუვისა მომლოდეობა მას დაავიწყებს“ (I ნბ 298, 5) აქაც, ახალ გამოცემაში, გამეორებულია (გვ. 215, 3), უნდა კი იყოს: „ნახვისა მომლოდეობა მას დაავიწყებს“ (იხ. ჩვენი გასწორება „ვისრამიანის შესახებ“: „საბჭოთა ხელოვნება“ 1936 წ., № 1 და 2, გვ. 75 ხ, სტრ. 11. ვრ II, 221, 2; შექირვებასა ზღუასა შიგან, უნდა იყოს: შექირვებისა ზღუასა შიგან, ვრ I, 306, 12).

აქვე საჭიროდ ვრაცხ შევეხო ძეგლის ტექსტის ერთ ადგილს, რომელიც დამახინჯებულია ძველი რედაქციით, და რომელიც ამ ახალ რედაქციასაც გაუსწორებლად დარჩენია.

ახალი გამოცემის 29 გვერდზე (სტრ. 35) ვკითხულობთ:

არაკი: მწარისა ხისაგან მწარე ნაყოფი გამოვა.

თუ ჩუენცა შაქრისა წყლითა ვრწყევდეთ, მოყურობა ერთმანერთსა არ ვაერევის, მით რომელ ერთი ჰიქა არის და ერთი რკინა“.

ამ ამონაწერიდან ისე ჩანს, რომ არაკი „მწარე ხისაგან მწარე ნაყოფი გამოვა“ თითქო დთავებული და უმეტნაკლებო იწოს და აღარ საჭიროებდეს კიდევ რამის მომატებას, მაგრამ მას ბევრი აკლია:

მასზე მოწყვეტილია მთელი მეორე ნახევარი, „თუ ჩუენცა შაქრისა წყლითა ვრწყევდეთ“<sup>2</sup> და მიკუთვნილი უაზროდ მეორე აფორიზმისათვის, რომელიც აგრევე წარყვნილად არის წარმოდგენილი, რადგან მასში გამოტოვებულია სპარსული დედნის ორი სიტყვა „და მტერობა“ [იხ. კ 46, 8 ხ: ვა ქინე —

<sup>1</sup> სპარს. დედანში, ფერვერიდან-ის ნაცვლად, არის ფეივინიდან — შეერთება, ფერვერიდან [მოვლა] კი უკეთესია, როგორც აზრისთვის, ისე რითმისთვისაც და ასეც ვასწორებთ.

<sup>2</sup> შდრ. ვრ I 328, 5-6 ქვემოდან, და ვრ II 237, 7-8 (განმეორება).



და სიძულვილი (მტრობა)], რის გამოც მიღებულია უაზრო ფრაზა: „მოყურობა ერთმანერთსა არ გაერევის, მით რომელ ერთი ჭიქა არის და ერთი რკინა“. ამნაირად წარყვნილა ეს საინტერესო აფორიზმები, და, ამიტომაც, საბოლოოდ ასე ვასწორებთ ამ ადგილს:

„მწარე ხისაგან მწარე ნაყოფი გამოვა, თუ ჩუენცა შაქრისა წყლითა ვრწყევდეთ: მტრობა და მოყურობა ერთმანერთსა არ გაერევის, მით რომელ ერთი ჭიქა არის და ერთი რკინა“, შდრ. აქვე ჩვ. ძეგლის ტექსტის მეორე ადგილი (ვრ II, 269, 9): „არ დაეტევის ერთსა გულსა მტრობა და მოყურობა“.

უნდა ითქვას, რომ სპარს. დედნის ესევე ადგილი მეტისმეტად ზუსტად გადმოოუცია ქართველ მთარგმნელს: შდრ. კ, 26, 7-8.

დერებთ ე თელს ` ჰამ თელს ავერედ ბერ  
ეგერ ჩა მა დაჰიმეშ ობ ე შექერ.  
ნე ფაივანდედ ბაჰამ მეჰრ ო ქინე  
ჩუ ქინ ოჰან ბოვად მეჰრ ობგინე,

მწარე ხე მწარესავე ნაყოფს გამოიღებს,  
თუნდაც ჩვენ მას შაქრის წყალი ვაძლიოთ;  
ვერ ეგუება ერთმანერთს მოყურობა და მტრობა,  
რადგან მტრობა რკინაა, (იქნების) მოყურობა — მინა,  
რაც სიტყვა-სიტყვით იგივეა.

ფრიად საეჭვოა რედაქციის 27. ვასწორება, იხ. გვ. IX, 32:

„რა შაჰინშა ლუინო შესუა და ტუინსა გაუკდა, ცნობას აშორია ლუინო-მან“. უკანასკნელ სამ სიტყვას რედაქცია ასე სცვლის: „ცნობასა შორია ლუინო-მან“-ო. რა საბუთით?! აშორვა ან აშორვება ხომ დაშორებას, დაცილებას ჰნიშნავს? იხ. აქვე ლექსიკონში და შდრ. გვ. 171, 21: „ვინც თუალითა აშორავს, გულითაცა აშორავს“. მასასადამე, ეს ადგილი შეიძლება ასეც გავიგოთ: „ჰქუას დააშორა ლეინომან“-ო და ვასწორდეს ასე:

„რა შაჰინშა ლუინო შესუა და ტუინსა გაუკდა, ცნობასა აშორვა ლუინო-მან“. შეცვლა წარყვნილ აშორია-სი შორია-თი კი გაუმართლებელი ჩანს.

რედაქცია VII გვერდზე (შენ. 2), აცხადებს, რომ იგი იზიარებს ჩვენს მე-16 და მე-40 ვასწორებებს, მაგრამ მე-16 ვასწორება მას მაინც სხვანაირად აქვს: რედაქციის აზრით, მანოში ირანული აბნუშის გადმოკეთებაა და მზეთუნახავის სრული სახელია „მანოშ მაჰფაიქარ გურგანელი. მაგრამ სპარს. სახელი „აბნუშ“ კი არ არის, არამედ აბანუშ || აბანოშ და ჰნიშნავს სიცოცხლის [ნეტარების] წყალს. მანოშ კი აბანოშ-ის დამახინჯებაა, და ჩვენც ვასწორებთ ასე: „აბანოშ მაჰფაიქარ გურგანელი“. ამ ვასწორებას თუ იზიარებდა რედაქცია, ასეთივე წაკითხვა უნდა მოეცა მას.

რედაქციას უყუარდლებოდ დაუტოვებია ჩვენი ვასწორებები დედებისაგან [დამახინჯებული დიდებისაგან-ისა] და სემორგი || სიმურგი [დამახინჯებული დეორბი-სა]<sup>1</sup>, აგრეთვე ჩვენი განმარტება „ვირო-როინ-ისაგან მიღებული არ-

<sup>1</sup> წაკითხვა სემორგი, სიმურგის ნაცვლად, ჩვ. ძეგლის თარგმნის დროის დამახასიათებელია: იმ დროს ხმოვნები უ და ი ახალ სპარსულს არ გააჩნდა; ლურ-ის მაგიერ იკითხებოდა

არსებული სახელის ვიპრონდ-ის შესახებ [იხ. ლიტ. მემკ. I, ვისრამიანის ტექსტი-სათვის, გვ. 279—280 და საბჭ. ხელოვნ. 1936 № 11—12, „ვისორამინის“ ახალი ირანული გამოცემა გვ. 44a, სტრ. 21—b, სტრ. 1—11].


რედაქციას რომ გულდასმით შეემოწმებინა ჩვ. ძეგლის ესა თუ ის ადგილი სპარსული დედნის შესატყვის ადგილებზე, ვფიქრობთ, იგი არ დასტოვებდა უყურადღებოდ დამახინჯებულ ტრელობას [სწორი ტარალობა-ს ნაცვლად] და ისეთ უადგილოდ ნახმარ სიტყვას, როგორცაა ჰუქუმათი (19,<sup>17</sup>; 7,<sup>31</sup>) — მართველობა ჰაქმათის ნაცვლად [არ ჰაქმათ — სიბრძნე, აფორიზმი]. შდრ. ძვ. გამ. ჰაქმათი, გვ. 8,<sup>3</sup> [სათაური], თუმცა აქაც ჰუქუმათი, 23,<sup>27</sup> და აქვე განმარტებები ლექსიკონში დასახელებულ სიტყვებთან.

რედაქცია (III გვერდზე) სამართლიანად გვისაყვედურებს წინდაუხედავობას ქალაქის სახელწოდების აჰვაზის გვერდით ამავე სიტყვის მეორე ფორმის ავხაზის მიღებისათვის, რაც ძველი ამბავია, ჯერ კიდევ იმ დროისა, როცა პროფ. ს. კაკაბაძე ჩემთან ერთად აპირებდა ვეფხისტყაოსნის გამოცემას 1913 წელს და მის განმარტებაზე დაყრდნობით, მივიღე ხს. ქალაქის სახელწოდების ასეთი ფორმა (ავხაზი); შემდეგში 1913 წელს ს. კაკაბაძემ კიდევ გამოაქვეყნა თავისი აზრი ავხაზის შესახებ; იხ. მისი გამ. თამარიანი 1913 წ. წინასიტყვაობა: ავხაზის შესახები ცნობა. ეს ასეა, მაგრამ, ამავე დროს, გაუგებარია ჩვენთვის, თუ როტომ შეპირებია რედაქცია ჩვენს ძეგლში ქალაქის ძველი ქართული სახელის სარავის გვერდით სპარსული სარი-ს (იხ. გვ. VII, 37 გასწორ.) და ამავე აჰვაზის გვერდით დამახინჯებული ჰავალი-ს ხმარებას [იხ. 12,<sup>25</sup> და შდრ. ვრ II, 55,<sup>9</sup>], რაც ამავე აჰვაზის დამახინჯებას წარმოადგენს, შდრ. კ. 238,<sup>2</sup> b აჰვაზ.

ძეგლის ენის ნორმების მხრივაც არის შეცდომა ახალ გამოცემაში: ხშირია ისეთი ფორმები, როგორცაა: ინფინიტივი მოშორება „მოშორების“ მაგიერ, ძველი და სწორი კლასიკური ფორმის „დალივენ“-ის ნაცვლად „დალიენ“; „გული მოვაქციე“ (197,<sup>19</sup>), უნდა იყოს „მოვაქცივე“; მიახლის (229,<sup>18</sup>), უნდა: „მეახლის“; „შენი დღენი“, საჭიროა: „შენნი დღენი“; „სად გინახავს (!) ორნი კრმალნი, ერთსა ქარქაშსა შიგა ჩადებულნი“, უნდა კი იყოს: „სად გინახუნ ორნი კრმალნი...“ ან კიდევ: „შესუენით ჩემნი სისხლნი ასევე, ვითა თუით ჩემნი მე შემისმან“ (! 238,<sup>24</sup>), უნდა იყოს: „შესუენით ჩემნი სისხლნი ასევე, ვითა თუით ჩემნი მე შემისუმან“; წერია: „ქუეყანანი რანიმე ავიხმან“, უნდა იყოს: „ქუეყანანი რანიმე ავიკუმან“.

გადავიდეთ ახლა მეორე თანრიგის შენიშვნებზე. ამ თანრიგს მიჰკუთვნება 35. გასწორება (გვ. XI). წინა გამოცემაში იყო: „ამა ღორისა უზენაროსა ნუცამცა ციხე დარჩების და ნუცა მთა...“ (213); ახალში ეს ადგილი ასეა შესწორებული: „ამა უზენაროსა ნუცამცა ღორისა ციხე დარჩების და ნუცა მთა...“ მაგრამ სანამ ამაზე რასმე ვიტყოდეთ, საჭიროა აღინიშნოს, რომ რედაქციას ამ

ღორ, გურ-ის მაგიერ გორ, შდრ. მარ. დედოფლის. ქ. ცხოვრების „შაჰრმ ჯორი“ [იხ. oper. citat. გვ. 315—316] რაც იგივე ბაჰრამ გურ-ია: შაჰრმ-ში შ-ინი ბ-ანის ცულად წაკითხვის გამო გაჩნდა, რადგან ხუტურში შ-ინი და ბ-ანი ძალიან ჰგავს ერთი-მეორეს; რ-ესა და მ-ანს შუა ა-ნის გამოვარდნა სიტყვის წარყვის შედეგია გადაწერის დროს. ჯორი კი არაბიზირებული გორ-ია.



ფრაზის სპარსული შესატყვისი ადგილი არც სწორად წაუკითხავს, არც სწორად უთარგმნია: თუმცა XI საუკუნეში სპარსულმა ბგერები უ-ნი და ი-ნი არც არცაა, რედაქცია ხსენებულ ადგილს ასე კითხულობს:

ნა ქუჰე ლურ ბად ო ნა დოზე ლურ  
ქე ონჯა გეშთ — ჩაშმე ბახტე მენ გურ,

იკითხება კი:

„ნა ქოჰე ლორ ბად ო ნა დეზე<sup>1</sup> ლორ  
ქე ანჯა გეშთ ჩაშმე ბახთე მენ ქორ“<sup>2</sup>

და ამგვარად უნდა ითარგმნოს:

„ნუცამცა მთა ლორისა დარჩების<sup>3</sup> და ნუმცა ციხე ლორისა, რადგან იქ დაბრმობილა ჩემი ბედის თვალი“.

მაგრამ რედაქციის წანაკითხიდან არაა ნათელი, თუ რა გრამატიკული მიმართებაა მოაბადისადმი; მოაბადის („უზენაროსა“) ციხე და მთა ნუ დარჩების, თუ შობადს ნუ დარჩების ციხე და მთა? კონტექსტიდან კი სრულიად აშკარაა, რომ „ამა ლორისა [გეოგრაფიული სახელია] უზენაროსა (ე. ი. ფიცის გამტეხს = მოაბადს) ნუმცა ციხე დარჩების, ნუმცა მთა“. ასე რომ ძველი რედაქციის სწორი ფრაზა, ძველ ქართულ კონსტრუქციულ პრინციპზე აგებული, ახალ რედაქციას შეურყვნია, სწორი მიცემითი ბრუნვა („უზენაროსა“) გენეტივით (უზენაროსა“) რომ შეუცვლია.

ასევე უმართებულოა ახალი რედაქციის 43. გასწორება. ძველ გამოცემაში ეწერა: „რომელსაცა ღუიძლსა გუელმან უცეს, მას ტაბარაზისა თერიაყი უფრო დაშუენდეს“. ახალ გამოცემაში კი ბოლო ფრაზაში სიტყვები გადანაცვლებულია ამგვარად: „... მას ტაბარაზისა უფრო თერიაყი დაშუენდეს“.

ჩვენ ჯერ კიდევ 1936 წ. უარყვავით ასეთი წაკითხვა და, ვამბობდით რა „ტაბარაზის“ წარუყენილობას, ვამტკიცებდით, რომ ამ ადგილას უნდა იყოს სპარსული ღედნის მიხედვით „ტაბარზადისა“-მეთქი (იხ. ჩვენი: „ვისრამიანის შესახებ“: „საბჰოთა ხელოვნების“ № 1—2). იქვე აღვნიშნავდით, რომ ფორმა „ტაბარაზისა“ არ შეიძლება გავიგოთ როგორც ტაბარაზული თერიაყი, ე. ი. როგორც გეოგრაფიული სახელწოდება, მაშინ როდესაც მართებული ფორმა („ტაბარაზისა“-ს ნაცვლად) „ტაბარზადისა“ ნიშნავს შაქარს და არა მარილს, როგორც განმარტავს ახალი რედაქცია.

მიუხედავად იმისა, რომ საკითხი გარკვეულია, „ვისრამიანის“ ახალი რედაქცია მაინც სტოვებს უმართებულოდ „ტაბარაზისა“-ს ფორმას და ამით, მაშასადამე, იზიარებს პროფ. ა. ბარამიძის მტკიცებას (იხ. „საბჰ. ხელოვნება“, 1937 წ., № 2), თითქოს „ტაბარაზისა“ მართლაც გეოგრაფიული სახელი იყოს და არა შაქარი. თეთრი შაქარი ანუ „ტაბარზადი“. ეს მით უფრო განსაცვიფრებელია, რომ ძველი გამოცემის რედაქციამაც კი ძალიან კარგად იცოდა, რომ ტაბარზადი შაქარსა ნიშნავს, და ამიტომ ლექსიკონშიაც კი შეიტანა ეს სიტყვა,

<sup>1</sup> და არა „დოზე“: ციხეს სპარსულად „დებ“ ჰქვიან და არა დოზ.

<sup>2</sup> ბრმა არის ქორ და არა გურ!

<sup>3</sup> საკ. ნუცამცა... არის, იხ. ბოლოში I შენიშვნა.

თუმცა წარყენილი სახით: „ტაბარაზი თუ ტაბრაზადი — შაქარი წითელი, ცხაპის ნელი“-ო. ხოლო მომდევნო სიტყვა თერიაყი განმარტებულია შემდეგ ფრაზაში სიტყვებით „წამლისა წამალი“, რაც, აშკარაა, ანტიდოტს ანუ ამ შემთხვევაში თერიაყს (ოპიუმს) აღნიშნავს და არა მარილს.

ამიტომ ახალ რედაქციას უნდა მიეღო ძველი რედაქციისაგან მშვენივრად დადგენილი ტექსტი: „რომელსაცა ღუიძლსა გუელმან უცეს, მას ტაბარაზისა თერიაყი უფრო დაუუნდეს: შაქარი რაზომცა ტკბილია, მოწამლულსა წამლისა წამალი უჯობს“. ოღონდ აქ გასასწორებელია მხოლოდ ერთი სიტყვა „ტაბარაზისა“; ჩვენს რედაქციას კი, არა თუ ასე არ გაუსწორებია ეს ადგილი, არამედ მომდევნო ფრაზაც უაზრობამდე დაუყვანია, ვინაიდან ფრაზაში „მოწამლულსა წამლისა წამალი უჯობს“ ამოუგდია სიტყვა „წამლისა“; აზრი კი ძველი რედაქციისა ნათელი იყო: მოწამლულს უშველის წამლისა წამალი (ანუ ანტიდოტი, თერიაყი) და არა შაქარი (ტაბარაზადი) იხ. „საბჭ. ხელოვნ.“ № 3—39 წ., გვ. 72ხ.

აქვე, ამავე საკამათო ფრაზის წინ, პირველ გამოცემაში იყო წაკითხვა ასეთი: „წყურვილსა წყაროსა წყალი ჟვეთ არგებს“, ახალში კი უკანასკნელი სიტყვა მოცემულია რატომღაც ფორმით „ირგებს“ (212, 10).

ასევე უმართებულოდ აქვს რედაქციას ძველი გამოცემის სწორი წაკითხვა უარყოფილი და, ამის ნაცვლად, უპირატესობა მიუკუთვნებია სრულიად უფარვის ვარიანტისთვის: „ღონითა რა არ ერგებ ის“-ო, ვკითხულობთ I გამოცემაში (80, 1), თითქოს აქ რაიმე რგებაზე იყოს ლაპარაკი და არა მოხერხებაზე. ძველ გამოცემაში კი ეს მართებულადაა მოცემული: „ღონითა რა არ ეგებ ის“, ე. ი. ღონითა რა არ იქნების, რა არ მოხერხდება (ვრ I, 59, 34).

დავგრჩა მესამე რიგის შენიშვნები, აღნუსხვა ზოგიერთი ადგილისა, სადაც ტექსტი უმართებულოდაა შესწორებული. ამგვარია მე-19 შესწორებაში მოხსენებული ადგილის მეორე ნაწილი, სადაც ვკითხულობთ: „დიაცი... ზოგჯერ სახლეულთაგან შეშინდების, ზოგჯერ ქმრისაგან“. ამავე დროს კი ყველა არსებულ ხელნაწერში ჩვენ მიერ ხაზგასმული სიტყვის ადგილას არის: „სასმელთაგან“. აქ რედაქცია ეტყობა პ. უმიკაშვილივით ვერ გარკვეულა ამ სიტყვის — „სასმელთაგან“-ის — მნიშვნელობაში და ამიტომაც შენიშნავს: სრული უაზრობააო. ჩვენი გაგებით კი აქ „სასმელი“ ნიშნავს არა პირის სასმელს, არამედ საყოლს, ე. ი. ვინც ჰყავს ანუ ვინც „უსვია“ შვილ-ძირად, შვილობილივით. „სმა“ ნიშნავს „ყოლას“, ხოლო „სასმელი“ — საყოლს. ამგვარად, ამ სიტყვის გაგებისათვის კმარა ვაგიხსენოთ ვეფ. ტყ. აკად. გამ. სტროფი 320: „და არა ჰგაოდის ფარსადანს მისი არა სმა შვილისა“. კერძოდ ჩვენს შემთხვევაში სპარსულად სიტყვა „სასმელი“-ს შეაბამისად არის „ხიშან“, რაც, მართალია, თვისიანს, ოჯახის წევრს აღნიშნავს (და არა მახლობელს ან ნათესავს, როგორც ამას რედაქცია ფიქრობს), მაგრამ მთარგმნელს ამ სიტყვისთვის უფრო ზუსტი ტერმინი გამოუჩნდავს: სასუმელი || სასმელი [იხ. საბა სასუმლობასთან]<sup>1</sup>. ამიტომ რედაქციას უნდა დაეტოვებინა სწორი წაკითხვა „სასმელთაგან“ და მოეცა ამ სიტყვის ძველი ფორმა სასუმელთაგან.

<sup>1</sup> შდრ. აქვე, ვრ II, გვ. 240, 33 სასუმელნი.

ჩვენი ფიქრით, ასევე უმართებულოა რედაქციის მიერ მოცემული 31. შესწორება. ტექსტში (პირველ გამოცემისაში) ეწერა ასე: „მიჯნურობას სპეკულაციურ და სიღუბნეში არ იცის მით, რომელ ცნობა მიჯნურობასა ბრძობით უყუარვის“-ო. ხელნაწერების ვარიანტებში კი არის: „უყუარვის“, „ეცყვისთ“ (რა თქმა უნდა, ეს უვარგისი ვარიანტებია). ახალ რედაქციას ეს ხაზგასმული სიტყვა „უყუარვის“ შეუცვლია ფორმით „ეყვის“. ჩვენი აზრით კი, პირველი რედაქციის მიერ მოხდენილად არის ხმარებული სიტყვა „უყუარვის“; კონტექსტში ეს ნიშნავს, რომ მიჯნურის გონება, ჰკუთვნებდა ვერ არჩევს ლამაზსა და უშნოს, რადგან ჰკუთვნებდა მიჯნურობას უყუარვის, ე. ი. ხიბლავს და ატყუებს მას დაბრმავების გამო.

მსგავსივე მდგომარეობა ჩანს 54. შესწორებაშიც. „საწუთრო შიგნით სხუაა და გარეთ სხუა; თუალმაქციერსა ჰგავს. მრავალფერნი მეკვებანი მივლენ, მაგრა შიგან დიდხანს ვერავინ დაჰყოფს“-ო, ვკითხულობთ აქ (ძვ. გამ. 445). ახალ რედაქციას სიტყვა „მეკვებანი“ შეუცვლია „მოქარავნენი“-თ. ჩვენი აზრით, ასეთი გასწორება არაა მართებული. ეს იმიტომ, რომ „მეკვებანი“ არის იგივე „მეკვებნი“, წარმოებული ზმნისაგან „კვება“, რაც ნიშნავს საზრდოობას. ასე რომ „მეკვება“ || მეკვები ნიშნავს მსაზრდობს, ე. ი. ვინც იკვებება, ცხოვრობს ამ სოფლად, სოფლის მკვიდრია, ანუ შინაარსით, შოთას „მიმდლა საწუთროსა“, რომელიც „ძისთა ნივთთაგან რჩება“, იკვებება. მეკვება სწორედ ისევეა ზმნა „კვება“-საგან წარმოებული, როგორც მემღერი (მღერა-დან), მენანია || მენანე (ნანა-დან), მერყევი (რყევა-დან), მეეჭვი || მეჭვობი (ეჭვობა-დან), მეოტი || მეოტები (ოტება-დან) და სხვა.

აქედან ცხადია, რომ „მოქარავნი“ (?) აქ „მეკვების“ მაგიერობას ვერ იქმნის, რადგან მექარავნებს ფუნდუკში სულ ცოტა ხანი უხდება მოთევა, მეკვები ანუ მსაზრდობი კი მოდის ამ სოფლად, როგორც სოფლის ნამდვილი მკვიდრი, ანუ მცხოვრები, მაგრამ „დიდხანს ვერ დაჰყოფს“.

ახალ გამოცემაში ჩვენს ყურადღებას იქცევს ისეთი ძველი წაკითხვები, როგორცაა: კულაოზი (196, 26), წინააღმდეგ ძველი გამოცემის ყოლაოზი-სა (275), და კოლაუზობა (162, 19), ძველ გამოცემაში კი არის ყოლაუზობა (226, 26). საინტერესოა ვიცოდეთ, ახალი რედაქციის კონიექტურაა ეს, თუ ამა თუ იმ ვარიანტიდანაა ამოღებული? სად გვხვდება ასეთი ფორმები? სხვებზე, იხ. იუსტ. აბულაძე, „ვისრამიანის ტექსტისათვის“. თბ. სახ. უნ-ტის ლიტ. მიმკვიდრ. I—35 წ., გვ. 292, 22-40.

ამ ახალ გამოცემაში, წინააღმდეგ ძველისა, ხშირია ისეთი დარღვევა ძველის ენის ნორმებისა, როგორცაა: 255, 5 რაზომნი მინდა; აქვე სტრ. 10; ... თუალნი ... მინდა, შდრ. ძველი გამ.: თუალნი ... მინდა, 308, 10. ახალი გამ.: უნდა მოყუარენი კაცსა, 222, 16, შდრ. ძვ. გამ.: ... უნდან მოყუარენი, 308, 17. მე კელნი მისისა სამსახურისათვის მინდა, 133, 16 უნდა იყოს „მინდა“.

არასწორია ახალი გამოცემის წაკითხვა; სყიდვა მინდოდა, 178, 10, შდრ. ძვ. გამ. 249, 12; სყიდა მინდოდა, რაც სწორია. ერთ აღგილას ახალ გამოცემასაც სწორად აქვს ეს ფორმა სყიდა, ისევე, როგორც ეს არის ძველ გამოცემაში: იხ. ძუირად სყიდა, 188, 18, და შდრ. ძვ. გამ.: ძვირად სყიდა, 263, 17-18. ამგვარივეა ახალი რედაქციის შეცდომა: უკანის ნანვა არას გარგებს, 30, 5, შდრ. ძვ. გამ.: უკანის ნანა...

38, 15; ამავე შეცდომას იმეორებს ახალი რედ. 216, 17: გაწირვისა ნანვა, შდრ. ძვ. გამ.: ნანა, 300, 9. ესევე სიტყვა ორივე რედაქციას შეცდომით აქვს: ახალი გამ. 218, 30; ნანვა შენვე შეგექმნას, შდრ. ძვ. გამ. 303, 16; აქაც ნანვა; ახ. გამ.: 194, 24; ნანვა, შდრ. ძვ. გამ. 272, 15; აქაც ნანვა; ახალი გამ. 198, 19; ნანვისაგან, შდრ. ძვ. გამ. 278, 17; აგრევე შეცდომითაა. ახალი რედ. იძლევა მეორე პირის ფორმას უ — ჰ-ავოდ: სურნელობდი, 255, 32, უნდა იყოს: ჰსურნელობდი. ჩვენი ძეგლის ენას ეუცხოება წაკითხვა: „გული უმცირდებოდა, 177, 16; უნდა იყოს: გული უმცირდებოდა (ელეოდა), აქ კი გამეორებულია ძვ. გამოცემის შეცდომა, შდრ. 248, 6. ამგვარივე ხასიათისაა შეცდომა „დასუსურებულა 241, 13; უნდა იყოს „დაუსუსურებულა, როგორც ძველ გამოცემაშია, შდრ. 335, 2. საერთოდ, ამ ახალი გამოცემის ტექსტში, ისე, როგორც ძველი გამოცემისაში, ხშირია სიტყვის ვულგარული ფორმით ხმარება, ძველი კლასიკური ენის ფორმათა წინააღმდეგ; მაგალითები: 50, 14 გრძნებითა რაითმე, უნდა იყოს: გრძნებითა რათმე, ან რაითათმე, ე. ი. ან ემფაზური ფორმა უნდა იყოს, ან რედუცირებული. აგრეთვე ხშირია და ჩვეულებრივი ისეთი შეცდომები, როგორიცაა:

„გული აღარა გიც“ (?), 16, 35. როგორც ჩანს, რედაქციას ჰგონებია გიც იგივეა, რაც გიცემს, და მოუცია ეს არა სწორი წაკითხვა, უნდა იყოს კი — „გული არღარა გიც“, ე. ი. გული აღარა გაქვს (საგულეს): შდრ. აქვე: გულსა სხუა გიც (?) და ენასა სხუასა ათქუმევ 174, 1, უნდა იყოს: გულსა სხუა გიც... აქვე: საჩემოდ რა გიც (?) გულსა, 174, 21, არა საქმე მიც (?), 144, 4; შდრ. ვრ I, 193, 2-3: ვისისა ძებნისაგან კიდე არა საქმე მიძს — სწორი ფორმა, რომლისგანაც მიღებულია „მიც“: მიძს || მიც [ძს = ც].

რედაქციის მიერ არასწორად არის ათვისებული მცა-ნაწილაკიანი კონსტრუქცია, რომელიც, მართალია, ადრე, 30 წლის წინათ, უცნობი იყო, მაგრამ ჯერ კიდევ 1914 წლიდან იყო მითითებული ჩვენ მიერ ამ ძველი კლასიკური ენის ფორმაზე: იხ. ჩვ. ვეფხისტყაოსნის I გამ. თბ. 1914 წ., ვარიანტები გვ. 254 და „შესწ. და შენიშვნანის“ სერიების ორ ნაკვეთში ამავე წელს.

ასე, მაგ., ამ ახალ გამოცემაში, და ძველშიაც, ვკითხულობთ: იხ. ვრ I, 330, 17 და შდრ. ვრ II 238, 23: ... გული სხვასა ვისცალა მივეც, სწორია და უნდა იყოს: ... სხუასა ვისმცალა მივეც. იხ. აგრეთვე: ვრ I, 88, 35 და შდრ. ვრ. II, 122, 3: განალამცა მოვჰკლა, უნდა იყოს: განალამცა მოვკალ. აგრეთვე გამეორებულია ძველი გამოცემის წაკითხვა ვრ II, 229, 20: განალამცა ავად ვიყო, შდრ. ვრ I, 317, 18 — 318, 1. სწორია და უნდა იყოს: განალამცა ავად ვარ; ნუმცა... სიცოცხლე, 97, 27, უნდა იყოს: ნუმცა..., სიცოცხლეა, ვრ I, 134, 13.

ძეგლის ენის შეუფერებელია ადგილები (ვრ II, 166, 11-12): გულსა შიგან აღარარა ჩამაწევდა და აღარცარა... უნდა იყოს: ... არღარა ჩამაწევდა და არცალა რა... 133, 32 და 244, 6; აღარასი (?!) ჰქონდა, უნდა იყოს: არღარაისა... ველარა, 148, 3, უნდა იყოს: ვერღარა. 174, 4: პირი აღარაოდეს გავტეხო, უნდა იყოს: ... არღაროდეს გავტეხო. 150, 36: ვერაოდეს, უნდა იყოს: ვერღაოდეს.

უყურადღებობას უნდა მიეწიროს ფორმები: ვირე სულნი მედღნეს, 186, 37; უნდა იყოს: მედღნენ (სულნი); გრძნეულნი შინ მიდგან, 132, 3 უნდა იყოს ... შინა, შდრ. I, 180, 9. კელნი უქულმა შეუქრა, 151, 10, უნდა იყოს: ... შეუქრნა,

შდრ. I, 208, 24: ... შეუკრანა...; ყველგან ახალ გამოცემაში, წინააღმდეგ ძველისა, გვხვდება უ — ნ-აროდ ზმნისაგან ჩენა: მიჩს, გიჩს, უჩს, 49, ვ; 57, ვ; 55, ვ. ქართული  
ენის  
საბჭოთაო  
გამოცემის  
წიგნობა

დასასრულ, საჭიროდ მიმაჩნია შევეხო იმას, თუ როგორ აქვს წარმოდგენილი ამ ახალი გამოცემის რედაქციას ჩვენი ძველის წარმოშობის ვითარება. მისი აზრით: „ვისრამიანის“ ქართული ტექსტი მომდინარეობს გორგანელის პოემიდან... ქართული ტექსტი წარმოადგენს ირანული დედნის საკმაოდ თავისუფალ ქართულ თარგმანს. უნდა აღინიშნოს, რომ ქართველი მწერალი (?), რომელსაც ეკუთვნის „ვისრამიანის“ ქართული რედაქცია, დიდი ხელოვანია. იგი ტექსტს დიდის ოსტატობით ხან ამოკლებს, ხან ავრცობს, შეაქვს მასში ქართული სინამდვილის დამახასიათებელი მხატვრული სახეები, ქართული ყოფაცხოვრების ამსახველი ელემენტები, გამოთქმები და სხვა“.

როგორც ჰხედავთ, არ ჩანს, თუ ვინ არის მთარგმნელი, ან რედაქტორი, ან ის, რომ ქართული რედაქცია უშუალოდ არის დამოკიდებული თუ „მომდინარეობს“ სპარსული დედნიდან და არა თავდაპირველი ზუსტი ქართული თარგმანიდან.

აქ მხოლოდ ისაა გადაჭრით ნათქვამი, რომ ყოფილა ქართველი მწერალი, დიდი ხელოვანი, რომელსაც ეკუთვნის „ვისრამიანის“ ქართული რედაქცია.


ჩვენი აზრი კი ამ საკითხის შესახებ გამოვთქვით რეცენზიაში „ვისრამიანის“ ახალი სპარსული გამოცემის შესახებ (იხ. „საბჭ. ხელოვნ.“, 1936 № 11—12: „ვისრამიანის“ ახალი ირანული გამოცემა“, გვ. 45) ჩვენ ვწერდით შემდეგ:

„მოჯთაბა მინოვის ეს ახალი გამოცემა ადასტურებს იმ მთავარ დებულებას ჩვენი თარგმანის შესახებ, რომელიც გამოთქმული იყო 40 წლის წინათ აკად. ნ. მარის მიერ, სახელდობრ იმას, რომ ჩვენი ძველი წარმოადგენს დაახლოებით სწორ თარგმანს, რომელიც მეტწილად სიტყვა-სიტყვით მისდევს ორიგინალის ტექსტს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ალაგ-ალაგ თარგმანის მის დედანზე დაშორების მიზეზებს ის აწერდა იმას, რომ ჯერჯერობით არ იყო აღმოჩენილი ის ირანული ნუსხა, რომლისგანაც მომდინარეობს ჩვენი ძველი. უნდა ითქვას, რომ აკად. ნ. მარის როგორც ეს მთავარი დებულება, ისე ყველა მისი დაკვირვება, როგორც ქართული თარგმანის, ისე მისი ირანული დედნის შესახებ მეტწილად სწორი გამოდგა. ქართული თარგმანი, როგორც (მისი ორიგინალის) ამ ახალი ტექსტიდან ჩანს, მართლაც, დაახლოებით კარგი და სწორია, რადგან სპარს. „ვისრამიანის“ ტექსტის ეს ახალი რედაქცია იძლევა იმ ზედმეტ ადგილებს, რომლებიც საკმაოდ ზუსტად და სიტყვა-სიტყვით არის გადმოცემული ქართველი მთარგმნელის მიერ“.

ამას გარდა, ვიძლევი რა აქვე (Oper. citat. გვ. 44) ცნობებს იმ უპირატესობათა შესახებ, რომლებიც აქვს ამ ახალ თეირანულ გამოცემას კალკუტურის წინააღმდეგ, და იმ უპირატესობათა შესახებ, რომლებიც აღნიშნულ იქმნა ჩემ მიერ ახალი ირანული გამოცემის განხილვისას, მე ვამბობ:

„მიუხედავად დასახელებულ უპირატესობათა, რომლებიც ახასიათებს ამ ახალი გამოცემის ტექსტს, — პირველი (K)<sup>1</sup> გამოცემის ტექსტთან შედარებით, — ზოგი რამ K-ას სასარგებლოდაც ლაპარაკობს:

<sup>1</sup> K აღნიშნავს 1-ელ კალკულტურ გამოცემას, T კი — თეირანულს.



ასე, მაგ., T-ში არ არის ერთი წყვილადი, რომლის ტაეპშიაც მითითებულია მზეთუნახავის სახელი „შაქარლაბ“, მაგრამ რომ ეს სახელი უნდა ყოფილიყო, და ეს საჭიროც არის, ეს იქიდან ჩანს, რომ ამ წყვილადის თარგმანი დატულია ქართული ტექსტის არსებულ გამოცემაში (იხ. ვრ 6, 7 და შდრ. K, 16, 10) და სხვა.

იქვე (გვ. 45, სვეტი ხ, სტრ. 9):

„ბოლოს და ბოლოს ირკვევა, რომ ჩვენ არა გვაქვს ჯერჯერობით ის ირანული დედანი, რომლიდანაც ითარგმნა ჩვენი ვისრამიანი, ვინაიდან... ჩვენი ქართული ძეგლის ტექსტი იძლევა ამის აშკარა ფაქტებს... ზედმეტ გლოსებს გარდა, იქ გვხვდება საგანგებოდ, ცალკე, არაბული სათაურების ქვეშ, შეგონებების და ჰაქმათების (ბრძნული აფორიზმების) არაბულ-სპარსულ ყაიდაზე დალაგება“ *ibid*, გვ. 73 და 74, 7).

ამის შემდეგ მეტია იმის თქმა, რომ საკითხი ჩვენი ძეგლის წარმოშობის ვითარების შესახებ მეტის-მეტად რთულია. და, მაშასადამე, აზრი, ვითომც ყოფილა „ვისრამიანის“ ქართული რედაქციის შემქმნელი „ქართველი მწერალი“, ამასთან დიდი ხელოვანი, ჯერჯერობით საფუძველს მოკლებულად უნდა ჩაითვალოს.

პირიქით, რამდენადაც დღემდის მოპოებული ფაქტების ანალიზი და დეტალური შესწავლა ცხადყოფს, ჩვენი ძეგლი თავდაპირველად გორგანის პოემის ზუსტ სიტყვა-სიტყვით თარგმანს წარმოადგენდა.

ნამეტურ ამ ბოლო დროს კვლევის პროცესში ჩვენ მიერ მოპოებულ იქმნა მეტად თვალსაჩინო ფაქტი იმის დასადასტურებლად, რომ თავდაპირველად ყოფილა გორგანის სპარსული „ვისრამიანის“ ქართული ზუსტი თარგმანი, სპარსულის ღრმა მცოდნე სპარსელი მუსულმანის, — თუ ქართველი მაჰმადიანის, — მიერ შესრულებული, რომლისგანაც მომდინარეობს ეს ჩვენამდის მოღწეული, ქართული პროზის შესაფერად გადაკეთებული, ქართული ვერსია, რომელიც, როგორც ამას ჩვენ ვამბობდით ჯერ კიდევ 40 წლის წინათ და დღესაც მრავალგზის ვიმეორებთ, წარმოადგენს თავისუფალ თარგმანს (იხ. „ძველი საქართველოს“, ტ. I, 1908 წ. და აწ „ლიტერატურული მემკვიდრეობა“, I, თბილ., სახ. უნ-ტის გამოც. 1935 წ., 271, სტრ. 11; „საბჭოთა ხელოვნება“, 1936 წ., №№ 1—2, გვ. 71—82, „საბჭ. ხელოვნ.“ №№ 11—12, გვ. 42—45. და „საბჭოთა ხელოვნება“, 1939 წ., № 3, გვ. 70—77).

აი ეს ახლად მოპოებული ფაქტებიც: გვ. 82, 4—5 ვკითხულობთ ასეთ ფრაზას: „რა ვისმან სიყვარულით შეკხედა რამინს და საწუთროისა ზეინკალმან მისისა გულისაგან მტერობისა ჯანგი აღმოკოცა...“

ეს ფრაზა ორიგინალში შემდეგნაირად არის:

ჩუ ვის აზ მაპრ ბარ რამინ ბაბახშუდ  
ზამანე ზანგი ქინ აზ დილეშ ბაზადუდ,

რაც სიტყვა-სიტყვით შემდეგია:

„რა ვისმან სიყვარულით რამინზე წყალობაყო (წყალობა მოიღო), საწუთრომან ჟანგი მტერობისა მისისა გულისაგან აღმოკოცა“. აქ ტექსტი თარგმნილია სიტყვა-სიტყვით, იმ განსხვავებით, რომ ზუსტ თარგმანში ზედმეტად არის





ჩაჩხირული, სრულიად უადგილოდ, სიტყვა ზეინკალი, როგორც სწორედ რომლის მსახდვრელად გადაკეთებულია სიტყვა „საწუთრომან“ და ამნაირად „საწუთროსა ზეინკალმან“.

როგორც ვიცით, ზეინკალი ქანგის წარმოცველი არ არის, მისი საქმეა რკინის სხვადასხვა მოწყობილობის, როგორიცაა: ხელსაწყობები და იარაღები, კლიტე-მოქლონი და სხვა ამგვარები, კეთება და, მამასადამე, აქ სრულიად უადგილოა სიტყვა „ზეინკალმან“.

მაშ საიდან ან როგორ განდა აქ ეს სიტყვა?! ჩვენ სიტყვის „ზეინკალმან“ გაჩენა ამ შემთხვევაში შემდეგნაირად წარმოგვიდგება:

იმ დროს, როდესაც ადგილი ჰქონია ასეთი წაკითხვის შექმნას, ჯერ კიდევ ყოფილა თავდაპირველი ზუსტი ქართული თარგმანი, თითქმის სტრიქონ-ქვეშა, რომლის გვერდითაც მეორე სვეტად ყოფილა შესატყვისი სპარსული ტექსტი. ეს ქართული ზუსტი სიტყვა-სიტყვითი თარგმანი შესრულებული ყოფილა ან ვინმე სპარსეთში ნამყოფი ქართველის მიერ, რომელიც ჰფლობდა სპარსულ ენასა და ლიტერატურას, ან და, რაც უფრო მეტად საგულგებელია, ქართულის მცოდნე სპარსელის მიერ, ამ უკანასკნელს შეიძლება არც კი სცოდნოდა კარგად ქართული, მაგრამ, ქართველის დანმარებით, მას შეეძლო ამა თუ იმ ძნელი ადგილის ზუსტი თარგმანის გაკეთება, რომელიც შემდეგში საუცხოვოდ იქმნა გამოყენებული სწავლა-ცოდნით ღრმად ვაბრძნობილი მწიგნობრის მიერ, რომელსაც მიზნად დაუსახავს დასახელებული ზუსტი სტრიქონ-ქვეშა თარგმანის ქართული მხატვრული პროზის შესაფერად გადაკეთება და, მისი ამა თუ იმ ადგილის შემოწმებისათვის, მიუმართავს ვილაც არაბულ-სპარსული წერა-კითხვის მცოდნე პირისათვის.

ამ შემთხვევაშიაც რესტავრატორს მოუხდომებია ამ ჩვენთვის საინტერესო ფრაზის შეჯერება, რომელიც თავდაპირველ ზუსტ თარგმანში ამ სახით უნდა ყოფილიყო:

„საწუთრომან მისისა გულისაგან მტერობისა ქანგი აღმოკოცა“ და, რა გაუგონია მისი შესატყვისი სპარსული ფრაზა: „ზემანა ზანგი ქინ აზ დილეშ ბაზადლდ“, მას ამ ფრაზის მეორე და მესამე სიტყვა „ზენგი ქან“, რაც არის იგივე „ქანგი მტერობისა“, რომელიც ქართული თარგმანით ზუსტად არის გადმოცემული, დაუმსგავსებია ქართული ზეინკალისათვის და, ამნაირად, ამ სიტყვა-მანვილ რესტავრატორს შეუქმნია ამ ფრაზის საკუთარი ახალი რედაქცია: „საწუთროსა ზეინკალმან მისისა გულისაგან მტერობისა ჯანგი აღმოკოცა“, და წაურყენია მთარგმნელის ზუსტი წაკითხვა: „საწუთრომან მტერობისა ქანგი მისისა გულისაგან აღმოკოცა“. ეს მოსაზრება იძლევა იმის წარმოდგენას, თუ როგორ ჰრყენდა სპარსულის არ-მცოდნე ქართველი რესტავრატორი და როგორ აშორებდა იგი თავის დედანს თავდაპირველ ზუსტ თარგმანს.

შევეცდებით ცხადყოთ ჩვენი აზრი იმის შესახებ, რომ მართლაც ყოფილა ასეთი სპარსული დედანი.

ასე, მაგ., ზე-6 გვერდზე (ვრ II, 6, 18) შაჰ მობედის მიერ გამართულ მეჯლისში მიწვეულ მზეთუნახავთა შორის მესამე ადგილზე დასახელებულია ნასლაქით დეჰისტანელი, რომელიც სპარსულმა დედანმა არ იცის. აკადემიკოს

ნ. მარს და ცნობილ ირანისტსა და სპარსოლოგს პროფ. ვ. ჟუკოვსკის თავის დროზე ვერ აეხსნათ ამ სახელწოდების ეტიმოლოგია და მხოლოდ ბოლო დროს ჩემთვის ცხადი შეიქმნა ჩვენი ძველის ტექსტზე მუშაობის პროცესში, რომ „ნასლაჟით დეჰისტანელი“, რომელიც არ არის არც ერთ სპარსულ ტექსტში, არც კალკუტურში, არც თეირანულში, უნდა იყოს არაბულ-სპარსული „ნაზაჟათ-აზ დაჰისტან“<sup>1</sup>, რაც ასო-ასოთ ჰნიშნავს: „სიტურფე დეჰისტანიდან“ და, მაშასადამე, იგი არის მზეთუნახავის ეპითეტი. მთელი ეს ტაეპი, რომელშიაც შედის ეს სახელწოდება, სპარსულ დედანში ამ სახით არის: „ჰამიდუნ აზ დაჰისტან ნაზ-ე დილბარ“, რაც ზუსტად ნიშნავს: „აგრეთვე დეჰისტანიდან ნაზი (საქ. ალერსი) გულის წამლებელი“.

აშკარაა, რომ ეს „ჰამიდუნ“, რაც „აგრეთვე“-ს ჰნიშნავს, დასახელებული სიტყვის ნაზაჟათ-ის ერთ-ერთ საუკეთესო ძველთაძველ დედანში დაზიანების გამო, გაჩნდა იმ ადგილას, სადაც დედანში იყო ეს ნაზაჟათ“, რესტავრატორის მიერ ამ ძნელი გასარჩევი სიტყვის აღდგენის დროს. ახლა თუ სახეში მივიღებთ ამ სიტყვის არაბული ასოებით დაწერილობას და გავითვალისწინებთ იმას, რომ ასოები ალფეი და გადასაბმელი ლიამი ჩქარ ხელში ძალიან წაავავს ერთი მეორეს, აშკარა გახდება, რომ ჩვენი ძველის წაკითხვა „ნასლაჟით დეჰისტანელი“ უნდა იყოს მიღებული სპარსული დედნის ერთ-ერთი საუკეთესო ვარიანტის „ნაზაჟათ აზ დაჰისტანის“ ცუდად ამოკითხვის ნიადაგზე წარყენისაგან.

ამასთანავე მოგვყავს მე-2 ანალოგიური მაგალითიც იმისა, თუ როგორ მახინჯდებოდა და სხვაფერდებოდა თავდაპირველი თარგმანი; შევებოთ ამისათვის რედაქციის მე-36 გასწორებას:


რამინი ერთხელ მოსტეჰამდა ვისის განშორების გამო (205):

„მე მახესა დაბმულსა კაკაბსაცა ვებრალეზი შენისა სიშორისათვის შეჭირვებული! თუ რა ჰირი გინახავს, მოაბად, — შენ ლხინი გმართებს და სიხარული...“.

რედაქცია მართალია იმაში, რომ აქ უადგილოა „მოაბად“, რომელიც არის სპარსული დედნის „მაბადა“-ს, [რაც ნიშნავს „ნუმცა ოდეს იყო“. ე. ი. ნუოდეს იქნების აწვე ნურავითარი შენი შეჭირვება, შევსება ჩვენია ი. ა.] ცუდად წაკითხვის შედეგი, შდრ. დედნის კ. 190, 9; „თორა ჰერგიზ მაბადა ჰირ თიმარ“...

მაგრამ ეს არ იძლევა იმის საბაბს, რომ იგი გადათარგმნილ იქმნას საერო ლიტერატურის ძველისათვის შეუფერებელი „ნუ იყოფინ“-ით, არამედ იგი უნდა ითარგმნოს ასე: ნუმცაოდეს იყო, ანდა: ნურლაოდეს გექნების (შეჭირვება), შენ ლხინი გმართებს და სიხარული..

ხოლო ძველის ამ ადგილის ასე დამახინჯების თვით ეს ფაქტი აშკარად ჰმოწმობს იმას, რომ თავდაპირველი ზუსტად მთარგმნიელი, — უდავოდ სპარსულის კარგი მცოდნე, — საქართველოს ისეთი პროვინციიდან ყოფილა, სადაც იხმარებოდა ეს სპარსული სიტყვა „მაბადა“ ნასესხები სიტყვის სახით, და ასევე უცვლელად რჩებოდა იგი დიდხანს ჩვენი ქართული ძველის ტექსტში, რის შედეგადაც, შესაძლოა, შემდეგში ვინმე რესტავრატორმა, ან გადამწერმა დაინახა მასში შეცდომით შაჰის საკუთარი სახელი „მოაბად“ წოდების ბრუნვაში და გაააზრა ეს ადგილი თავისებურად, ამის შემდეგ, იგი, როგორც ჩანს, თანდათან გამტკიცდა, რადგან აზრი აქ თავისებურ გარკვეულ სახეს ღებულობს.



მართლაც, რამინი აქ მოსთქვამს თავის გულში ასე: „**მე** მახესა და მძიმულსა კაკაბსაცა ვებრალები შენისა სიშორისათვის შექირებულნი (იგულისხმებენ) სხვა ფოვ... მრავალ წერტილს ესვამთ პაუზისათვის] თუ რა ჭირი გინახავს, მოაბად, [აწ ამიერიდან, შევსება ჩვენა, ი. ა.] შენ ლხინი გმართებს და სიხარული! [ე. ი. ჩემი ჩამოშორებით, მოაბად, შენ ლხინი გმართებს და სიხარული!...]”<sup>1</sup>.

ეს შემთხვევაც მოაბადის გაჩენისა საუკეთესოდ ჰმოწმობს, თუ როგორ იცვლებოდა და ჰშორდებოდა მის დედანს თავდაპირველი ზუსტი თარგმანი ამ ჩვენი ძეგლის ამა თუ იმ ადგილის რესტავრატორის მხრით ველარ გაგების ნიადაგზე დამახინჯების და შეცვლის გამო. სხვა რომ არა იყოს რა, გულუბრყვილობა იქნებოდა გვეფიქრა, რომ სპარსულის მცოდნე ზუსტად მთარგმნელი ჩაიდენდა ასეთ რამეს და არა რედაქტორი.

ამის შემდეგ, ვგონებთ, მეტი იქნებოდა გვეფიქრა, რომ ვისრამიანი თავისუფალი თარგმანი ყოფილა იმთავითვე, — როდესაც უკვე მოპოებული ფაქტებით ცხადი ხდება, — რომ ჩვენი ძეგლი იმ სახით, რა სახითაც ჩვენამდის მას მოუღწევია, შემდეგ დროთა რესტავრატორების ნახელავია.

თავისთავად ცხადია ამის შემდეგ, თუ რამდენად უმართებულოა მტკიცება იმისა, რომ „ვისრამიანის“ ქართული რედაქცია თავისუფალი ქართული შემოქმედების ნიმუშია და, მაშასადამე, მისი მთარგმნელი ქართველი მწერალიც დიდი ხელოვანიყო.

ამით ვათავებთ ჩვენს შენიშვნებს ამ უმნიშვნელოვანესი ძეგლის ახალი გამოცემის შესახებ.

პროფ. იუსტინე აბულაძე

### შენიშვნები:

I. გვ. 92, სტრ. 10—11: ყველა ხელნაწერით ასეა: ნუცამცა მთა ღორისა დარჩების და ნუმცა ციხე ღორისა და სხვა; აქ მცა ნაწილაკის ხმარება მეტად თავისებურია, ზუსტი თარგმანი კი ასეთია: ნუცამცა მთა ღორისა არის და ნუმცა ციხე ღორისა და სხვა.

II. გვ. 93, სტრ. 7—8: ჩვენი წაკითხვით — „მოწამლულსა წამლისა წამალი უჯობს“, ძველი გამოცემით — „წამლისა წამალნი უჯობს“. მრავლ. რ. წამალნი რომ მიგველო, მაშინ, ძეგლის ენის თანახმად, უნდა შევვეცვალა შემდეგი სიტყვაც უჯობს. მრავლ. რიცხვის შესაფერად. ფორმით „უჯობან“; მაგრამ ვამჯობინეთ სიტყვიდან წამალნი წარის ამოგდება, რადგან აქ წამლისა-წამალი გარკვეული ცნების — ანტიდოტის სახით არის წარმოდგენილი.

III. ვრ II, გვ. 90, სტრ. 38: კიდე წავიდა; აქ „კიდე“ წინა ფრაზის ბოლო სიტყვაა, უნდა იყოს: მარგალიტი ღორსა წინა-არღარა დაყარა კიდე; წავიდა და იგი ქუე დააგლო. აქ გამეორებულია ძვ. გამოცემის შეცდომა: შდრ. ვრ I, 125 გ.

ი. ა.

<sup>1</sup> მე დიდი ხნიდან მქონდა ეს ადგილი შესწორებული ამ სახით, რადგან განზრახული მქონდა ძეგლის ტექსტის გამოცემა. ი. ა.